

וְיַעֲשֵׂה  
לְךָ כִּי  
אֶת־  
מָזְבֵּחַ

לְבָנָה  
לְבָנָה

לְבָנָה

# ურა

5

ე ს ი ს ი

1 9 6 7

ლიტერატურულ-

მხატვრული და

საზოგადოებრივ-

პოლიტიკური

შურნალი

საქართველოს აღკა ცენტრალური კომიტეტის  
და საქართველოს მწრალთა კავშირის მფლობელი

## მთავარი რედაქტორი ზურაბ გერულაშვილი

სარედაქციო კოლეგია: აკაკი გარეაშვილი, გირამ გვარიშვილი, გირამ გლიო-ჭივილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთებულაშვილი, რონი გერგვალი, ორბე კაპრარიძე (კ/გ. მისამი), გიორგი ციცელაშვილი, ნოდარ წილეისიძე, ვახტანგ ვალიძე, სერი პილაძე, თავათ პილაძე, ლაურ ჭავჭავაძე.

# აუგისტები-სუმირო ფოთიშვილის კერძოს

ქართული პოეტის ლიცეიისანა

## ლიცეის მაჟირლებები

თუ გძინავს, — ღვიძავს შენს სახელს,  
უფხიზლესს ქარიშხალისა,  
თუ გძინავს, — ღვიძავს შენს საქმეს,  
უმხნესს მოქნეულ ხმალისა!

თუ გძინავს, — ფეხლობ ყოველთვის;  
თავს დაგვტრიალებ არწივად,  
გძინავს, — შენი ხმა გუგუჩებს,  
სიცოცხლე გაგვისანერძლივა!

შენ ერთადერთმა არ იცი  
სიცვდილი, კუბო, ლოდები,  
შენ ხალხის გულის ფეოქვა ხარ,  
არასდროს დაბოლოვდები.

ჯერ არ პქონია სიმაგრე  
ხალხს, შენებრ აუღებელი.  
მზე და სიცოცხლე მარადის  
იქნება შენი მხლებელი!

გიორგი ლეონიძე.

## ლიცეის სავაზრები

დღემდის ხსოვნაში შაქერს ჩარჩენილი  
ქვისგან ნაკეთი ნაცნობი სახე,  
შაშინ პირველად ვნახე ლენინი,  
შაშინ თბილისიც პირველად ვნახე.  
  
პირველად ვნახე სინათლით სავსე  
ჩემი სამშობლოს გული ნამდებილი,  
იდგა ლენინი კაშხალის თავშე  
და გაძჰერებდა მტკვარს ხელგაწედილი.

შაქერის შექი ცად აფრენილი  
ეწერებოდა ჩემს გულისფიცარს:  
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი  
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.  
  
იმ დღიდან შექის გამომსახველად,  
ზავშეის ოცნებას, როგორც აჩრდილი,

ყვილგან თან გაძჰვა, ვით ცისარტყელა,  
ლენინის ხელი მტკვარზე გაწვდილი.  
და ყველგან, საღაც ძლიერი დენით  
სინათლემ თავშე გადამიარა,  
ხრამშეც, რიონზეც ვხედავდი ლენინს —  
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

დღესაც, სამკორის დათხრილი მიწის  
როცა ცოცხლდება გოჭი ყოველი,  
წინ ისევ მისი აჩრდილი მიძღვის,  
ვით ჩირაღდანი გაუქრობელი.  
ვერძნობ ოცნების ფრთებს ჩუმად რომ  
მასხამს,  
მდინარის პირს რომ გადამატარებს:  
იორზე ჭედავ უთვალავ კაშხალს,  
წისჭეილებიც პატარ-პატარებს.

ოცნებით ვხედავ: უდაბნო ველი  
როგორ შეზარის თვალის ახელას,  
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი  
იორშეც მოჩანს, ვით ცისარტყელა.  
მას აქაც ვხედავ, დგას ამართული,  
მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი,

ტალღას ძლიერი ტალღა გადევლის  
და კაშაშის იწყებს ირგვლივ მთა-ბარი.  
და თრთოლვით მისდევს მაჟთულებს  
ბენი, ბენი რომ შუქით გააშიანა...  
ოცნებით ვხედავ იორშეც ლენინს —  
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

გრიგოლ აბაშიძე.

### ლ ე ნ ი ნ ი

ჩვენ დავიბადეთ იმ ნათელ დამით,  
როდესაც მიწა შეიძრა წამით,  
და როცა ატყდა ბალტის მხრიდან  
გრიგალი —  
ქვეყნის ხსნად მოვლენილი.  
მაშინ ნევაზე „ავრორა“ იდგა  
და ტრიბუნაზე — დიდი ლენინი.

ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი!  
ლენინი იდგა გაწვდილი ხელით.  
მან გამარჯვება ხალხებს ახარა,  
მან მოაბრუნა მზისკენ გულები,  
მას შემდეგ მიწაც ბრუნავს სხვაგვარად —  
ლენინის ხელის მიმართულებით!

გისებილ კვლივიძე.



# მოსკოვის დღეები

მიხეილ ღავრინი

ზ ა მ თ ა რ ი

გაუბედავად გოგონა მოდის,  
 დათოვლილ ქუჩას მოჰყება კენტად,  
 როგორც ყინვისგან დაშჩრალი ტოტი...  
 ვინ შეიყვარებს გოგონას ნეტავ?!  
 ვინ გაიხარებს ლამაზის გვერდით,  
 ვინ ვალალაპავს საშიშ ნიაღვრებს, —  
 შორ გზებს მოივლის და ბოლოს ცეცლში  
 და ქარიშხალში მაინც მიაგნებს.  
 გოგო შენსაფით საესეა შიშით, —  
 თითქოსდა მალე უნდა დაეცეს.  
 დაეხეტება ჩემსავით ბიჭი  
 და იმ ერთადერთ გოგოს დაეძებს.  
 იპოვნის კიდეც ოცნების კოკორს,  
 დაივიწყებენ ხანგრძლივ ხეტიალს...  
 დათოვლილ ქუჩას მიჰყვება გოგო,  
 რომელსაც არვინ არ შეხვედრია.  
 ეს ხომ შენა ხარ!  
 შენ ხარ!

შეჩერდი!  
 ის ბიჭი მე ვარ, — შენ დაგეძებდი!  
 დაბრუნდი, რათა მოგეხალისო,  
 არარსებულო ჩემო მასო.  
 მე საშუალოდ შენთან დავრჩები,  
 თეთრო ყვავილო ჩემო ოცნების!..  
 მოხატულია ყინვით ფანჯრები,  
 ვით საქორწილო ხელსახოცები.  
 და სანამ გული და ლონე მერჩის,  
 არ დამეკრგო უმისამართოდ.  
 გაყინულ ტოტს კი ავიღებ ხელში  
 და ხელებიერთ ფრთხილად გავათბობ.

## დეონიძ მარგილოვი

### მეშვიდე გრძნობა

შენდება ცათამბჯენები,  
ბევრი სახლი და ტაძარი,  
მაგრამ კაცს უნდა სხვა რამე,—  
იმაზე კარგი, რაც არი.

გამოდის კარგი წიგნები,  
ბრძენებაცთა ნამოლვაშარი,  
მაგრამ კაცს უნდა სხვა რამე,—  
იმაზე კარგი, რაც არი.

მეექვსე გრძნობა ვაგვიჩნდა,  
დროს გაუცდით და გავასწარით,  
მაგრამ კაცს უნდა სხვა რამე,—  
იმაზე კარგი, რაც არი:

ბენების იღუმალებას  
ჩასწვდეს და აღარ შეშინდეს.  
მეექვსე გრძნობის მავიერ  
გრძნობა ვაზარდოს მეშვილე.

რა არის გრძნობა მეშვიდე  
მძლავრი და გაუხუნარი?  
იქნებ ეს არის უბრალოდ  
მომავლის ხილვის უნარი!

### მარგარიტა აღიგეალი

\* \* \*

შეცუმებს მე არ მაპატიებენ,  
არც მინდა, — ნურვის შევებრალები.  
გზებს არ მიფენენ იაიებით  
დილის გაზეთის ტელეგრამები.

მხოლოდ ზემზე მხედ და მდიდარი  
დღე ფარვანას ჰვავს მსუბუქორთებიანს.  
იოლ ცხოვრებას არავითარი  
კარგი სიზმრები არ მპირდებიან.

მე არც კი ვიცნობ იოლ ცხოვრებას, —  
წაჟაოთხულით თუ მემაბსოვრება.

უა თუ სართაფში სხედან ლოთები,  
წეც მამლის ყივილს დაველოდები.

მაგრამ ფილქები მოჰქმდიან თეითონ  
და შორს ციმციმებს მკრთალი ვარსკვლავი,  
წერ, ჩემი ბეჭის ვეება ტვირთო,  
მაინც მჩატე ხარ ჩიტის ფრთასაგით.

ცაჟე მრავალი ვარსკვლავი ჩაქრა,  
მეტი დაედო ფასი იმედებს,  
თანდათან უფრო მძიმზები, მაგრამ  
ვაღასაგლებად ვერ ვავიმეტებ.

## ნიკოლოზ ზაგორისკი

\* \* \*

მე მზრდილა მქაცრი დედა-ბუნება,  
მე მიყვარს მიწის ნამაგარი,  
ბაბუაწვერას მრგვალი ქულები  
და მრავალძარღვას ძარღვი მაგარი.

რაც უფრო მეტად არის უბრალო  
მცნარე, უფრო მეტად მიტაცებს  
მისი ფოთლების თვეისუფალი  
გამოცხადება დედამიწაზე.

მე გვირილების ტყეში, ლელესთან,  
საღაც მაღალი მთვარე ანათებს,  
ამოვწყობდა თავქვეშ ხელებს და  
ცას ვუყურებდი განთიაღამდე.


ცხოვრება ფოთლებს შორის ულევი  
ნიალვარივით იელვარებდა  
და ვარსკვლავები დანისლულები  
ფერს შეუცვლიდნენ ბუჩქებს გარედან.

მე თვალს სიმწვანით გავახარებდი,  
ზავივიწყობდი ყველა სადარდელს  
და ამ ველების და მაღნარების  
ფიქრს ვიფიქრებდი განთიაღამდე.

რედაქციან თარიღი 2023 გამარჯვებული.



ՄՊՆ ԱՎԵԼԱՏՎԱԿԱՆ



ԱՅՍ  
ԱԼՈՒՅ  
ԵՐԵ

ՀԱՅԵՐՆ

მაკა ბეღნიერი იყო.

აგრე უკვე ოთხი წელია, რაც გათხოვდა და აჩასოდეს უფიქრია მასზე, ვისაც ერთ დროს უყვარდა, ქმარი იყო მისი ნამდვილი სიყვარული გაცნობის დღიდან დღემდე. ქალს არ განუცდია იმედის გაცრუება, თავის მოტყუება, სულიერი ტკივილი. მართალია, პირველი დღეების გარდა, მოსახონარი ცოტა დარჩა, მაგრამ მაკა ბეღნიერი იყო.

შეულლდნენ და წლისთვეზე შეეძინა ვაკე, რომელზეც ასე ოცნებობდა გვნო. ქმარი უკვე სოფელში მუშაობდა მასწავლებლად და მაკამ ინსტიტუტის უკანასკნელი კურსი დაუსწრებლად დამთავრა. ერთი წლის შემდეგ გენო რაიონული გაზეთის რედაქტორიში გადაიყვანეს. მანისეულობა უმცროს მმას დაუტოვა, დაბის დასწყისში საკარმიზმო ნაკვეთი აიღო და სახლის შენებლობა დაიწყეს. სახლი ჯერაც არ ჰქონდათ დამთავრებული, გარედან შეულესავი იყო. მალუა სახელდახელო კიბით აღიონდნენ, საწვეთელს თუნქვის ღარები სჭირდებოდა... ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ბევრი სახჩუნავი და საფიქრალი ჰქონდათ.

გენოს რაიონში მეტი პატივისმცემელი გაუჩნდა, როცა მისი წერილები ზედიზედ რესპუბლიკურმა გაზეთმაც დაბეჭდა.

ქმარი ხშირად იყო მიელინებაში, წერილებისაც თანდათან მეტ დროს უთმობდა; მაკას პასუხს თხოვდა ოჯახი, შეილი, სამსახური, მტერ-მოყვარე და მარტობა, მოწყენილობა არ უგრძევია არც მაშინ, როცა დედამთილსა და მაჩლის ცოლს დიდ უკმაყოფილება მოუხდათ და გვნომ დედა თავის სახლში მოიყვანა. მუდამ მოფუსფუს მაგდანა ხე-

დავდა, რომ ამ ოჯახის შექმნაში წელილი არ მიუძღვდა, კარები კი ფართოდ გაუდეს; იმთავითვე მაკას უპირატესობა აღიარა და რძალ-დედამთილს შორის სიმშვიდე და ურთიერთგაგება დამკვიდრდა. ამან ქმრის ნათესავებში მაკას „აკა ქალობის“ სახელი მოუპოვა.

საქმე გაუნახებოდა. ბავშვს ბებია უვლიდა. ხელსაქმებში გაჭალარავებულ დედამთილს სადილ-ვახშამს და ხევტა-წმენდასაც ცერავინ დაუწუნებდა. მაკას საშუალება მიცეცა მეტი ეფიქრი თვეის თავზე, სამსახურზე, ბევრი ეკითხა, ხშირად მონახულებია დედ-მამა, ამხანაგ-მეგობრებს შეცვედროდა და დაესვენა.

გენოს ლვინო არ უყვარდა, მაგრამ ზოგჯერ აგვიანდებოდა და შინ ნასამი ბრუნდებოდა; დილით სამსახურში მიიჩიქარდა, საღამოთი მოქვენდა წიგნები და თავაუღებლივ კითხულობდა. კინო-თეატრში ერთად დადიოდნენ, კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ. მაკა მანიც კმაყოფილი იყო. შეინდა ოჯახი. ჰქონდა ქმარ-შვილი, დედ-მამა, თუმცა მამა ავადმყოფი და გატეხილი კაცი იყო, ჯერჯერობით ბელის სამღურავი არ ეთქმდა. ერთადერთი, რაც ქალს გულს ტკინდა, ბებიას გარდაცვალება იყო. ბებია ბებია, რა გაეწყობა, კუელანი სიკვდილის შვილები ვართ.

გენო მასალებს აგროვებდა ნარკვევისათვის, რომლის ცალკე, პატარა წიგნაკად გამოცემას აპირებდა. ამიტომ სახლის დამთავრება გადადო და მეზობელ რაიონში, დიდი ჰესის მშენებლობაზე, მოუხშირა სიარულს.

მაკას სწყინდა, რომ გენომ ერთხელაც არ წაიყვანა მშენებლობაზე და არც ის წაუკითხა, რაც სახელდახელო

ჩანაშერებად ჰქონდა, მაგრამ იცოდა, გენოს არ უყვარდა დაპირება, თავის-თავზე ლაპარაკი. ამ მხრივ, სიტყვაძუნწი ცოლთან უფრო იყო.

❶

მამა რომ საოპერაციო გახდა და მაკა თავისახლს იხმეს, გენომ საღვრიდან ტელეფონით დაურეკა რედაქტორს და სამსახურში მიუსცლელობის მიზეზი უთხრა.

ნაშუადლევს მატარებელი იანისის სადგურზე გრიერდა. მაკა არ ელოდა, ძმა თუ დახვედროდა. მან, საერთოდ, არ იცოდა ძმის ასავალ-დასავალი. ბიჭიკო ჯერ კიდევ ცეტი ბავშვი იყო, როცა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. გათხოვებამდე ზაფხულობით ჩამოდიოდა, მაგრამ ძმა ღამით შემოძრებოდა სახლში და დილით ისევ გადაიკარგებოდა.

ბიჭიკომ როგორლაც დამთავრა საშუალო სკოლა, მეტე ორი წელი თბილიში გაატარა, ახლა საბუთები დაუსწრებელზე გადავიტანეო, ამბობდა, მავრამ მართალია? დამ არც ეს იცის. ახლანან ღვინის ქარხანში დაუშენია მუშაობა. „იქაც შენი სკოლის შეგობარი დაეხმარაო“, სწერდა მამა. როგოლი მეგობარი გახდა მეღვინე და ვინ სცა პატივი, მამას არ მოუწერია. მაკა, რაც აქედან წაიდა, თანდათან ჩამოშორდა მეგობრებს, რა ხანია, ნუცას გარდა, არავის შესველრია და ეკერ მიხვდა, ვინ ზრუნავდა მის ძმაზე.

იანისში მაკასთვის სადგურის გარდა თითქმის არაფერი იყო ნაცნობი. ძევლი შენობა ახსნებდა, როდის და რამდენჯერ დადგომია ამ ლიანდაგების უსასრულო გზას; ამ გზით წავიდა სასწავლებელში, ამ გზით მივიდა გენომ-დე, ჩამოვიდა მშობლებთან უეხმიმე და ამავე გზით წავიდა პირველად გოჩა თავის სახლში. ყველაფერი ეს აახლოებდა აქაურობასთან, თითქოს ყველა გამოვლენს იცნობდა, ყველას უღიობდა; ყველასადმი განსაკუთრებულ

სიობოს გრძნობდა, მაგრამ ვაკონიდავ ფეხი ჩამოდგა თუ არა, ძმის შეძახილ-მა: — მაკა, გენო, გუნაცვალეთ! — და კოცნამ, რომელსაც ღვინის სუნი ახლდა, გუნება გაუფუჭა. ბიჭიკოს თვალებში გამომცდელად შეხედა.

— მაცალე, სიძეს მოვესიყვარულო. გენოს ხელი ჩამოიართვა. — ბიჭი, შემომხედე! — მაკამ ძმა თავისკენ მიაბრუნა.

— უკეთესს ვის შეეხედა! — მითხარი, რატომ დამხვდი? ბიჭიკომ გენოს შეხედა და ხელები გაშალა: — რატომ დაეხვდი?! — ალბათ მიჩვეული არა გუავს. — დაეხვდი დასა და სიძეს, დავა-შავე?!

— ბიჭი, მამა როგორ არის? — ისე, როგორც მოგწერეთ, არც მეტი, არც ნაკლები.

— ოპერაცია გაუკეთეთ? — არა, უშენოდ არ იკეთებს. — მართალი მითხარი! — დავითუიცო? — ნუ ჩაცივდები, მაკა! — ტრანსპორტი არის! — საზეიმოდ თქვა ბიჭიკომ, როცა მოედანზე გავიდნენ და სიძე ეკაციის ჩრდილში მიყენებული მანქანისკენ წაიყვანა.

მაკამ ფეხი აითრია. ბიჭიკო გენოს მიუბრუნდა:

— პატივი არ ვეცი, — არ მცაო, ვეცი და... — მიეჩვენა.

— მამა შინ წევს თუ სააგადმყოფო-ში? — მაინც არ მოუთმინა გულმა ქალს.

— შინ წევს, უშენოდ ფეხს არ იცვლის, ჩვენ არ გვენდობა.

ბიჭიკომ ლია ყავისფერი „პობედის“ კარი გამოაღო. მანქანასთან არავინ ჩანდა.

— ვისია? — იკითხა მაკამ. — ახლა ჩემია. — ბიჭი, ნუ სულელობ.

— გენო, ვსულელობ ახლა მე? მან-  
ქანში ვეპატიუები ერთადერთ, საყვა-  
რელ დას, დაისახებულად მინდა მივიყ-  
ვანი დედ-მამასთან.

— მძღოლი არა ჰყავს ამ მანქანს? —  
იყითხა გენომაც.

— შოფერიც მე ვარ.

— ბიჭი, ნასვამი ჯდები სხვის ჸანქა-  
ნაში? — მავამ კარებში ფეხი არ შედგა.

— დამიწყო ახლა დიდიქტიკა...

— ვისია მაინც, მითხარი!

— რა გიოხრა, თვისი დროზე გაიგებ.  
დაჯერით, დაჯერით, თქვე ოჯახაშენებუ-  
ლებო! — ბაკიმ ხელი ჩაიქნია და ხაჭეს  
მიუდგა, — პატრიონიც ქეცევა.

— დაჯერი, — თქვა გენომ.

ძრავი ამუშავდა. მანქანა დაიძრა და  
ისევ შეჩერდა.

— წავიდეს, გენო, წავიდეს!

— დაჯერი, ახლა გინდა გახსრდო?

მავამ, კარებში თვი შეპყო თუ არა,  
მაშინვე უკან დახევა დაბირა, მაგრამ  
ეს უკვე აღარ შეიძლებოდა. მოუხერ-  
ხებლად, გვერდულად ჩამოყდა. მანქანა  
ადგილიდან მოწყდა.

ქალს ხმა აღარ გაუღია. თვი გვერდ-  
ზე მიაბრუნა. გარეთ ახალდარგული  
ჟალები გარბოდნენ, ტროტუარზე მო-  
სიარულენიც გაიქროლებდნენ...

გუნდეწამზდარ მავას ძალიან აწუხებ-  
და, რომ მას ისე არ უყვარდა, როგორც  
უნდა ჰყებარებოდა. შორიდან აშა არ  
კრძნობდა... კარგა ხნის უნაზავი მოენატ-  
რებოდა, უნდოდა ყველაფერი ეპატეგი-  
ნა. ფიქრობდა, როცა შეხვდებოდა, მო-  
სიყვარულებოდა, არ ეკითხა მისი სწავ-  
ლის ან საქმიანობის ამბავი. ამართლებ-  
და: ასეობიც არიან, ამაზე უარესებიც.  
ბოლოსდაბოლოს ისიც ჩადგება კუა-  
შიო; ნახვდა და — ბიჭიკო შაშინვე რა-  
ღაცას ისეთს ჩაიდენდა, მერე მისი მო-  
ფერებაც და პატივისცმაც აღიზიანებ-  
და, მით უფრო, თუ გენო ახლდა თან.

გენო ცოლისძმასთან ყოველთვის თავ-  
შეევებული იყო და /კალყაბა ხუმრო-  
ბით ელაპარაებოდა. ამ თავშეევებით  
მავას თანაუგრძნობდა. ქალს ესეც არ

უნდოდა, რადგან ძმა ქმრის თვალში  
აპატარავებდა. არ ავონდებოდა, რომ  
ბიჭიკო, საერთოდ, არავის უფრებს,  
თვექიფაა და დისგანაც მოითხოვს  
დამობას.

გენოს არ ესმოდა ცოლისძმისა, მის-  
გან არაფერი სწყინდა და თვი შორს  
ეკირა. მისი ღიმილი და ირონია ბიჭი-  
კოსთვის გაუგებარი იყო, მაგრამ მა-  
კასთვის — გასაგები.

მანქანა გაჩერდა.

მავამ მიიხედ-მოიხედა. რა მოხდა!?  
ჩერ დაბას არც კი გასცალებიან. ბიჭი-  
კო შარგვნივ გაღმოყდა. ფანჯარის ვი-  
ლაც მთავდა. მავამ ლურჯ ბიჭაქს შივ-  
ნით თეთრ ხალათი და ცისფერი ჰალ-  
ტუხი გაარჩია. კარები გაიღო. ჟალმა-  
თვი ისევ გვერდით მიაბრუნა: ესეც  
ჩემ ძმასავით უბედური იქნებათ.

ახალმოსული აუჩქარებლად მოეწყო  
სავარებლებზე და მავამ გიოგნა თავშე-  
კავებული მისალმება. რატომლაც მოეჩ-  
ვნა, რომ ამ კაცს „გამარჯობა“ თავისი  
ხმით არ უთქვამს. „ალბათ ჩემი ძმაც  
გამოგონილი ზრდილობით და რიდით  
ხვდება უცნობებს“, — გიოგიქრა და სა-  
ლამზე არ უპასუხა.

ბიჭიკო ცერით ზურგს უკან ანიშნა,  
ისე, რომ არც მოუხედავს:

— მავა და ჩემი სიძე.

მანქანა დინგად გისრიალდა.

„ჩემმა ძმამ ტარებაც კი არ იცის,  
მისგან ხეირიანი მძღოლიც არ გამოვა.  
საწყალი დედა და მამი! მამაჩემს მაგის  
დარღით რა გადაარჩენს!“

ძალაქიდან ისევ ზომიერი სიჩქარით  
გავიდნენ, ხიდზე გადაიარეს და მწვანე  
ეზოების წინ ჩამომდინარე ლელის პი-  
რას თეთრ ბატებს ჩაუქროლეს.

„აქ, სანამ ეს ლელეა, სულ ასე იქნ-  
ბა ბატები!“

ბმას არავინ იღებდა. მავას ისევ ეპვი  
გაუჩნდა: ძმა რაოცას მიმალავსო, სა-  
ვარებლებზე გასწორდა და წინ მჯდომთა  
ფიქრების გამოცნობა მოინდომა.

მმას ლია ფინჯარაზე ქვენდა მელავი  
ჩამოდებული და კარის ზედა ძგიდეზე

თითებს ათავაშებდა. მარცხენა ხელში პატიროსი ეჭირა და ნაფაშს ნაფაზზე არტყამდა. ქალი, სანამ მძღოლს შეხედავდა, სარკეში ოდნავ მოჟუტულ, მასზე მოჩერებულ ცალ თვალს წატყდა და ისევ ფანჯრისაკენ მიბრუნდა. მოეწვენა, თითქოს მძღოლი ცალი თვალით გზას უყურებდა, მეორე კი, რომელიც მაკავ დაინახა, სულ მისენ ჰქონდა მოჟყრობილი.

„ელამია?“ — მოუნდა გაეხედა, მაგრამ თავი შეიკავა. ამ ჩასაფრებულ, დადარაჯებულ თვალს უსიმო, გამჭოლი მზერა ახლდა.

„ალბათ, გენო ვერ ხედავს, თუ არა... ვერ გაძედავდა... მათ ვის გადავვარე, — ვარეთ დაიწყო ცერა. დელისირზე მიმალი ბატი ისერს აქეთ იწვდიდა, აღვილიდან არ იძროდა. — ჩქარა მაინც იაროს ვიღაცა. რას ივლის, წინ არ იხედება“.

— გენო! — ფრთხილად მიტრიალდა ქმრისაკენ, — შენ დღესვე უნდა დაბრუნდე? — იცოდა, აქეთ დიღხანს დარჩენა არ უყვარდა.

— ვნახოთ! — ცოლისკენ არ მოუხედავს.

— ჰო, მამა...

— ვერ არ მიესულვართ, წასულაზე ლაპარაკი აღრეა.

— მართალია, — თქვა ქალმა, მაგრამ მისა და მძღოლის სიჩუმე, როცა არცერთი სიჩუმისა და მოკრძალებისათვის არ იყო გაჩენილი, იძულებდა ისევ რაიმე ეთქვა, — რატომ გეითხე, იცი?

გენომ თავი გაიქნია.

— ბავშვება რომ იჭირვებულოს, მეშინია.

— ვნახოთ... — თქვა გენომ, რითაც აგრძნობინა: ამათთან ახლა სეთ გრძნობებზე ლაპარაკი უადგილოა. ეს შაკა-მაც იცოდა და ეწყინა; სწორედ იმიტომ თქვა, რომ უადგილო იყო და გენოს უნდა და გეგო ეს, გაიგო კიდეც, მაგრამ მამაკაც ლირებას ვერ შეელია და მაკავ მარტო დატოვა ამ თავეეიფა მისა და სარკილან მოგეჟებული კაცის საეჭვო დუმილთან.

— გენო, რატომ გავიწყდება, რომ დღეს პირელად დატოვოვ მარტო, — თქვა ხმამალლა თავისნაოქვამა ძმისა და მძღოლის გინაზე.

— ოდესმე ხომ უნდა დატოვო! — თქვა გენომ უკვე თანაგრძნობით.

მაკავ გერ წინ გაიხედა, მერე სარკეს გაუსწორა თვალი, აღარ მოელოდა უცნობის შემოხედვას, მაგრამ თითქოს არავერი შეცვლილიყოს. იქნებ ცალი თვალი რომ ჩანდა, იმიტომ იყო სე უტიფარი.

— დედა ენაცვალოს... — თქვა მაკავ ისევ ხმამალლა და სანამ მანქანა არ გაჩერდა, წინ აღარ გაუხედავს.

## ●

მაკავ ჩამოვიდა. მანქანას შემოუარა და ჰიშერისაკენ წავიდა. არც მაღლობა უთქვაშ და არც ის უკითხავს, სხვებიც აძირებდნენ ჩამოსელის თუ არა.

— სამასურში უნდა გაებრუნდეთ! — მოესმა ძმის ხმა.

— აბა შენ იცი! — გაეპასუხა გენო.

მანქანა გზას გაუყვა. მაკავ ჰიშერი შეალო და ეზოში უკანმოუხედავად შევიდა. კონდარი მუხლამდე იდგა, სახლისაკენ მიმავალი ბილიკი გატეპნილი იყო. გაუსხლვი ტრიოფლიატის ცოცხალი ღობე გაბუჩქულყო. წელან ჰიშერის გაღება გაუცირდა, ბოძი გადაწეულა და არავის გაუსწორებია.

„მამაჩემის ავაღმყოფობა დატყობია ეზო-გარემოს“...

სახლს შუშაბანდის ცისფერი საღებავი გახუნებოდა, ჰუჭყიანი, მოთეთრო ფერი ეღღ. კიბესთან ფეხის საწენდი რკინა ერთ პალოზე ამძრალიყო და ცალზელა ეკიდა ირიბად.

— მაკა, შევილო! — პალატის კარებიდან ხელებგაშლილი დედა გამოეგება, მოეხვია და, როცა გენოს შესახვედრალ წავიდა, სეელი ხელები იღლის ქვეშ შეიმშრალა. — გენო, მოხვედით?

— როგორ ბრანდებით! — პეითხა გენომ და ხელი გამოსდო.

— ისე მტერი მოგეჭა.

მაკა დაუჭედდა, მამა შინ არ აჩისო, და

გენოს პირზე მომდგარი სანუგეშო სი-  
ტუვის თქმა არ აცალა.

— მამა სად არის, დედა!

— შინ არის, შეიღო.

— მერე რაა, კარები რომ გამოგიყე-  
ტათ!

— ახლა გამოვედი, საღილი ხომ გვინ-  
და... ქათმები აღიან აიგანზე, აღარ შე-  
მიძლია, შეიღო, ძველებურად. მამაშე-  
ნის ამბავშა...

მაყამ კიბე აიბინა. მინიანი კარები  
ხელის კერით შეაღო, ჩანთა ტახტზე  
მოისჩოლა. წინა ოთახში დაინახა საწო-  
ლიდან მისკენ მოჩერებული სიმონი.

— მამაჩემო, რა დაგემართა? — სას-  
თუმალთან მიღმული სკამი გასწია, სა-  
წოლზე ჩამოჯდა და ცრემლმორულ,  
გაცრეცილ ავაღმყოფს თავი შეერდშე  
დააღო.

— გაუწყრა, შეიღო, ღმერთი შენს  
მტერს, ასე კი გვიკირს და... — მოესმა  
აიგანზე შემოსული ოლღას ჩივილი.

მაყამ თავი იღო, დედას თვალებში  
შექედა და წარბი შეიქრა.

— რატომ გაგიწყრათ ღმერთი, დე-  
დაჩემო?

— აბა კარგი ამბავია ჩენ თავს?

— მომკლეს... — ამოიკენესა ავაღ-  
მყოფმა და ცრემლით გაეცსო მაკაზე  
მიშტერებული თვალები.

— რამ მოგვლა? — ახლა მამას მი-  
უბრუნდა და მოახლოებულ გენოზე  
ანიშნა, — სიძის დახვედრა ასე რომ არ  
გიყვარდა!

ავაღმყოფმა მაღლა აიხედა და, გენო  
რომ დაინახა, წამოწევა დაპირა.

— საამდე შემეძლო... გენო, შენი ჭი-  
რიმე... — და ხელი გაუწოდა.

— ბატონი სიმონ, შეშინებულხართ.

— ცუდად ვარ, გენო, — კარის  
ზღურბულზე შეჩერებულ, ატირებულ  
თანამეცხელეს გახედა, — აბა, სკამის  
თუ მოუტნს ადამიანს!

— აღარ ვარ ჭირაზე, შე კაცო! თავი  
იმართლა ცოლმა, თავსაფრის ყურით  
თვალი შეიმშრალა და უკან გაბრუნდა.

— აგერაა, მამა, სკამი. — მაყამ საწო-

ლის თავთან მიღგმული ტაბურეტი გად-  
მოდგა.

— სკამი, გოგო, სკამი მოუტანეთ ამ  
კაცი! — ცხვირის ნესტოები დაწებრა და  
ფერმქრთალ ღაწვებზე ვარდისფერმა  
გადაუარა.

— მე თვითონ, ბატონი სიმონ, რატომ  
სწუხართ.

— მამა, ახლა ამაზეც უნდა ინერ-  
ვიულო?

— ნერვები სულ აღარ უვარგა, შეი-  
ლო, დაგლეგილი აქვს ნერვები.

— დედა, არ შეიძლება, რომ უფ-  
რო... — და თვალით ანიშნა: ცველაფერ-  
ზე არ უნდა ილაპარაკო ივაღმყოფ-  
თანო.

— კი, შეიღო, მაგრამ შენ გვინია მე  
ევარგივის? მაგი მჯობია, ავაღმყოფის-  
პატრონი მეტი ბრალია.

— ნუ უგდებო მაგას ყურს, — ამოივ-  
მინა მშოლიარემ, — გენო, ბიჭი რავაა,  
გოჩა-ბიჭი!

— კარგად, ბატონი სიმონ, კარგად.

— რატომ არ წამოიყვანეთ, გეჩვენე-  
ბინათ სიკვდილის წინ.

— სასიკვდილო რა გჭირს, მამა, რავა  
მართლა წამხდარხარ?

— ასე მოეღო ბოლო...

— დედაჩემო... — მაყამ სიტყვა ვა-  
ძიშვეტინა, წამოდგა და აივანზე გაიყ-  
ვნა, — ჩენ ნამეზავრი ვართ, მოგვხე-  
დე, მეც ახლავე მოგეშველები.

— დაგვხოცა, გოგო, დაგვხოცა. ბიჭს-  
სულ არ იყარებს, ნამეტანი გლახა ამბა-  
ვია ჩენ თავს.

— დედაჩემო, შენ რომ იცი, ახლა  
იმას ვერ მოგითმენს. ბიჭი, ღლეს გარგი,  
რაც გყას?

— კი, მარა ახლა მუშაობა დაოწყო,  
ექიმი ექიმზე მოყავს... გულს გაუტეხს-  
ბოვშს.

— კარგი ახლა, — გააწყვეტინა მაყამ  
და ოთახში შებრუნდა.

— საავაღმყოფოში უნდა დაწვეთ! —  
თქვა გენომ, როცა მაკა ისე საწოლზე  
ჩიმოვდა.

— ამჟღვნხანს რას უცდიდი? — იყოთხა მაკაბ.

— ვერ გავბედე, შეილო, — ისე ტრემლა მოსუსწრო. — უშენოდ ვერ გავბედე. ჩემს ვაკიშვილს არც ოჯახის დარბი აქვს, არც მამის, დედაშენის იმედით? შენი შეშუება არ მინდოდა.

— რას აბბობ, მამა.

— არ მინდოდა, შეილო, არ მინდოდა.

— ჰო, კარგი ახლა, — დაუუკავა მაკაბ, მამის გამხდარი ხელი აიღო და მაჭა გაუსინჯა.

— აღარც გული მიეარგა, შეილო. ოპერაციას ვერ გადავიტან.

— ბატონი სიმონ, ყველაფერი კარგად იქნება, — თევითონევე იგრძნო, ნამეტანი მშრალი და ზერელე ნუცეში გამოუყიდა.

— ჩემო გენო, ახლაც კვდებიან ადამიანები.

— არავინ არ კვდება, ვინც...

— არ ვიცი, რა მჭირს.

— კაი, კაი, მამაჩემო, რა გვირს ვითომ?

— შეილო, ბუშტის ოპერაცია, ორ ოპერაციას გადავიტან მე?

— ორს ერთად კი არ გაგიყებენ.

— ნაწვალები კაცი ვარ, ჩემო გენო. ომი... ომამდე რევოლუციი გამივარდა და მუხლში მოვირტყო. ის არაფერი, ოთლად გადავრჩი მეტე ომში... კი მაქვს შენოვის ნიმუშამი. ნახევარი კაცი აღარ ციყავი ისეზაც და... ეც...

— საავალმყოფოში მე თვითონ დაგადგები თავზე, წუთით არ იფიქრო, მამა, რომ რაიმე გაგიტირდება. ბიჭიც შენთან იქნება. — დაუმატა მეტე და ძმის მოვეინებით გახსენება რომ მამისათვის არ ეგრძნობებინა, დასძინა: — შეგიშინებია ხალხი, ბიჭიმ თქვა, არ გვენდობაო. აქ ახლა იმას უფრო იცნობენ, მე ვიდას ვახსოვი, ნაცნობობას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

— თუ იცნობს, შეილო... კარგად არა-ვინ იცნობს...

— მუშაობა დაუწყია. ალბათ ისწავლის კიდეც და კაცი იქნება, — გენომ

სკამი ახლოს მიიწია. მაკა ფანჯრის ვასალებად წმოდგა.

— ვინ მიუშავებს მავას.

— აბა სათმამაშოდ მიიღეს?

— რა ვიცი, ვიღაც... მაკა... ვოგო...

— ახლავე, მამაჩემო, — მაკამ ფარდა გადასწია, რომ ნიავს არ ეფრიალებინა.

— შენთან სწავლობდა თურმე, არ ვიცი, სკოლაში თუ უმაღლესში.

— ჩემთან მეღვინეს რა უნდოდა, მე სასოფლო ინსტიტუტში ხომ არ კამავლობდი?

— მაშინ — სკოლაში. ჩემი ვაჟატონიდან მე ჩემ დღეში არაფერი გამიგია წესიერად.

— რა გვარია, არც ის უქვეაშს?

— ტყაბლაძე თუ ტყავაძე. დედაშეს ეცოდინება, მესაიღუმელა შენი ძმის.

მაკა ერთი წუთით ჩაიფერდა, მერე თავი გულმოსულად გაიწინა.

— არც სკოლაში... ქალი ხომ არაა?

— არა, მანქანაზე არ იჯდა დღეს?

— ისავ?

— ჰო, თუ იჯდა, ის იქნება, თუ არა — შენი ძმა დაატრიხინებს. ვიღაცაა, მე არც ის მომწონს. ვიცი, კარგი ჩემს თხერთან სამშეს არ დაკერს. ასე ამბობდა, რომ გამაცნო, მეგობარიაო. მე მაშინევ ეჭვი შემეპარა.

— ტყავაძე?! მაგრამ ის ჩენთან არ ყოფილა, ჩენხებ წინ სწავლობდა... ქარხნის დირექტორი?! — და ნაჩერევად დაუმატა, — განცაბას მისი თავი, თუკი მიიღო და ამუშავდს... დედასთან ჩავალ, — მაკა უცებ შებრუნვა კარებისაკენ. ოთახიდან გასულისას გენოს ყურადღება მიიცია. კიბეზე რომ ჩავიდა, მაშინვე აღმა ამოუყვა, ძალიან ჩერა ჩავიდა და ამოვიდა, დედას აქედან ჩასძხა: — საშინაო კაბა გექნებაო.

## ❸

სიმონი სასწრაფოდ უნდა გადაეყვანათ საავალმყოფოში და ქალიშვილი თავზე დადგომოდა. სხვანაირად იგი ოპერაციაზე არ თანხმდებოდა. გენო უკან მარტო წავიდოდა. დილით რედაქ-

ციიდან დარეკავდა სკოლაში და დი-  
რექტორს გააგებინებდა მაյას მიუსვლე-  
ლობის მიზეზს. და, რაც მთავარია, თუ  
ვოჩა უდებობას იწუხებდა, ბაკუშვის რომ  
ზაფრა არ შეკყროდა, ან აქეთ უნდა ჩა-  
მოყვანა, ან მავას უნდა მიეტოვებინა  
ავადმყოფი. ბაკუშვი უკვე მეოთხე წელი-  
წადში იყო და თავისთვის არხეონად  
ეძინა ბებიას ლოგინის გვერდით, მაგ-  
რამ დაწოლის წინ მავა ბანდა ხელ-  
პირს, ხდიდა, ეცერებოდა, სათამა-  
შოების ქვეშაგებში შეტანას ბებია რომ  
არ ანებდა, დედას ჩაბაარებდა ხოლ-  
მე. ჯიბეში უდებდა პატია ნათურას, და-  
ნის ტახს, ლოკონინას ნიჟარებს და  
ათას საჭირო რამეს, ტიტინში ჩაეძინე-  
ბოდა და დილამდე არ იღეძებდა. ეს  
მაშინ, როცა დედა მასთან იყო და ძილ-  
ში დარდად არ მიყვებოდა.

გვნო იმ ღამესვე უნდა წასულიყო  
მატარებლით.

სადილი დაავეკიანეს. მავა არ ჩქარობ-  
და, არ პქონდა იმედი, რომ მა მოუსწ-  
რებდათ. მშის ოჯახში ახლა კაცი ბიჭი-  
კო იყო, მაგრამ დის იმდენად არ ეხათ-  
რებოდა, მათთან დამჯდარიყო და ორი-  
დე ჭიქა ლვინონ სიძისთვის მიეწოდები-  
ნა. დედა მის სიტყვას ვერ გადადიოდა, მამა  
იმედით უყურებდა. მავა აქ ყოფ-  
ნისას ქმართანაც უფრო თავდაჯერებუ-  
ლი და მომხიბელებული იყო. ამ დროს  
ძმის უფიათობა და უპატივეცმლობა  
აღიზიანებდა. ახლა ამას დაემატა მე-  
გობრობა კაცთან, რომლის გახსნება  
ქალში მარტო უსაიმოვნებას თუ იწევე-  
და. ეს ცველაფერი სკოლისძრობინდელი  
„სისულელები“ იყო, უკვე იმდენად  
შორეული, რომ მავას მხოლოდ აქ ჩა-  
მოსვლისას თუ მოაგონდებოდა და სურ-  
ვილი არასოდეს პქონია, ეკითხა, სად წა-  
ვიდა მისი „ტრფიალი“ ტყავაძე. იგი მი-  
სი თანაკლასელიც კი არ იყო და ნუ-  
კასთან შეხვედრისას მასზე არასოდეს  
სიტყვა არ ჩამოვარდნილა.

საიდან და როგორ გახდა მეღვინე! ?  
ტყავაძეს ქარხნის დირექტორობა კი  
არა, ანგელოზის ფრთხებიც რომ გა-

მობმოდა, ვერ უშველიდა, მაინც  
ჯუმბერი იქნებოდა. საშუალო მაქაზე  
ერთი წლით აღრე დამთავრი, თუ ისეთ  
დამთავრებას დამთავრება ჰქვია, და  
სადღაც, მგონი რეინიგზაზე, ზაფ მუშად  
დარჩა. მავას ჯუმბერის გახსნებაზე  
თმის ძირები იწვოდა, თავის კანი უბ-  
ურდა, სახე უხერდა და ყაველოვის  
ერთნაირი გრძნობა ეუფლებოდა: რო-  
გორმე მალე მოუშორებინა მასზე ფიქ-  
რი, როგორც შეურაცხმოფელი, თავ-  
მომაბეზრებელი წარსული, წარსული,  
ყაველნაირად რომ გინდა წაშალო, მაგ-  
რამ მაზუთის ლაქასავით იზიშნება და  
ხელსაც გისერის.

მას აქეთ მაინც დიდი ღრო გავიდა  
და შეიძლებოდა ბევრი რამ მომზღარი-  
ყო. ჯუმბერ ტყავაძე ინქინერი გამხდა-  
რა. ეს ცუდს არ ნიშნავს. მავას მაინც არ  
სიძმოებს, რომ ეს ინქინერი ძევლ  
„მეგობრობას“ იხსენებს... „ბიჭი მაშინ  
პატარა იყო და არ იცის, ჯუმბერის და  
ჩემი „მეგობრობის“ ამბავი. იქნებ  
ალარც ტყავაძეს ახსოეს... ღლიათ, რაკი  
წინათ თვითონაც გზააბნეული, ქარს-  
ყოლილი დადიოდა და ახლა საქმე  
გაიჩინა, ბიჭიკოში თავის წარსულს ხე-  
დავს და ხელს უწვდის... იქნებ ერთ  
დროს მასაც უშველა ვინმებზ...“

მავას უნდოდა, კარგად გაეგო მათი  
„მშეაცობა“, მაგრამ მის მეხსიერებაში  
დარჩენილი თვით ეს სახელი და გვარი,  
ჯუმბერ ტყავაძე არაფრით არ  
ეგვებოდა ამ კაცის ახლანდელ მდგომა-  
რეობას და ვარეგნობას. ეს არა ის  
ძვალტყავა, ყალაყუდა ბიჭი, არასოდეს  
პირდაპირ რომ არ იხედებოდა, რომლის  
მიერაც მავას თავზე დარტყმული უყო  
წიგნი, ან გაეცილა რვეული ქვასავით  
მძიმე და მტკვენეული იყო. ტყავაძე რომ  
ზურგიდან წამოეპარებოდა ხაიისფერი,  
საკერებელდადებული ბლუზის სუნით  
გრძნობდა მის მოახლოებას და დარტყ-  
მაზე უწინ — ტკივილს. კბილების  
ღრუიალი, რომელიც ცემას ახლდა, ტანს  
პინჭრით უსუსავდა. და დღეს ვერაუ-  
რით ვერ წარმოიდგენდა ამ დინჯ, თავა-

ზიან მამაკაცში, რომელიც თუნდაც სხვისი ხმით ლაპარაკობს და ჩისაფრებულად იხედება მანქანის სარკიდნ, იმ მუნიან ბიჭს... იქნებ ის უტეხი მზერა მართლა მისი იყოს და ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, მაგრამ მაკამ არ იცის, არ ახსოვს, მისთვის ოდესმე თვალებში შეეხედოს...

თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, რაც იყო, წავიდა, წავიდა ისე, რომ უსაქმერობის დროსაც არა ღირს მოგონებად. პირიქით, დღეს თბილად უნდა შეხვედროდა, რავი მასთან კარგ დამოკიდებულებაშია. ბიჭი კი, ალბათ, ჯუმბერს რომ თავისთან არ მოწყო, ყალთაბანდებსა და გარეწრებს გადაეკიდებოდა და ძაბას სულ გაუხეთქავდა გულს. მავასთვისაც რა სახელია, ერთი ძმა და ისიც წყალწალებული. რატომ ვერ უნდა თქვას ხმამაღლა, ძმა მყავსო. ქმრი და დედმითილი არ წმინდახებენ, შენი დედმამიშვილი კაცად არ ვარგაო, მაგრამ მაკა ვერ იტყვის: ჩემმა ძმამ ასე იცის, ჩემმა ბიჭიკომ მითხრა, ჩემმა ძამიკომ...

სადიოლი დაგვიანდა. ვადმყოფის საწოლოან მიიტანეს მორჩილა მაგიდა. მაკამ ძმა საწოლზე წამოაჭინა, მუთაქები და ბალიშები შემოუწყო, გერის თამაღლობა დაულოცა: სიძე ხარ, გეკუთხნის, თორემ ოჯახის უფროსი აგრე არისო...

სიმონს ტირილი მოერია.

— მამაჩემო! — გაიიცა მაკამ, დედას ისეთი თვალით გადახედა, ოლას სიტყვა არ წაცდენია.

სიმონმა ბალიშის ყურით თვალები შეიმშრალა და საღილობამ ისე ჩიარა, აღარ აცრებმლებულა.

გენომ ბიჭიკო მხოლოდ საღლეგრძელოში ახსენა.

— ეს ბიჭი ყოველთვის ასე იგვიანებს? — იყითხა მაკამ, მაგრამ პასუხი არავისგან მოუთხოვია. უნდოდა, ელაპარაკათ ქმაზე, თუნდაც საყვედლურები, ოღონდ დუმილი და მისი არაფრად ჩავდება სწყინდა.

— აგვიანდება... — თქვა დედამ და სათქმელი აღარ დაასრულა.

მამა ბალიშს იდაყვით ზააწვა და მოიგმინა.

— ვინ ნახულობს... რა გამიჩნდა...

— მამა, მე ვიკითხებ...

— კარგი, შვილო, კარგი, არ ვამბობ, ჭამეთ მაგი, რაცაა...

— რატომ, მამაჩემო, თუ ჯუმბერ ტყავაძილან კაცი გამოვიდა, ბიჭი რა ხატის მტეხელია.

— რატომ... — დედამ მჭადის ნატეხი თეფუშის კიდეს მიაუდა და ხელები გაითავისუფლა, — კოჭლი არაა და ბრუკიანი, ცეცხლში არ დამიწვავს და მდუღარეში.

— შენ არავინ გაბრალებს, დედაჩემო.

— არ დაუწვავს. — თქვა მამამ და გული აუზუდა, — ცხონებულ დედაჩემს უმაღლეს.

— ჩემი ბებია... — ამოიხრა მაკამ.

გენომ ჭიქა შეავსო. საუბარში არ ჩაერია. სიმამრისკენ მიბრუნდა და საღლეგრძელო დაიწყო. მაკა გაზუმდა. ძმაზე სიტყვის გაგრძელება უკვე აღარ შეიძლებოდა. გენომ ჭიქა პირთან მიიტანა, მაკას შეხედა და გაიფირა: „ის ვიღაცა ტყავაძეა, თუ მასთან არ სწავლობდა, მაკას მისა წარსული მაინც კარგად სცოდნია, თუმცა ვერაფერი სახარბიერო წარსული ჰქონდა...“

ნასაღილებს უკვე საქმეზე უნდა ელაპარაკათ. ვადმყოფის შინ გაჩერება არ შეიძლებოდა. რავი ქალიშვილი თავისთან ეგულებოდა, სიმონსაც გული მოეცა: თუ მაინცდამინც დანის ჭეშ უნდა მიმძრებს სული, წამიყვანე და შენ იცოდეო.

— სულის ამოსახლელი დანა არაა რა დანა მამაჩემო... შენც იცი.

— ვიცი, მაკა, მაგრამ გადავიტან ოპერაციას? სისხლი არა მაქვს და გული.

— ომგადაბდილი კაცი ხარ, ბატონი სიმონ, — ჩაურთო გენომ, ფანჯრისაკენ მიიწვია და სიგარეტს მოუკიდა.

— ომში, ჩემო გენო, მომაკვდავები

კი არ მიყავთ; ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა და მე ერთი ეპიტო?

მაგა მაგიდის ალაგებას შეუდგა. არჩევარობდა. უნდოლა დრო გაეყვანა. იქნებ ამასობაში ბიჭიკოც გამოჩენილიყო. მაյა ცუელაფერს თვითონ გააქეთებდა, მამას დააშვენდა საავადმყოფოში, თავზეც დაადგებოდა, არაურს მოაქუცებდა, მაგრამ ამას ძმის გარეშე ურ იზამდა, ეს არც სიმონს გაუხარდებოდა.

— ოლღ! — მოუხმო ეკადყმოთმა.

— დედა! მამა გეძახის! — მაკამ სუფრა ყურებით აცეცა და წალება დააპირა.

— რა მოხდა ახლა... — კირებში შემოილაბარავა დედამ, — მოვა, ნუ გადაირევი...

ავადყოფება თავი გაიქნა და ცოლთან პირისპირ ლაპარაკი აღარ ისურვა.

— შვილო, უთხარი, უბნის ექიმთან მივიდეს და მიმართვა დააწერინოს.

— ჰო, რა მნიშვნელობა აქეს, ვინ დააწერინებს მიმართვას, — კვერი დაუკრა მაკამ, — წადი დედა, მე ახლა აქ აღარავის გახსოვაზ, ჩემს მერე. ვინ იცის, რამდენი ექიმი გამოიცალა.

— არ მოვიყავონ? — იყითხა ოლღამ.

— არ მინდა! — მაკას შეხედა ავადყოფება, — რათ მინდა აქ მისი მოყვანა, წავიდეს და ქალალდი მოიტანს.

გადაწყდა: დილით პიჭიკო შინ იქნებოდა და ადრიანად წაიღიღნენ, ამ საღამოს კი, რა საჩქარო იყო. ბარემაც საჩქარო იყო, მაგრამ ავადყოფს ვითომ გული გაუკეთეს და მანაც, რა ვიცი, კიდევ მომიწევს თუ არა შინ ცოცხალს მოსვლაო, დილაძე გადადო.

## ●

გენომ ნაშუაღმევის მატარებელს აღარ დაუცადა. მხე კაცის სიმაღლეზე იყო, როცა მწოლიარეს გამოემშეიღიობა, კარგად ყოფნა და გამოჯანმრთელება უსურება. მალე კიდევ გნახავო და გზას დაადგა. სიღელრმა ჭიშკამდე მიაცილა. თავისუავშე და ბიჭიკოზე იწუხა: საეთი ავადყოფის ხელში ცოდვა გართო და გამრუნდა. ცოლ-ქმარი ეზოს წინ ჩამომ-

დინარე ლელის ბოგირზე დადგა და ავტობუსს დაელოდა.

— განგებ არ მოვიდა! — თქვა კაცმა და გზას გახედა.

ქალს რაღაც სხვა ენიშნა, რავი ქმარმა ეს წყენთ თქვა ცოლისმშე. უმაღლეას გასხვნდა, გენოს დეიდაშვილის — მარგოს მულზე რომ ითქვა რაღაც... იმ კოგოს კარგად იცნობდა მაკა.

— რომ მოსულიყო, აუცილებლაზე ვეითხავდი. — განაგრძო გენომ ღონავ მოგულეული ხმით. ივი გულმისული იყო. — რავი თავს გვარიდებს, ეტყობა, იმაზე მეტი დამნაშავეა, რაც ჩვენ ვიცით.

— გენო, რა უნდა დაეშავებია?

— არ ვიცი, მაგრამ შენ ჩემზე ცოტა ციი.

— მერე, რატომ არაფერი მითხარი?

— ისინი არ ამბობენ, მათ არ იციან...

— ბიჭის ამბავი?

— ჰო.

— მერედა, რა სკირს ჩემს ძმას?

— კარგი ერთი, მე რა, გამელელი ხომ არა ვარ!

მაკას დედამისივით გამოუვიდა და თვითონვე არ მოწონა.

— მე ვამბობ, რა ჩაიდანა ასეთი მეტქი?

— ისინი ჩვენს ოჯახს ცენობენ, შენ გუცნობენ.

— მერე, ჩემი ცნობა რა შუაშია?

— ისინი ფიქრობენ, თითქოს ჩვენ ყველაფერი ვიცით. შენი ძმა იქ რომ მიადის, ჩვენგან მიღის ჰეონიათ.

— მათთან დადის?

— უკვე კარგა ხანია. და შენ არ იცი მარგოს ქმრის ამბავი, სხვანაირ ვაკეა-ცობაზე დებს თავს. დედაჩემბა მოთხრა დღეს, თუ ავადყოფს ნამეტანი არ უჭირს, ბარემ წაიყვანონ ის ქალიო.

— გენო, ასე როგორ წავიყვანოთ, ან ბიჭი გერ რა საცოლშვილო კაცია, შენ ურჩევი? მაგასთან ყველა ქალი ცოდვაა.

— მაშინ, საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა.

— რას მეუბნები! რატომ მე არალერი

ვუცოდი! ან ისინი თვალში არ იქნებოდნენ?

— შესახედად რა სუირს საწუნარი!

— ვის რაზ უნდა ბიჭის შესახედაობა, — ნამეტანი მოუკიდა მძის ძაევბა, თავი გაეტია და უაურატა: — ჩომ იყი, ბიჭი... შენ თვითონ არ იცი?

— მე კი ვიცი...

— ჰოდა, რატომ არაფერი იყოთხეს!

— შენ გცეს პატივი; მავს მმა, თუ გოგოსაც უყვარს, არ დაიწუნებაო.

— ბიჭის უყვარს?

— მე არ ვიცი, ვინ და რა უყვარს.

გზაზე ბრეზენტით გადასურული საბარეო მანქანა გამოჩნდა. გენომ ხელი აუწია.

— აქამდე იმიტომ არ გითხარი, მეგონა, დღეს თვითონ გვეტყოდა რაიმეს, ის კი, განგებ საფურზე შეგვევდა, იცოდა. მთლად უნახაობა არ ივარგებდა. მერე კი დაიყრა. ჩემგან გადაუცა, ამ საქმილან ისე „შერალად“ ვერ გამოხვალ, თბილისში რომ დაძვრინე თავი-ოქო.

— იქაც მიატოვა ვარმე?

— მე რა ვიცი, ჰერონე და გერიცი.

— ღმერთო ჩემო!

— ხეალ დამირეკე, სამსახურში ვიქნები! — გატრიალდა, ძარას მოეჭიდა და შეახტა. მანქანა დაიძრა. გენოს ცოლისკენ ალარ მოუხედავს.

მავს პირება ეცა. მიხედა, გენო ბეკერ რამეს არ ამბობდა, რაღაც უარესი იცოდა.

ეზოში შებრუნდა. მიწაზე ათრეული კიშეარი მაგრად მიხერა, თითქოს უკან რაღაც უშედურება მოსლევდა და ეშინდა, თან არ შეპყოლოდა. სახლს გახტა და ლამის ცრემლი მოერია.

— მალე მამაჩემი ალარ იქნება და ამ ეზაში ცუელაფერი მოკვება, — თქვა ტკივილით. ბილიკიდან მალალ კოინდარში გადაუხვია და ბებერი მსხლისაკენ წავიდა. ახლა აქედან ქმარიც შორეული ეჩვენა და შვილიც. მათი აშენებული სახლიც შორეული იყო. ამ მწვანე, ძველი ეზოდან იწყებოდა სამყარო, აქედან დაინახა მავს ქვეყანა. აღმოსავლეთით, ღობესთან დარგულ ზღმარტლის გაფაჯ-

ლულ ტოტებში ამოდიოდა ტელი შეს და დასავლეთით, ტრიფოლიატებში ჩატანებულ, ზოგჯერ ზარიუთით გამძიმებულ ბეოლების იქით ჩავორდებოდა. ბებერი მსხლის ტოტებზე სხდებოდნენ ღამით ვარსკლავები და თეთრი მთვარეც ამ ხის ფათ-ჩიან ტოტებში დაცოცავდა.

ახლაც თუთებს იქით ჩადიოდა ვზე.

მავამ იქ, ახალ ეზოშიც, თუთების მშერივი გაუმოლა ფაცრის ღობეს. უკვე იმდენად წამოიზარდნენ, რომ მზის ჩასელას იქაც ისევე ხედავს, როგორც აქ-ამ ბალახის თესლი უთესია მავს სახ-ლის წინ. ჯერ მეჩერია, ასე ზღვამავით არ დგას, მაგრამ გაძისდან გაიგება.

აქ ამიოდგა მავამ ენა და იმ ენით ელაპარაკება თავის წილ ქვეყანას. ამ მსხლის ქვეშ გამოპქონდა ბებიას მი-ის აკვანი, რომელიც ახლა სახლის სხევნ-ზე ინახება.

სინაულით ახდა ცას და ამოიჩერ-ჩულა: რატომ კაცად არ გავჩნდიო.

აქ ცა უფრო ცისფერი იყო, ვიზტე თავისი ახალი ეზოდან დაუნხავს. მავა ამ ცას ადარებდა ცისფერს; ამ მსხლის გემოთი ზომავდა ხილის აკარგიანობას; ამ ბალახის ფერზე ღია — ღია მწვანეა მისოვის; მუქი — მუქი მწვანე. ამ ეზო-ში რომ ქარი იცის, იმაზე ძლიერი ქარი აუტანელია, ამ ზღმარტლზე ნაკლებ ტებილი ზღმარტლი — უგემური. ამ ტა-ლავერში გამონაერნი, მზისგან მოჩი-თული მიწით იცნობს მიწას და უურძ-ნის გემოს.

პალატიდან დედამ ცოტი გამიიტანა.

— მავა, დედა, მანდ რას ულფეხარ.

— მოვალ, — მაგრამ არსაჯ წასულა. ხის ძირში, დაბალ პალოებზე გადაე-დალ ფიცარზე ჩამოჯუ.

ამ ალეილას იდგა ომიდან დაბრუნებული მამა. ჭიშკარი მაშინაც ჩამოვარდნილი იყო. არავის გაუვია მასი დაბრუნება. მავს ახლაც უკვერს: ფარაგიანი კაცი მაშინ სოფლის თავში რომ გამოჩნ-დებოდა, ბოლოში იცოდნენ.

მავა მოუთმენლად ელოდა მამას. მის გმირობაზე იმდენი რომ ჰქონდა შეთხ-

ზული და გოგო-ბიჭებში მონაცოლი, ეკრანის წარმოედინა. როგორი იქნებოდა ონგადახდილის ჩამოსვლა. არ ან-სოეს, საღმე წაეკითხოს ან ვამძეს მოეყოლოს მათის გმირობის ამბავი, ან თვათონ გამოყოფნებინოს! ყველოდა, როგორც თვალით ნანატ. ყველა გაჭირვება, ტკივილი თუ სიმწირე იოლი ასატანი იყო. მამა მოვიდოდა და რაც ეკვდათ, ყველაფერს ერთად მოიტანდა. მამა კი აუცილებლად მოვიდოდა, რაც ბების ზაფხულის ერთ, ვარსკვლავებით მოტევით ღამეს ჩატარა. მაშინვე იაზრა, რომ ცა გაისწავა და მოაწრიო ექვევა: სიმონი ცოკხალი დამიბრუნეო. ბების მანამჟე არ უხილავს ცის გაბანა, მაინც არ ზაიმანა. იგი ყველ ღამეს, დაწოლის წინ, ევედრებოდა მამაზე-ცურა შეილის დაბრუნებას და, აღბათ, ელოდა სატრაულს. რაცი ცის გაბანისას ბერი სახოკარი აქვთ ღმერთთან, ვერ აწრებენ, რეკვა მთავრდება და ცა იზურება. ბების კი სამჯერ მოაწრიო ვაემერებინა საევდრებელი და მას შემუშავ სამაღლობელს აღვლენდა ცათა შინა, რომ უსმინა შემოქმედა და საოცრება მოველინა.

ომი დამთავრებული არ იყო. სიმონმა, აღბათ, ისედაც ბევრი გმირობა ჩაიდანა და დრო იყო დაბრუნებოდა მაკან და ბიჭიოს, იმ ბიჭიოს, რომელიც მისი წასულის მერე დაიბადა. მამამ უფრო იცოდა, ეომა თუ შეილებთან დაბრუნებულიყო. ასე ამბობდა ბებია, რომელიც ღმერთთაც კი უყვარდა და ცა გაუსწავა. მაკა ყველაფერს აეთებდა, რომ ომგადახდილს ხელში აეყავა და გარსშემოხევული ხალხისათვის ექვევა: აი, ჩემი კარგი მაკა.

ერთ ცივ, ღრუბლიან ღლეს კი ვიღაც აქ, ამ შესრულის ძირის იდვა მოქლე ყავარებზე ორივე ხელით დაყრდნობილი. მაკას თვალში მოხვდა მისი თბილი ქუდი. ფარავა ისე გაფარეკილი და უფრესლი იყო, სამხრებიც კი ვერ შენიშვნა. ყინჯლავდა. დამძიმებულ ქუდს უურები ჩამოყრილი ჭინდა და შესაკრავი თას-მებიც შვეულად, უძრავიდ ეკიდა.

როგორ დაეინებით ელოდა მაკა მამას! ელოდა იმ ღლეს, როცა სრულიად უშიშეზოდ გაჭირვეულდება ბავშვი და იძულებული არიან ყველა სურვილი აუსრულონ.

მაკა ვერ აიყვანა მამის ხელში. ვერც იმ ღლეს და ვერც მერე. მამას ნაღმის ნამსხვერევი ჭინდა ხერხებალში. მაკას არც შემშილი დამახსოვრებია, არც თოვლში ფეხშიშველობა, ეს მიუღწეველი სურვილი კი ტკივილად დარჩა.

სოფელში მაკაზე ამბობდონ, საწყალი სიმონის ქალიშვილიათ და ებრალებოდათ. სიმონს ფეხის თითები წაყინული ჭინდა. მისი ჩექმები წინ ჩატეხილი და ცხვირაზზეკილი იყო. სიარული უშირდა და შეილს დაარბენინებდა შეზობლებში მორჩილა ქოთნით ფეხილზე და ღერლილზე, კეცა თუთუნზე და მუჭა მარილზე. მამამ შაქარყინულის ერთი მამალიც ვერ ჩამოიტანა. ყველაზე ძნელი ის იყო, რომ იგი არაფერს ჰყვებოდა თავის ბრძოლებზე. სოფლის არც ერთ გარისეაც არ შეხვედრია. ბოლო ღრის ერთი რუსი მეგობარი ჰყოლია, რომელიც თურმე ერთ აქაურ კაცს იცნობდა. სულ ეს იყო და ეს.

მაკას უნდოდა, ომგადახდილის დამბალი, დაჯღარეული სამხრებიდან მუჟაო ამოელო, თავისი ძეველი „ღდა-ენის“ ყდისაგან ახლები გამოეჭრა და გაეცეთებია, როგორც ნახატში ჭინდათ მეომრებს ბეჭებზე, მაგრამ მამა ფარავას ღმით ნაკრის საბანზე იმატებდა და დღისით ზურგზე ჭინდა მოხურული, როცა შუაცეცხლის პირას თხილის ტკეჩებით გასაყიდ გოდრებს წანვდა, მისი სახელის მოზიარე ცალხელა სიმონიკას სანხევროლ. სიმონიკა ტკეში დაღიოდა, მოჭინდა თხილის სწორი წერელები ტკეჩისათვის, შელავის სიმსხო ქაჭეკალს ჭოკები ლანჩისათვის. მამამ ცეცხლის პირას, კერის ქვასთან ამოიჩემა ერთი აღგილი, წნავდა თეოთ გოდრებს და გრძელ კალათებს. ზოგი კოლექტივს მიჭინდა და შრომადლებს უწერდა, ზოგსაც ცალხელა სიმონიკა, თკეში ერ-

თხელ, ურმით ბაზარში მიახრიგინებდა.

მამის დაბრუნების მერე ომშა ნახევარ წელიწადზე მეტანას გასტანა. მაყამ გამარჯვების სიხარულიც ვერ გამოსცადა. სიმონი ცხრა მაისის საღლესასწაულო მიტინგს არ დაწერებდა. როგორც კადაბა, მოყინული ფეხები დაუწყლულდა და სულ ველარ დადიოდა. მავას კიდევ უფრო უყვარდა მამა, უყვარდა და არ ებრალებოდა.

ვერ შეელია იმდენ ნაოცნებარს. გოგო-ბიჭებში ალარაფერს ამბობდა, მაგრამ მისთვის მამა მაინც გმირი იყო. ფეხები მოეყინა, რაღვან ერთხელაც არ უძინია ლოგინში, სულ იბრძოდა. მისი ისე ეშინოდათ მტრებს, ბომბი ხერხებაში ესროლეს, რაც არცერთი მისი სოფლელი გარისეაცისთვის არ უქნიათ. მეზობლებს ეცოდებათ, რაღვან ფეხები უწყლულდება და წელში ვერ იმართება, ის კი არ იციან, რომ სიმონი გმირია. მამა განგებ არ ამბობს, მამასთან აქაური არავინ იყო და შეიძლება არ დაუჭრონ. რუსმა მეგობარმა კი ბევრი რამ იცის. ერთ დღეს მოენატრება სიმონი, ადგება, ჩამოვა და ყველაფერს იტყვის. მაყამ მანამდე ისე უნდა იწავლოს, რომ სკოლაში თქვან: ეს საწყალი სიმონის კარგი მაკაო. შინაც ველაფერი გააკეთოს, ზაფხულობით დედას ჩაის საკრეფად გამყენს, რომ მეზობლებმა თქვან: საწყალ სიმონს შესაკოდებელი რა სცირს, ასეთი გოგო ჰყავს.

მერე რუსი მეგობარი ჩამოვა და იტყვის... ეს დედასაც კი არ იწამდა, ბებია კი ყველაფერში ეთანხმებოდა. კაცმა რომ თქვას, ბებიას მეტი დაუჭრებოდა, მას ხომ ღმერთიც უსმერდა. თუმცა მაკამ კარგად არ იცოდა, რას ფიქრობდა დედა. იგი მოელი ღლები კოლექტივში იყო გამდგარი. ყოველთვის დაღლილი და უხასიათო ბრუნდებოდა. ვამშობისას ბიჭიკოს ჩაიგნდა კალთში და აშშუნდებოდა: რა ვენა, მეტი ალარ შეციძლია, ხვალ არსად ფეხის გამდგმელი არა ვარო. მეორე დღეს: მამას რა ვუყო, — ჩვილს გულში იქრავდა, —

შიმშილით მომიკვდებაო, და ისევ გზას ადგა.

მაკას მაშინ დელაც არ უყვარდა, ყველა სძლელა, ვისაც მამა ებრალებოდა. ბავშვებთან თამში დაიწყებული ჰქონდა, კერის წინ, წვივებდაბრაშული, ნაკვერჩხლებზე შანთებს ახურებდა, რომ სიმონს ლანჩები გაეწვა და გოდრისათვის თავი მოეკარბა. ცალი ხელით ატარებულ ძმას დაათრევდა, მეორეში წიგნი ეჭირა, რომ ბებიას საღილი მოეცოდებია. მეედელს ძეელი, სანაკლე თოხის უურები შემოაჭრევინა და წელგატეხილ მამას სამარგელში ვერდით ედგა, ან დედას ზაფხულის გაგანია სიცერეში მამის მოწნეული კალათით ჩაის პლანტაციებში კვიცივით დასდევდა.

მაკაზე მართლაც ამბობდნენ: კარგი გოგოაო. ის მეგობარი რუსი გარისეაცი არ ჩამოვიდა. მერე მაღაზიაში პური მოიტანეს, ფული გამოიცვალა და მამის პენისას თვალი გამოუჩნდა. სიმონმა ფეხის ოპერაცია გაიკეთა და მაღაზიის დარაჯდ დაიწყო მუშაობა. მოისცონ გულდაკოდილ სოფელს ღრმო უწამლა, ვიღაცამ სახლის შეკეთება, ვიღაცამ კიდევ გადაკეთება მოინდობა. მოიძიეს ღურგალი. ორი ომში დაღუბულიყო. მოაღენენ სიმონს, მან წელზე დაიდო ხელი. კიდევ მოაკითხეს, საძალო საქმე არ შემიძლია და დღიური გამიგება არ ქნა, ნარდად აიღო სამუშაო. კაცი უნდა დამახტაროთ, წილს არ დაუუკარგავ და ხელობასაც ვასწავლიო.

ცალხელა სიმონისას ერთი უმცროსი, მოსულელო ძმა ჰყავდა — „დათუე გლახა“, ის აიყვანა. ღონე უფროდა. საწყალი თავისით ლურსმანს ვერ მიაჭიდებდა, თუ გვირდში ამოიყენებდი, ორი კაცის საქმეს გააკეთებდა. ნაშოვარს შუაზე იყოდნენ. მამას ყოველთვის არ შეეძლო მუშაობა, მაინც პატარა პატარას ემატებოდა.

— მაკა, შვილო, რას უზიზარ, ამდენი ხანია? — დედას ისევ ცოცხი ეჭირა ხელში.

— ჰო, — თქვა, დაღლილივით წამოდ-

ვა და სახლისაკენ რომ გადადგა ნაბიჭი, ისე მოაგონდა, — აქ იდგა მამა, როცა დაბრუნდაო...

— ბიჭი როდის მოვა?

— მოვა, საცაა მოვა.

— არ უნდა იცოდე, შვილი სად დადის?

— ჩა უყუყო ახლა, პატარა კი აღარაა.

— დედაჩემ, შენ არასოდეს არ იცოდი...

— თუ არ მითხრა, რამ უნდა მაცოდინის?... — ტაშტე დასხმულ წყალში ოლომ ცოცხი ამორეცხა და პალატში შებრუნდა.

„ამდენ ხას მოუნდა ხეეტას?“ — უნდოდა დაეცადა, სანამ დედა ისევ გამოიტანდა ცოცხს დასასველებლად, რაღაცის თქმას აპირებდა. ერთხანს იდგა, მაგრამ ბოლოს თავი გაიქნია და კიბეს იუყა. საფეხურებზე ფრთხილად ადიოდა, ქსელებს რომ არ ეხმაურა.

სიძინი გმინავდა. როცა აივნიდან ხმაური მოესმა, თავი მიაბრუნა და ქალშვილს შეხედა.

მავას არასოდეს უგრძენია ასე მამის სიყვარული. მუდამ ეგონა, რომ მამა დედას ურჩევნოდა. ეს არ სიამოვნებდა და ამ ახრს ყოველთვის თავიდან იშორებდა, როცა ფიქრობდა, ორივე ფიქრობდა. ახლა კი დაიჯერა, რომ მამა მასავით არავინ უყვარდა, არც დედა, არც ძმა. „ალბათ, ავად რომ არის, იმიტომ“ და სასაუმალოან ჩამოუჭდა.

— გენო წავიდა, აა!

— რა ვქნათ, მამა, ბავშვი, სამსახური...

— ვიცი, ის კი არა, შენ როგორ მოგრჩება ოჯახი!

— დედამთილი ჩენთან არაა?

— კარგია, შვილო, მე დიდხანს კი არ შევაწეხებთ. თქვენ გამოგადგებათ, გოჩას გამოგიხრდის, — ცრემლები მოერია.

— კარგი, მამა, კარგი...

— გენო რავა გავუშვით, ორი ჭიქა ღვინო არ დაულევია.

— ღვინო არ უყვარს!

— ღვინოს სიყვარულისთვის ვინ სვამს, შვილო!

— გენო აქ უცხო არაა.

— უცხო რომ არაა, ცოლოურს ათასში ერთხელ ჩამოსულ სიძეს ასე უნდა? მაგრამ აქ არასოდეს არ იყო ჩემებულად. ომს რომ არ გავეტეხე... რა გითხრა, შვილო, იცი? ზოგის დაბრუნებას ისე იქ სიყვდილი სკობდა.

ოთახში ბინდი ჩამოწეა.

— ეს ტილო დამისველე, პირი მიშრება. ხვალ... მამალმ თუ არ მოვა, ნუ დაუუცდით, მთლად უპატრონოდ არ ვვარგოდი, ახლა, რაკი შენ ჩამოდი... მამა, ცოლი რომ ვუთხოვოთ?

— რა თქვი?

— ცოლი რომ ვუთხოვოთ-მეთქი!

— ბიჭის?

— ჰო, უდროობაა თუ?

— შენგან არ მიკვირს? სამარეში ფეხი მიდგას, ვის ცოლვაში ჩავდგვ. ერთი ფიქრი მეც ვიუიქრე, იქნებ გული დაიღვას ოჭაბზე-თქვა, მაგრამ ნამეტანი გაუჭირდება მაგის ხელში ქალს. შეუძამისას რომ მოვრალი მოვა, არავის გვაძინებს, ახლა შენი თუ მოეხატრება, არ ვიცი, თუმცა არავისი ხატრი არა აქვს... არავისა...

მავა ადგა, ტილო პალატში ჩაიტანა, გარეცხა ციცი წყლით, გაწურა და დაბრუნდა.

ოთახში უკე სქელი ბინდი იდგა. მსხლის ტოტებში ვარსკვლავები ინთებოდნენ.

## ●

არცერთ დირექტორს ტყავიძემდე პირადი მდივანი არ ჰყოლია (ამ მოვალეობასაც საქმეთა მმართველი ასრულებდა). როცა ყოფილი უფროსი ისე მოულოდნელად გაათავისუფლეს, რომ ხეირიანად უერავინ გაიგო მისი დანაშაული, ჯუმბერის მოსელისთანავე მელვინებს ისეთი ლურჯთვალა, მწყაზარი ცუცუნია მოევლინა, ბიჭები სამი დღე პირდაღებული დადიოდნენ, თაქ იმტკრევდნენ, მიზეზი ეშორენათ, რომ ახალ დირექტორთან შესულიყვნენ, ვა-

ცნობოდნენ და მდივნის ლურჯ თვალებშიც შეეხედათ.

პირველსაც დღეს ელოდნენ, რომ სამუშაო საათების შემდეგ, ტყავაძე „რაკი გზაც იქით ჰქონდა“, ლურჯთვალას თან წაიკვანდა. ასე არ მოჩდა. ზუსტად თავის დროზე მდივანმა დაიხურა ქუდი და შინ წავიდა. დირექტორი გვიანობადე არ მოსცილებია იქაურობას. ამით, რასაკვირველია, თვალს არავინ აიხვევდა, მაიც სულგრძელობად ჩაუთვალეს. ჯუმბერმა კი საქმეს შემორჩენილი ზეინკალი და საამქროს კოჭლი უფროსი ჩაისვა მანქანაში და გზას გაუდგა.

ლურჯთვალა მეორე დღესაც კირგა მაგრად გაქედილი ვეტობუსთ წავიდა.

თოოდე დღეში აღმასკომის თავ-მჯდომარის მოადგილე გამოჩნდა და ქარხნის დათვალიერება მოისურვა. ტყავაძე სამი კვირის გამოსულიც არ იყო აქ და მოადგილე აღტაცებული წავიდა. როგორ მოასწრო ასე სანიმუშოდ უკელაფრის მოწყობაო. დირექტორი ამ დღეებში უქმად არ ყოფილა, მაგრამ ჯერჯერბით ვერც ისე „სანიმუშოდ“ იყენენ... იქნებ ეს არც მოადგილეს გამოარება, მაგრამ მართლაც რომ ძალა მომხიბლავი ჩანდა მწაზარი ცუცუნია...

ტყავაძე ბევრჯერ ნახეს მანქანით ქალაქში, სოფელში, დღისით და ღამით, მთვრალი და ფხიზელი; ვერ იქნა და მდივანთან ვერ წასწრეს. მერე ვალაცამ თქვა, ნათესავია, ვიღეამ — არაო, რა ნათესავი, რის ნათესავი... თვითონ ჯუმბერი არაა მაგის კაციო.

ერთი თვე არ გასულა, ტრესტის მმართველმა „შემორარა“. მმართველს რაიონის ხელმძღვანელობაც ახლდა. ზოგიერთ თანამშრომელს ხელფასიც მოემატა. წერილშევილიან, ცალხელა დარაჯს ფულადი დახმარებაც კი მისცეს. გაზაფხულზე ქარხნის შესასვლელს გაზონები გააყოლეს და ეზოში მშვენიერი სკერი გაშენდა. შესვენებაზე, მუშები რომ გამოვიდოდნენ და ამ სკე-

რის წინ, ცისფერ ძელსკამზე მჯდომი, ფეხიცეს გადადებულ ცუცუნის თვალს მოპრავდნენ (ცუცუნია მოკლე კაბას იცმივდა), ქანკვაშვერტანიც რომ ყოფილიყვნენ, თავი სამოთხეში ეგონათ, ტყავაძე — მთავარინგელობი.

ჯუმბერს ძეველი ამხანაგი და ნათესავი ევღარ სცონბდა: უკეირდო, რა კაცი დადგაო. იგი ყველას პატივს სცემდა და ბევრი ახალი მეგობარი და მოკეთეც გაიჩინა. მერედა, ლვინო თაფლსა ჰგავს — ფუტარი ესვეა...

ლამაზი ცუცუნია ისევ გამოცანაზ დარჩა. ამით ყველას იმედის ნაპერწერალი ენთო გულში, იქნებ მისი წამშამების ჩერო ვიჩრდილოთო და დირექტორი თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არავინ ამოისცამდა.

ერთ დღეს ქარხნის მომმარავებლის აფგილი გათავისუფლდა (იგი უკეთეს აფგილზე გადაიყვანეს რაიონში), მერე ამ აფგილზე ყველასთვის კარგად ნაცნობი ბიჭიკო ლევავა ინილეს; უფროსს ეს ერ მოუწონეს, მაგრამ ხსამაღლა არატერი უთვევამ. ტყავაძეს უკვე ენდობოდნენ და იმდენად, რომ ბიჭიკო ლევავაშიაც ენდნენ. ვინც კარგად იცნობდა ლევავას, ცუცუნიაზე ხელი ჩაქნია, ნებით არ იქნება, ძალით გაიტანს თვითისას.

ყველაფერი ძეველებურად დარჩა, მომმარავებელიც სხევებივით ყლაპავდა ნერწყეს და მუშტს იბრაგუნებდა მცერდებე. გასაკვირი იყო, — საქმიანი, რაიონში დაფასებული ტყავაძე და ეს თავზეხელალებული, უსაქმური ყალთაბაზი, სამსახურის მერეც, მოელი ღამეები ერთად რატომ იყენებს! ვალაცაც მოგვინებით გაიხსნა: ჯუმბერი ერთ დროს ბიჭიკოს დის — მაյა ლევავასათვის ჭკუას კარგავდა და, ალბათ, ძეველი სიყვარულის ბრალია. ვინც ეს იცოდა, ისიც იცოდა, რომ მაკა დიდი ნარია გათხოვილი იყო და საუთი მშვენიერი და წესიერი ქალი ამ რაიონიდან ბევრი არ წასულა. ბოლოსდაბოლოს, ძეველმა და ახალმა ნაცნობ-მეგობრებშა

დაასკუნეს: კაცური კაცია, უნდა ბიჭი გზაზე დააყენოს და ღმერთმა ხელი მოუმართოსო...

იმ დღეს, ტყავაძემ, როგორც კი სამ-სახურში მივიდა, ლევავას მანქანა გა-ატანა გასაჩერებად, თვითონ კაბინტში ჩაიყერა, ცუცუნია გააფრთხილა, არავინ შემოუშვაო და დივანზე თავდალმა დაეხს.

ძნელი გასაგები იყო, რა ულვთად უყვარუა ამ კაცს ის ქალი! ქალი კა არა. კერ კიდევ მოსწავლე გოგო, რომელიც ერთ დროს მართლაც წყალწალებულმა ბიჭმა ამოიჩემა. ამოიჩემა ისეთი სიჭირით და სიკერპით, ათი სიცოცხლე რომ ჰქონილა — გაცყვებოდა. ობლობამ და დედის გაუთვევებულმა ჩიჩინმა: არავინ დაგჩატორის. არავინ მოგატყუოს, თავი შევალი, თუ ეინტემ ზევილან დაგხე-დოსო; გატირებებამ და შიშილმა: დე-დაშე გაუთავებერება მითქმა-მოთქმამ — ბულალტერს ყვარობსო; ნიკაპევეშ წი-თელმა სურსულამ, რომელიც წლების მანძილზე კერ მოიცილა; ტილების წა-მოძინებება, მუნიანონ; ჩხერბმა და დავი-დარაბამ, — ყველაფერმა ამან რაც ძა-ლა, გაუტეხლობა და სიჭირე დაუგ-როვა, ამ ქალის სიყვარულში მოიყარა თავი... სიყვარულში, რომელმაც, რაც არ განიცდია, ის ჩაგვრა და აბუჩად აგ-დება აგემა, რაც არ უნახას — ის უიმე-დობა და შიმშილი განაცდევენა. როცა სკოლიდან მიმიგალ მაკას მისდევდა და გოგო ღელის პირზე ბაყაყებს მეტ ყუ-რადღებას აქცევდა, ვიდრე მას, იმ დღეს, ჯუმბერ ტყავაძეს ვინგე რომ არ გაელა-სა ან თვითონ არ გალაზულიყო — არ დაეძინებოდა. ბოლოსდაბოლოს, როცა ეკრაფერი უთხრა, მაკასაც ზაუშუო თავში წიგნებითა და რევულებით ცემა, მაგრამ თვით ვაჟისათვის ეს იმდენად მტკიცებული იყო. მაკა თვალს რომ მოე-ფარებოდა, ჯუმბერი ტირიფებში დიდ-ხანს ეგდო დამეგვილივით.

მაყავ რომ სკოლა გაამთავრა და სოუ-ლიდან უმაღლეს სასწავლებელში წავი-და, ტყავაძე იმ დღეს ღელის გარმა ბე-ჭობზე, ჩამანლ კუნძულ იყო დამხობილი,

სახეზე წითელი ჭიანჭველების გარი ეხ-ვია და სულიც კი არ წაუბერავს, როცა ნიკას აჲყენენ და ცხეირის ნესტოში უპირებდნენ ჟეგრობას. თველწინ იჩე-ოდნენ ბუჟედანგრული, აფორიაქებული, წვრილი, წითელი ჭიანჭველები, რომელიც თავისთვეზე ოჩერ, ოთხ-ჭერ და ათჯერ ლიდ ტვირთს წელი-წყვილით ეწეროდნენ...

აი, მაშინ დაიღო ფიცი ფიცი, სადაც არც ერთი სიტყვა არ თქმულა, რადგან ხუბა, ჭაბუკობაში იძლევიან პირობას და მერე, კაცობაში, ეცინებათ სიყმა-წვილეზე...

...ვაჟა-წერება: ის, ვინაც იქ. ლელის ვალ-მა გაიარა და წავიდა, არ ენახა, არ ენახა მანამდე, სანამ...

ეს „სანამ“ აქამდე გაგრძელდა. ეს „სანამ“ ამაზე აღრე არ მოხერხდა... ამისთვის, ვინ იცის, რა არ გაეცთდა... იმ მუნიანი ბიჭილიან აზლინულ ჯუმბერ ტყავაძემდე! მაგრამ ის აზლა უფრო მორსაა, უფრო მიუწვდომელია, რად-განაც გაგიცებით უყვარს შეილი და... ქმარიც. ღლეს ჩამოვიდა, მაინც ჩამოვი-დოდა, მამა აეკაცა რომ არ გასდომოდა, ჯუმბერს ეს უკე მოგვარებული ჭეონდა.

მაჯუნ ხანს ეხვია ის წითელი ჭიანჭ-ველები და კებენდნენ. უძრებოდნენ ცხეირში და მის სხეულზე დაათრევდნენ თავისთვეზე ათჯერ მეტ ტვირთს. ღამე არ აძინებდნენ და ღლე ერთ ად-გილზე არ ასვენებდნენ; დაუკარგეს სიმ-შვიდე და ასწავლეს მოთმინება... აზლა კი მიატოვეს... გათავდა უსაშველო მო-ლოდინი. აზლა — შეხვედრა, ყოველ დღე შეხვედრა, ამისთვის ყველაფერი მზადაა...

ქარბნის ალაყაფის ჭიაშვარმა დაიჭ-რიალ და მანქანის საყვირის ხმაშ მოა-გონა ტყავაძეს, ბიჭიკო დაბრუნდაო. ახ-ლაღა გაახსენდა, რომ არ დააბარა, სამ-ქერვალაში გამოეცლო და ხავერდის ახალი შალითები წამოელო.

მდგვართან ზარმა რომ დარეკა, დი-რექტორი უკე სამუშაო მაგიდას უჭ-და, — ლევავა უჩემოდ აჩსად წაგიდესო. „ისევ და ისევ ლევავა,“ — გაიფერა

ცუცუნიამ. კარი ვამოიხურა და ვაიღო-  
მა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას  
ნიშნავდა ეს ლიმილი.

სალამოს ტყავაძემ ბიჭი მანქანაში და-  
ტოვა და სადალაქოში შევიდა. გუშინაც  
აქ გაიპარსა.

მატარებლის გასვლის შინ სადგურში  
შეიარა „კაცის სანქანავაზ“ და გაიგო,  
რომ „ქარის“ ვაკონში იჯდა. დილით,  
ჩამოსვლისას დაანახა გენო მოლარეს  
და უთხრა, მისთვის მუდაშ ქერინდა ბი-  
ლეთი, სამაგიეროდა... ყანტრატოზე წკი-  
ფურტი მიირტყა, რაც მარტო ვადაკვრას  
არ ნიშნავდა.

— აბა, ახლა მითხარი, რასა გწერს, —  
უთხრა ლოევავს, როცა საჭერათ დაჯდა.

— ერთი მისი... არ იცი, რას მომწერს? — რაო, რაო!

— მისიანებს გაუგიათ, — ბიჭიკო სა-  
ხეში შეაჩერდა ძმაკაცს.

„ეშინაა“ — გაიფიქრა ტყავაძემ.

— ძმაშ თუ იცის?

— ძმაშ არა.

— ჯერ არ იცის, — გაუსწორა და ქა-  
ლაქიდან მიმავალ გზას დადგდა.

— ჴო, ჯერ არ გაუგია, — მერე აყ-  
ვირდა, — გაიგოს... ძმამაც გაიგოს, არა-  
ვისი არ მეშინია!

— მე არ მიკითხავს, გეშინია თუ არა!

— მე ჩემთვის ვამბობ.

— ეჭ, შენ რა იცი, მე ჩემთვის რამ-  
დენ რამეს ვამბობ.

— შენ შეგიძლია შენს გულში თქვა,  
მე — არა!

ტყავაძემ ბიჭიკოს მოხედა და თვე  
დაუჭინია.

— შენხელობაზე მეც ასეთი ვიყავი. —  
თავისთვის კი დასრულა: „არასოდეს...  
ან კერ ვამბობდი, ან არ ვამბობდი, რა-  
საც ვფიქრობდი“.

— ჴოდა, რომ იცოდე, გუმბერ...

— რატომ შენებს არ გააგებინებენ?

— ჩემებს?! — შესტა ლექავა.

— ჴო, სანამ დაიმალება.

— რა?

— რა და, მერი რომ ორსულადა.

— ჩემს დას უთხრან?

— შენს სიძეს უთხრან.

— გუმბერ!

— ჴო, აბა სანამდე... ჭობია, აქედანვე  
შეეჩიონ.

— ესლა აკლია!

— ახლა ჩემს დედობილთან მივალო.

— არა, მატარებელზე დავჭები და  
თბილიში წავალ.

— თბილისილან რისთვის გამოიძეცი!

— ახლა ცყვლაუერი ჩაელილი იქნება!

— დედობილთან ჩეცნს მისელს ვე-  
რავინ გაიგებს. შეუთვალე მერის, რომ  
შენინების თანხმობის გარეშე არაფე-  
რი გაეთუდება.

— მე მათ არ ვეკითხები, რომ მინდო-  
დეს...

— გაიგონ, ქალის ძმაშ რომ არაფერი  
იცის, ესეც გაიგონ და თვითონ შენები  
შემოგეხეწებიან. თუ გინდა, მანქანა  
წაიყვანონ, ჩემი დედობილის ქალიშვილი  
წაგვება და მერის შეგანვეღრებას.

— ჭავა?..

— დღეს რა დღეა?

— თორმაბათი...

— მორიგეა, დილამდე დრო გაქცეს.  
ჩამობნელდა. შეუფარები ჩართეს  
მანქანა ზომიერად მიღოოდა.

გათენდა.

დღილით მავა არ აპირებდა ბიჭიკოს  
შინმოესვლელობით გამოშვეული გუ-  
ლისშესრულა დაეფარა, მაგრამ სიმონმა  
ისე ბეჩავი, უმწერ თვალით შეხედა, ძმა  
არც ივად უხსნებია, არც კარგად.

მამამ ქალიშვილს ანიშნა — ახლოს  
მოდიო.

მავა საწილზე ჩამოგდა.

— ყველა უბედურებასთან ერთად,  
თამაშობს, ეს ღმერთვაშვირალი...

მავამ ვერ გაიგო, რა თამაშე იყო  
ლაპარაცი. მწოლიარეს უხმოღ ჩახედა  
თვალებში.

— ბიჭი? — ესლა იყოთა.

— ჴო, ჩემი ბედნიერი ნაშეირი.

— რას თამაშობს, ბანქოს?

— განდაბას, მე მეტყველის? ასე გადაი-  
კარგება და ალარავინ ახსოეს, შინ მევუა-  
რი რომ ეღოს, არ მოაგონდება!

— აქ ენა ოჯახამოწყვეტილი თამაშობს?!.

— არ ვიცი, არ ვიცი. — იგი ჭერს მიაჩერდა.

შვილს გული დაეთუთქა სიცოცხლე-გაწმებული, სამარის კარზე მისული კაცის სიბრალულით, რომელსაც იმის უფლებაც არა ჰქონდა, მშვიდად დატენება თვალი. მაკა ადგა. წელში გამწოდდა, ოთაში გაიარა ჩაფიქრებულმა. მამის თვის მას გაისის მაგივრობა უნდა გაეწიო.

— და შენ ამბობდი, ქალი შევრთოთ. ვისი ცოდვა დავითოთ?

— ჩანდაბამდე გზა ჰქონია, ჩეკვ ამ დილით საავადმყოფოში წავიალოთ.

— თავის უფროსთან არ ამხელს...

— ტყავაძე არ თამაშობს?! — გაუკვირდა მაკას.

— არ ვიცი. ერთხელ, ასე რომ გაღაიარება, იყითხა იმ კაცმა, სამსახურში არ ყოფილა და სადააო.

— მთელი ღამე არ ჰყოფნის?

— ვინ იცის... რომ ცუთხარი, ასე და სეა, არც შინ მოსულა-მეტე, მეორე დღეს კინაღამ ცეცხლზე დაგვადო, იმ ტყაბლაძეს თუ...

— ტყავაძე ის, მამა, ჭუმშერ ტყავაძე...

— ჰო, ჩემს უფროსს რატომ უთხარითო.

— ეი, მაგრამ რით მოახერხა ტყავაძემ, რომ მისი რიცდი მაინც ჰქონია?

— სამსახურიდან რომ არ გამოაგდოს, ალბათ ამიტომ. უთქვამს იმ ადამიანს: შენი უის ხათრი, თორებ ერთ საათსაც არ გააჩერებდით. იქაც შენითაა, თორებ ვინ დააყენებს.

— ჩემი არაფერი მევობარი არ ყოიდა ტყავაძე!

— ის მაღლიანი ასე ამბობს და... ააშენა ღმერთმა, ალბათ, იმასაც მალე მოაძულებს თავს!

— მამაჩემო, ნერვებს ნუ იშლი.

— უფაშენს არაფერი უთხრა, სულერთია, მაინც არ დაიჭერებს. მე მალე აღარ გიშნები და, რაც ჰყავს, ნახავს.

— დედამ რა ჰქნას...

— აბლა რას იზამის...

— მამა, ამდენი დრო ითარია, უნდა წავიდეთ. მეც, ხომ იცი... იქნებ ბავშვს არც კი უძინია წუხელ.

— გოჩა... ბაბუა! ნეტავ, ერთი მენახა...

— რომ წამომუყვანა, დედაჩემთან არ გაჩერდებოდა.

— რავა აგარისალე, შვილო, მაგრამ რა ექნა, ცოცხალს შენს მეტი არავინ გამანია პატრონი, მოვკვდები და დამტორებელიც შენ იქნები...

— კარგი მამა, კარგი, გულს ნუ აჲყები.

— წამიუვანე, წამიუვანე, შენს ხელში ვარ. თუ ვერაცერს გეხმარებოდი, შენი შეწუხება მაინც არ მინდოდა, აბლა წავიქეცი, სხვა გზა და საშველი არა მაქვს...

საავადმყოფოს მეორე სართულზე, ქირურგიულ განყოფილებაში მოათავსეს სიმონი. თოხსაწოლიან პალატში მხოლოდ ორი ავალმყოფი იწვა. ერთი ახალი ნაოპერაციები, ხანშიშესული ულვაშა კაცი და ერთიც ახალგაზრდა. ოთაში ჯერჯერბით ცარიელი საწოლი კიდევ იყო და მაკას შეეძლო, მთელი ღამე სკამზე არ სძინებოდა.

ავალმყოფი რომ გასინჯა, შუბლშეკრული ექიმი უხმოდ გავიდა. სიმონი ბავშვებით ზაფრთხა და ქალი-შვილს თვალებში უყურებდა, როგორც მხსნელს. მერე, დიასხლისთან ხალათის მისაღებად წასული მაკა რომ დაბრუნდა, ისე შეხვდა, როგორც დიდი ხნის უნახავს.

მაკა შეშფოთებული ჩანდა. მორჩივ ექიმს ეტევა, დაგირეკესო, თქვენ კერ კიდევ მოსული არ იყავით და ვერაცერი კეპასუხეთო.

— ბავშვი... გოჩა, ბაბუა... — ამოიკვენესა ავალმყოფმა.

— რალაც ამბავია, — თქვა ქალმაყრულ. გული ეწურებოდა, მაგრამ მამის თვალებს რომ ხედავდა, ხმას ვერ იღებდა. უნდოდა, ყველაფერი როგორმე იოლაზ წარმოედგინა, ტელეფონზე დარეკიცის მიზეზი გოჩა ნუ იქნებოდა და სხვას არაფერს დაეძებდა. ნუთუ გენო,

ვარტო იმისთვის, რომ კარგად იმუშავდა ან ბავშვეს არ უჭირესულია, ასე უთენია აქაურებს შეაწუხებდა?

— გენოს უნდა დაუტრეკო, მამაჩერო...

— მერე? — შიშით იყითხა გასპელ ბალშე თავკადაგლებულმა ავაზმოფაშა.

— გავიგდებ, რა მოხდა.

— ჰო, უნდა გაიგო... შეეხებულ როსს, აქედან დაგარეკინონ, ფოსტში რომ წახვიდე, დაგავიდინდება.

— ვაძე, შეილო, — ჩურჩიულით თქვა მაყამ და პალატიდან გავიდა.

გენო რედაქციაში, ტელეფონთან ელოდა, ცხრა საათის მერე გარეთ ფეხი არ გაუდგამს. ცოლს ვთომმ წეველი თავშეკავებით ელაპარაკა, მაინც თქვა: ჭირვეულობა ჭირვეულობას გააჩინაო. გაუსაცავებია ფეხები, ოთახიდან ოთახში უჩბენია „დედას“ ძახილით, მერე გენო გაწყრომია. ბავშვეს შეშინებია, ლოვინის ქვეშ შემძვრალა და ლეკვივით მუკურტულა. ყველაზე გულასკლავი ისაა, რომ ბოლოს ხმას არ იღებდათ. იქვე დაუგიათ ლეიბი, დილით გენო აღრე წამოსულა. შენთან დალაპარაკებს უცყვდისა, ამდა უნდა ავიჩინო და მმავი გავიგოო.

მაყამ, პალატისაკენ რომ მიდიოდა, ვაზაშუვეტილი ქვენდა, ახლაც მიერთებინა ავაზმოფი და შეილთან წასულიყო. როგორც კი კარი შეალო, მამის მომლოდინე მშერა ისე იხევებულდა რაღაც სანუგეშოს, რომ მაყამ ძლიერ ამო-თქვა:

— ბავშვეს უტირია...

— წუხელა? ამ დილით?

— ჰო, ამ დილით.

— ბებიას ხომაა მინეული?

— არის... — მაყა სკაშე დაეშვა და თვალები დახუჭა, არ ახსოვდა, ისე ორცეცხლს შეა ჩავარდნილიყოს. ისიც კი გადავიწყდა. ქმრისათვის ეთქვა, ისევ დამირეკო. ვენო, ალბათ, რალიცას შეარყობინებდა და რალა ექნათ, თუ ამ დილითაც... სალამოს, ალბათ, როგორმე უნდა წასულიყო. თუ ექიმები მარა-

ციის გაკეთებას ხვალისათვის გადა-დებდნენ.

შეუდღისას ნარბენი ბიჭიკო პალატაში შემოეარდა. მაყამ ზურვი შეაქცია და ფანჯარასთან მიეიდა. საავადმყოფოს იქით, გზის გადამდა, სადაც ხელოვნურად გაშენებული ნაძგისა და ფიჭის რეჟ წყებოდა, ჩირდილში მანქანა იღვა. ტყავაძე დინჯად დაბიჯებდა თავჩალუნული და ჩითიქებული. მაყას უნდებურად გაეღიმა, ნეტავ ამ კაცს რა აწუხებს. იგი მართლაც დალომებული ჩანდა.

ბიჭიკო მამის დაადგა თავზე, — ველარ მიგისწარით — ჩაილაპარაკა, მდგომარეობა იყო სტეტოს...

— შენ საქმეს ნუ წაიხდენ, — მამამ კედლისაენ იბრუნა პირი.

— რა მდგომარეობა იყო! — ერთბაზად მოტრიალდა მძისაკენ მაკა და შეზობელ საწოლზე ულვაშა კაცის თვალებს შეეფეთა. შერტხვა უცხოსთან ოჯახურ უთანხმოებაზე ლაპარაკა და თვალი აარიდა: „წევნი უბედურება ქვანამ რატომ უნდა გაიგოს“.

ბიჭიკომ დაიღრინა.

— შენ მე უსაქმირი გეონივარ!

— კარგი, კარგი... — მაყა ისევ ფანჯარას მიადგა. ტყავაძე ვიღაცას მოყვებოდა და რაღოცას დამჯერებლად ესაუბრებოდა. უცნობი გულზე ხელს იდებდა, ეთანხმებოდა. კიშეართან გამოემშეიღობა და უკან შებრუნდა.

— გესმის, ექიმების ვნახავ და წავალ, კაცი შელოდება!

— ნუ ნახავ, ისე წადი.

— ჰო, სამსახურის მერე მოვალ, თუ რაიმე გინდა...

— ყველაფერი... რას კითხულობ, დაწირი კარგებათ მისულ ძმას — ყველაფერი მოიტანე, შენც მოდი. ისე მოდი, რომ დარჩენა შეგვძლოს. არ ვიცი, ამაღამ მე რა დამემართება!

— თუ ასე გეჩერებოდა...

— არ მეჩეარებოდა! — გაზუვიტინა მაყამ, მაგრამ მაშინვე ხმას დაუწია. იღიქირა: რაიმეს უხეშად მეტყვის და მე-

რე მეც თავს ვერ შევიკავებო, — მე მა-  
მაჩემისათვის სულ მცალია.

— ამას სულ სცალია!

— დამაცა, არ მომითავებია სათქმე-  
ლი. ბავშვი ნამეტანს ჭირვეულობს, წუ-  
ხელი თეორიად გაუთხებია, ამაღამაც  
რომ არ დაიძინოს, ფეხით უნდა გავიწევ.

— მთავარი ექიმი ჯუმბერის მეცნა-  
რია, ვერ არ მოსულა.

— შენ უნდა ვარგოდე და გიცონბდე-  
ნენ; თუ არა, ვილაცას კი ეყოლება ვიღა-  
ცა! — ამოილაპრაცა ავადმყოფმა. შვილს  
ყური არ უგდია, გავიღა და კარი ჩმაუ-  
რით გაიხურა.

— მამა, აქ ჩენენ სახლი არაა, დაანე-  
ბე თავი საყვედლურებს.

— კარგა ხანია დანებებული მაქვს,  
მაგის არც ასავალს ვეითხულობ. არც  
დასავალს.

— ჩუ, ამა ვისას კითხულობ. გული  
რომ მოვიდა მას იტყვი, მაგრამ...

— მაგისგან გულმოსული კი არა,  
გულგახეთქილი ვარ. ჯანდაცას, მალე და-  
ვისვენებ, იმ კაცის შერიცება, მე თუ არ  
ვიქენი, მაგი გადაუხდის სამავიროს?

მაკას ეწყინა.

— კი, მაგრამ რა ამაკი აქვს ამისთანა  
ან ვინ ეხვეწება!

— შენ არ იცი? მე შვილმა არ გამი-  
ტანა და...

— მამა... — მაკამ ულვაშა ავადმყოფს  
შეხედა. ახალგაზირდა ხალათს იცვამდა  
და ორთანიზონ გასვლას პარიებდა.

— რა დასამალია, ჭრი თავს არ და-  
მალავს... მაგის პატრიონს, ვიღაც ვიგინ-  
დარასაგან კი გამარცობაც პატივისცე-  
ბად მიმაჩინა.

მაკამ ისევ ფანჯარში გაიხედა. ტყა-  
ვაძეს მნიშვნელის კარი გამოელ. შინდი-  
ფერ, შალითაგადაკრულ სავარეულებ-  
რის ჩამომჯდარიყო და პატიროსს თავაუღებ-  
ლივ ეწეოდა. ეზოში ბიჭიკო განსრილი  
პიგავის კალთებს მიატრიალებდა და კიმურისაერ მიდიოდა.

ტყავაძე პირზე მუშმიძლენილი უსმენ-  
და ბიჭიკოს, რომელიც ხელებს იქნებდა,  
საავადმყოფოსაკენ იშვერდა და რაღა-  
ცას უკებოდა, მეტე მანქანის შემოუ-

ბინა. ტყავაძემ კარი მიხურა და წა-  
ვიდნენ.

„თუ ეს ჯუმბერია, ყოველწაირი ადა-  
მიანისაგან შეიძლება კაცი გამოვიდეს“, გაიფიქრა ქალმა.

სიმართლე რომ ითქვას, ტყავაძ-  
ეს ხეიძიანაზ არც იცნობდა მაკა. ერთ  
დროს ვალუა უფროსკლასერმა ამოიჩე-  
მა თვალში. მოსხუშვი, დაუბანელ-დაუ-  
კარგებელი ბიჭი იყო. ნიკაპი და კისერი  
სურსულით ჰქონდა მოტყაული და ექტ-  
ცლილი. მაკას ისე ძულდა იგი, ისე შეუ-  
რაცხყოფილად გრძნობდა თავს, თუ ვინ-  
მე მასზე რაიმეს გაეხუმრებოდა — უბე-  
დური ვარო — ფიქრობდა. რამდენი  
კარგი ბიჭი იყო და მაინცდამინც ტყა-  
ვაძე გადაეკიდა! გოგო არ ესალმებოდა,  
მისკენ არც იხევდობოდა. თუ სადმე ახ-  
ლო-მხლო ეგულებოდა, ისე იქცეოდა.  
კითომ ვერც ამჩნევდა. მის სახელსა და  
გვარს არასოდეს ახსნებდა, მუნიანს  
ეძახდა. ისედაც არ დაენახებოდა და  
მერე გზაზე გამოყოლა დაუშუო. მაკას  
შინ დაბრუნება არ უნდოდა. გავეორ-  
ლების დამთავრებისას ეკლებზე იჯდა.

რამდენჯერ განგებ დაიგვიანა. ვეალებ-  
დნენ თუ არ ავალებდნენ, კედლის ვა-  
ზეთ წერდა. ქიმიის და ფიზიის კაბინე-  
ტებში გაიჩინა საქმე. ლიტერატურის  
წრეში ჩაეწერა... გაგიგონია?! ტყავაძე,  
სად იყო და სად არა, მაინც გამოჩენდე-  
ბოდა. არც ლოდინ წყინდებოდა, არც  
შინშილი იცოდა და არც წყურვილი. სა-  
ნამ გაურბოდა — არაფერი, სახლამზე  
მიაკილებდა და წავიდოდა. კოგოს ბრა-  
ზი ახრინდა, თანატროლებისა შეუდა. მზად  
იყო თავისითვის რაიმე ეტება, სა-  
ხე დაემაჩინებოდა, ოღონჯ ეს მუნიანი  
ჩამოცილებოდა. ბოლოს შეეგუა. რაკი  
ისე დავეცხდა, რომ გარეშე თვალი  
ეკრც კი შეამჩნევდა, არად აგდებდა,  
უკან არც მიხედავდა. მერე და მერე  
ევიწყდებოდა კიჯეც, რომ ვიღაცა მის  
ნაბიგებს ითვლიდა. ვაკი ამან გააბრაზა. სანამ გაურბოდნენ, კიდევ პო, როცა  
ძალადაც არ ჩააგდეს — ეკლარ მოით-  
მინა, ნელ-ნელა მიუახლოვდა. ერთხელ  
რაღაც დაუძახა. მაკამ ისეთი ციცი სია-

մասունք դա Մերժությունը կանչութ մո-  
խէցա, հռով պարագա ուղարկու, տաքո հա-  
լապ ճամարդուց է. Տանօմ ցանք մոցութու,  
ուշը „ծաբ“ դա „ծաբ“ է. Տաեթո եղու տ-  
ույարա, Ծիրուլս ձեռնրեցնա, մաշրամ ուրո-  
դա, զու Տոհմունակ ուղա դա Շահնա ար  
Շեյքինա. Եղալու հռով ցանչուլա, Ծայամը  
առաջա հինգնա...

Կարգա եան ցացրելու անը...

„Վայլագույրո ծացշայրո Տուշալուլու-  
ծո ոյո. Երեւա տու ուշը տեսոցն?“ —  
ցանցոյրա յալմա, ցանցահաստան կյամի  
դաւագա դա Մոնուան Շամուլութու Շոշ-  
նո թոքեցնա.

Վուլապամ յարո Շեմուլո. մայս ար մուր-  
սեցնա.

— Ըստու ամ Տալարիամո? — ոյոտես  
մամայացու ծանու ցուլապամ.

— Գոած! — Շոշնո ցանչու մայս.

— Սոմոն Ըստու!

— Գոած!

— Վոն մյուտելունան, Շեուլո! — Շե՛-

գուռդա մամա. մայս Շեմուլուլո ուրու,  
շումիցը ուրու հռով ուլամարայցնու, ու շունդ  
շուռուլու.

— Եղայ ազագուցու յալուցուլա  
ծիրաննունու?

— Կո, Տաթուն.

— Տասոմունու, — յալս անգ-թանց-  
դա դա որուց եղու ցայինդա. Մյան  
մեցութա անալցանդա յերմա ցանուն,  
ուզու դայնու, Շոն ար Շամուլուլա,  
ուրունու, ուդրուսու թուրունու.

— Ըստ, յս Շենո Տալարիա?

— Ըստ.

— Ըստիննու, — Յութիւննու ՝Վայ-  
լուսու” մայս, — Կայլագույրո Շեսանի՛ն-  
ցա յիշեցնա. Մյան ազագուցու Շեյքնա դա  
մամարցուլա: Շե-սա-նու-նա-ցա!

յերմուս շումելո, Ըստութա ծանու  
յալս ցուլո հայպարտա դա հուրիւլուն  
ուրմունու.

— Վասիր, մամաիցու!

## ԵՐԵՎԱՆ ՀՈՒՄԱՐ

Ցայտակա Շամուլուլու ցենու ցա-  
տենեցնաս մոսնեցնու. ուտանի ցուլու  
մեց Շեմունուրա տու արա, Եղալու ցանչուլու,  
Շամունցա դա ցայտացրեցու ցանչու. ծեծուն  
ուշը Տանուլուցու ցայսիրո դա առա Տա-  
լարի յայսու յայսունունու.

Տանամ յօնես հայպարտա մուրունու,  
ուդամա մանյանու տալունատան հալուալունո  
ծունամունու եմա թուրունո.

— Ցենու ցանչուար!

Ցենուն եղու ասիրո, մոյսալմա դա անոմի-  
նա, ամ գուռագունուն հռու յայուրունու.

Եյցենրուն հյունուն լումու, հռմլունուպ  
Տանուրացու հայութուլ յցաս յանուրեցնա ցա-  
մուցնունու, մարաս մոսպաւ դա լունես  
մուգցա.

Ցենուն ամ գուռուն Տան Տյունուն մուսու  
դարնու, մաշրամ, յօնենու հռու հայուն,  
մանու Շեհիրու.

— Հա մյուտես, ցենու?

— Տալարի, մանյանու ամ գուռագունուն  
հռու հայուրունունունու.

— Տոռ, շնու եղու, ցենու! մանյանուն,  
ուշ ցուցարս, յուցունունու յուրացնա հա-  
լապա, ուռունունու հալու! — ցայսիրուն  
յիշեցնունու.

Ցենուն յայտուեցնու ուտումունու Շե-  
նուն.

— Նամերան մումու ուռու ցուլո ցայս, այ-  
սենուն հիմու.

— Ուրութելու!

— Կո մաշրամ, Տաթունուն արա կյացս ամ  
մանյանուն, սայուտահունու Շոն հռու ցոյց-  
նու?

— Տաթունուն հռու կյացս, մուտուն մո-  
ւունու.

— Հարացու եռու այցես միշենց-  
լունան?

— Հա ցանցա, յուրու մոնդուրուն հա-  
լապ նացուրութուլ յուրունու Շեմունացու-  
լու, սանդանաց ցայտացրեցնա, յիօնան Շե-

ჭრები და გამოძვრები... ათასი ოხერი  
მიღია-მოდის...

— სხვებსაც შინ ჰყავო?

— სხვებისა არ ვიცი, მე კი ვამბობ: მანქანას ჩემთან წავიყვან, თუ გინდათ ფრჩხილი არ წამოტკიცდეს. იქ რომ დავ-ტოვ, არ ვიცი, დილით როგორ დამხვ-დება. მანქანა ცოლივითაა, თუ გიყვარს, სხეის ხელში არ უნდა ჩააგდო, — ისევ გაირიკა აქვსენტი, — ჴო, მართლა, მა-კას მამა როგორაა?

გენომ თავი გაიქნია:

— ცუდად.

— რას შეუბნები!

— საპერაციოა. არ ვიცით, გადაი-ტანს თუ არა.

— მასა მეცოდება, — თავი გადაქნია აქვსენტიზ, — მაკას ნამეტანი უყვარს მამა და თავისიანები, თუმცა მაკას ვინ არ უყვარს!

— აქვსენტი, მეჩქარება, ბავშვი გა-ჭირებულდა წუხელი და მაკას უნდა დაუურეკო.

— მაააჩემი აგვიჩხუბდა შუალამეზე, გადადით, ბავშვის ტირილი მესმისო.

— ძალიან გაგვაწვალა.

— მაკა არ იყო შინ, უნდა გაღმოვსუ-ლიყავოთ.

— შენს გოგოს ძინავს?

— ცაბუს ასე ადრე შენ გააღვიძებ?

— ზატარე, როცა აღვება, გაღმოვი-დეს, იქნებ შეიქციოს.

— გავაღვიძებ, გენო!

— არა, ჯერ გოჩასაც ძინავს.

— კი, კი, აბა! ნეტავ რაიმე შემეძ-ლოს და... ჩემი ცაბუნია მთლად მაკას გადარჩენილია. დიუტერია რომ შეხვდა, მაშინევ რომ არ ეშველა, დილამდე მო-მიხრითდა ბავშვეს...

ხელსაბანი ცარიელი იყო. გენო პა-ტში შევიდა წყლის გამოსატანალ.

მაგდანა პურის ცომსა ზელდა.

— აფექი, ბიჭო?

გენომ დოქი ი-იძებნა თვალით.

დედი ცომით გაწებილი ხელები გა-მიშვირა მისენ.

— რა ვქნათ ახლა!

— რას ვიზამთ!

— ღმერთმა კარგად ამყოფოს ჩემი მძახალი, მაგრამ თუ ბავშვი დამეზაფ-რა... ამაღამაც რომ წუხანდელივით გა-დამერიოს, თავი უნდა მოვიყლა.

გენომ ახლა შენიშნა, უძილო მოუცე თვალები ჩაღამებოდა.

— კაცი სიკვდილის პირზეა, რა ქნას, მიატოვოს?

— არა, მარა... ღმერთო, რა დღე გა-დამწყდა, რა შავი ღამე გამითენდა!

— ჴო, კარგი. — გენომ დოქი გაი-ტანა.

დედას მარტო ეს არ აწუხებდა: სხვაც ჰქონდა სათქმელი, შვილს კი მისი მოს-მენა ამ დილით აზაფრით არ უნდოდა... იცის, მისი ცოლისძმა ყველაფერს იყად-რებს, ერთ სადილში გაყიდის მაკას სა-ხელს და, მითუმეტეს, გენოს. ბიჭიკოს თავზე ყველაფერი ახია, მაგრამ მაკას გული გაუსკულდა და მით უფრო — სი-მონს. ამიტომ იყო, რომ ამის თაობაზე ავადმყოფთან სიტყვა არ წამოცდენია.

სიღედრისათვის რომ ეთქვა?

სიღედრის გახსენებაზე გენოს თვალ-წინ წამოუდგა სოფელ-სოფელ მოწო-წიალე მხატვრის მიერ გადადებული ცოლ-ქმრის სურათი, სხვადასხვა ჯრის გადაღებული, გაგლესილი სახეები, არა-ფრით რომ არ ერქმნობლენ ერთმანეთის არსებობას.

გენომ პირზე წყალი შეისხა, დოქი იქ-ვე, აივაზზე მიატოვა და მაღლა აპირებ-და ასევლას.

— ბიჭო, არ წახვიდე უჩემოდ!

დედა კარებში იღება.

“კიდევ რა განდაბა გაიგო?..” — გაი-ფიქრა და კიბე უჩმოდ აიარა:

გოჩას ისევ ეძინა.

წასვლისას პალატში შეუხეია.

— თხელი ხაჭაპური დავაცხვე, ახლა-ვე იქნება, ჩაის წყალიც დუღს.

„რაღაც უნდა მითხას“, — გაიფიქ-რა გენომ, ტაბურეტზე გაცეცილი გაზე-თი დააგდო და დაჭდა.

— გუშინ მარგო ხომ არ ყოფილა?

დედამ თავი აიღო და სახეში შეხედა.

„უნდა გაიგოს, ძალიან მეწყინება თუ

არა? ნეტავ რა ოხობა ჩაიდინა ისე-  
თი?..

— კუო...

— მერე?

— თქვენ რომ წასული დაზღვდათ, გაუ-  
ხართ.

— მე, დედაჩემო, სამაციანკლოდ არ  
დავიდიორ.

— კი, მარა, სიტყვას მოყენოდა და  
რაიმეს იტყოდით.

— რა უნდა გვეთქვა, კაცს სული კბი-  
ლით უჭირავს.

— მარგოს მომეკლავს ის უშმინდუ-  
რი, ჩემი ხანდამწვარი დისაგან მაგას უ-  
კურებ. მომიკლავს, არ იცი? მარტო  
გვლია, კაცის ხორცს შევძის...

— ჩვენთვის თავიდან არაფერი უკი-  
თხავს და წამხდარ საქმეზე მომადგრენ?

— რა საკითხავი იყო, ბიჭს მოწონდა.  
ასეც არ ყოფილიყო, შენს კოლისძმის...  
მარგოს, არ იცი, მაკა საფიცრად მიაჩ-  
ნია...

— მერე მაკა რა შეაშია, დედა-  
ჩემ!

— იმე, ძმა მისი!

— ძმა მისი. მაკა მაკა და მისი ძმა  
სულელია.

— სულელი რავაა, რამ გაასულელა!

— არის და...

— ჩაფლება ჰქუაში, აჩალგაზრდა კა-  
ცია.

— პოდა, როცა ჩაფლება, თუ ენდო-  
მება, ითხოვს.

გენო ადგა.

— დეჭა, ამაზე მე ნუ მელაპარავები,  
ნურც მაცას. ჩვენ არაფერი არ ვიციო.

— ბიჭო, მარგოც ამას ამბობს, ამის-  
თვის ეკრას რავა ვაწუბებო, მარა... —  
ბუბრისაკენ დაიხარა, შემხობილ კეცებს  
საკეციო ნაკეტჩხალი დამატა და ჩა-  
ლაპარაკა, — ნამეტანი გლიხთათა საქმე.

გენომ რალაც იაზრა და მაჯისთან ვუ-  
შინული საუბარი გაასხენდა.

„მეც რომ არ მიმხელს? ჩემთანაც  
რომ პირს წმენდს ძმას?“ — და დედას  
ხმამაღლა ჰქითხა:

— თქვი ბარემ, რისი თქმა ვინდა?

— ურო არ ითხენს, გენო. მაკამ ჩემო-

ბით არ ვაიგოს, მე ვინ რას შეითხავს?

— ორსულადაა?

— ასე თქვა მარგომ, მაფიცა, გენოს  
არაფერი უთხრაო, მაკამ არაფერი გაი-  
გოს. დედაშეიღობამ, რამენაირად და-  
აჩქარეთ ეს საქმე. ასე არ უნდა მომზდა-  
რიყო და რაკი მოხდა...

— ამ, საქმე, — ჩაილაპარაკა გენომ  
ბოლმით და შინიდან გვიდა.

სამასხურში ჯერ არავინ ჩანდა და ტე-  
ლეფონზე მაშინევ იანისი დაუკვეთა.  
იცოდა, ასე ადრე ვერ გადაიყვანდენ  
ავადმყოფს, მაგრამ მოთმინება არ ყო.  
იძერად სავადმყოფოს მორიგე ექიმს  
ელაპარაკა. მერე კი, როცა მაკამ დარეკა,  
ძმის კაიცაცობაზე ცოლს არაფერი უთხ-  
რა, ბავშვის ჭირებულობა და ღამის-  
ტეხა კი არ დაუმალავს.

„არამზადა“, — აკეთატა ეს სიტყვა  
და მოული დღე, წერილების განყოფი-  
ლების გამგე, შაქრო ჰქითხადა რამეს,  
მუკიანი შემოვიდოდა, მომჩინეანი, ნაც-  
ხობი თუ უცნობი, თავისთვის იშეორებ-  
და: „არამზადა“...

მერე ტაქსით შინ აირბინა. ბავშვი  
აქცენტის გოგოსთან სათამაშოდ წასუ-  
ლიყო. ცოტა გულს მოეშვა, მაკაზე ფექ-  
რი მაინც ვერ მოიცილა. „მამამისი მიანც  
არ იყოს ასეთ დღეში. იმ ბიჭიშეიღის  
რაც მოუვა, მოუვა, მაგრამ მაკა...“

— მაკაზეც ახია! — ბრაზით თქვა ბო-  
ლოს, როცა რედაქციას სტამბის დაფეხ-  
ვილი შენობა გამოჩნდა. „჌ო, მართლა,  
ის ტყავაძე კიდევ ვინ ახერია, მაკას საი-  
დან იცნობს ან ბიჭიეროსთან რა ძმაკა-  
ცობა აქეს...“

## ●

სალამის თერთმეტი საათი დაწყებუ-  
ლი იყო, ბიჭიერ რომ შემოძრა. ქა-  
ლალდში შეხვეული რაღაც შემოიტანა  
და სწორლთან, პატარა განჯინის თავზე  
დაღო. ერთხანს დატუშულივით გამოი-  
ყურებოდა.

„ტყავაძემ შეაგონა, თუ რა მხარი ეც-  
ვალა, — გაიფიქრა მაკამ, მაგრამ სახლ-  
ძმის დარდი სულ არ ჰქონდა, — რაკი  
მოვიდა, იქნებ მოიცადოს ამაღამ, მე კი

მატარებელს გავუვები, დილით უკან წა-  
მოვალ, სადაც მე ვიქწები, შეკალც იქ  
უნდა მყავდეს. მთავარ ექიმს შევეხვე-  
წები, ქუჩაში ხომ ვერ გამიგდებს...“

— რაო, ამ ცალტვინა ექიმებმა? —  
იყითხა ბიჭიკორ.

ხანში შესულმა ავაზმყოფმა შებას  
ზემოთ ამოხვა და ულვაში გააცმაცე-  
ნა, ახალვაზრდას ნაშეადლევს ოცერაცია  
გაუკეთება და ახლა არაფრის თავი არ  
ჰქონდა, თუ ექიმის ავად ხსენება ეა-  
მა, — გუნდებაში დაეთანხმა.

— ხალისთვის, — თქვა მაკამ ისე,  
რომ მმისურ არ მოუხდას.

— ვან უკეთებს ოცერაციას?

— არ ვიცი, არ ვიცნობ.

— ვარი არა აქვა?

— ხიგავძე.

— პო, ჯუმბერშა უთხრა.

— რა ჯუმბერი უნდა, ამ სავაზმყო-  
ფმში ექიმი მუშაობს, ობილისიდან ხომ  
არ მოყავთ?

— შენ რა იცი!

— არც მაინტერესებს, — მაკამ ავაზ-  
მყოფს გახტვა და ხმაზაბლა თქვა:

— შენ აქ უნდა დაიცადო!

— სად დავიცადო?

— პოდა, მიამ თუ მიეითხოს, უთხა-  
რი არ ინტერესულოს, მალე მოვა-თქო.  
მე ბავშვთან უნდა წავიდე, დილით აქ  
ვიქწები...

— რით მიღიხარ?

მაკამ არ უნდოდა ასე გრძელი საუ-  
ბარი ძმასთან.

— რით დადის ხალხი!

— მატარებლით ხვალ დილით იქნები  
იქ, და არა აქ, ორის ნახევრამდე არა-  
ფრი წავა.

— დაშვა ცეცხლმა, — გულისტყივრ-  
ლით თქვა მაკამ, — როსტოე არ გა-  
დოიკლის?

— აქ არ ჩერდება.

— არ ჩერდება? ღმერთო, ბავშვი გა-  
დამერევა! სად იყავი მდევნებს, ავტო-  
ბუსს გავყენდოდი.

— თუ ოცერაციას ხვალმდე არ აპი-  
რებდნენ, რას უცდიდი!

— რას ვეცდიდი და შენს უსულგუ-  
ლობას... — მაკამ თავი ასწია, ენას ქბი-  
ლი დატვირთა. ყოველთვის ცდილობდა  
ქმასთან არ ეკამათა და, მითუმეტეს, აქ-  
მაშინევ შეეცადა მშვიდი სახე მიეღო  
და დაუმატა, — წუთით არ მიშორებს.  
მამაქემს ჩევენ არასოდეს არ შეეწუ-  
ხებივარ.

— შენ არ შეეწუხებიხარ.

— შენ? ქუას რომ გასწავლიდა, იმან  
შეგაწუხა? — გარეგნულად ესეც აუ-  
ლელებლად თქვა.

კარი ჩამრგვალებულმა, ლოფაშითელ-  
მა ექთანმა შემოაღო. მაკამ თვალებშია  
შეხედა.

— მე მირეკავენ?

— მაკა ლევავა.

— ტელეფონზე თუ...

— ტელეფონზე.

— ვამბ, შეიღო... — და იგრძნო, რო-  
ვორ აუცაცხადა ქვედა ტუჩი, — ღმერ-  
თო, რა ეჭნა ახლა!

წამოვარდა, ექთანმა კარში გასვლა  
ვერ მოასწრო, მაკამ იგი ხელის კრით  
ჩამოიშორა გზიდან.

— ქალბატონი! — მოესმა ზურგსუკან  
გაყირებული წამოძახილი.

დერეფანი უსასრულოდ გაგრძელდა.  
სამორიგეოში შავი ყურმილის მეტი  
არაფრი დაუნახავს, რომელიც მაგიდის  
სქელ მინაზე გულალმა ეგდო.

— პალო, პალო! — მანამდე დაიძახა,  
სანამ მილს ყურამდე მიიტანდა, — გე-  
ნო, რა მმაგია, რატომ რეკვე? დედა  
მოკვდა: ტირილი მესმის, გენო, მეჩვე-  
ნება თუ... საიდან რეკა! ფოსტაშია  
ბავშვეს რა უნდა! ვისი მანქანით? აქ-  
სენტრის თვითმელელით? მალაპარაკე,  
იქნებ მელაპარაკოს, გოჩა, გოჩა. დედი-  
კო... მე ვარ. გამიგნე, გოჩა. გული გა-  
გისცება, შვილო. ნე გაუწყრები, ვე-  
ნო... მოელი საღამოა ტირის? მოვდივარ.  
არა, მატარებელს რაღას დავუცდი, ძან-  
ქანას დავიჭრ, ბიჭიც აქ არის, მოვალ.  
რამბე მსუბუქ მანქანას დავიჭრ, საათ-  
ნახევარს არ მოუნდება... შენი ჭირიმე,  
მოვალ, შვილო! ახლავე მოვალ!

სამორიგეოს კარებს ექთნები და  
ავადმყოფები მოსეოდა. ერთმანეთს თა-  
ვის ქნევით ეკითხებოდნენ გაკვირვე-  
ბულნი, ამ ქალს რა შეემოხვაო.

მავას მაღლობაც არ გადაუხდია, ისე  
გამობრუნდა. გამოსასვლელში გზა და-  
უმოეს.

მამა გაღვიძებული დახვდა.

— ვაიმე, შვილო.

მავამ მაშინვე თავი შეიკავა და იმედი  
მისცა.

— რა იყო მამა, დამშვიდდი.

— ვკადები, შვილო, რომ ეკრ დაგი-  
ნახება.

— ნუ გვშინია, ხეალ ყველაფერი  
კარგად იქნება. მე ერთი სათით უნდა  
წავიდე, ტელეფონზე ველაპარაკე გვ-  
ნოს.

— ბავშვს მიხედე, მე თქვენი ჭირი  
წამილია.

— წადი! — მავა ძმას მიუბრუნდა, —  
წადი და ახლავე მანქანა გამიჩინე.

— საიდან გაგიჩინო ახლა მანქანა!

— ტაქსი არა გაყოთ?

— სულ ექვსი დაწილერული ტაქსია.  
ქალაქგარეთ არც წავლენ.

— არ ვიცი, კერძო იშვივე, ულირალი  
მიიცი! — მავამ ხალათი გაიძრო, საწო-  
ლის თავზე გადაჟიდა, — წამოდი ჩემ-  
თან!

ბიჭიკო წამოდგა.

— რა ბავშვია მისითანა!

— არ იცი შენ! გამიძეხი!

— მავა!

— აქ ჩამოვიყვან, მამა, შენც რა ხანია  
არ გინახავს... — კარი გაიხურა და გა-  
ვიდა.

ეზო რომ გადაიარა, ჭიშკარში კი არ  
გავიდა, გავარდა. უკან ძმის ფეხის ხმა  
ისმოდა. ქუჩა ცარიელი იყო. მავამ ჭერ  
მარცხნივ გაიხედა და ქალაქისკენ მიმა-  
ვალ გზას დაადგა, მერე უკან შემობ-  
რუნდა. იქ რა ესაქმებოდა, პირიქით  
უნდა ევლო, მაგრამ ფეხით?

ბიჭიკოც გზაზე იდგა, აღარსად მიეჩ-  
ერებოდა.

მავა მის წინ შეჩერდა.

— ჭუმბერს დავურეკავ, იქნებ წამო-  
ვიღეს!

— ტყავაძეს?

— სხვა ჭუმბერს მანქანა არა ჟყავს.

— არაუითარ შემთხვევაში! იმას შენც  
ეყოფი ასაკიდებლად!

— მე არავის არ ვეკიდები და შენ  
ენას მოუკელი, იყოდე!

— ეინ მოუკლოს ენას! — მავას ფერ-  
მა გადაჰქირა სახეზე, მაგრამ ახლა მას  
ბიჭიკო ვერ დაინახავდა. — აბა რა საქ-  
მე მაქვს ტყავაძესთან. — ხესა დაუ-  
წია. — მე არ ვიცი, ვინაა ტყავაძე!

— შენ ძალიან კარგად იცი და გუშინ  
არც კი მიესალმე!

— რა იცი შენ, ვიცი თუ არა!

— ალბათ, ვიცი!

— ის თუ იცი, რომ ძმა ხარ ჩემი!

— შენთვის არავის შეურაცხყოფა არ  
მოუყენებია, არავის გართმევს იმ შენს  
გაბლენძილ ქმარს!

— გვნოა გაბლენძილი?

— თავში იხალე, ვინცაა და რაცაა.  
ვაცი პატივისა გვემს და რა ვინდა?

— ტყავაძის პატივისცემა მე არ მშირ-  
დება, შენ გვეს!

გზა მომავალი მანქანის შუქფარებმა  
გაანათეს.

— სალაში და მაღლობა რომ გეთქვა,  
დიდი ამბავი იყო. შენ და შენს ქმარს  
რომ გვითხოთ კაცმა, თქვენზე მცოდნე  
არავინ გვეჯლებათ.

— გვნოს შენ ვერ ასწავლი, სად რა  
უნდა ჰქნას, მე კი შენს ამჟრებს არ  
უცნობ!

მანქანა მოახლოვდა.

— მანქანა... მიეცი რაც გონიოს!

— ნუ მასწავლი, რა უნდა ვქნა! სა-  
ბარგაო.

— შენ რომ ვარგოდე, ტყავაძის ლა-  
ქიალ რა გინდოდა! — თქვა ქალმა და  
გზას დაადგა.

— რა თქვი! — მიაძახა ძმამ და გა-  
მოუდგა.

— თუ მართლა რაიმე შეგიძლია და  
ვინწე ვაცად გაგდებს, მანქანა იშოვე! —  
მკვახედ, უკანმოუხედავად მოუგდო დამ.

— მანქანა გიშოვე მე შენ!

მაյა უეცრად შეჩერდა და გაყუჩდა. ტირილი მოესმა. მიიხედ-მოიხედა. ვიღაცის კიშაკართან იღვა. სახლში თოთო ბაჟში ჩხაოდა.

— ვაი, შეილო! გესმის, ფეხით რომ ვიარო, მანც უნდა წავიდე... მე არ ვიცი, იშვე და მომიყვანე! ავრე, ავტობუსი მჩდის, — ჩადი ქალაქში და სადაც გენებოს, თუ გინდა რაიკომის მდივანს თხოვე!

ბოძე, რომელზეც აპრა იყო მიკრული: „ავტობუსის განერება“, ერთი ნათურა ბეჭუტავდა. კანტი-კუნტად თუ გაივლიდა ვინმე. გზის გადაღმა მწვანედ შედებილი საეპრო უარდული იდგა. ფარდულში სინათლე ენთო და მინის შეშაბანდში კარგად ჩანდა თეთრ-ხალათიანი გამყიდველი. რომელიც რაღაცას საანგარიშოს ლილებზე ითვლოდა. დროდადრო მუქში ჩაახველებდა ხოლმე. ფარდულის იჩველვი მიმობნეულ ბოთლის ნამტვრევებზე ნათურის შექი ბრწყინვდა. ქალი ნელა, მაგრამ ნერვიულად ვიმოდიოდა. უმოვარო, მოწმენდილი ღამე იყო, ვარსკვლავებით მოქედილი.

უჯრ ჩასულიც არ იქნება, სად იშოვის ახლა მანქანას... ბავშვეს რომ რამე მოეწიოს, რა წყალში გადავვარდე... რატომ ეერ იშვიოს. „ხალტურისტები“ ცოტაა? ფული მიეცი და ჯოჯოხეთში წავყებიან. რამ გაახსნა ახლა ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთში იარონ გოჩას მტრებას! როგორ ვერ იშვიოს, მაგრამ ტყავის უნდა მიაღებს... ნუთუ მართლა ჩემთვის ჰყავს დამეგობრებული ჩემი სულელი მარი ან კი რა მენაღლება, ემე-გობროს თვითონ. რაც არ უნდა იყოს, გზას ადგის, იქნებ თდესმე ესეც ეწიოს რამეს. მართლაცდა, რატომ არ უნდა მივესალმო. როგორ არ მივესალმებოდა, მაგრამ მაშინ ვერც ვიცანი. რაღაც ბაჟ-შეური სისულელების გამო? რა თქმა უნდა, არა. უჭიუო ბიჭი იყო, ვითომ ვუყვარდი და სიყვარულს „მისსნიდა“. ბიჭიოს ლაქიობა არ შეუძლია, გული

მომივიდა და ცილი დავწამე... ნეტავ დაერეა, ახლა წისული ვიქნებოდოდა... ტელეფონიც ჰქონდა. უყურე შენ, ტყავის არც არც ხუმრობსა?!. ნეტავ ცოლი თუ შეირთო. შეირთავდა, აბა ამდენასნ უცოლოდ რატომ დარჩებოდა! ვინ შეირთო ნეტავ? — მაის გაელიმა. მიიხედ-მოიხედა: არავინ ჩანდა. გზაზე კარები გადარჩოდნენ. მხარი ასწია კიდეც, რომ ვინმე მოდიოდეს, საიდან გაიგებს რას ვფიქრობო. — ჩემს უკეთესი თუა... სისულელეა.

ავტობუსი მოახლოვდა და ვაჩერდა. მავს მეტი არავინ ელოდა, მძროლმა ერთხანს უცადა, მერე საეჭვო, მოკლე სიგნალი მისცა და მანქანა დაძრა, ქალის გასწრებიც მაინც წამუხრუჲა და წავიდა.

მავს საათზე დაიხედა: თორმეტის ნახევარს ბევრი იღარ უკლდა.

— საცაა მოვა, პირელ საათზე გოჩასთან ვიქნები... ჩემს პატარასთან... გოჩასთან და გენოსთან... რამდენი ვარსკვლავია... ნეტავ რომელია ვოჩას ვარსკვლავი... ან საწყალი მამაჩემის... მამაჩემის ვარსკვლავი, ალბათ, მალე ჩაქრება... ჩემი მამა... ჩემი საწყალი მამა... მისელისთანავე უკან დავბრუნდები...

შიშს არ გრძნობდა, ალბათ იმიტომ. რომ მახლობლიდ ფარდულში ადამიანი ეგულებოდა. ქუჩის გადაღმაც სახლებში ზოგან სინათლე ენთო.

„იმ ბავშვს წელან რა ატირებდა, შვილო, მუცელ ხომ არ სტკიოდა? ის ჯერ პატარაა, ხმაზე ეტყობა, ერთი წლისაც არ იქნება... ჩემი გოჩა თუ ისევ ტირის? დედა მოვიყვდა, ჩემო შეილიკო... მოვა, სადაცა მოვა, ვაი თუ ვერ იშოვა... გამოერთმია ტყავისისათვის, მანქანა მანქანა, ბიჭიერსაც ეხალისება საჭესთან ჯდომა. მანქანას ახლა ქალებიც მართავენ. ოჯერ ვენომც დასვა მაკა ნოდარის „მოსკვიჩზე“. გენო უველავერს აკეთებს მაისათვის. ჩვენ რომ მანქანა გვეყოლება, ვისწავლი... გენო რომ მოვრალი იქნეს ან უძინარი, დამჭირდება. ჯერ სახლი უნდა მოვათ-

ვოთ, რა დროს მანქანაა ან მერეც როგორ ვიყიდით... რადა მინდა თუ არ ვიყიდით, ნოდარი შეაეეთებს თავის „მოსკვის“, ჩვენი არ იქნება! ახლა ევარგა, კარგი იყო! მართლა. რატომ არ ვუთხარი გენოს, წამოეცვანათ ბავშვი აქვთენტის თვითმულელით. ამდღნენას რომ ევლოთ, აქედან ჩვენ შევხვდებოდით... რა მომივიდა, რავა არ ვუთხარი! აქვთენტი ჩემთვის არაფერს დაიზარებს.. იმიტომ კი არა, მისი გოგო შეაღამისას საავადმყოფოში გავაქციე და გადარჩის! არა, აქვთენტის რაღაც ამოჩე-მებულად ვუყვარვარ, ასე მგონია, ყველაზე მეტად, გნენის ნათესავებში...

ავტობუსმა აიარა. მაკამ იგრძნო, ვიღაც უყერდა და ფარდულისაყენ მიბრუნდა. გმჟიდველს ფანჯარა აეწია და თურქებიალაშელი დახლზე დაყრდნობილიყო.

მაკა შექრთა, მაგრამ — ერთი წუთით.

„გარეთ არ გამოვიდა, ერყობა, თავ-შეეავებული მოაჩმიყენა. აღბათ, ვისაც „რაიმეს ყიდვა“ უნდა, თავისი ფეხით მივა. ჭერ სარკმელს აღებს, მერე კარი-დან შეიპატავებს...“

მაკა ისევ წავიდა და ბოძთან, ნათურის ქვეშ გაჩერდა.

„ორმა ავტობუსმა აიარ-ჩაიარა, თუ წამსკლელი იყო, წავიღოდაო — უფიქრია, ცუდად არ უაიგარიშია... ვაჭრებმა ანგარიში იყიან...“

— გნაცვალე!

ქალი შეცდა. კაცისაგან ვამოლაპარაკებას ელოდა, მაინც შეეშინდა. მერე ხელი ჩაიქნია და ფარდულისაყენ მიიწია.

— ხომ არაფერს ინებებთ? — ფანჯრიდან წელშევით გადმოძრა და, როცა მაკამ უკან გაბრუნება დაპირა, მოაძახა, — ნუ გერიდება, რა გინდა სულ და გულო!

ქალი შეჩერდა და თვალი გაუსწორა:

— თუ ძმა ხარ, თავი ღამიანებე!

გმჟიდველი ნელ-ნელა დაიწია და ყბით ხელის გულებს დაეყრდნო.

— თუ რამე გინდა-თქვა, აქეთ საავაზ-

მყოფოა, რა ვიცი, ბევრია გაჭირვებული...

— თუ ძმა ხარ, ჩამოხურე მაგ და-რაბა!

გამჟიდველი სკამზე ჩამოგდა, ახლა დახსლს ზემოთ მარტო თავიდა უჩანდა.

„რა დრო გავიდა“, — ქალი ისევ ბოძისაკენ წავიდა და საათს დახედა: სულ ექვისი წუთით წაშეულიყო ისარი.

„ნეტავი ჭუმბერისათვის გამოერთ-მია“, — ჩაილაპარაკა. გზაზე დიდი სიჩ-ქარით მომავალი თვალებბრიალა მსუბუქი მანქანა გამოჩნდა.

— მოძის, ღმერთო შემეწევ! — შვებით ამიასუნოქა.

მუხრუკებმა დაიკრიალეს.

„პობედაა“?

ქალს ფეხი არ გადაუდგამს.

— რას უცდი! — გაისმა ფანჯარაში თავგამოყოლი ბიჭიკოს ჩხა.

კი, „პობედა“ იყო, მუქი, აღბათ მწვანე ან ლურჯი, მაგრამ, რაც მთავარია, ლია ყავისფერი არაა.

მაკა სირბილით გაიცეა და ცალი ფეხზე კალევ მიწაზე ედგა, რომ შეეხვეწა:

— ჩქარა! თქვენი ჭირიმეო, ჩქარა!



სხვანაირად არ მოხერხდა: მაკას ბავშვი უნდა წაეყვანა თავისაბაზოს, საღამობით საავადმყოფოდან ევლო, შეიღილდანინებია და თავალატირებულ მიმასთან დაბრუნებულიყო. გონია დედულ ბებიას ირცხოებდა და მაკას დედამითილიც უნდა წაყანოლდა. მერე, აღბათ, მძანლები ერთმანეთში იღავარებულნენ, ბიჭიკოსა და მერის შესახებაც ითქმებოდა, გენოც ჩამოაკითხავდათ და იქნებ რამე საშეველი გამოხებილიყო.

— აბა შენ იცი! — მანქანის ფანჯრიდან მიაძახა ქმარს, — ჩემს ზირექტორს დაურუკე, ბიულეტენს აქ გავაუთებ, მამა როგორც კი მომიღიბინდება... მომიგობინდება? შენ აქ უჩემოდ რა გეშველება!

გენო უძრავად იზგა. მერეც, როცა კოლის ჩხა ძრავის თუხუცემა ზაფარა,

იდგა და ფიქრობდა. „თითქოს ეამაყება თუ უხარია, რომ ბავშვი უდედოდ არ იძინებს; მამა, სანაც ქალიშვილი თაშე არ დააზღა, საავადმყოფოში არ დაწევა; ძმას დის პატივისცემით აფასებენ და ქმარს უიმისოდ „რა ეშველება...“

სანაც მანქანის ორი წითელი შექფარი არ მიიმალა, გენო ეზოში არ ჩისულა.

დილით სახლის კარი გამოიყეტა და აღრე ჭავიდა. ამ დღეებში ბევრი სამუშაო დაუგროვდა. სტამბის მოზრდილი ოთახში მაგიდებს შეუა გაძრა. ვიდრე შაქრო არ მოვიდა, კაბინეტის კარი ჩაეტილი ჰქონდა და თავი არ აუღია.

შაქრომ, სანამ საქმეს შეუზებოდა, მაკებზე რეზინგაყრილი სატინის შავი სამაჯურები წამოიცა, რათა პიგავის სახელოები არ გაცემოდა. ლერდერა ზალაგებულ, შეთხელებულ ქანირზე ხელი სათუთად გადაისვა და გენოს თხოვა, ტელეფონზე დაწრევავო.

გენომ ღიმილით დაუწნია თავი.

შაქრო მგონი ელექტრომეტრების დილიტორის ელაპარაკა, მერე მაგიდაზე დაყრილი გაზეთები და წერილები და-წყო წინ და, როგორც კი გენომ ახალ-დაწერილი გვერდი ჩაიყითხა, თქვა:

— ბატონო ჩემო, როგორ არის სი-ვარი?

გენომ უარყოფის ნიშნად თავი გაიქ-ნია.

— რას ამბობ?

— დღეს გაუკეთებენ ოპერაციას, — თაბასს ისევ გადავლო თვალი, ერთგან მთელი წინადალება წაშალა, სიტყვები გადაადგილა, ახალიც ჩაწერა და ფურ-ცილი გადადო.

— ჰევიანი კაცი ვარ, — გულზე ხელი დაიდო, — არც სიდედრის ვაკელევინებ თავს, არც სიმამრის სუვილს ვდარ-დო.

— ჰევიანი კაცი ხარ! — ჩაილაპარაკა გენომ და თეთრ თაბაზზე გვერდის ნო-მერი დაწერა.

— თუ ძმა ხარ, ერთი წუთით მომის-მინ! — შაქრომ კარისაცენ გაიხედა. ვი-ლაცის ფეხის ხმა ისმოდა აივანზე. სტამ-ბია ჭერ არ მუშაობდა.

— გისმენ!

— რას უპირებენ დომენტის?

— რედაქტორს?

— ჰა.

— არ ვიცი, რაზე მეკითხები!

— მაშინ იქნება...

— თქვი, თუ რაიმე იცი...

— რაიკომში გადაპყავთო.

— არ გამიგია.

— ინსტრუქტორად.

— აქედან იცილებენ?

— ამ დილითაც მზივანთანაა დაბარე-ბული.

კორექტორმა ციალა ელენტმა შემოა-ლო კარი. შაქრომ კონვერტი აიღო და თავი მოახია.

— დილაშვილობისა! — „ბისა“ გა-მოკვეთილად თქვა ციალამ და გენოს გაულიმა, თვალიც კი ჩაუკრა, შაქროზე ანიშნა.

გენო არც კი განძრეულა, ცერა თი-თი ასწია: „შაქრო აი, ასეთი ბიჭიათ“.

ციალამ გულზე სასოებით მიიღო ხე-ლი და ცხვირი აბზუა.

სტამბაში მუშები მოვიდნენ და მალე დაზები ახმაურდა. გენო ამას შეჩევეუ-ლი იყო და წერა განავრძო.

მოგვიანებით მოსულ რედაქტორს არაფერი უქეთაში. ნაშუადლევა ხელ-ახლა დაუახახეს და მერე აღარ გამოჩე-ნილა.

საღამოს გაზეთზე ხელი უნდა მოეწე-რა, აღრე თუ გვიან მოვიდოდა. ვენო სამუშაო საათების მერეც აპირებდა და-ლოდებოდა, მაგრამ სტამბა ისევ ზრია-ლებდა და თავაგებულებული ქაჩაში გა-ვიდა. დილიდან არაფერი ეჭამა და გუ-ლი წურიალებდა.

სასაუზმეში შეუხვია.

„ზაფხულიც მოდის და ლულიც გა-აფეშეს“, — გაიფიქრა, როცა ცარიელი ტოლჩა მაგიდაზე დაზო. ერთხანს გა-ჩერ, ცისფერ ძელსკამზე იჭდა. შინ არა-ვინ ეგულებოდა და არ ჩქარობდა. პიბ-ლიოთეაში დააბირა შესვლა, მაგრამ გადალილს ეგონა, ასოებს ვერ გვია-ჩევ, თვალი ამიტრელდება.

— გაუმარჯოს გენოს!

გვირდით უშანგი აზვლედიანი ჩა-  
მოჭდა.

— ოჲ, საიდან გამომეცხადები?

— საიდან გამოგეცხადე, აქ არ დავ-  
დივარ ყოველდღე? დილას — იქეთ, სა-  
დამოს — იქეთ!

— ჰო, მართლა, რა პერნი, კიდევ ვერ  
გაცვალე ადგილი?

— ვინ გავიცვლის ოქროში რეინას!

— რა ოქროა ახლა ვითომ შენი სო-  
ფელი!

— მე რომ გმირულობ, იმასთან ოქროა,  
გზა მაინც უდგება.

— რას აშობს კანათლება?

— კანათლება... მე აღარაცერი მჯერა  
მაგათი და, რაც უნდათ ის თქვან. თუ  
ძმა ხარ, მე რომ სახლიდან ფეხით ჯერ  
აქეთ ჩამოვალ...

— რატომ ფეხით, შენს სოფელში ავ-  
ტობუსი არ დადის?

— ავტობუსი ჯერ ასე ადრე სადაა,  
მერე როდის მოვა, ან, საერთოდ, მოვა?  
საბურავები არ ვადექსო, ეს მამაცხონე-  
ბული ისე მამადლის, ვითომ ჩემთვის  
მოებარებინოს და არ ვაძლევდე.

— საბურავები მართლაც ჭირს, მით-  
უშეტეს, სოფელის გზაზე მალე ცვლება.

— ჰოდა, აქედან მე რომ იქ ავალ... —  
უშანგიძ ხელი გამშვირა, — და გავე-  
თილს ჩავატარებ, ჩემი გავეთილი  
ივარგებს?

— შენი გაკვეთილი მაინც ივარგებს,  
უშანგი!

— შენც არ მომიკვდე... მერე ვბრუნ-  
დები შინ და თუ ეზო-გარემოს არ მივხე-  
დე, მასწავლებლის ხელფასით შეინახავ  
ცოლ-შეილს? მეტი არაა ჩემი მტერი!  
ბიბლიოთეკას ცოლნებასაეთ ვუყურებ,  
მეშინია, არ წამდდეს ფეხი და არ შე-  
ვადე.

— ჩემთანაც აღარ თანამშრომლობ,  
შენი მოყლე, ლამაზი წერილები მოგვე-  
ნატრა.

— აღრე კიდევ ვეძალებოდი, ახლა...  
უშანგი ადგა.

— მიღიბარ?

— მიღიბარ, ვენახი მაქვა გამოსა-  
თონი და გასაფურჩქნი, ლვინოც ნაკ-

ლულად მაქვა, გადასალებია ე, მოწინა  
ერთი ამოდი, დაგვიძეულდა პურ-ლვინი,  
შართლა გეუბნები, შართლა..

— ის იცანი? — გენომ ბალის შემო-  
სასვლელისაც გაახელა.

— შართლა ვერ ვცნობ. — უშანგიშ  
თავი გააქნია, — ჩენი კონსაცენტრებით  
დამთავრა ინსტრუმეტი, საიდან სად  
გაძრება! ღმერტმა ცველას ხელი მოუ-  
მართოს...

ხალათის ჭიბებში ხელებჩაწყობილ-  
მა, მხრებაწურულმა კაცმა ჭადრების  
ხეივანში შეუტვია.

— სად მიღის თუ იცი?

— ახალ კი არა, ჩემს გვერდით რომ  
იცდა, მიშინ არ ვიცოდი მაგის ასავალ-  
დასავალი.

— მოიცა, მეც მოვდავარ.

— ჩემთან წამოდი თუ დრო გაქვს?

— არა, არა, ამდენი არ მცალია, ჩემი  
უშანგი. თუ რამე კარგი კინოა, გავიგებ,  
ვწახავ და შინ უნდა აერიდე, მეც, ერთ  
კვირაზე მეტია, ეზოსთვის არ მიმიხე-  
დას. ბევრი არაცერი მაქვს, მაინც ხე-  
ლი უნდა.

ბაღიდან რომ გამოვიდნენ, გენო შე-  
ჩერდა.

— მართლა, სულ დამავიწყდა, დო-  
მენტი გადაპყვავთ.

— სად გადაპყავთ?

— რაიონში, ინსტრუქტორად.

— თუ ლვინის მშელი რეადეტორად  
არ ვარგა, ინსტრუქტორად ივარგებს?

— მარტო ლვინისთვის კი არა, წერი-  
ლის გამოც, ალბათ... ჩემთვის ჯერ არ  
უთვესმას.

— რა წერილი იყო?

— რეილის მასალები დაიბეჭდა წინა  
კვირაში.

— ვაღაც ხელს ვიძნევს, გენო.

— საღაა?

— აფთიაქის გვერდზე, წითელკაბიანი.

— ოო, ჩენი კორექტორა.

— ციალა? რა პერნით, ვერ გაათხო-  
ვეთ? თუ არ გემეტებათ? ადამიანი  
ეგოსტიო.

გენომ ხელი ასწია.

ციალაც ვიღაც ქალწმილი ახლდა.

მუქი ყავისფერი კაბა ეცვა, ლია ყავის-ფერით დაიძიშვლული. ჩაუჭოთულებული, ოდნავ მოშევებული ტანის გოგო. ღრმად მოკრილი გულისპირიდან მოწითალო მეტრზე უჩანდა.

— ის კუპატივით გოგოც კორექტორია?

— ვერ გეტუვი, არ ვაცნობ.

— მე ახლა მაგათავან ლაპარაკის თავი არა მაქას, — ტანსაცმელზე დაიხედა უშანგიმ, გოგოებს თავი დაუკრა და ჩავლას აპირებდა.

— ვამარწობათ! — წინ გადაუდვა ციალა.

— გაგიმარჯოს! — უშანგიმ ხელი ჩამოართვა.

— გენო, სად მადინარ?

— არსად, აქეთ ამოვიარე, ეს კარგი ვოგო ვისია?

— ეს კარგი ვოგო... — ციალამ ზევი-დან დახედა მასზე დაბალ, ჩიმრგვალებულ ქალიშვილს, — ახლა ჩვენია.

— კარგად იყავით! — გზის დაადგა უშანგი, — გენო, ხომ გესმის, გამოიარე-ერთი!

— გამოსარებში ხარ?

— სად, სად? — დაანტერესდა ციალა.

— ჩემთან, აოცულში, ციალაც წამო-იყვანე!

— ამ გოგომ რა დააშავი! — გენომ უცნობზე ანიშნა.

— ვინც გრძელათ.

უშანგიმ უკან მოუწევად გასწავა.

— იმ შარვლისათვის ცოტა რომ მო-ეკლო... — ჩაილაპარაკა ციალამ და გე-ნოს მიღებრუნდა, — მითხარი, სად მი-დიხია?

— თქვენთან მოვდივარ, დაწყნარდე-ბი ახლა?

— მართლა, მართლა!

— კინოში მივდიოდი.

— მე რომ გუშინ ენახე?

— არა უშავს, კიდევ ნახე. ამ ქალი-შვილმა თუ ნახა?

— არ ვიცი. ნახე, თებრო?

თებრომ თავი გააწინა.

— ასე კარგი სახელი ვინ დაგარქ-ვა? — გენო წინ გადაიხარა და ციალის

გვერდით მომავალს თვალებში ჩახედა.

— დედამ, — თქვა თებრომ ისეთი კამაყოფილებით, გენომ იფიქრა, ამ ქა-ლიშვილს, უურადლება აკლიაო.

— ნაყინი კვემოთ და მერე წაჟი კი-ნოში.

— მარტო მიშვებთ?

— თებრო წაიყვანე.

— მთლად უკეთსი, მაგრამ ლავა-გვიანდება.

— მეორე სეანსზე... მაყა შინ რომ იყოს, არ გაგაჩერებდი.

— მართლა, მაყა არაა. მიღდივარო ჩვენს „ბელნიერ“ კაუეში.

— ვითომ მაყას აქ ყოფნისას არ და-ღიოდე!

— კა, მაგრამ მშინ რომ რაიმეს ვჭამ ან ვსვამ, ზურგში...

გენო მიხედა, რალაც გადააჭარბია.

— ღმერთო მომყალი, ამ გოგოს მარ-თალი ეგონება, — ანგელოზივით ცოლ ჰყავს ამ საზიზუარს... — ციალის უნდო-და თებრო მიეცველებია, — ა, რა ახ-ლო და მეგობრულაზ ვარ ჩემს უფრო-სებთან.

— ეს თუ კაუეა... — თქვა ციალამ, როგორც კი ფეხი შედგეს მომრგვალე-ბულ, ფიტრულ შესაბანუში.

— ეს თებრონე არაფერს ამბობს?

— თებრო? — ციალამ თითქოს რალაც გაიკვირვა, — მერე იტყვეს.

გენოს არ მოეწონა ციალის ნათევაში თუ უთქმელი ქედმალლობა.

— თებროს ისეთი თვალები აქვს, მე მვინია, არც უნდა იღაბარებოს.

ციალა ერთბაშად მიტრიალდა, სახეში ჩახედა ქალიშვილს და უფრო თავშეკა-ვებით დაუმატა.

— ჰა, მაგის სათქმელს თვალები ამ-ბობენ.

ციალა კინოს მაინც დაესწრო. სეან-სის დროს განუწყვეტლავ ეჩურჩელე-ბოდა თებროს. უხსნილა, წინასწარ ეუბ-ნებოდა, რა უნდა მომხდარიყა.

კინო რომ დამავრდა, მზე ჩადიოდა.

— შინ რომ მეითხავენ, რა უკორა, სად ვიყავი-თქო? — აშუწუნდა ციალა.

— სიმართლე უნდა თქვეა, მით უფრო, დასამალი არაფერი მომსწარა!

— გენო, შენთან საქმე გვაძეს, კარგი იქნება ცოტაშე თუ გამოგვყვები.

— თქვენ ერთად ცხოვრობთ?  
— არა, რას ამბობ!

უშმოდ გაცილდნენ იქაურობას. მიწურული მხე ზურგს უკან მოექცათ და მათ გრძელ, ერთმანეთს დამსაგესებულ ჩრდილებში არ იგრძნობოდა თებროს სიმსუქნე და მოშვებულობა.

თებრომ ციალას მელავი დაქაჩა.

— გამიშვი! — ხელი გაიწინა ციალაშ.

— ვაშლის?

— ერთიდება. — ისე თქვეა, თითქოს თებროსათვის რიცდი შეუფერებელი ყოფილიყოს.

— მორცხვობა ქალის სამკაულია.

— გაგვივრონია.

— ციალა, რაღაც საინტერესოს თქმას ავირებ.

— სულაც არა, — როგორც იქნა ხმა გაიღო თებრომ.

— ჰო, არაა, რაღვან ეს „საპროტექციო“ საქმეა.

— მერე, მე რა შემიძლია!

— ვენო, შენ ისეთი გულის კაცი ხარ, მე ხომ ვიცი... ესაა თებრო, ცუდი გოგო არაა... მიიღოს დომენტიმ კორექტორაჲ, ჩერ მოუხრეშავ შარაშე მიმოსვლა არ იყო.

— ჩვენთან იქნება. — გაუსწორა გუნომ.

— ჰო, ჩვენთან იქნება, ოთხი თვეა უმუშევარია, დაუსწრებელზე სწალობას.

— დომენტის ვადავყანას უპირებენ.

— სანამ არ წასულა, ეს საქმე გაუკეთოს. შენ არ გეტყვის უარს. მეც ვოხოვდი, მაგრამ შენგან აჯობებს.

— თქმით ვეტყვი.

— მე წავედი! — გზაჯვარედინზე შეჩერდა ციალა. — პასუხი ხვალ დილით ვველოდინება, — შებრუნდა და ქუჩა გადაირბინა.

— ისე შევრჩიო მე და შენ ერთმანეთს, თებრო?

— კაუხერხულებათ? მე მარტო წავალ.

— არა, რატომ, პირიქით...  
გენო ხილის მოაგირს დაუყრდნო და წყალს ჩახერდა. წყალი მოყვითალო ფერისა იყო, ტირიფის გაძენილი ფესვები მოვქონდა. ქალის ჩამოშლილ თმას ჭვავდა.

თებროს მოწითალო თმა ჰქონდა, შეკრილი და მაღლა დაყრდნებული.

— თებრო, შენი თმა ტირიფის ფესვების ფერისაა.

— ციალამ მითხრა, რომ თქვენ ტყუილს არ ამბობთ.

— იმიტომ კი არა, რომ პატიოსანი ვარ... ტყუილს გამოგონება ჰირდება, სიმართლეს კი არაფერი, მიღები და ილაპარაკე!

— თქვენ თურმე რაღაც წიგნიაც წერთ.

— არაფერს, რასაც მე ვწერ, წიგნი არაა. წიგნი — რომებია. წავიდეთ და კადევ ვეტყვი ჩაღაცას.

ხილვალმა გზა მარცხნავ უხევვდა, კლდოვანი მთის ძირში, ახლადგაჭრილ, გერ მოუხრეშავ შარაშე მიმოსვლა არ იყო.

ლამზებოდა.

— თქვენ თქვით, რაღაცას გეტყვითო.

— ჰო, აბლავე, — გენომ ხელი გამისდო, — შენ როგორი თვალები გაძევს, იცი?

თებრო შეჩერდა, სმენად იქცა.

— არ ვიცი.

— არ გაგივირდეს, კირს ორმოში რომ წყალი ჩადგება, სულ შენი თვალებივით კამეამა და გამჭვირვალეა.

— არ დავკვირვებიცარ.

— ვიაროთ.

გზა მაღლა ვიდა. ცაზე ერთადერთი ვარსკვლავი ენთო.

— არ დავგდეთ?

— დავგდეთ.

ვალაუხვიერს და ჩამოგორებულ ლოდებზე დასხრდნენ.

ჩამობნელდა.

თებრო უხმოდ, გატრუნული იგდა.

— რაზე ფიქრობ?

— აი, იმ გარსკელავზე, დაღამებისას რომ კენტად ენთო, ახლა აღარ ვიცი,

რომელია. იგი ჩემი ვარსკვლავი არ იყო, ჩემი ვარსკვლავი მძღვნია ცაშე არ ერთი არა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენმა ცოლმა ახლა აქ რომ დაგვინახოს, რას იტყვის?

— რამ გაგაბენა ჩემი ცოლი...

თებროს ერთხანს ხმა არ გაუდია.

„ისევ მაყაზე იტყვის რაიმეს, პერნია, რომ მას რაღაც წაართვა და აწუხებს“.

— მე არაფერს არ ვართმევ შენს ცოლს.

გენომ არ უპასუხა.

— არავის არაფერს არ ვართმევ... — რაკი გენომ არ უპასუხა, ჩურჩულით კანაგძო, — მაგრა ჩემი თავისთვის ვარ უბედური...

— თებრო?

— მე არავინ არ მიყურებს, როგორც მეგობარს, რაც ქმრს გავშორდი... ქალებში ციალაა ჩემი ყველაზე კარგი ამხანაგი, თქვენ ხომ დაინახეთ? უყვარეთი. არა, ვებრალები.

გენო ადგა, მხრებზე ხელი მოხვევა.

— წავიდეთ!

— ჰო, აბა, აქ ხომ არ ვავათენებთ. ავტობუსის გაჩერებასთან გენოს ვოლაც მიესალმა.

— ვინაა?

— არ მაპსოვს.

— წაადი შენ, დამტოვე, უხერხელია, აქ ყველა გაცნობს.

გზაზე მანქანა გამოჩნდა.

ქალი მივიდა, ხელშე ხელი მოკიდა. ერთხანს ასე იღვნენ, მერე ვიღაც შენიშნა, გენოს ციავად გაშორდა და წავიდა იქით, საღაც ავტობუსი უნდა გაჩერებულიყო.

●

მაღლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა. კონშინდილ სიმონს ეძინა. მოპირდაპირე საჭიროები მითვლებილ მაკას სასოფთმალთან გადამლილი წიგნი ედო. ეს წიგნი გუშინ ქირურგ ხიჯაქაძეს თხოვა, მაკას თვითონ უნდოდა სცოდნოდა ზოგი რამ მამის დაუვადებისა. მაგრამ

ახლა ისე იყო დაღლილი, როცა ბიჭის და მამის ბიძაშვილი პალატიზიან გავიდნენ, კარებამდე მიყოლა ვერ შეძლო, მამინვე გულალმა დაწვა და თვალები დახუჭა. კარგი იქნებოდა ერთხანს არაერთ შემოსულიყო. დროდადრო, რაც გონიერში გაცვლიდა, ეს იყო, რომ მამას მალე დასჭირდებოდა მეორე ოპერაცია.

„ვერ გადაიტანს“, — და გრძნობდა მძიმე, ყრუ ტეკილს.

საღამოს შინ უნდა წასულიყო, ბავშვი დაეძინებია და სანამ ავტობუსი იმუშავებდა, უკან დაბრუნება მოესწრო.

ფრთხილად დააკაულნეს. მაკას არც კი ეგონა თუ მათთან იყო ვინმე. მერე უხმაუროდ გაიღო კარი.

„ოჟ, როგორ არ მინდოდა“, — მაკამ თავი მოაბრუნა, იქნებ ექთანიან და აღგომას არ აპირებდა.

ნუცი! დიდი ხნის უნაბავი მეგობრის შეხედვა მაინც გაუხარდა. მაშინვე წამოდგა, თითოს წევრებზე გაიარა, ავოცა.

— მაკა, შენი ჭირიმე, რავა ხართ?.. რა დაემართა სიმონ ბიძიას?

— რა ვიცი, რა გვიჭირს, ჩემო ნუცა, დაჭირე...

— არა, რა დაეძებ ჩემს დაჭირომას.

— თქვენ როგორ გიყითხოთ, ერთი წელია არ მინახარ...

— დაგავიწყდი, შენი ჭირიმე, მაკა! მაკამ გაუღიმა.

— არა, ჩემო ნუცა, კი არ დამავიწყდი, დიდი ხანია აქეთ არ ვყოფილვარ, რა ჰქენი, ქმარს არ შეურიგდი?

— მოისპოს მისი თავი!

მაკამ სახეში შეხედა, ნუცამ თვალი ააჩიდა და ავადმყოფზე ჰკითხა:

— აბიბენ, ხიჯაქაძე კარგი ქირურგია... შენ ყოველთვის ჰკევიანი გოგო იყავო... რომ გავიგე, ისე მეწყინა, ისე მეწყინა, დედას ვუკავა, თუ გინდა მამაჩემი ყოფილიყო...

— ექ!

— მე სად განდაბიდან გაეიგებდი, ვარ და ვარ იმ დასწვევ ფოსტაში მოელი დღე.

— ნუცა, სად არიან ჩევენი გოგოები.

Ճնշեծո՞ւ... Մեն ցառվանցիքա... յետո დա  
լոնին հրմ ցառացանց, զուպո, օլոմ  
հրմ ხարսին դակուա, եսց զուպո. უհան  
այ սահլո ցառացա.

— համու ցառացա մեր՞?

— ալծատ և նեցագոն ցառացան.

— ալսացաւ ան ցառացան, լայնա դա  
միգրում.

— ցոլու ան թեժուրտացս?

— հաջ լոնդ ցոլու. ցեցոն, սիս տո  
սետո մենքնօդա?

— հա զուպո, ագմունցի ուցանցին.

— հովենին հրմ հրչուս դա թեշտո,  
ան ցառվանցիքա.

— մարտարա թարցո?

— էո, լայնացան լու. հրչուս արակընու  
ան ստուցանցիքա, արւ նոնենցան դասի-  
րցիքա դա արւ լորդուն.

— հովենի ուսց եմբու դա մալալու?

— ահա, ցայսկից, անհրա յո, հրցորու  
ցանցացն, սիս, — նուպամ ելու մյերդուն  
ցանցուոց ցանցունց, — մելունուն թե-  
սամց ցոցա նեցենց, զամուն նեցեցու,  
նեցամու ոյո, ցարցից ցազամ, նոներա.

— հաս ֆայրոնիս?

— ան ուպո, հրցորուո?

— զուպո, սուլ ցանցուու հրմ դահի-  
նուուպո, մանուն ստոսակուունց ցացամ,  
ուրուու.

— դուռու ցամինչնու ծուուու ցար-  
դայցալա.

— հաս մեսնենի, մայրո?

— ամա, ցոցու! ոչացրա, հրցորու ոչացրա,  
նամնուն նեցու թոնցուու ուցուա անլու.

— սուռուս մերմումերու յո իցցան.

— սպառդա. գուճաւ ու ոյո մոսու դա  
մամաց.

— անլաւ ծանչմու թուշանիս?

— ամա, ցոցու! պայլա դաեթմարա, լու-  
լու նեցանցացն, նեցանցա?

— յորտեւլու ան մոնանցա. ամ որո  
թլուն թու ցեմեցի, նեց կոմ ցոյտե?

— մանուն էո, ցերսագ ցնանց, նեց եւ-  
լուցմու ոյո մընու.

— ահա, ցառնունից ամարցի.

— էո, էո, ամարցի դա ցորդու.

ամ նամտարնիս լապարակո ոյո, չշմեր  
Ծպացույթու միցացան.

— Ծպացույթո՞ւ?

— էո, մացրամ ան ցազուցու, յու գո-  
ւուս մոցունուու-մետքու.

— հա ոյո այ ցամուսացնու, դուռուս հա  
կուն մոնս նեցանցին! — ան մոցունու,  
հրմ ցարուու ան անենա դա սանամ նուց  
համեց ուրուու, դամումարտա, — Ծպացուն  
դասից նուն դուռուս արացուրո այցեւ.

— հաս ամեռա, մայս, չշմերնի նեց ու  
եռու ան ցանոնա, հոցնի ձեմարնի յալուշմու...

— նուց, նու ուրու ցանցուացնա, ըցունու  
յանենուս նորույուրու ցցընան կորուցեմ:

— արա, մայս, յարցու ցանուսա. գուլուո  
ման մօտերա, սօմուն ուշերալու ցամպա-  
տյուս.

— էո, ծոյս թուշանիս մամտան.

— դուռուս ուսցու դամեսիցնա ցաւուու  
ու սկեցուրցին դույցիմու...

— ոյնքն թարուու: նուն հրմ թեշտո-  
տուն.

— ահա, նեց ան մոռպազա նուցա! դո-  
ւուս յո ահա, աղմականմուն თացմիցումարնիս  
յալուշմուու, յալմուու նանաւու յիմու ցո-  
ցու. կուսան յարցաւու: մօնտուս դա տելու  
ան ցարցարա... — նուպամ եմաս լասիցնա.  
հուրինուուտ դա լումուուտ դամումարտա, —  
մցոնու ուսց սպառհանու...

— ան ցուցանցուու հառաւ ծայլունիս  
սուսւլուցուեցիս ուսցենցի.

մայս նուպալու նեցուրու. պահմուսայուտան  
ույնայրցուու մոցուու դա սանցու ցագուց-  
րցուու տուու նունց նունց պահուա.

„հաս աղմականցին յամունա, յուր նեց-  
ուու յօնմեց? յուու մացու ուսց ցամին-  
դա“. — մացրամ ամ ուսց հուս համուու-  
տուու, ան ուցուա.

նուց աջցա դա այսամպատու մուսակուու-  
դա.

— լմերտու, յարցաւ ամպուց! — հար-  
լամարցա, — մայս, սոյ նեցլուարուու  
մոցուու, նորուանի սամասնուու ցամ-  
ուիցուու.

— ուսց, հաս ամեռնի!

մայս ցուցանցու ցամունցու.

— մագլունցու ցամունցու.

— ամ ցուցանցու յուցու ցնանց, չշմե-

ბერმა მოხვედი, უჩემოდ ნუ წახვალო; არ დაუცადე, ვაფიქრე, მაკას იქნებ ეჭყინოს-მეთქი.

— იცის, რომ აქ იყო”.

— რა შენი მოყოლა უნდოდა, ბიჭის ხომ ახლდა!

— მართლა?

— ევონა, დავუმაღავდი.

— რა ვიცი, გოგო, ერთი წუთით შემოვიდა, ჩვენაან ხალხს შენ გამოლევ? ვერ დავდლაპარაკე. ჭანდაბას მისი თავი, შენი მმავი არც კი მიყითხავ. შეიღლი დიდი გაეგზრდებოდა.

— ზედი ბიჭია, — თავი დააქნია მაკამ, — აქ მყავს დედაჩემთან, სალამოს უწრება მიღიფე.

— უშენოდ არ იძინებს?

— ასაფრით. ჩემი დედამთილიც აქაა. დაწილის წინ თუ არ ჩნახა, მთელი ღამე იტირევეულებს.

— ენაცვალოს დეიდა.

მცირე ისტორიული ექსკურსის სახით შეიძლება შევნიშნოთ, რომ პროგრესულ მოლვაშებს ყოველთვის შესანიშნავად ესმოდათ ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობა. ამ აზრს იზიარებდა ყველა — დიდი ხალხის შეილიც და პატარა ერის წარმომადგენელიც. ბესარიონ ბელინსკი მართებულად შენიშვნავდა: „სამშობლოსადმი სიყვარული განუყრელი უნდა იქნეს კაცობრიობისადმი სიყვარულთან".

დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იყოთ გოგებაშვილი წერდა: „ვინც გამსჭვალულია დამამიანისადმი სიყვარულით, ის კეთილშობილურ გრძნობას ახორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, რომელიც უფრო ახლოა

მასთან, და, მაშასადამე, არის ჰეშმარიტი პატრიოტი. მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულით და სამართლიანობით ეყურება სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო ქმნის მაღალი მცნების განხორციელებას".

ასეთ კეთილშობილურ იდეებზე იზრდებოდნენ მუდამ ჩვენი ქალიშვილები და ჰაბურები, ასეთი კეთილშობილური იდეებით საზრდოობდა ჩვენი საამაყო მწერლობა. ამ საპასუხისმგებლო და ძალზე საპატიო პრობლემას მოქალაქეობრივი ვალს უხდიან ჩვენი ახალგაზრდა მწერლებიც.

ინტერნაციონალური სულისკვეთება მრავლი კუთხითა და ასპექტით ისახება მათ მხატვრულ შემოქმედებაში. პოლიტიკური ლირიკის ნიშნებით, მზარდი მოქალაქეობრივი პათოსით დაწერილი მათი ლექსები, პოემები თუ პროზაული წაწარმოებები კიდევ ერთხელ ამტკიცებენ აზრს, რომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები აგრძელებენ კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს და ამასთან ერთად ზოგ შემთხვევაში ახერხებენ ახალი, საკუთარი სიტყვის თქმასაც.

ჩვენი მწერლობის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები უშუალოდ არ მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში, მაგრამ კარგად ასწოვთ ის მძიმე და ძნელი დღეები. მათმა ბავშვურმა ბუნებამაც გადაიტანა ნგრევისა და განადგურების ქარიშხალი. დიდი სამამულო მოის მწვავე განცდა ხშირად უკავშირდება ინტერნაციონალურ მოტივებს.

ამ მხრივ საყურადღებო იყო ნოდარ დუმბაძის ლრმა ლიარიშმითა და ჰუმანიზმით აღსავს ნაწარმოები „მე ეხედავ მზეს“, სადაც მწერალმა დაგვიხატა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დატრილი რუსი ჯარისკაცი. რუსი ჯარისკაცის სახე ნოდარ დუმბაძემ თბილი ფერებით შექმნა და ამ სახეში ჩაქარივა უსაზღვრო პატივისცემისა და მაღლიერების გრძნობა დიდი რუსი ხალხისადმი.

თამაზ ჭილაძის ლექსში „ვეივიენ ლი“ ორიგინალურად არის გადმოცემული შევრჩება იმ ადამიანებისა, რომელთაც ომმა წაართვა სიყვარული, გაუმრუდა ცხოვრების გზა და ხეიბრად აქცია. სამშობლოს მოშორებით, ნისლიან ლონდონშიც კი მწვავედ გრძნობს პოეტი ამ ადამიანურ სატყივარს:

ვის ელოდები,  
ამ წვიმაში ვის ელოდები,  
განა ომები აპრონებენ მას,  
ვინც გაკარდა...  
სხედან ქუჩებში ხეიბრები  
და წაპატან ყოხებშე ნიკაპლაურნობილები.

ათასობით ახალგაზრდა კაცი შეეწირა ომს, თავი დასღო სამშობლოს ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის; სიმშვიდისა და ნათელი მომავლისათვის.

ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები და პოეტები ცდლობენ არ დაივწყონ ეს უდროოდ წასული დიდბუნებოვანი ადამიანები. ემზარ კვიტაიშვილი დიდი სიყვარულით წერს თავის თანატოლებზე, — სხვადასხვა ერის შვილებზე:

ბეერი გათელეს მხედრული შპარში  
ტრამალი ლურჯად ანბათლები,  
დღისთ და ღმისთ, ნისლსა და ქარში  
იყრგვანდნენ ჩვენ ტოლები...  
ვვირგვანად იღვას ამ მოგონებას  
მათი ცხოვრება კანკველად მნითი  
და დაქმებარ ვარდის კონებით  
მიწა მოვტინ სამარე მათი.

ახალგაზრდა შემოქმედთა მიერ წამოჭრილი ბეერი საკითხი გადაწყვეტილია სწორედ ინტერნაციონალური სულისყველებით, რადგან მშვიდობა არ შეიძლება ერთი რომელიმე ადამიანის ან ქვეყნის კუთხით იყოს. მშვიდობაზე ოცნებობდა და ოცნებობს კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

საუკუნების მანძილზე ადამიანების დაუდალავი შრომით მიღწეულსა და მონაცემების მოვლა, პატრიონობა, მატება კირდება. ზურა ბოლქვაძეს ღრმად სწავას, რომ ჩვენი პლანეტა გმირჭვებული გამოვა ყოველგვარ ბოროტებას-

თან ჭიდილში, რადგან მშევიღობა ადამიანებისათვის ისევე აუცილებელია. როგორც ჰერი და სიცოცხლე:

ჩვენო ჭალარი, გალკეთოლო, წყარო  
პლანეტა,  
შენ მოფერება, მოურთხილება, მოედა  
გვირჩება!  
ოუჩიცა უმაღლერთ იმებით სურ შენი  
წალევა,  
მაგრამ ვა მას, ვინც იმებით შეეგვიდება!  
ხალხთა მშვიდობის უძლეველი ნათელი  
გმოსავს...

პოეტს ღრმად სწავს, რომ უბრალო ადამიანებს არა სურთ ომი, მათ ისევ ახსოვთ საძმო საფლავები, გაღამშვარი სოფლები და ქალაქები, ბაჟშვის ლიად დარჩენილი თვალები, სახელჩობელათ რიგი, თაობების სულიერი გაპარტახება, მომავლის ცხოველური შიში და აკვამლებული საკონცენტრაციო ბანკები. ადამიანების უპარველესი საზრუნავი უნდა იყოს შრომა, სიკეთის, სისხის, ბენდიერების მომტანი შრომა. ამიტომ ამბობს ზ. ბოლქვაძე ლექსში „მომავლის გზები“:

თუ მიწას მაინც უნდა ატყინოთ,  
ხელულოთ ატყინოთ, არა სამირით...

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების სულიერი სამყარო და შემოქმედება თავისებურად გაამდიდრა მოგზაურობამ, ახალი ქვეყნებისა და ადამიანების გაცნობამ, მათთან უშეალო ურთიერთობამ, გულითადმა შეხვედრებმა. ჯანსულ ჩარკვიანის მოგზაურობა იტალიაში არ იყო ტურისტის უბრალო მოგზაურობა დიდი წარსულის შექნე ქვეყანაში. ეს იყო სიახლის შევრჩების, შედარების, მართალი დასკვნების დღეები. სწორედ ასეთმა ურთიერთობამ, ნანანისა თუ განცდილის პოეტურმა აღქმამ შექმნა ლექსების მთელი ციკლი, რომლის ყველა სტროფში ჩანს ახალგაზრდა კაცის ინტერნაციონალური სული და თანამედროვეობის ამერყველების უნარი.

იტალიისადმი მიძღვნილი ციკლი მთავრდება ლექსით „ჩვენ ისევ მოვალთ, იტალიავ!“ პოეტი აღფრთოვანე-

ბულია იტალიით, მისი დიდებული რომითა და კაპრის კუნძულით, ზღვითა და საოცრად მელოდიური სიმღერებით. ამ სილამაზის შეგრძნების გვერდით პოეტს აწვალებს მშვიდობასა და ადამიანების მომავალზე ფიქრი, რადგან მან იტალიაში მხოლოდ ზღვა, ბრონეულები და სიმღერები როდი ნახა, ადამიანებისა და ქვეყნების დაახლოების საფუძველი მშვიდობაა, რომლის შესანარჩუნებლად, დიდი საშვილიშვილო საქმის გასაკეთებლად ყველამ უნდა იზრუნოს:

მე ისე მოვალ, სორენტო, შენთან  
და უეს სიმღერებს კამწავლი ჩემს შევას,  
თუ დაცალეს მსოფლიოს ფერება —  
შენ ვარსკვლავით იქნები ჩემში,  
თუ მოვუარეთ დიდ წუთისოფელს,  
თუ სიყვარულმა იარა წაღმა,  
თუ არ უტრის ჩემს შევლებს ყოფა,  
თაკოც გნახავს და ჩამუკაც გნახავს.

ინტერნაციონალური სულისკვეთებითაა გაედღენთილი ჯანსულ ჩარკვიანის ვრცელი ლექსი „სისხლი და კოოლი მონგის ხუთი ფოტოსურათი“, რომელიც მეცნობრობისა და მშვიდობის ჰიმნივით გაისმის.

1961 წელს, მოსკოვში, მსოფლიო ახალგაზრდობის პირველ ფორუმზე მონაწილეობდა ტუნისის ახალგაზრდობის წარმომადგენელი. მისმა ნაამბობმა და ჩამოტანილმა სურათებმა პოეტზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

მშვიდობიანად ცხოვრობდა ტუნისი, მაგრამ მოინდომეს მისი ფეხევეშ გათელვა. პატრიოტი ადამიანები წინ აღუდგნენ „სიმართლითა და მზით საესე“ ბიზერტის დამონების ცდას. ისინი გმირულად დაიღუპნენ, არ დათმეს არაბეთის ცხელი მზით განხურებული მიწის არცერთი მტკაველი. ერის დამონების სურვილით შეპყრობილმა მომხდურებმა უმწეო ბავშვებიც არ დაინდეს და ახლა „ქუჩაში გდია ბიჭი პატარა“. სიკედილმა იმსხვერპლა პატარები, რომელიც თოვინებს უნდა აცმევდნენ კაბებს და უდარდელა თამაშით ერთობოდნენ მზიან ღლები.

მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები მშენ სოლიდარობას უცხადებდნენ ყველა მებრძოლ ხალხს, მოითხოვდნენ საყველთაო მშვიდობას. ასეთი სასიცოცხლო რიტმითა და მეგობრობის გრძნობით გამსტყვალული კ. ჩარკვიანი ხმამაღლა აცხადებს:

მაღალა და მაღალა,  
გზებით და გზებით,  
მშეულში ჩენი შეერთ იალოს,  
მართალი გზებით,  
ახლი გზებით,  
ძმები, მშეიღობის გზებით ვიაროთ.

ახალგაზრდა პოეტს ლიინა სტურუას უყვარს მშვიდობა და მზიანი ამინდები, მეხდაუცემი მუხების შრიალი, ბავშვების ნათელი სახეები, მათი უდარდელი ძილი და სიზმრები. მას არ სურს, ადამიანებს ბნელი მომავალი ელოდებოდეს, მამებს ერთი წუთითაც არ ასეუნებდეთ „შიში თავისი შეიღობი გამო“. ბუნებრივია, რომ პოეტი ქალი, როცა ხედავს უდრტვინველად მოთამაშე ბაგშვებს, ნატრობს, „არასოდეს არ განმეორდეს ის, ათას ცხრას ორმოცდაერთი...“

მშვიდობისათვის ზრუნვაშ ერთმანეთს დაუახლოვა სახელმწიფოები და ადამიანები. საბჭოთა კავშირის მიერ სოციალისტური ქვეყნებისადმი, მეგობრულად განწყობილი ქვეყნებისადმი უანგარი ეკონომიური დახმარება სწორედ საყველთა მშვიდობის განმტკიცებისათვის არის გამიზნული. „ჩენ ეგვიპტეშიც, ინდოეთშიც, კამბოჯაშიც და კორეშიც სამშეიღობოს ვაგებდით კაშხალის“, — წერს ნოდარ გურეშიძე. ადამიანის აზროვნებას, სიკეთეზე ფიქრს დედამიწის არნახული გარდაქმნა-გამშევნიერებაც არ გაუჭირდება; ვაგბისა და მწუხარების ნაცვლად ადამიანების სახლებში დოვლათი და ბარაქა იმატებს, მშვიდობიანი და მეგობრული განწყობილება დაისაღვურებს. ამ აზრს გამოთქვას ნ. გურეშიძე ლექსში: „დედამიწის გეოგრაფია“. პოეტი ოცნებობს, რომ ყველა ადამიანისათვის საერთო პლანეტა მხოლოდ სიყვარულის, სიამაყის, სი-

ლამაზის და სიკეთის სიმბოლო იყოს, რომ მეცნიერობამ მაინც თავისი გაიტანოს:

ქვეყნად ზღვასაც  
ულეველი იქნება პური,  
ოლონდ კი იყოს  
შვიდობა და სიკეთე ძმერი.  
ოლონდ კი აღსდგეს  
საშვიდობოდ სამყრო მთელი,  
უკელაშ ერთმანეთს  
შვევნერულად ჩასჭიროს ხელი.

შშვიდობის თემა ახალგაზრდა შემოქმედთათვის ერთ-ერთი უპირველესი, ორგნული თემაა. მათ ნაწარმოებში იგრძნება დიდი იმედი, რომ კაცობრიობისათვის სანუკვარი მშვიდობა დაცული და განმტკიცებული იქნება, დედამიწას ახალი საფრთხე აღარ დაატყდება თავს:

რომ შედამ ასე კარგი დარჩება,  
რომ შედამ ასე შევანე დარჩება  
და არასოდეს შეიძლება  
ისისფერ ჩილში ნაზად მცურავი  
ჩევნი აზრი და მშობელი დედა  
ულაშები პლანეტა ჩევნი.

ეს სტრიქონები ემზარ კვიტაიშვილს ეკუთხნის.

ახალგაზრდა ქართველი მწერლები დიდ ინტერესს იჩენ მშვიდობისა და ხალხთა ბელნირებისათვეს მებრძოლი საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი. მაგალითად, თამაზ ჭილაძის ლექსი „შენი ჩხა მესმის“ ეძღვნება ესპანელი ფაშისტების მიერ საპყრობილები ვერაგულად მოკლელი ახალგაზრდა პოეტის მანუელ მორენო ბარენცის ხსოვნას. თ. ჭილაძე მეგობრული სიმპათითა და იმედითან სიტუაციებით მიმართავს უდროოდ დალუპულ თანატოლს, ვისი სიცოცხლის უკვალოდ მოსპობაც ვერ შეძლეს ბოროტმოქმედებმა:

და ვერ ჩაგაქრეს... შენი ჩხა მესმის,  
ცეცხლში იწროობა ჩხა და გონება,  
მიიღვ ჩემი მართალი ლექსი  
შენი სიცოცხლის განმეორებად...

მანუელ მორენი ბარენცის სახელს განადიდებს აგრეთვე ოთარ ჭილაძის ლექსი „სამრეკლოების მდუმარე

ჩრდილში“. პოეტი ღრმა პატივისცემით მიმართავს ახალგაზრდა მებრძოლს, რომლის სისხლიც „დაინაშილეს ციხის კედლებმა, როგორც ღრმოშები“. იგი სიძულეობით იხსენიებს ჯალათს, მის ცოლ-შვილს, საერთოდ ყველას, რომელთაც დაღუპეს თავისუფლების, სიკეთის, „მზის მოტრუალე და მომლერალი“ ახალგაზრდა კაცი. ლექსში ო. ჭილაძის ადამიანური ნატერა ჭეშმარიტად ყველა ადამიანის ღალადისივით გაისმის: „მომავალ შვილებს ნუ გამოყვებათ მამების ბედი“.

ო. ჭილაძესვე ეკუთხნის ამერიკელი თანატოლისადმი მიძღვნილი ლირიკული პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში“. ინტერნაციონალურ სულისკეთებასთნ ერთდა ამ პოემში კარგად გამოვლინდა ღრმა მოქალაქეობრივი პათოსი.

„იშვევსტრიაში“ გამოქვენდა ცნობა, რომ პანაძის არხის ზონაში ჯარსა და დემონსტრაციებს შორის მომხდარი შეტაკების დროს ერთმა ახალგაზრდა ამერიკელია ჯარისკაცმა — კრუს ხიმენესმა უარი განაცხადა მონაშილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჭიში და იგი თავისისნებმა შეუბრალებლად მოკლეს. ცტორედ ეს იქცა პოეტის შთავონების წყაროდ.

„არ შეიძლება, რომ მტრები იყვნენ უარიალო დემონსტრაციები. არ შეიძლება, რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი“. ახალგაზრდა ამერიკელ პატრიოტს სურდა სიცოცხლე, სილამაზე, სიყვარული. იგი მოჰელი არსებით გრძნობდა მშობლიური მიწაწყლის დამცველი ხალხის დიდ სიმართლეს, ვაჟაცურად ჰერნდა გადაწყვეტილი დამდგარიყო სუსტისა და დაჩაგრულის მხარეზე. სოლიდარობის გრძნობით აღვსილ ჯარისკაცს არაფრის არ ეშინდა, არ ეშინდა მისკენ მუქარით მიმართული აეტომატებისაც კი, „რადგან სიკვდილი ერჩია მინც მონობის ულელს“.

საკუთარი სისხლის გუბეში ჩამხმილი კრუს ხიმენესის სიკვდილი მოწოდებასავით უქმობს ადამიანებს. ოთარ ჭი-

լուսնի პողմու տալցանշրջա զմորո պա-  
ռա արամեանիս քանչառնագ պքանցեն:

Վարդուկսը ըստ լուսնա պալա, ամսաց  
սածութեա Մյահի և պատահ. ամսաց  
սամշածու պատահ և գուլունն, աղար  
թառաց վարժու թալա. ար լուսամուրու  
առամանու պալա աղար մոնացան,  
պալա նասութե բան նասութ:  
տայսեսպալլեն:

Կապտմոպարք. ոնքրենալուսնալուրագ  
ճա պամանշրջա գանցպանօլո տալցանշր-  
ջա զմորո, մյերույցու տալցանշրջանօնիս  
մեցնենշուլո նախունու թարմանացնենու  
յիւս համեյնսա ուղարաձաւ ար նախուն  
սոցացուն, հացան կրտուն սայմե պա-  
լուն ար ոյարցեա մյացնագ, ոյո անցեր-  
մոյու հիեցա առամանշեն, մալասա ճա  
հիմենաս թարեն, մուշունցեն պացեսո  
մոմացլուսայքն, „ար հոգորու թագուան  
մոռու թագուան գալաշետ ուշուն եցեն,  
այ գագագու գնունան գնուն իցեն  
ոյիշեցի ճա սուրցունցեն”.

Մյար նուգացիւ գայունենշուլո սած-  
կուտա պաշմունու մրացալուրուցան ხալեց-  
ենս մմոնա.

Հրցան մաթույցու լոյցին ՝Պուրս ճա  
պայտակապ”, տայս սոցիսալ մեցնեանս ուլ-  
յաս սուլումունց մոմանտաց:

Ըստ իշմ մյցանան ճա մոնանեն,  
շունս տաշարուն ուրամու յրուա...  
...մյերունցու տետր ծարալցեն  
սուլու ուսցու գայշետ թիոալու  
զարութեանց սարացնեց,  
թարունու մուշուն, պայսան, մարունու  
ճա ուլյ ամ սուլունու նոյսիտեն յիւտալ  
զցունեն մմոնա ճա սոցարուն.

Նոյսուր տալցանշրջա մյերունու գնուն  
հիեցնունշուլու տայս նախումութեն —  
„սոցացուն մութեն” ճածարունու պյեն  
սեցանսեց յրունենցենս առամանու Շո-  
հունու շմարան շրտուուրունօնիս, տանցրծ-  
նոնիս, կոնդիյենու ճամպարցեն նոյսա-  
նունցու սուրատո.

Ցըրմանցլմա մյերուալմա ալուրեգ պա-  
րուլու եցեսուրուտու յըլունցան մոմիս  
մոմանա սայցարուն մուշուն. մու մյե-  
նարցենս ուստարունցեն եցեսուրուց, յե-  
րո, պատ, շուրամո. ամ մմոնց թուութեն:

Ալուրեգ կուրելասատուն յը գունու ճա  
դալուրունցարու ճաթմարեն ոյո. Շետամեց-  
ք-  
ճացու յարուուլո զուլշեմարուրունիս  
մոմանու նատյամո մոսո նուրպանցեն:

„...ուր թուլու, հաւ յըլանց կուրելա  
հիմու մյելուն, ու եսու մյուլու գունու.  
մյերունու ուրու, ալուրեգ կուրելասո.  
ու տայսուտացաւ ճալուն սանտէրուրուն  
առամանու ոյո, յեմու. ծյերուս սուլութելլո  
յենսուն մաս, յըլանց մալուն պացարդա  
սածուուտա կայմուն, սածուուտա ხալեն ճա  
գանսայութուրունիտ կայմասու, սայահուցու.  
ու այսանցուս թուեթեն բայցուրուն  
ճա մյունանց այման սամու թուլո.  
ու հիմու պալա այսուտ սալուրուն մյունան  
ոյո... մյ ուրմյուսան մագլունցելու զար,  
եցեսուրուն, տյցեն, ուլութցսան. ար մյ  
ճա ար հիմու ხալեն ար գայունցեն  
տյցենս ամացս”...

1965 թուլ, շուրնալ „Կուսկուս” թե-  
տուրմեյք նոմերթեն, գամոյցայնճա  
տալցանշրջա մյերունու մերան յըլունի-  
նունու մյեսանունեցու մեսարունուն  
նար-  
կացու մոցանարունա ճա ենոյատու. այ նա-  
տել, խալուսուն յոյրեթեն, տայսություն  
ումորուտ, մալունարունենցեն ճալուն  
մոմմյ անցրանցանեց նալետան մյ-  
ցանցունա.

Չոտեն մյցնեան նացու մուլունց  
մերունշեց. թից պալ հիանու. ճալունուն  
ճա մյույրու միւնու մատ յուուլ  
մոցանցուն յուլունց պարալու անցր-  
անցանելու յոլությունեն, հոմելուց նաց-  
մի մոցու յուլունուն մյունանցեն ճա  
մուսանցունցեն:

„...ուրութելլու, ճատուունցեն յու-  
շունու յութեն նացուն ճա սուլ ալու-  
յունի սալունմուն” մակուտու պուլուտ ու մը-  
րու ալմարտո, հոմելուն յեթեցու յը պա-  
րահուրուն սերմարտունցար անցր-  
անցանելու յոլությունեն, հոմելուց նաց-  
մի մոցու յուլունուն մյունանցեն ճա  
մուսանցունցեն.

შარშან გამოქვეყნდა დავით ჯავახი-შვილის ვრცელი მოთხრობა „კეთილი იმედის კონცხი“. ეს ნათელი და გულ-თბილი ინტრანციით დაწერილი მოთხ-რობაა. აეტორს კარგად ემარჯვება ხა-სიათების დახატვა, პერსონაჟების სუ-ლიერ თვისებათა გადმოცემა. ზღვის-პირად მდებარე ადგილას, რომელსაც რომანტიული სახელი, კეთილი იმედის კონცხი ჰქვია, ჩამოდის პატრია გეოლო-გიური ექსპედიცია. მუშაობის ერთფე-როვან დღეებთან ერთად მათ ცხოვრე-ბაში ბევრი სიათლეა. შემდევ მა მცი-რერიცხოვან ექსპედიციას ორგანულად შეურთდება იტალიელი ფიზიკოსი ბრუ-ნო სკიაური, რომელიც დროებითაა ჩამო-სული რუსთშვი სამუშაოდ და იმუმად ისკვენებს ზღვაზე უცხოელებისათვის განკუთვნილ პანიონატში. გულია. მნენ და უშუალო ხასიათის იტალიელი ყველას მოეწონა, მათ შორის მოთხო-ბის მთავარ გმირს — გურამაშაც.

ქართველი გეოლოგებისა და იტალიე-ლი მეტნიერის მეცნიერობას მტკიცე სა-ფურველი ჩაეყარა. იგი მოელი საათო-ბით მუშაობდა ექსპედიციასთან ერთად, ეძებდა და ახარისხებდა მინერალებს; ისე მოწინნ სამუშაო, რომ ექსპედი-ციის უფროსის „ელენეს ერთგულ თანა-შემწედ იქა“. იტალიელი და ქართვე-ლები ერთმანეთს ხვდებოდნენ პლაზტე, სუფრასთან, საცეკვაო მოედანზე. ერ-თად მღეროდნენ, ამბობდნენ საღლევ-რელოებს, იტალიელი მკურნალობდა „დიდ“ ნუგზარს.

აეტორი ცდილობს დახატოს სხვადა-სხვა ეროვნების ადამიანთა მეცნიერობის სურათი და შესანიშვნად ახერხებს კი-დეც. მას ბრუნო სკიაური ინტერნაციო-ნალურად განწყობილ პროგრესულ ადა-მიანად გამოჰყავს. იტალიელი მძიმედ განიცდის, რომ მისი სახელოვანი ქვეყანა აწმყოთა „მანიდამაინც ვერ დაიტრაბახებს“. კულტურის საქმე არ მიდის წინ, ბევრი ისტორიული ძეგლი კატასტროფის პირამდეა მისული. და ეს იმ დროს. — დაძინია შან და მაგი-

დაზე მუშტი დაარტყა, — როცა შეიარა-ლებაზე ფანტასტიკური თანხები იხარ-ჭება! განა ეს იდიოტიზმამდე მისული უაზრობა არ არის, ბატონებორ?!“

ექსპედიციის ცველა წევრი „საბო-ლონდ მრავალოვა ამ სინტერესო, ენერგიულმა ადამიანმა, რომელსაც ცვე-ლაფერი ერთნაირად ახლოს მიქმენდა გულთან, ყველაფერი, რაც მას სამშობ-ლოს ეხებოდა...“ ბრუნო სკიაური დიდი პატივისცემით იხსენიებდა მისთვის „ეგ-ზომ მშობლიური ბუნების ხალხს“, რო-მელიც მას გულბილად ხელებოდა და-კურადღებით მასპინძლობდა“.

ერთ ღრუბლიან დღეს, როცა ექსპე-დიცა ზღვის პირას მუშაობდა, ელენეს-დასახმარებლად და გასართობად მო-სული იტალიელი ფიზიკოსი აღლვე-ბულმა ზღვამ გაიტაცა: გურამი დაუ-ფიქრებლად გადაეწევა მრისხანე ტალ-ლებში, ცოტა ხნის შემდეგ მას „პატრია-ნუგზარიც მიეშეველა, მაგრამ ისინი აპო-ბორებელი სტრიფიან ვერ შეძლებდ-ნენ ვამსკლას. ბეჭდე ვერტმფრენი-რომ არ გამოჩენილიყო. ორმა ქართველ მა ვაბუქმა საკუთარი სიცოცხლის სა-ფრთხეში ჩაგდებით გადაარჩინა მეცნი-ბარი იტალიელი. ყურადღებისა და მკურნალობის შედეგად ბრუნო სკიაუ-რიმოგზობინდა. „მან იტალიელი ხალხის სახელით მეტასეკურ მრასხან მაღლო-ბა არა პატრი თავის უშესალო მხსნე-ლებს. არამედ მათაც, ვისაც იმ დროს. როცა ბრუნო უგონოდ იყო, უზომო-კურადღება და სიუვარული გამოუჩენია, მის მიმართ.“

სიყვარულის გრძნობა. ისევე რო-გორც მეცნიერობა, მათლებს და აფა-ქიშებს ადამიანებს, ქმნის თბილ განწყო-ბილებას.

რომანტიკული ქველი ტალიძი იზიდუას თამაზ კილაძის პოეტურ ფანტაზიას. იგი დაილის და გრძნობს ღამეულ ქალაქს, მის აწმყოსა და წარსულს. ამ შეგრძნებას-თან ერთად მის სულს არ სვენებს სიყ-ვარულის მოზღვავება, რომელიც ყო-

ველ ფეხის გადადგმაზე ხელება და ელოდება მას:

და კრამიტებით ვადაურულ ჭიშკრებზე  
თითქო,

შენ სახელი ამორწვათ  
და მე ვაწყდები,  
ეჩოებს, სახლებს, სამრეკლოებს, გრანტებს...  
სკოტებს...

ამ ცოტა ხნის წინათ დაიბეჭდა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის გურამ გეგე-შიძის პატიარა მოთხოვნა „მიჯნური“. მოთხოვნის გმირი მერაბი სწავლობს უცხო ქალაქში. იგი მარტოა. უზარმაზარ ქალაქში ცელებზე მახლობელი მისთვის რუსი გოგონა ნატაშაა. მერაბს უყვარს ნატაშა. მასთან უბრალო უთანხმოვნა მოსვლია და ახლა ფიქრობს მასზე, ფიქრობს, რომ სამსახურის დამთავრების შემდეგ „ისინი გამოვიდონდნენ“ და ისეირნებდნენ. სანაბიროზე გავიდონდნენ, შეიძლება ჩამსხდარივენ გეში და მდინარის გრილი სურნელით და მწვანედ აბიბინებდულ, მაღალი ნაპირის ცეკრით დამტკარივენ“. თბილისელი მეგობრის წერილიდან მერაბმა შეიტყო რომ გათხოვილა მისთვის ოდესაც ძეირფას აჩხება. ასეთ მძიმე წუთებში მერაბს მხოლოდ სიყვარული თუ უშეელის. მას მთელი არსებოთ უნდა ნატაშას ნახეა. „სისულეულე რაღაც უბრალო ამბისათვის წაგინელებება და იმის ლოდინი, თუ ვინ იტყვის პირველად უძრა უოვლად გაუმართობებლი, უაზრო და ყალბი თავმოყვარების დაქმაყოფილებაზე, მპშინ როდესაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ამბები ხდება უკველი ადამიანის ცხოვრებაში“. მოთხოვნის გმირი ნათლად გრძნობს, რომ მისთვის ცელებზე ძეირფასია რუსი გოგონა, ახალი და ძლიერი სიყვარული, ძეელი კი ტკივილად და გახსენებად ჩეხება.

მსოფლიო კეთილი წების ადამიანებს ახლოებს მეგობრობა, სიყვარული, საერთო საზრუნვა, კაცობრიობის მიერ წლებისა და საუკუნეების მანძილზე შექმნილი კულტურა, კულტურა, მწერლობა, ხელოვნება ადამიანთა შო-

რის გადებული მყარი ხიდია, იგი ხშირად ერთ პრიზმაში გარდატეხს აღამიანთა რთულ ფიქრებსა და მისწავლებებს. ასეთი, შოთა ნიშნიანიძის აზრით, კაცობრიობისათვის ამერიკელი ხალხის უდიდესი შეილი უოლტ უიტენი, რომლის ნაზრევი სინათლესავით ვრცელდება მთელ მსოფლიოში. „სინათლესავით სიკეთის და სითბოს მოთხავი“ უიტენი მახლობელია ქართველი პოეტისათვის, იგი საუკეთესო თვისებათა გამოხატულებაა, იგი მაღალი იდეალებისაკენ მოუწოდებს ცველა შემოქმედს, მოუწოდებს ძმობისა და სიყვარულის სიმღერებისაკენ:

პუშკინის ცენტრი, ბალახებს თუ ბიბლიურ შეკრებს —

ჩვენი გულები ერთი აზრით და სუნთქვით გვერდი.

დროსა და მანძილს ჩვენთვის ხელი არ შეუშლია.

ვიცი: ცელებურის გამართლება სიყვარულისა, ესადება სიყვარული ულლად და ლერწად მთელ სამყაროებს, არა მარტო ბალაზის ლერსა.

და, პოეტებსა და ინგენიორები გაცინს რტოვადა: შენი სინჭისი, სულგარელობა და სათონება.

ხალხთა მეგობრობაზე წერისას ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს წინა პლანზე აქვთ წამოწეული პატრიოტიზმის გრძნობა, უსაზღვრო სიყვარული საკუთარი სამშობლოსადმი. ამ მნიშვნელობითი ჯანსულ ჩარკვიანის წინასიტყვაობა წიგნისათვის „უერადი მერილინგები“: „მე ჩემი ქალაქიდან პირდაპირ საზღვროგარეთ მა წავსულვარ, წერ ჩემი ქვეყანა მოვიარე...“ „მე ცესზე მდგარი რომ გდარაჭობ, იმითი ვცოცხლობობა“. —აცხადებს იგი. გ. ჩარკვიანი ფიქრობს მამულზე, მზის მხურვალებასა და მარად ულრუბლო ზეცას უსურვებს მრავალტანგულ სამშობლოს, მიზნად ისახებს მთელი ცხოვრება, სიცოცხლე თუ შემოქმედება საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას მიუძღვნას.

არც ნოდარ გურეშიძის სტრიქონები გაისძის ღიტონ სიტყვად: „ცელებან, სადაც ვართ, შინა თუ გარეთ, მუდამ

გულში გვაქეს სამშობლო მხარე", ეს არის აზრი ცველა ქართველი შემოქმედისა, რომლებიც ცდილობენ ყოველთვის იყვნენ საბჭოთა საქართველოს, რუსთველის ქვეყნის ღირსეული წარმომადგენლები.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგჯერ ლექსებსა თუ მოთხოვობებში თავს იჩენს ერთვარი ზერელე მიღომა თემისაჲმი, ინტერნაციონალურ გრძნობასა თუ პატრიოტიზმზე წერა ვერ იტანს არათუ ზებლონსა და ტრაფარეტს, უნდოი სიყალბესაც კი. კარგი ლექსია, მაგალითად, ოთარ კუპრახას „სად ამ მივლია...“ თითქოს ცველაფერი რიგზეა, გასაგებია, რაც სურს ნიჭიერ პოეტს, ფინალიც არ არის ცუდი. მაგრამ ზოგიერთი სტროფის კითხვისას მაინც უკმაყოფილებას გრძნობთ. ეს გამოყენებულია სამშობლოსა და საზღვრგარეთის ქვეყნების სურათების დამირისპირების მეთოდი. ეს საქაოდ ცნობილი ხერხია, ამას თითქმის ცველა პოეტი მიმართავს. ზოგს მაგალითად, უცხოეთში ნანახმა მდინარემ გაახსენა მტკვარი ან რიონი, მთამ — თრიალეთის ქედი, ტაბარმა — სევერიცხველი, საწერებელმა — ტყემალი და ასე შემდეგ. იმავე მეთოდით წერს ო. კუპრახაც. მაგრამ ვერ გვარშმუნებს, რატომ სუველადებოდა თვალები, მაგალითად, ვაშვე ფიქრით. მის პატრიოტულ გრძნობებში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ გადაწყვეტისა და გამოხატვის ფორმა ვერ არის დამაჯერებელი:

თეორ პინდურშთან რევლი ნაცნობი უშის ღრუბელი მომღანდებია, განგის ჩაპირას მოღწე გაწოლილს მშაბლობ სუნი მომნატრება. პირდოს ვაშებთან ოჯჩის ქველშავზე ლარელით თვალები დაშველებია, რომის საყდართა ზარების ხმაზე ჩემი სიონი გამხსენებია.

ინტერნაციონალურ თემებზე ლაპარაკი და წერა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. სუსტად დაწერილმა ლექსმა თუ მოთხოვობამ შეიძლება სასაჩვენებლოს

ნაცვლად, პირიქით, ცუდი როლი მოისახოვს. მაშინ, ამიტომ საჭიროა მეტი სიფაქიზე, დაკვირვება, სათქმელის მაღალმხატვრულ გაღმოცემა. ეს დეკლარაციული განცხადებებისა თუ სალოზუნგო ფრაზების გამოყენება აუბრალოებს, აუფერულებს სათქმელს, ოდნავადაც ვერ აღწევს მიზანს. ასეთად მივვაჩინია თუნდაც ახალგაზრდა აერორის ჭ. ქათამაძის ლექსი მიღლინილი მეგობრობისადმი, სადაც არც თუ ურიგო იდეებია წამოყენებული, მაგრამ კვლავ უხერხულობას აწევს გადაწყვეტის ძეთოდი და მხატვრული სრულყოფის საკითხი:

უძმოთ ცველა ტომს:  
ფრანგს,  
არაბს,  
თუ ზანკს.  
წინ ალევლევო ის,  
მტრობასა და შხაშ...

დასასრულს, გვინდა კვლავ გავიმეოროთ, რომ ინტერნაციონალიზმის თემა უაღრესად საბასუჩისმგებლო და სერიოზული თემაა, ეს იდეურობა და მხატვრულობა პარმონიულად უნდა შეერწყას ერთმანეთს. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ხშირ შემთხვევაში ახერხებენ ამ ამოცანის გადაწყვეტას. ჩვენდა სასიხარულოდ, იშვიათია ისეთი ქართველი ახალგაზრდა მწერალი, რომელიც მონღომებით არ ცდილობდეს შემოქმედებითი ვალი მოიხადოს ინტერნაციონალიზმის თემის წინაშე. მათ შემოქმედებაში ორგანულად იჩენს თავს ხალხთა მეგობრობის ეტრალური ცხოვრების სული საკითხები. ახალგაზრდა შემოქმედები გრძნობენ ამგარი მიმართულების დიდ სასიცოცხლო მნიშვნელობას გრძნობენ, რომ თავიანთი ნაფაქტითა და ნაზრევით გარკვეულად უწყობენ ხელს მომავალი თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას და ამით უპასუხებენ კომუნისტური პარტიის მიერ დაყენებულ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.



## გივი ბახამიძე

### ლაპარაკობის «ხოგაის მინდია»

(რუსთავილის სახელობის თიატრის აჩალი სპექტაკლი)

ლუდიო სავსე თასი მკერდიან სათუ-  
თად მიიტან და მოქრძალებით დააც-  
ქერდა, შემდეგ თანამოძეო გადავლო  
ოვალი. ცველა გაინაპა მინდიას სიტყვის  
მოლოდინში. ის დაფიქრებული ცუც-  
რებს ხან თასს და ხან თანამოძეო, თით-  
ქოს სურს თავისთავიცა და სხევბიც და-  
არწმუნოს, რომ რაც მას ხელთ უპყრია,  
„ცოცხალთა სისხლის“ გარეშეა შექმნი-  
ლი. ცცებ სახეზე ღიმილი აუთამაშდა,  
ოვალებში შექი ჩაუდგა, წელში მაყად  
გაიმართა და ომაჩინად წამოიძახა: —  
„ვაზაფხულს გაუმარჯოს, სიყვარულს  
გაუმარჯოს!“

ვისხენებთ ამ ერთ პატარა ფრაგმენტს  
სპექტაკლიდან და გვინდა ვირწმუნოთ,  
რომ ეს სიტყვები სცენიდან კი არა, ქარ-  
თული მთის — ამ სიბრძნისა და სათნოე-  
ბის მწვერვალიდან გაისმა. და ჩვენც  
სწორედ ეს მიგვაჩნია მთელი სპექტაკ-  
ლის ფედააზრად, მის მამოძრავებელ  
ლერძად.

ქართველი ხალხისათვის ღდითვანვე  
სათაყვანებელ მცნებას წარმოადგენდა  
სკაცობრიო გაზაფხული, რომელიც ჰუ-  
მანურიბის, მშვიდობის, თავისუფლები-  
სა და სპეტაკლი სიყვარულის გმარჯვებას  
გულისხმობს მუდამ. ყოველ იდეალურ

გმირს აკეთილშობილებს ეს მისწრაფე-  
ბა, ხოლო მინდიას პოეტური სახე სწო-  
რედ ერთი იმათვანია, სასოებით რომ  
შემოგვინახა ქართულმა ფოლკლორმა  
და ლიტერატურამ.

ქართულ ლიტერატურაში მინდიას  
სახის დიდი მნიშვნელობა უკვე გარკვე-  
ულია. ამ მხრივ ღიდი ხანია ნაბიჭი გა-  
დადგა ქართულმა თეატრმაც. თავის  
დროზე ვაკა-ფშაველას ლიტერატურუ-  
ლი წყაროს მიხედვით შექმნა პიესა  
„ლამაზა“, რომელიც რუსთაველის თე-  
ატრში დიდი წარმატებით განახორციე-  
ლა სანდრო ამერელმა. მაგრამ ასლა,  
როცა რუსთაველის თეატრმა კვლავ  
დადგა მეორე ღიდი ლიტერატურული  
ნაწარმოების — კონსტანტინე გამსახურ-  
ლიას „ხოგაის მინდიას“ მიხედვით შექმ-  
ნილი პიესა, უკეთესი შესაძლებლობა  
გვეძლევა პიესისა და სპექტაკლის ღო-  
ნეზე ვიმსჯელოთ არა ისტორიის, არა  
მედ უშუალოდ წაკითხულისა და ნანა-  
ხის მიხედვით.

ხელთა გვაქვს კონსტანტინე გამსა-  
ხურდიას ნოველის მიხედვით დაწერილი  
ორმიქედებიანი ტრაგედია „ხოგაის  
მინდია“ (ავტორები მ. აბულიძე და  
გ. ქორდანია). პიესა, როგორიც არ უნ-

და იუს იგი (გაუმოკეთებული, თარგმნილი და ა.შ.), დამოუკიდებელი ზრამა-ტული ნაწარმოებია, რომელიც ზოგადად ინარჩუნებს ლიტერატურული ნაწარმოების ცხველმყოფელობას და ძირითადში ექვემდებარება დრამატურგიის კანონებს. ვაგრამ სიტყვა „მისედვით“ (პიესას რომ აწერია და თეატრალურ აფაშებშიც არის აღნიშნული) თავის მხრივ, გვავალებს ანგარიში გავუწიოთ მის პირველწყაროსაც. უფრო მეტიც, სრულფასოვანი შეფასებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მანამდე არსებული ყველა ვასალა.

„ხოგაის მინდიას“ ავტორებს ეტუობა არ უცდიათ პიესას წასაკითხი ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათი შენარჩუნებოდა. ეს არცა გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მისი ერთ-ერთი ავტორი გ. ურულანია თეატრალური რეესიონია და მან უკვე პიესის შექმნის პოლცებში დაუშეკო ძებნა არა უბრალოდ სცენიურ ფორმებს, არა მეტ რეესიონული ინტერატურულიცით გამართულ მიზანსცენირებასაც. უშუალოდ სცენისათვის დაწერილ ამ პიესას არა აქვს პრეტენზია საკითხად სანტერესო ლიტერატურული ფორმის შენარჩუნებისა, ეს გასაგებიყაა, რაღაც უკვე არსებობს შესანიშნავი ლიტერატურული პირველწყარო კ. გამისახურდის ნოველის სახით.

„ხოგაის მინდიას“ პიესად გადაკეთების სირთულე ნაწარმოების ფილოსოფიურ განზოგადებასა და ორიგინალური პოეტური სახეებით აზროვნებაშიც მდგომარეობს. ცხადია, ძნელი იქნებოდა ლიტერატურული ნაწარმოების ყველა ლიტება უკლებლივ შენარჩუნებოდა დრამატულ ნაწარმოებს. ესეც არ იყოს, ალეგორიულობა და მეტაფორულობა ადვილი გადასტუნი როგორ სცენაზე. რაც მთავარია, პიესა მთლიანად ინარჩუნებს ლიტერატურული ნაწარმოების ძირითად იქცეა.

ხალხის მიერ შემონახული „გველის მჟამელის“ ლეგენდას ძალიან ბევრი რამ დაამატა თავის პოემაში ვჯუშ. კერძოდ,

ვაჟას პოეტური ფანტაზიის ნაყოფია: „მინდიას დაცოლშვალება, ცოლთან ბასი, ხორცის უკმილობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხედართმთავრული ნიჭი გველის მჟამელისა, ჩიტების ენის კოლნა“. ჩვენ არ ვიცით კ. გამისახურდის მზე რ მიკვლეულ ახალ ლეგენდებში ყოველივე ეს იყო თუ არა (შესაძლოა, მინდიას ახალი ვართაციები შემნილიყო ვაჟას შედევრის „გველის მ�ჯამელის“ საფუძველზეც), მაგრამ ერთ რამ ცხადია, კ. გამისახურდის ყოველივე ეს თავისებურად, ორიგინალურად აქვს დამუშავებული და გააზრებული აქაც. ისევე რაგორც სხვა წყაროებში, მინდიას მიერ გველისაგან მიღებულ სიბრძნეზეა აქცენტი გადატანილი, სხვაობა მთლილ ამ სიბრძნის გამოყენებაშია. მინდია აქ უფრო ადამიანია, ვიდრე ზეკაცია უფრო მწწიერი, ვიდრე ღმერთიან მოლაპარაკე. გველის ხორცის ჭამა და ოჩინინტერესთან დაკავშირება უბრალოდ საბაბია მინდიას სიბრძნისა და მისნობის გამისავლენას. ფუტერიურად ამ ფანტაზიში რეალური სინაზუეილა. რადგან მინდიას სიბრძნე, პუმბნურობა და ბუნების დიდი სიყვარული ნაყოფია ცხოვრებაზე დიდი დაკავშირებისა და იმ გამოცდილებისა. შეიდი წლის ტყველყოფნამ რომ მიაღებინა. გარდა ამისა, მინდიას დიდ თანავრძნობას ბუნებისა და სულდგმულთა მიმართ კიდევ უფრო რეალურს ხდის ქისტი ქალის — ხადიშათისაღმი მისი სიყვარულიც, რაც თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასძევს ნაწარმოებს. იგი, მას შემდეგ, რაც ბუნების სიღუმლოებას ჩასწევდა, წინააღმდეგია არა მარტო ნაღირთა ხოცვისა, არამედ (და ეს მეტად ასებითია) კაცთა კვლისა. ეს გრძელდება მანამ, სანამ საზოგადოებასთან კონფლიქტი საბოლოოდ არ დაარღვევინებს თავის პრინციპებს და მიიკანს ტრაგიულ ფინალამდე.

პიესის ავტორები უფრო აღრმავებენ მინდიას ადამიანურობასა და კაცომუკარეობის საკითხს. მიმისათვის, რომ სიუზეტის პერნონდა დრამატურგიული უან-

რისათვის დამახასიათებელი თავისებურება, პიესაში გამოყვანილია ქორო და გამოცილებულია ხალტური ზეპირსიტუ-კირების ნიმუშებით. ქორო აქ გამოყენებულია არა ანტიკური ტრაგეზიების მიბაძიოთ და არც უკანასკნელ ხანს დამკურიდებული დაშტამპული ხერხებით. იგი ერთსა და იმავე დროს პიესის ინტერპრეტატორის და ცალკეული პერსონაჟების მხატვრულად ჭარმომსახველიც. სულ სხვაა, როგორ გამოიყენეს ქორო სპექტაკლში, მაგრამ ამის თაობაზე ქვემოთ, ფრთხები მთელი პიესის აზრს და მიზანდასახულობას დასაშუალების შევე ამხელე ქოროს მონაწილეთა სიტყვებით:

**თ ხ ი რ ი ნ ტ რ ე:** — მე მინდა ვუმოლებო ხოგაისძეს. ვისი დაბაზების ეამს ორი შეზე ენთო, არშივები ყიოღნენ ცაში ჯა მეწა დაგანდგარებდა, ფისაც ვანგებამ დაავისრა ადამიანთა დახსრა ცოდვათაგან. — თვითვე ეწამა, რადგან ახეთი იყო მინდია.

**კ ვ ი რ ი კ ე:** მე მინდა ვუმოლერი მეგლის-მუხლიან ვაკეაცს, ხირჭიბევით მარდსა და ისარიეთ შეუპოვარს, ვინც სიყვარულის საეურთხეველზე დაიფრენდა სანთელიით, რა-დან ასეთი იყო ხოგაის მინდია.

**პ ი რ კ ვ ე ლ ი:** მე მინდა ვუმოლერი ხო-გაისძეს, რომელიც ეძიბდა საეუ-თარ თავს და მპოვა დიდი სამყარო.

**მ ე რ ე:** ვინაც ვანგდება სხვათა ყიყი-ნით თავის სალოცავს და ვისი სუ-ლიც კვლავ ვაწმენდილი დაუბ-რუნდება დედამიწას.

**მ ე ს ა მ ე:** დაუბრუნდება!

ცველაუერი წინაშიარ ნათელია, შინა-არსიც და მიზანდასახულებაც; ეს თათ-ქოს ძალას უკარგავს მოქმედების ვან-კითარებისაღმი მაყურებლის აქტიურ დამოკიდებულებას, მაგრამ ახსნა-ვან-მარტებაში ბევრი არა არის დამაინტერე-სებელი და შემდგომ სიუცეტის ვანკო-თარებით ვამართლებული. პიესის ტრა-გიული ფრარმა დაუცლა მისთვის და-მიზანათებელი ტრაგეზი სიტუაციე-

ბით, კონფლიქტებით და ინტერესთა ფა-რული წინააღმდეგობებით, ოღონდ ყო-ველივე ეს უფრო მაინც გარეგნულ იერს ატარებს და მკეთრად არ გამოყოფს ტრაგეზის შინაარსობლივ სიმწვავეს. შთაბეჭდილება ჩერება, რომ მთავარი მო-ქმედი გმირი ტრაგეზული აუცილებლო-ბით კი არა, შემთხვევით ილუბება. გარ-და ამისა, ნაკლები ყურადღება აქვთ და-ომობილი მასის ფსიქოლოგიის შატრუ-რულ წარმოსახვას. მიუხედავად ამისა, პიესას სცენაზე განხორციელებისას არ დაუკარგავს თავისი შინაარსობლივი სი-ღრმე. ბევრად საინტერესო განდა მისი ფორმაც.

შერ კილევ 1923 წელს კ. გამსახურ-დია შერდა: „სცენაზე ჩევნ გვინდა უფ-რი მეტი, ვიდრე სინამდვილე, კრისტა-ლური სახეები, მეტი ნათელი გვინდა ვნახოთ ჩევნ სცენაზე...“ გ. უორდანია-საც უთუოდ ამგვარი მიზანი ჰქონდა, როცა კ. გამსახურდიას მიხედვით და-წერილ პიესას დგამზა სცენაზე. ჩერი-სორს განუზრახეს პიესა ამაღლებულ პოეტურ სიმღერად ექცია.

სპექტაკლში, ისევე როგორც პიესაში, ყველაფერი, მათ შორის მინდიას მთავა-რი შეცოდების მიზეზიც, კაცომოყვა-რების საკითხთანაა დაკავშირებული. ვაკას შედევრში მინდიას ცოდვის ჩაღვ-ნა იწყება ხის მოკვეთით (მას არასოდეს უარყოფა მტრის მოკვლა). გამსახურ-დიას მინდია მაშინ სცოდავს, როცა ხელ-მეორედ უბრუნდება ნადირთა ხოცას (მის მიერ ჯიხის მოკვლა), პიესაში უა-სპექტაკლში კი მისი შეცოდება იწყება მაშინ, როცა ოჯახისა და თემის მიერ შე-ცემოებული ხელმეორედ აღმართავს იარაღს დაგამინის წინააღმდეგ (სულერ-თია იგი მტერია თუ არა, რადგან მტერი მინდიასათვის უკვე აღარ არსებობს). თუმცა მისი ამგვარი მოქმედება მოწევ-ნებითა, სინამდვილეში მას საფუძვლად კაცთა მტრობა და სიძულეილი კი არ უდევს, არამედ პირადი სიყვარული (ცტრაფვა მოწენააღმდეგთა ბანკში მყოფი სატრაფოსაცენ) და ხალხთა შო-რის მშევიღობის დაცვა (სურვილი ძმად-

შეფიცული ქისტის დახმარებით ხევსუ-  
რებისა და ქისტების შერიცებისა). მაგ-  
რამ მის ამ კეთილშობილურ განზრა-  
ვას, ნებით თუ უნებლივთ, მაინც მოჰ-  
ყება დიდი სისხლისლვრა. დასკვნა ერ-  
თა: დიდი ჰუმანიზმი საჭიროებს არა  
მარტო კეთილშობილურ სურვილებს,  
არამედ ამ სურვილების მეტად ფრთხილ  
და გონივრულ განხორციელებასაც.

რესთაველის თეატრი, სურდა თუ არ  
სურდა ეს, ამ დადგმით კვლავ გვახსე-  
ნებს თავის მიერ აღრე აღიარებულ გმი-  
რულ-რომანტიკულ სტილს. ეს რამდე-  
ნამდე იძლევა საბაბს ისევ შევეხოთ მის  
შემოქმედებით პრინციპებსაც. მაგრამ  
მას შემდევ, რაც ამის თაობაზე მწვავე  
დისკუსია აღიძრა, ბევრ დროს არ გაუვ-  
ლია. თეატრი, როგორც ჩანს, გაშეთის  
ფურცლებიზან კი არა, თავისივე სცე-  
ნიდან ამჯობინებს პასუხის გაცემას. რა-  
ღა გვეთქმის. ამ კეთილ განზრახებს კე-  
თილი იძლებიც მართებს. ჩევნ ისდა  
დაგვრჩენია, გზა მშეიღიბისა კუსურ-  
ვოთ სიახლისა და ძიების გზაზე დამ-  
დგარ თეატრს.

„ხოგაის მინდიას“ დადგმასთან დაკავ-  
შირებით კი რამდენადმე მაინც უნდა შე-  
ვეხოთ ტრადიციების საკითხს. როგორც  
აფიშა იუწყება, ეს სპექტაკლი სანდრო  
ახმეტელის ხსოვნის ეძღვნება. ყველა-  
ფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე მარ-  
ტო ეს ფაქტი მეტყველებს ს. ახმეტე-  
ლის დიდი შემოქმედებითი ტრადიციების  
პატივისცემაზე. როგორც წესი, მი-  
ძღვნილში ყველოვანი ნაგულისხმევი  
იმის გემოვნება, შეხედულებები თუ მის-  
წრაფებანი, ვისაც ეძღვნება. სპექტაკლი  
„ხოგაის მინდია“ უპირველესად ყურად-  
ღებას იძყრობს სწორედ ს. ახმეტელის  
შემოქმედებითი პრინციპისადმი მოკრ-  
ძალებული პატივისცემით.

რა თქმა უნდა, უსამართლონი ვიქნე-  
ბოდით, რომ არ შეგვენიშვნა ჩევნი პრო-  
ზის, პოეზიის, სახვითი ხელოვნებისა და  
მუსიკის მრავალი ნოვატორული მიღწე-  
ვა, მაგრამ, სამწუხაროდ, თეატრის შესა-  
ხებ ეს ჯერ კიდევ არ ითქმის. თურმე ნუ  
იტყვით და „ნოვატორობა“ შეიძლება

ეწოდოს ყოველივე იმას, რაც ჩევნი წი-  
ნაპრებს უკვე რამდენიმე თეატრული წლის  
წინ გაუკეთებით და არც დროთა  
მსვლელობში დავიწყებასაც მისცემია.  
ეს შეიძლება იმითაც აიბსნება, რომ ლი-  
ტერატურისა და ხელოვნების სხვა დარ-  
გის ნაწარმოებები ასე თუ ისე სახეზე  
რჩებიან, ხოლო სპექტაკლი მიანც სანა-  
ხობითი ხელოვნებაა, რომელიც მხო-  
ლოდ მშინ ცოცხლობს, როცა იღებება.  
შემდევ კი იგი თეატრის ისტორიას პარ-  
დება, რომლის მიხედვითაც ძნელია მის-  
ვან სრულყოფილი შოთაბეჭდილების მი-  
ღება. თეატრის ისტორიას კი, მოვარე-  
ნებათ, უფრო სპეციალისტები კითხუ-  
ლობენ.

„ხოგაის მინდიას“ არა აქვს ნოვატო-  
რობის პრეტენზიები ამ სიტყვის სრუ-  
ლი მნიშვნელობით, მაგრამ იგი არც  
ს. ახმეტელის ტრადიციების ბრძან გან-  
მეორებაა. იგი არას ზიზი რეესიონის  
სცენური ტრადიციების თავისებური და  
საინტერესო ათვისება. იყო საშიშროება  
იმისა, რომ რეესიონი დაადგებოდა ს.  
ახმეტელის გზას, მაგრამ იგი ასე არ მო-  
იქცა. პირიქთ, იმისათვის, რომ არიდე-  
ბოდა ოუნდაც გარევნულ მსგავსებას  
ს. ახმეტელისული დაგვმის ცნობილ  
ხერხებთან (ვაუკაცური შემართება, პლა-  
სტიურობა, ცეცხლოვანი რიტმი, ფიც-  
ხელი ტემპერამენტი და სხვა), იგი შეე-  
ცა სპექტაკლისათვის შეენარჩუნები-  
ნა შინაგანი, ფარული დინამიკა, რომელ-  
შიც, თავის მხრივ, მაინც იქნებს თავს  
ეროვნული სულისა და მხატვრული სა-  
ხეების ემოციური გამოხატვის ს. ახმე-  
ტელისული თავისებურება. ამას ყო-  
ველთვის ვერ აღწევს რეესიონი, განსა-  
კუთრებით ქორმის ვამოყენების ღრძოს,  
რაც ახმეტელის ბელში უთუოდ მასის  
ფსქოლოგის გამოხატვის საუკეთესო  
საშუალებად აქცევდა, მაგრამ ეს შენი-  
შენა მთლიანად რეესიონის არ ყელთვ-  
ნის. იგი თვითონ ქორმში მონაწილე  
მსახიობების „დაშასაურებაცაა“. რო-  
გორც ჩანს, ბევრი მათგან (გ. მატარაძე,  
დ. ჩხიფაძე, ა. მახარაძე) ჯერ კიდევ ვერ  
შეეთვისა დედაზრდიდან გამომდინარე

Саве́йт-А́ялло́ис 『Ши́на́га́да́д მძაფრ დინაში-  
კას და ხშირ შემთხვევაში ცრური მიუღი  
მოძრაობებითა და მდგარ მეტველებით  
ზისონანს იც კი შეატანა წარმოდგენაში.  
ერთია განჩრახვა, მეორეა მისი შესრუ-  
ლება. საგრძნობია, რომ სცენაზე ბევრი  
სხვა კარგი განჩრახვაც დარჩა განუხორ-  
ციელებელი. ხალხურ შიარებს, ცეკვებ-  
სა და დიალოგებს ყოველთვის არა აქვთ  
გამართლება. ზოგჯერ ისინი გამოი-  
შელი არიან შინაარსილან. ქორეოგრაფ  
ვივი ოდიკაძის მიერ შესანიშნავად დად-  
გმულ ცეკვებს საერთოდ ღრმა აზრი  
შეაქვთ სპექტაკლში და თავისებურად  
ორიგინალური რეესიონული ინტერ-  
ირეტაცია უდევთ საფუძვლად, მაგრამ  
სხეულის ისეთ ვარგებარ როკებს (ალ-  
ბათ პლასტიკური მეტველების ორიგი-  
ნალური ჩვენებისათვეს), როგორსაც  
მინდიას მეუღლის — აშექალს როლის  
შემსრულებელი ზინა კვერჩხილაძე  
მიმართავს, არამც თუ არ ძალუს გაუ-  
მოსცეს გმირის შინაგანი მღელვარება,  
პირველი, უცხრესული, ნაძალადევი ხე-  
ლოვნურობის შთაბეჭდილებასაც ტო-  
ვებს. სხვა მხრივ კა ზ. კვერჩხილაძე  
მისთვის ჩვეული კულტურულობითა და  
ოსტატობით გამოიგეცემს ხეესური ქა-  
ლის ამაყ და კდემამოსილ ბუნებას.

კარგადაა გამოხატული მინდიას შე-  
ცყრბის სცენაში ცალხელა დოლის  
ალფროთვანება ცეკვა-დავლურით. კარ-  
ლო სიყანდელიძე საერთოდ კარგია ისისხ-  
ლით გაუმადრარი დოლის როლში. ამ  
სცენაში კი იცი საბოლოოდ ამხელს თა-  
ვისი პერსონაჟის მაცდურ და ბოროტ  
ხასიათს. მომხმავლელი ლირიულობით  
შეემნა ნანა ფაჩურშეილმა მინდიას სა-  
ტრაფოს ხადიშაონის სახე. მეტად შთამ-  
ბეჭდუავი და ემთხვეურია ხადიშაონისა და  
მინდიას სიყვარულის სცენა-მოგონება.  
ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, ამ  
სცენას უფრო ოცნების ხასიათს მისცე-  
მდებარება, ვიდრე მოვნებისა, რაღაც იგი  
წარმოდგენილია ტუკობაში მყოფი ტან-  
კული მინდიასათვის შეუფერებელი რო-  
ვანტრიულობით, რაც ზიანს აყენებს ოვით  
მინდიას სახის სრულყოფას.

ლეილა ძიგრაშვილის სამძიგარის (მინ-  
დიას დედა) მინდიას შემთხვევაში  
მეტი ღრამატუზე შეაქვს სპექტაკლში.  
ძირითად იგია გამომხატველი მინდიას  
მიმართ საზოგადოებრივი წინააღმდეგო-  
ბის და იგა კარგი უკმაყოფილებისაც.  
იგია მიმა-პაპათა აზათ-წესების დამტე-  
ლიც და გულშემატკიფარი შეობელიც.  
ძალიან მცირ ზროში (პრემიერამდე  
რამდენიმე დღით აღრე მიეცა ეს რო-  
ლი) შეძლო ეფექტური მართალი და  
პირდაპირი ვაკეაციას, მინდიას ძმადნა-  
ფიცის — ალდინის როლი მსახიობმა-  
რევაზ ბარამიძემ.

სპექტაკლში დიდი წვლილი შეაქვთ  
უარისენ მონაშილებსაც (ი. ჯინჯიშვი-  
ძე, გ. თალავაძე, ე. სახლოშვილიშვი-  
ლი, გ. ხარაბაძე, ს. ლალიძე, ტ. გვილა-  
ძე, ვ. ელოშვილი, მ. ვეგაშვილი, თ. სი-  
საური, ლ. ჩეჩეიძე, ე. დუგლაძე და სხვ.),  
მაგრამ მათი ცალხელად შეფასების შე-  
საძლებლობა ამჯერად არა ვაქეს. ასე-  
ბითი ისაა, რომ სწორედ მათი ერთსუ-  
ლოვნებით და ზამანერებელი თამაშით  
კაზე უფრო ვამოიკვეთა სპექტაკლის  
ცენტრალური ფიგურის — მინდიას  
მხატვრული სახე.

ამ როლში ერთხელ კიდევ ნათლად  
გამოჩენდა მსახიობ კოტე მახარაძის დი-  
ლი ნიკიერება და ასტატობა. ჩვენ გან-  
ვებ შემოვინახეთ სამსჯელოდ მინდია,  
რადგან მთელი აქცენტი მასზე და მის  
მსოფლმხედველობაზეა გადატანილი.  
(ჩვენ შესაძლებლობა არ გვერნდა გვი-  
ნახა ამ როლის შეორე შემსრულებელი-  
ურამ საღარავე, რის გამოც ბოლიშე-  
ვის დილი ამ ნიკიერი მსახიობის წინაშე).  
სპექტაკლში ყველა საუკეთესო მხატვ-  
რული დეტალი (ასეთი დეტალი კი საკ-  
მაოდ ბეგერას), ყველი გააზრებული მი-  
ზანსცენა თუ მუსიკალური (კომპოზიტო-  
რი ითარ თაქთაქიშვილი) და დეკორა-  
ციული გაფორმება (მხატვარი ფარნაოს-  
ლავიაშვილი), მიმართულია ამ პოეტუ-  
რი საბის გამოსაღენად და კ. მახარაძეც  
არაფერს იშურებს იმისათვის, რომ ღირ-  
სეულად წარმოადგინოს იგი.

კ. მახარაძის მინდია მართლაც ცხოვ-

რების დიდი გამოცდილებით თვალახელილი ადამიანია, რომლის სიბრძნე ისაა, რომ გაიგო: ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, მიმართულია ბუნებისავე უმაღლესი წარმომადგენლის — ადამიანის საკეთილდღოოდ. იგი ბუნების ღრმა მოდნეა და, მაშინადამე, იცის, რომ სამყაროს შესწავლით ადამიანთა ცხოვრებაში შეიძლება ზამყარდეს პარმონიული წესრიგი. საჭიროა მხოლოდ ბუნების კანონებისადმი გონიერული დამოკიდებულება, შეულისა და მტრობის მოსპობა. უკვე სიბრძნით ვაჭალარებული მინდის სიტყვები ძმობის სიმბოლოდ ვაისმის: „პირაქეთ ხევსურთა სოფლებია, პირიქით ქისტების აულები“... ამავდე იციან ქისტებმა, რომ ხოგაის მინდია ღლარაა ქისტების მოსისხარი?! შეად ვარ ყელზე შემოვეჭდო მთელ ქვეყანას, ყოველ სულიერთან ფიცვერცხლი ვეძო, მე ღლარ მინდა აშ ხევსურული გაუშნის ჩაცმა. დღეს პირველად შევიცანი, რომ პირაქეთი და პირიქითი ორივ ერთია. ხოლო მოძმეთა მხრებზე შემდგარი ისე გაღმოსცერის სამყაროს, თითქოს მართლა ცას ეშვიათ ბუნებისა და კაცთა სიყვარულის წყალობით: „შევიდობა თქვენდა, ხევსურთა ციხეებონ და ქვითკირებონ! მშვიდობა თქვენდა, ქისტების მიზგიდებონ და ციხე-კოშებონ! აღარ აუვალების გამოვლი მთაში ძმათა სისხლისურების ბეჭითი მაცნე“ ამბობს მახარაძის მინდია და ძნელი გასარკვევია, ფარნაოზ ლაპიაშვილის მიერ მაღალი მოებივთა და ციხე-კოშებივთ აღმართული პირობითი დეკორაციები ესატყვევისება მინდის სიტყვებს თუ მინდის ზატოვანზა თქმამ გახდას ასე თვალსაჩინო ლაპიაშვილის შესანიშნავი დეკორა-

ციული გარემო. კ. მახარაძე მინდის სიბრძნესთან ერთად ხახს უსვამს ადამიანურ უბრალოებასაც. იგი თავისებურია, მაგრამ არა ზეკაცი. მასაც წევულებრივი ადამიანივით შეუძლია განცდა დიდი მიწიერი სიყვარულისა (ზაღიშათისა) და შეუძლია ულავრილობაც (უქმეოფრილება აშექალსთან ნაძალადევი ჯრის-შერის გამო).

პამლეტის მიერ სასაფლაოზე წარმოთქმულ მონოლოგს ვეაგრძებს მინდის მთქმა სამსცერებლოზე, მრავლისმეტყველად ულერს მისი სიტყვები: „ოქენე მიცვალებულის სულისფერის იღწვით და ცოცხალი არსი კი არ გებრალვისთო“.

ღღეს თეატრის დარბაზში არიან მაყურებები, რომლებსაც კარგად ახსოვთ მსოფლიო ომში კაცთა კვლისა და სიცოცხლის ვანაღვერების საშინელება და არიან ისინიც, რომლებსაც მხოლოდ გაუგონიათ მის შესახებ. უშუალოდ განცდილსა და გაგონილს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ სიცოცხლე ერთნაირად ძვირფასია ყველასთვის. საკუთარი სიცოცხლის სიყვარული მოითხოვს სხვათა სიცოცხლის პატივისცემასაც.

სცენაზე ფერებული საკაცობრიო გაზაფხულისა და სიყვარულის სიძლიერა თავისი მხატვრულ-იდეური ზემოქმედებით, ძალმომრეობისა და სიცოცხლის ვანაღვერების წინააღმდეგ აღანთებს ყველა თაობას იმ მაყურებლებს, რომლებსაც შესწევთ უნარი ახლებური განცდის, შეგრძნების და გაზრდებისა. სასიამოვნოა აწმენა იმისა, რომ თეატრის დარბაზს სწორედ ისინი ავსებენ, როცა იუპიტერების შუქზე თავის პოეტურ სიტყვის ამბობს „ხოგაის მინდია“.



# 317673 ხელაკე

პორტალი პინეარაშვილი

## კითხის ასახვაზე

სოფულის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება და ახალგაზრდობის თავისუფალი დროის საინტერესოდ წარმართვა თანამედროვე პირობებში ჩვენი პარტიისა და კომუნისტიკის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი განდა. ამ ვითარებამ ფართო პერსპექტივები დასახა სოფულის მშრომელთა წინაშე. ჩვენ გვახსოვთ პერიოდი (და ეს იყო არც თუ ისე დიდი ხნის წინათ), როცა დასვენების პრობლემა ზოგიერთებმა შეორებარის სისოფან საკითხად ჩათვალეს და ყველაზრის განმსაზღვრულად მხოლოდ სამეცნიერო მარენების მიზნით აღიარეს. მარტამ სკპ ცენტრალური კომიტეტის აქტომბრის (1964 წ.) ისტორიულმა პლენურმა საბეჭინოროდ ასეთი მცდარი შეხედულების საფუძვლანი გაფაფასება მოახდინა და სოფულად კულტურული აღმსახულობის მთვარეზე ჩვენი ხალხის ყურადღების ცენტრში მოაცირა.

ამ მცდელობისა და ახალგაზრდობის ენთეზიაზმის წყალობით დროებით მიძინებული მუშაობა თავდაპირეველად გამოცოცხლდა, შემდეგ კი მრავალი შესანიშნავი თაოსნობა წარმოიშვა. ერთსულოვანმა მონძომებამ სასურველი შედეგები გამოიღო და ყველაფერს ხალისიანი, საქმიანი ელფური დაეტყო.

სოფულის კეთილმოწყობისათვის გამოცხადებულ ამ დიად ლაშერობაში თავიანთ

მოქრძალებულ სიტყვას ამბობენ ყვარლის რიონის ახალგაზრდები. ისინა მუდამ მიებაში არიან და სწორედ ამაში ხედავენ ცხოვრების შემსა და სილამაზეს. „ადამიანი რომ იცნო, მის საქმეებს უნდა შექვედო“ — უთქვამს ჩვენს ხალხს. აუჩქარებლად მიღვეთ ამ ბრძნულ შეგონებას და გავეცნოთ დაუზარელი ახალგაზრდების უპრეტეზიო, შინაგანი მიწოდებით ნაკარნახევ საქმიანობას.

კელტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლა, მოშარდი თაობის აღზრდა სასახლელო ტრადიციებში, მათში მტკიცე რწმენის, გმირული სულისკეთების, მორალური სიშმინდისა და მამულიშვილობის ჩანერგვა, — ის ეს კეთილი ასპარეზი, სადაც თავისი პროფესიისა და სოფლის მოყვარული ახალგაზრდა ინტელიგენტები ცდან პირად შესაძლებლობებს და თანატოლების ჭაბუკურ შემარტინას საერთო საქმისათვის იყნენენ.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა შეეძლია შემოქმედებით ძალების შესმატებულებულ საქმიანობას, საქმიანისა ახალსოფლელი ახალგაზრდობის მუშაობს გაცნობა. სოფულში 50-მდე ახალგაზრდა პედაგოგი, აგრონომი, ექიმი, კუნომისტი, ზოოტექნიკოსი და ინჟინერ-მეცნიშატორია, მათგან თექქსმეტი სასოფლო საბჭოს დეპუტატია. მათ თავდავიწყებამდე უყვართ მინდობილი

საქმე. უმეტესობამ დედაქალაქში მიიღო უმაღლესი განათლება და ახლა თანასოფლელთა გვერდით ქმნის ქვეყნის ხევასა და ბარაქას, ნაწილმა დაუსწრებლად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორმაც იციან და დასკვენების ფასიც, ხალისით ესწრებიან კინოსურათებს და იშვიათად ჩასულ მსახიობთა კონცერტებს, კითხულობენ ახალ წიგნებსა და უკრალგაზეთებს. ასე მეორებებოდა წლიდან წლამდე და, ბუნებრივია, ერთფეროვნებებამ დროთა ვითარებაში მოწყვინილობა წარმოშვა. საჭირო გახდა მათ ცხოვრებაში სიახლის შემომარი სხვა „რაღაც“. ამ აუცილებლობამ სოფულში შეემნა ახალგაზრდული კლუბი, რომელსაც მომავალი უკრალისტი თანილა პატაშური ჩაუდა სათავეში. ენთუზიასტ ქალიშვილს მხარში ამოუდგრენ იური ლომიძე, ეთერ კანიძე, ბადრი კობახიძე და სხვები. სასოფლო საბჭომ შეკრების ოთახი გამოყო. ასე ჩაეყარა საფუძველი სოფლის შემოქმედებითი ძალების გაერთიანებას.

ახალგაზრდებმა მრავალმხრივ საინტერესო ღონისძიებები შეიმუშავეს და მაღლ ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგრენ. აგრონომ ჯენი კაპანაძის წინადაღებით სოფულში სარწყავი არხის მშენებლობა დაიწყო. განახლდა სოფლის ცენტრი, მერე თანასოფლელები აიყოლეს და საზაფხულო აკადემიას მშენებლობაზე შაბათობები მოაწყვეს. მათივე თაოსნობით შეკეთდა სოფლის გზები. ამის შემდეგ ახალგაზრდებმა კულტურის სახლსა და ბიბლიოთეკს მიხედეს. მსატვრულ თვითმემოქმედებით წრეებში ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ჩააბეს, ჩაატარეს შეითხველთა კონფერენცია და კითხვა-პასუხის საღამო, საზეიმოდ შესვლენ სახელოვან თანასოფლელებს — ფილოლოგებს იღია ნატროშეილსა და ეგვიპტიკონანაშვილს, მედიცინის დოქტორს ვარლამ ჩიკვაიძეს და პოეტ ილა ბერიშვილს.

ასე მოიპოვა ახალგაზრდულმა კლუბმა ნდობა და აგტორიტეტი სოფლის მოსახლეობაში. ახლა კულტურულ მეცნიერების დასკვენებისა და გართობის საბამოები, ტექნიკური კონფერენციები, საზეიმოდ აღნიშნავენ სოფლის გამოჩენილი

ადამიანების სარეკორდო შრომით მიღწეულებს, გაიშალა სპორტული მუშაობა. უკუნა ნებასძე, ნუგზარ კუტელამაზუშევილი, ნათელა ზეკიადაძე, კარლო ჩუთლაშვილი, თარიმან ბატიაშვილი და სხვები სწავლობენ სოფლის ისტორიას, აგროვებენ მასალებს ხელნაწერი ურნალის გამოსაშვებად; განსრაბული აქვთ სოფლის ცენტრში ბაღის გაშენება, ოქტომბრის საივალეო წლისთვის აღსანიშნავად სოფლის პერსპექტივული გეგმის შედგენაშიც მონაწილეობენ.

ახალგაზრდობის თაოსნობას მხარს უკერენ კომიკაშირული თრგანიზაციები, რომლებიც მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა და მოზარდი თაობის საამაყო ტრადიციებ-ზე აღზრდაში ფართოდ იყენებენ პედაგოგებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებ-სა და კულტურული ფრონტის მუშავებს.

სოფელ საბუეში ბევრი ენთუზიასტი ცხოვრობს. ზორტებნიკოსი გურამ შათირი-შვილიც მათ რიცხვებ კუთხინის. იგი მხოლოდ კარგი სპეციალისტი კი არა, აქტიური საზოგადოებრივი მუშავიც არის. დიდ ყურადღებას უთმიბს მსხვილება პირუტყვის ჯიშიბრივ გაუმჯობესებას, საშუალო სკოლადამთავრებულებს დაუზარებლად გადასცემს თავის გამოცდილებას, ხელმძღვანელობს პოლიტგანათლების კომიკაშირულ წრეს. მან ახალგაზრდები დარაზმა და სპორტულ მუშაობას ჩაუდგა სათავეში.

მუშაობის საზოგადოებრივი ფორმები ასევე წარმატებით ვითარდება საბუის სხვა პირველად კომიკაშირულ თრგანიზაციებში. აյ ახალგაზრდობის რეკოლეციურ და შრომით ტრადიციებზე აღზრდად დიდი ყურადღება მეცნიერა. ახალგაზრდა პედაგოგებმა შეისწავლეს სოფელში კომიკაშირულ უკრედის შექმნის ისტორია, შეხვედრა მოუწყვეს ამ უკრედის პირველ მდივანს, ამჟამად თბილისის მანქანათმშენებელი ქრისნის მთავარინებრივის გრიგორი სატიაშვილს. ტრადიციად იქცა შეხვედრები ძველ რევოლუციონერებთან და პოეტი ილა ბერიშვილს. ტრადიციად იქცა შეხვედრები ძველ რევოლუციონერებთან და თავი ისახელეს შეცნიორებისა და შრომის ფრონტზე.

რაიონში არსებული 13 ბიბლიოთეკის გარშემო შემოკრებილია 100-ზე მეტი ახალგაზრდა ინტენსიური, რომელთა დახმარე-



ნული პელტურის სახლი (დირექტორი ნ. გამუტაშვილი) სათანადო დახმარებას ვერ უწევს სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებს. რა მეოთხეური თუ სხვა სახის დახმარებაზე შეიძლება საუბარი, როცა რაიონის კულტურის სახლში იშვიათად ტარდება მასტერული თვითმოქმედების კოლექტივთა გამოსვლები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

რადგან ახალგაზრდობის კულტურულ მომსახურებაზე ვლაპარაკობთ, იმასაც დავუმატებთ, რომ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მრავალი თხოვნის მიუხედავად, სამწევაროდ, ვერ მოახერხა შეფობის სახით რაიმე დახმარება გავწია ყვარლის კულტურის სახლისათვის, ასევე შეიძლება ითვებს დედაქალაქის სხვა თეატრებზე, ფილარმონიასა და სხვა კულტურულ დაწესებულებებზე, რომლებიც რაიონის იშვიათი სტუმრები არიან. უფრო მეტიც, ზოგიერთი ორგანიზაცია ჩშირად დანაპირებსაც არ ასრულებს. შარშან დედაქალაქის მუსიკალურმა სკოლებმა საზოგადო გამოაცადეს, რაიონების მუსიკალურ სკოლებზე შეფობას ვიღებთო. მე-ნ შესიკალურმა სკოლამ პრაქტიკული დამარტინის გასაწევად ყვარლები დამსახურებული ჰქონდა გოგონების მიყვინება გადაწყვიტა, მაგრამ თბილისალი პედაგოგები ადგილზე ერთხელაც არ ჩასულან. მითუმეტეს, რომ ყვარლის მუსიკალურ სკოლას ფორტეპიანოს გარდა არაითარ სხვა მსესივალურ ინსტრუმენტზე ხელი არ მიღწვდება.

არის სხვა მოსაგარებელი საკითხებიც. ახალსოფულში იძულებული არიან ტექნიკურდ დაზიანებული კინო-ფილმები თითქმის მწყობრიდან გამოსული კინო-დანადგარით ნახონ, მაშინ როდესაც რვა თვის განმავლობაში ვერ მოახერხეს ახალი კინოდანადგარის გადატანა რაიონული ცენტრიდან. სოფლის ახალგაზრდები ბევრ შემთხვევაში მოვლებული არიან დედაქალაქის უმაღლესი სახწავლებლებისა და სამეცნიერო-კულევითი ინსტიტეტების საქმიან დახმარებას.

ყვარლის კომიკაშირული ორგანიზაციები უფრო თვალასაჩინო წარმატებებს მიაღწიე-

დნენ, რომ საქმიანი ურთიერთობა პრონდეც ღედაქალაქის შემოქმედებით ძალებთან. სკპ 23-ე ყრილობაზე მიმშენელოვანი ყურადღება დაეთმო სოფლად კულტურული მუშაობის საკითხებს. „საჭიროა ძირებულად გავაუმჯობესოთ სოფლის შშრომელთა პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, თეატრების, შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების დახმარება სოფლისადმი. ეს მუშაობა ფართო ფრთხოით უნდა ვაწარმოოთ“ — აღნიშნა ყრილობაზე ამხანაგმა ბრძენებულა.

სტორედ ამ დებულებიდან უნდა გამოვდიოდეთ, როცა საჭმე ეხება სოფლად კულტურული მუშაობის სადღეისო ამოცანების გადაწყვეტას.

საქართველოს კავკაზშირის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული მშრუებლობით ვერდება ჩვენი სოფლის ახალგაზრდობის კულტურული დასვენებისა და გართობის პრიბლემატურ საკითხებს.

სოფლის ახალგაზრდობის როლი და ამოცანები სათანადო განსაზღვრა სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის პირებული რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელიც კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ორი წლის წილა ჩაატარა. მას შემდეგ საქაობრივი გავიდა. ენთუზიასტებმა შესანიშნავი საქმები წამოიწყეს, აშენდა ბევრი კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო და სპორტული ნაგებობა, ახალგაზრდობა სათავეში ჩაუდგა სოფლის კეთილმოწყობის საქმეს და სხვა მიმშენელოვან ღონისძიებებს. სტორედ ამ ნაყოფირ საქმიანობას შეაჯამებს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის მეორე რესპუბლიკური შეკრება, რომელიც განიხილავს სოფლის შემოქმედებითი ძალების მუშაობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთვისათვის მზადების პრიორში. გაიმართება გულახილი, საქმიანი მსჯელობა სოფლად კულტურულ-მასობრივ მუშაობაზე, დაისახება ახალი ამოცანები და მათი გადაჭრის პრატკიკული გზები. ეს კიდევ უფრო გამოაცოცხლება სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის დახმოცემის პროცესს.



ველ გვერდზე, ყველაზე თვალსაჩინო აფილას ფასტიმბერს ჩვენმა მშექმნება...»

მეტად ამაღლვებელი იყო სალაშე-აროდ გასცლის წინ ეს პატრიოტული თქმა და მოწოდება...

...ფრონტზე რედაქციის აჯგილსამყოფელი იცვლებოდა იმისამისხედვით თუ როგორი იყო ვითარება. მაგრამ მუდამ ერთ იყო რედაქციის მისამართი: „სავლე ფოსტა 04056-პ“. ამ მისამართით ყველდღე მოდიოდა მეომართა მიერ ბრძოლაში თუ ბრძოლათა შორის ნაჩერევად, ფაქტით დაწერილი კორესპონდენციები, ხოლო ძერაზ წინა ხაზზე იგზავნებოდა ასევე სწრაფად შეკრული, კერ კიდევ საღებავშეცრალი გაზეთის ახალი ნომრები, რათა სანგრებსა და ბლოკდაუებში დაწერილ მასალებში მოახსრობილი გარისაცული ამბები და საბრძოლო გამოყიდვება ათასების კუთხილება გამხდარიყო.

მდიდარი არ ყოფილა წითელარმისული გაზეთის რედაქციის სასტამბო მეურნეობა. აუცილებელი მაინც გააჩინდა და ყოველის საბრძოლო მზადყოფნაში იყო. მოზრდილი, სათაურებისა და ქუდების შესაფერისი ქართული შრიფტების გართა მის „სალაროში“ საქმაოდ იყო თეთრი და შავი კორპუსი თეთრი და შავი პეტიტი (თავისი მოწყობილობით); ორი — დიდი და პატარა — საბეჭდი მანქანა, ქალალზისა და საღებავების საჭირო მარაგი, პატარა ბიბლიოთეკაც; — ყველაფერი ეს მოხერხებულაზ იყო განლაგებული ერთ საგაოდ მოვლებულ სამტრინიან ეტომინქანზე.

თავდაპირველად ამ მანქანას ძლივს დადგა სული. კერ გვიყვირდა: ნუთუ რეზაქციისა და სტამბისათვის უკეთესი კერ გამონახეს? მაგრამ ძნელებელის ურსა, როცა ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს საბრძოლო მანქანები არ ჰყოფნიდათ, ჩვენმა ბიჭებმა დაწყეს მისი შეკეთება. სამხედრო შაფერმა ნიკოლოზ შეკონშიამ სტამბის მუშავთა ხელშეწყობით ამ მოძრეულებულ მანქანას ხელახლა ჩაუდგა სული და მწყობრში ჩააყენა.

რას არ უძლებდა ეს მანქანა! რა ამ ეტელდა შიგ! მთელი სარეზაქციო-სასტამბო მეურნეობა, სამგზარო თუ საძინებელი ადგილიც იქ იყო.

მცირე სასტამბო მეურნეობა გვეოწდა, მაგრამ ჩვენს სიმდიდრეს შეაღვენდები შებრძოლი პოლიგრაფისტები, თავისი საქმის ნამდვილი ისტატები, მუდამ მხნე, დაუზარელი, შრომისმოყვარე აღამინები, რომელებსაც ღირსეული წელი-ლი შექმნდათ საერთო გარისეულ საქმეში.

მაღლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენით ჩვენი გაზეთის რედაქციის საველე სტამბის ასოთამწყობები — ნიკოლოზ ცინცაძე, ვალერიან ქაცარიძე, არმენ პაპიშვილი, რედაქტორ მარუაშვილი, მედუდავები — არტემ საკოვარი, სერგო ზედგენიძე, შოთარი ნიკოლოზ შეროზია. ჩვენი ასოთამწყობები ისეთი დახელოვნებული და ბეჭითი მუშავები იყვნენ, რომ ლამიტი, ნახევრად სიბრელეში, კვარის მშეუტაც სინათლეზე შეეძლოთ მთელი სეეტი ფანქრით, სახელდაბელოდ დაწერილი მასალა აეწყოთ, აწყობას დროს ტესტში დაშვებულ უნდა უზისტობასაც თეოთონე ამწორებზენე ხოლმე.

გაზეთის მორიგი ნომრის მასალები აწყობილია, კორექტურა ჩასწორებული, მაკეტიც მზადაა. იყვრება გვერდები, ვითხებულობა, შეგვატეს საჭირო შესწორებები. ნომრი მზადაა და ხელმოწერილი დასაბეჭდად.

ახლა იწყება არანელებ შრომატევადი და მძიმე სამზადა — ნახევრად სიბრელეში მისი ბეჭითი ავტომანქანზე მოწყობილი ძრავილ მიღებული ენერგია არ არის საკმარისი, თანაც მისი ხმაური ფრონტისპირა ზონაში საფრთხეს ქმნის. აქ მთავარია მხედვავების ენერგია: ფეხით უნდა აამოძრაონ მძიმე საბეჭითი მანქანა და სათამბით ბეჭიდონ მთელი ტირაჟი. ეს ძნელი, ძალზე ძნელი საქმეა და აღამინურ ძალას აღემატება.

დალლილ მხედვავებს ასოთამწყობინ შეელოდნენ, მათ კი რედაქციის მუშავე-



ში შევიარეთ. ზოგი რამ საინტერესო და საჭირო იქაც დავაზუსტეთ — პერატიული საქმისათვის ფარჩენილ ამხანავებთან.

გაზეთის დღევანდველა ნომერი შენაერთის წინაშე მდგომ საბრძოლო ამოცანებს მიეძღვნა, ცხადია, ისე რომ მებრძოლ მკითხველს კუმანით წარმოედგინა ვითარების თვავისებურება და თავისი ადგილიც ღირსეულად განესაზღვრა შემტევეთა შორის.

ახლა იმ ჩვენთვის, დივიზიის გაზეთის მუშაკთავეს, მთავარი იყო გვენია არა მარტო ის, თუ ვინ როგორ გაიგო თავასი ამოცანა, არამედ, ვინ როგორ იმოქმედა, გვეწადა საკუთარი თვალით გვეხილა ბრძოლის ვეზზე, მტერთან პირის პირ შეხედრისას თუ ვინ როგორ იჩდიდა თავის პატრიოტულ მოვალეობას, ვინ როგორ იბრძოდა და როგორ ასრულებდა დედასაქმშობლისთვის მიცემულ ფიცს; გვენახა ძეველი მეგობრება, ზურგში, საბრძოლო სწავლების დროს ბეჭითად რომ ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, მამულიშვილურ სახეობმო აღმქმას რომ აძლევდნენ მშობელ ხალხს.

გვსურდა გვენახა ჩვენი სამხკორები, რომელთა მუდმივი და აქტიური მონაწილეობით კეთდებოდა ჩვენი გაზეთი საბრძოლო სწავლების დროს. გავეცნო ახლებიც, ისინი, ვინც დღეს, ბრძოლის დროს, ასახელეს სამშობლო და ხალხი, რათა ერთად გავეზიარებინა დღევანდველი წარმატების სისარული, მათი გამარჯვების საღიღებელი გვეტვა მათვე პატარა, მართალი და დამაჯერებელი შეჩრილებით, აღვეწერა დიდი ჯაფითა და წმინდა სისხლით მოპოვებული პირები გამარჯვება...

გზად, თუ შეიძლება მას გზა ვუწოდოთ, ჩვენი დივიზიის 802-ე შორისებული პოლკის მეთაური მაიორი არტემ ბერაძე შემოგვევდა. მას ძალზე ეჩქარებოდა შენაერთის მეთაურის პუნქტზე. ურთიერთმისალმების შემდგე ორიოდე სიტყვით მაინც გვითხრო თავისს ნაწილის ბრძოლებისა და ამ უბანზე შექმნილი ვითარების შესახებ, გვანიშნა პოლკის ქვე-

განაყოფების მოქმედების რაიონი და მიმდინარება. ჩვენც დაუყოვნებლივ იქით მიეთმობეთ.

თითქოს ძნელი იყო მათთან ამ უჩვეულო ვითარებაში გასაუბრება. მაგრამ ჩვენი ძეველი ნაცონბები კვლავ ჩვეული ხალისით, უფრო მეტი უშავლობით გვედრებოდნენ და აღფრთვოვანებით გვიყვებოდნენ სასახლელ ბრძოლის ამბებს: ვინ როგორ გამოიჩინა თავი, ვინ როგორ შეასრულა თავისი ამოცანა და მოვალეობა. ჩვენ ღარი ინტერესით ეისმენდით მათ ნაამბობს, ვინიშნავდით მათ სახელებსა და ვავარებს, ვაძლევდით დავალებას და რჩევას — ვის რაზე დაეწერა.

აღსანიშნავია, რომ ამ გულითაც საუბრებში მეომრები თავიანთ თავზე ცოტას ამბობდნენ, უმთავრესად ამხანაგებზე, თანამოიარალებზე, თავიანთ ქვეგანაყოფებზე ვაყვებოდნენ. ძალზე მოსაწონია ცეცხლის ხაზზე მოქმედ აღმიანთა ასეთი მოკრძალება. ამიტომ გვიძებოდნა დამატებითი კითხვების მიცემა, რათა გავევო მოსაუბრის ჯარისკაცული საქმე, მისი მამაცობის ამბავი. და როცა თვითონ არ ამბობდა, მაშინ ამხანაგი ან მეთაური გვიძას უწებდა ამომწურავად.

წარჩინებულთა შორის ცოტა როდი იყო კომუნისტი და კომერციულები მეომარი, მეთაური და პოლიტმუშავი, რომლებსაც ნატყვიარი პჰონდათ შეხვეული, სახეზე თუ კლავზე სისხლი შეშრობდათ. ისინა ახლა უმთავრესად იმს ფიქრობდნენ, სავებისათვის როგორ შეიქედათ, როგორ შეემსუბუქებინათ ტკუილები, კვლავ აღდგინათ და შეეწართ საბრძოლო მშეობრი და მორიგი ამოცანის შესასრულებლად ყოფილიყვნენ მზად.

აქვე ვნახეთ მძიმე ბრძოლაში დაცემულთა საფლავები. მოწიწებით პატივი ვეცით კაპიტან მიხეიილ ბუხაძის, პოლიტელ ივანე შებითიძისა და სხვა მამაცთა ნათელ ხსოვნას. გვიამდეს მათი გმირობისა და თავდადების დაუვიწყარი ამბავი.

იქვე ახლოს მოეწყოთ საველე ლახარეთი. ძნელი იყო იქ შეცვლა, ფრონტე-

ლი დასტაქრები შეუსვენებლად მუშაობდნენ, რომ გადაერჩინათ იმ ადამიანთა სიკოცნები, რომლებიც მტერს გულდაგულ ეკვთნენ, რათა ღირსეულად მოეხადათ თავიანთი მოვალეობა, დაეცვათ ჩევნი საყვარელი საბჭოთა სამშობლო. გასაიცარი იყო მესამე რანგის სამხედრო ექიმების გ. გამცემლიძის, ვ. ბაბუქაძის, ა. მუჯიშვილის, ვ. ცნონბილაძის და სხვათა ისტატიბა. დიგიზიის სანიტარული სამსახურის უფროსის, პირველი რანგის სამხედრო ექიმის ი. კუკულაძის ხელმძღვანელობით სამედიცინო ცერტონალი, ყოველი სპეციალობის ექიმები და მათი თანაშემწევები, თვეგამოდებით იბრძოდნენ დაჭრილთა სიცოცხლის გადასარჩენად და მართლაც ბევრ ვაჟაცის შენარჩუნებს სიცოცხლე.

თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა მათთან მისცვა და, მითუმეტეს, გასაუბრება. ზოგს ოპერაცია უკვე ჰქონდა გაკეთებული, ზოგს ახლა შევეღონდენ, ზოგიც ელოუა თავის რიგს... ექიმების ნებართვით ჩევნ ვინახულეთ ბრძოლის ველის გმირები. ეს უბრალოდ დაჭრილი არავინ ჩანდა, ძნელი იყო და მშეველი მათი ნატყვიარი, მაგრამ არა გვმენია ისეთი რამ, რაც მათ მეომრულ ღირსებას ჩრდილს მიაყენებდა.

სალამის გვიან დაბრუნდით რედაქციაში მოწინავე ხაზიდან, ჩანთა სავსე გვქონდა პატარა-პატარა, შინაარსიანი ჭარისკაცული კორესპონდენციებით. ეს იყო აზანეულებრივი ბრძოლის ამბები, რომელთა გაცნობა ყველას აირტერესებდა. ნანახას და განცდილს უზიარებდათ ამხანაგებს, როცა რედაქციაში სასიხარულო ცნობა მოვიდა: მივიღეთ არმიის სამხედრო საბჭოს პირველი მისალოცი წერილი. ეს დოკუმენტი ბევრ რამეზე მეტყველებდა, მისი სიმართლე ამ რამდენიმე საათის წინ საკუთარი თვალით ვიზილეთ და მოვისმინეთ თვით ბრძოლის ველზე. ამაზე ნათლად ღალადებდნენ მოგადაზილ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშავთა წერილებიც.

ამ, რას იუწყებოდა არმიის სამხედრო საბჭო:

„ნ შენაერთის მეთაურს ამხანავ ი. სილავაძეს,

კომისარს ამხანავ გ. სოხაძეს,

და მთელ პირად შემაღლენლობას.

37-ე არმიის სამხედრო საბჭო გილოცავთ თქენ პატველ გამარჯვებას პროვოურვასკის, სოვეტსკაიას, კრასნიას პოლიანას და ულადიმირსკის აღებას.

სამხედრო საბჭო ზარმუნებულია, რომ ეს გამარჯვება დასწყისია კაცობრიობის ვერაგი მტრის — პიტლერიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისა.

გისურვებთ წარმატებებს შემდგომ ბრძოლებში გერმანელ იყებანტთა საბოლოო განადგურებისათვის.

წინააღმდებას კოლეგია მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშავები, რომელებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლაში, წარადგინოთ მთავრობის ჭილდოზე. 1942 წ. 26 აგვისტო“.

წითელარმიული გაზეთის რედაქციასა და სტამბაში მოელი ღამე არ შეწყვეტილა მუშაობა. ყველა მონაბეჭითა და თავდადებით ასრულებდა მინჯობილ საქმეს. კლავ გადავათვალიერეთ და შევარჩინეთ მორჩიე ნომრისათვის აუცილებელი წერილები, მოვხაზეთ ნომრის მაკეტი და შევუდექით მასალების დამტუშევებას. ყველა შეწყობილად მუშაობდა. საშრიტო სალაროსთან პირველნი დადგნენ ნ. ცირცაძე და ვ. ქაცარიძე. ისინი მოზრდილი შრიფტით — თერთო მთავრული კორპუსით სამ სკეტზე აწყობენ სამხედრო საბჭოს მილოცეის ტექსტს. ცირცაძე ამით იხსნება გაზეთის პირველი გვერდი.

მალე პირველი კორესპონდენციებიც მზადაა ასაშუალობად. ახლა კი სამწყობრო უჭრებთან საბრძოლო ვახტზე ადგებიან რაყდენ მარტაშვილი და არმენ პაპიაშვილი. ჩვეული სისწრაფით, ბეჭითად ცხელებინ თვეიანთ საქმეს. ზოგს კორპუსი აქვს ასაშუალო, ზოგს პეტიტო.

ხელთა გვაქეს გაზეთის პირველი გვერდის ანაბეჭიდი. გინდა დიღხანს უჟურო, ერთხელ კილევ წაიკითხო, მიუხედავად იმისა, რომ თვალები გელულება

უძილობით, მაგრამ დრო არ ითმეს, სა-  
დაცაა ალიონი იწყება.

განთიაზე სტამბის საბეჭდი მანქანა  
იწყებს კაეანს, არტემ საყოველისა და სერ-  
გო ზედვენიძის გერი დგება. იწყება არა-  
ნაკლებ მიმებ და სასწრაფო სამუშაო.  
საჭირო დროზე დაბეჭდონ ტრაეი, რა-  
თა დილი აღრე მოსულმა მებრძოლებ-  
მა დროზე წაიღონ ახალი, გერ კიდევ სა-  
ლებავშეუშერბელი გაზეთი ქვეგანაყო-  
ფებში. მას ელიან მოწინავე ხაზზე. დი-  
ვიზიის გაზეთმა დღეს ყველაზე აღრე  
უნდა მოაღწიოს მებრძოლამდე. ეს ხომ  
არაჩევულებრივი ნომერია ჩევნი გაზე-  
თისა — პირველი გამოშვება, სადაც „სა-  
ბრძოლო ნათლობის“ დღის ამბებია მო-  
თხობილი.

და ჩეარობენ სტამბის მუშავები, რა-  
თა დროზე მიიღონ და წაიკითხონ მე-  
ბრძოლებმა ოფლით, გარჯით და სიცოც-  
ხლის ფასად მოპოვებული პირველი გა-  
მარჯვების მაუწყებელი ჯარისკაცული  
სტრიქონები. ნახოს და ამოკითხოს თა-  
ვისი ამხანაგის, გუშინდელი ბრძოლე-  
ბის გმირის მართალი, მისაბაძი სახე,  
პირველი ბრძოლების გაეცეთილი და მი-  
ღებული გამოცდილება. მოისმინოს სამ-  
შობლის სახელით მეთაურის მიერ დას-  
მული ახალი ამოცანა, რათა დღესაც  
იმოქმედოს გაბედულად, მოხერხებუ-  
ლად, ამრავლოს წინადალით მოპოვებუ-  
ლი წარმატება და საბრძოლო დიდება.

საინტერესოა, კონკრეტულად რას  
იუწყებოდა პირველი საფრონო ნომე-  
რი: სამხედრო საბჭოს მილოცვის შემ-  
დეგ დაბეჭდილი იყო რაზოთით მიღე-  
ბული საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს  
ცნობები ფრონტებზე არსებული მდგო-  
მარების შესახებ, აქვთ პირველ გვერდ-  
ზე კორესპონდენციაა, რომელშიც კით-  
ხულობთ: „წინადაღის ბრძოლის ველზე  
ცეცხლის აღი გერ კიდევ არ იყო გამქ-  
რალი, მაგრამ მოხერხებულად მოწყო-  
ბილ სანგარში ნაწილის პარტიული ბი-  
ურო იხილავდა ბრძოლაში წარჩინე-  
ბულთა განცხადებებს საკ. კპ (ბ) რიგებ-  
ში მიღების შესახებ.

პარტორებმა ამხ. შავიძემ მკაფიოდ

დაახასიათა წითელარმიელ კაპალიანის  
გმირობა, რომელიც დღეს გამოიჩინა.  
პარტბიურის წევრებმა ერთხმად დაუ-  
ჭირეს მხარი წინადაღებას მამაცა მე-  
ბრძოლის პარტიის რიგებში მიღების შე-  
სახებ. პარტიაში მიღებულ ქვენა აგრე-  
სოვე მებრძოლო ცერცვაძე“. პოლიტე-  
ლი ჯამშვილი წერდა იმ მედავის ბრძო-  
ლებზე, რაც ქვეგანაყოფმა გადაიხადა.  
სერეანტ ონიკაშვილის, უმცროს ლეი-  
ტენანტ ყიფიანის მამაცობაზე, რომლებ-  
მაც პირველ ბრძოლაში მოსახურების  
ერთი ტანკი და ათხე მეტი პიტლერელი.

გაზეთის მეორე გვერდზე საერთო სა-  
თაურით: „ნუ მასცემთ მტერს ამოსუნ-  
თქვეის საშუალებას, ურტყით პიტლერე-  
ლებს სრულ განადგურებამდე!“ — მო-  
თავსებულია მებრძოლების, მეთაურები-  
სა და პოლიტმუშავების ათამდე წერი-  
ლი.

ყურადღებას იქცევდა უფროსი პო-  
ლიტელის დ. შავიძის წერილი — „პარ-  
ტორები ბრძოლაში“. აეტორი წერდა: „26 აგვისტო ჩევნი ნაწილის საბრძო-  
ლო ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვა-  
ნი თარიღია. ამ დღეს მან დიდი წარმა-  
ტება მოიპოვა. ამ შეტევაში და გადი  
დასახლებული პუნქტის განთავისუფ-  
ლებაში ასეულის პარტორებმა ამხ. კვა-  
ჭაძემ თავი გმოიჩინა: დროზე გააცნა  
კომუნისტებს საბრძოლო ამოცანა... პი-  
რადად სანიმუშოდ იქცევდა ბრძოლაში,  
უშიშარი იყო და ზუსტად უშენდა  
ცეცხლს; წინ უძლოდა მებრძოლებს და  
პირველი შეიჭრა მოწინააღმდეგის რი-  
გებში. ამხ. კვაჭაძემ ამ დღეს სანიმუ-  
შოდ შეასრულა კომუნისტისა და პარ-  
ტორების მოვალეობათ“ — დასმენდა ავ-  
ტორი.

პოლიტელი ბ. მჭედლიშვილი  
კრიტიკაში აშენებდა რცეულის მეთაურის  
უმცროს ლეიტენანტის ნ. მიქაელის წარ-  
მატებას, უფროსი სერეანტი ი. გარიბა-  
შვერდა მეტყვიამფრევევე შაქრ ქაფია-  
შვილის გამოცდილებაზე, ლეიტენანტი  
ნ. არეველაძე — თავისი მსროლელი ასე-  
ულის უნარიან მოქმედებაზე შეტევის  
დროს. მეტყვიამფრევევე იოსებ კაფალ-

რიცე ამ იარალის მარჯვედ გამოყენების ისტრუმენტის უზიარებდა ამხანაგებს. უფროსი პოლიტექნიკი კაკაბაძე წერდა უფროსი სერეატის გ. სანადირაძის მამაკობაზე, უფროსი სერეანტი ნოე ჩინჩილაძე აღწერდა კომიკუშირელთა, მათ შორის კუხალაშვილისა და კიკალეიშვილის, სანიმუშო საბრძოლო მაგალითებს.

განერთის ამ ნომრის მასალები განადიდებდა დივიზიის მეომართა პირველ წარმატებას და ამ გამარჯვების გმირებს, მოუწოდებდა შეუსევენებლივ ერტყათ მოძალაზისათვის, ლირსეულად შეესრულებინათ თავითანთი პატრიოტული მოვალეობა ხალხისა და მამულის წინაშე.

პირველი ბრძოლისა და გამარჯვების პირველ გმირებზე ამ ორიოდე სიტყვით შეიძლება კველა ამ მასალისა და მათი აეტორების დახასიათება. რამდენად სასიამოენო იყო ჩვენთვის ის ფაქტი, ვარაუდა და არჩევანში რომ არ შექმედარეართ! მალე საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაგილდოებულთა შორის ვინილეთ: წითელი დროშის ორდენით დაგილდოებული — მეტყვაიმურჩევე წითელარმელი იოსებ კაკაბაძე უა კომიკუშირელი უფროსი სერეანტი ნოე ჩინჩილაძე, წითელი ვარსკელავის

ორდენით — ლეიტენანტები ნესტორ ლელაძე და ნესტორ მიქაელი; მედლოთ „მამაკობისათვის“ — უფროსი სერეანტები გიორგი სანადირაძე და ტატიოლ კიკალეიშვილი; მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ ლეიტენანტი მიხეილ ბეჭაური, წითელარმელი შაქროქავიაშვილი და მჩავალი სხვა.

ამითის საფრონტო განერთა „საბჭოთა პატრიოტა“ ორიოდე დღის შემდეგ მაღალი შეფასება მისცა ამ ნომრის და ჩვენს გაზეთს („წინ გამარჯვებისაკენ“) — უწინდა „მებრძოლთა მეომართი და აღმზრდელი“. განერთის ამ ნომრის მომზადება იყო ჩვენი კოლექტივის „საბრძოლო ნათლობაც“. მან ჩვენც საფრონტო ვითარებაში შეშაობის მნშვენელოვანი საბრძოლო გამოცდილება შეგვძინა. მისი წარმატება და მაღალი შეფასება ჩვენთვის თავისებური საბრძოლო ჯილდოც იყო.

მეორე დღეს დარჩენილი მარავიდან გაზიარდა ნომრიგი ნომრის მასალები მოვაზადეთ, ასაწყობად დაუუტოვეთ სტაბის მებრძოლებს და კალავ წავედით მოწინავე ხაზე მოქმედ ნაშილებსა და ქვევანაყოფებში, ჩვენს ნაცად ამხანაგებსა და მეგობრებთან.

## ბრძოლის ველზე

ოქტომბრის პირველი დღეები იყო. ჩვენმა დივიზიამ ფრონტზე მდებარეობა შეიცვალა — ნალჩიკის რაიონში, მოქმედების ცენტრიდან მარცხნა ფლანგზე, კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებისაკენ გადმოინაცვლა და მეორე გვარდიული დივიზიის მოვერიების რაიონი დაიყვა.

ეს მეტად პასუხსავები უბანი იყო ჩვენი ფრონტისა. აქ, ბაქესანის ხეობაში, დიჭმინშვენელოვანი გზა გადონდა და ასეთივე საწარმოები იყო განლაგებული. ამ ნეობის თითქმის პარალელურად მფებარეობს ჩეგმის ხეობაც — დივიზიას ორივე სამედოდ უნდა ჩაეკეტა. ამით მოწინააღმდეგეს გზას უხშობდა

იალბუზისაკენ, კავკასიონის გადასასვლელებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას არ იძლევდა მის ჯარებს მარცხენა ფლანგიდან დაერტყა ჩვენი არმიის ნალჩიკის დაგვაცემისათვის. ასე რომ, მდებარეობის შეცვლა სერიოზულ საბრძოლო ამოცანასთან იყო დაკავშირებული.

პოზიციების ჩაბარება, ლაშქრობა და ახლის მიღება გეგმაზომიერად მომზადდა და ჩატარდა. ამან საშუალება მისცა ორივე დივიზიის დროულად, მოწინააღმდეგის შეუმჩევლად დაკავებინა მათვის განკუთვნილი პოზიციები. აქტიურად, უნარიანად მოქმედებდნენ ჩვენი

შეცერავები, საგანგებო ჭილუები და სნაიპერები.

ლაშქრობაზე დივიზიის ნაწილებმა და-ფარეს ას კილმეტრზე მეტი მანძილი მთებსა და ტყეებში, გადალახეს 2.000 მეტრი სიმაღლის აეტოპრაკის გადა-სასვლელი და დაიკავეს შეორე გვარდი-ული დივიზიის პოზიციები ხარა-ხორას, ზაისუკოოს და გუნდულენის რაიონებში.

ლაშქრობიდან პირდაპირ მკაცრ და სისხლისმლერელ ბრძოლებში ჩაეპნენ.

იგივე გზა გაირა დივიზიის გაშეთის ჩედაქცამ, სტამბამ და მისმა პირადმა შემაუგენლობამ. ორიოდე დღის შემდეგ შეინარე ბაქესანის ნაპირას, კლდის ძირში. გაშეთის მორიგი ნიმრის მასალებს აწყობდნენ ჩევნი ასოთამწყობები...

802-ე მსროლელ პოლეში გავვჩივ-ნეს პოლიტ-განყოფილების მუშაკი ვლა-დიმერ კალმახელიძე და მე, ერთი კეირა ფაცყავთ პოლეთან ერთად მთებში, სა-შროლო ლაშქრობებზე. ბევრი საინტე-რესო, სამახსოვრო ამბავი და საბრძო-ლო ეპიზოდი ენახეთ.

მდიდარ შთაცემდილებებთან ერთად მთავარი მაინც ის იყო, ნაწილის პირად-მა შემაღენლობამ და ქვევანაყოფებმა დროულად, ორგანიზებულად ჩაბარეს დაკავებული პოზიციები მდინარე ბაქ-სანის ჩაჩვენა ნაპირზე მეორე გვარდი-ული დივიზიის შემცველ ქვევანაყო-ფებს. მათ ჩინებულად ჩატარეს ასკი-ლომეტრიანი გადასვლა ძნელად სავალ მთებსა და ხეობებში და დანიშნულ დროშე განლაგდნენ ახალ პოზიციებზე.

პოლიტგანყოფილებას დავალების შე-სრულება მოგახსნეთ და იქვე, ყოფი-ლი საბავშვო ბალის შენობაში, გოვეთ ღმმებ გასათვევი ადგილი. ის იყო ხან-გრძლივი ლაშქრობის შემდეგ ძილს ვე-ლეოდათ, რომ გვიან ღმით, მოულოდ-ნელად სტუმრები გვეწვინენ, სასახე-ლო და სამაყო სტუმრები. ესენი იყვნენ ცნობილი ქართველი მშერლები: გორ-გი ქუჩიშვილი, კარლო კალაძე, კონს-ტანტინე ლორთქიუანიძე, სოლომონ თავაძე და ერემია ქარელიშვილი. დალ-

ლილები კი იყვნენ, მაგრამ დასვენებაზე ორავინ ფიქტობდა.

დიდად სასიხარულო იყო მათი სტუმ-რობა ფრინტზე, გაკეირვებას მაინც ვერ ვფარავდით: ასეთ ბროსა და ასეთ მძი-მე ვითარებაში როგორ ჩამოვიდნენ უკ-ვე ხანდაზმული ადამიანები, გორგი ქუ-ჩიშვილი და სოლომონ თავაძე?!

ნაშაულამებეს დროებით მიწყნარდა ლაპარაკი და იქვე, ვისაც როგორ შეეძ-ლო, მოსასვენებლად მოწყო. აღაბათ, თვალი თუ მრატყუს იმ ღამეს სტუმ-რებმა და მასპინძლებმა.

დილით სასურველ სტუმრებს გავუ-მასპინძლდით რითაც შეგვეძლო — ფრონტული, კარისკაცული საუზმით; გავაცნით სად ვიყავით და რას აეთებ-დნენ ჩევნი დივიზიის სახელმისამართი მეომრები. პასუხს ვერ გასწრებდით, რომ კვლავ ახალ კითხვებს გვაძლევდნენ ჩევ-ნი სტუმრები. ბუნებრივია, აინტერესებ-დათ — როგორ იბრძოდნენ ქართველი მეომრები, უნდოდათ პირადად ენახათ ისინი ბრძოლაში, მოწინავ ხაზზე.

ბაქსანის ხეობაში იყო იმ ხანად ჩევნი დივიზიის მეთაურის საკომანდო პუნქტი და შტაბის ადგილსამყოფელი. დილით შეინარე ბაქსანს და მის ხეობას ნისლის საბურავი პფარავს, თითქოს სიმშვიდეა ამ უბანში, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. შორიახლოს სროლის ხმაც ის-მის, უმთავრესდ საარტილერიო ქვემებ-თა ქუხილი. მშერლებსაც გული იქით-ენ მიუწევთ, სადაც ჩევნი ბიჭები მეღგ-რაჲ ტრევენ მტერს. ცხადია, მათი სურ-ვილის ფიცხლად შესრულება ერთობ ძნელია, — აქ მძიმე საბრძოლო ვითა-რებაა, ამიტომ სიფრთხილე და დაკვირ-ვებაა საჭირო. დივიზიის სარდლობამ და პოლიტგანყოფილებამ ჩევნ, რედაქტირის მუშაკებს, დაგავისრა მშერლებზე ზრუ-ნეა და ყურადღება.

პირველად დივიზიის გაშეთის რედაქ-ციაში, თავშესაფარში მიიღწევით. სათი-თაოდ, გულითადად მიესალმნენ მშერ-ლები რედაქციისა და სტამბის მუშა-კებს. ზოგს ახლოს იცნობდნენ, ახალ-გაცნობილებსაც ძმურად ესალმებოდ-

ნენ: ნორ კაცუშაძე და ორმენ პაპიაშვილი შინაურულად დასვლენენ, როგორც  
ძველი ნაცნობ-მეგობრები. გულისურ-  
რით დაათვალიერეს სტუმრებმა ჩევრი  
პოლიგრაფიული შეურეულა. გიორგი  
ქუჩიშვილმა და სოლომონ თავაძემ ძვე-  
ლი ხელმაც გაიხსნეს და პირადად  
მოსინჯეს საშრიფტო სალაროები, ერთ-  
ხანს კორესპონდენციების აწყობაში შე-  
ეცხიბრნენ ასოთაშვილობებს. სხვებიც არ  
იყვნენ უქმად — ხელთ ბეჭდვაში შე-  
ეშველნენ ჩბეჭდავებს.

სცადეს, მაგრამ ტოლი ვერ დაუდეს  
ნიკოლოზ ცინცაძის, ვალერიან ქაცარი-  
ძის, ორმენ პაპიაშვილის და რაუდნ მა-  
რუაშვილის ოსტატობას. მათ იქვე სტუმ-  
რების თვალშინ აწყვეს თოთო სვეტი  
სახელდანელოდ დაწერილი დეჟანა უშ-  
პონო ჰეტიტით... მწერლებმა ანაბეჭდი  
წაიკითხეს და გაოცდნენ მებრძოლთა  
თითქმის უშეცლომო ნამუშევრით.

წითელარმიული გაზეთის ვემოვნებით  
შეკრულმა გვერდებმაც მიიცია სტუმ-  
რების უზრაღლება. სუსუთა, ზომიერი  
საცდავით, ნათლად დაბეჭდილ ნომრებ-  
ში ჩანდა არტემ სააკონისა და სერგო  
ზედევნიძის გულმოდგინება და საქმის  
სიყარული.

ბრძოლის ველზე გაეყობულმა კლი-  
შეებმაც მიიპყრო პოეტთა უზრაღლება.  
უფროს ლეიტენანტ ალექსი პირმისაშვილის,  
ლეიტენანტ ავაკო ჭელიძის, უმც-  
როს ლეიტენანტ ნესტორ მიქაძის, უფ-  
როს სერგო ნიკ ჩინჩალაძის, წითელ-  
არმიელ იოსებ კაკაურიძის და სხვა წარ-  
ჩინებულ მეომართა პორტუტეტებმა დი-  
დი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.  
სტუმრებს გაუკვირდათ კიდევ, როცა  
გაიგეს, რომ ეს პორტუტეტები აქ, ფრონ-  
ტშე, პატარა დანით, ლინოლიუმზე შე-  
ასრულა საშტაბო ქვეგანაყოფის პო-  
ლიტელის მოადგილემ ალექსანდრე  
ტარანძი.

ბუნებრივია, ასეთი მებრძოლ-ასოთ-  
აშვილობით, ასეთი მებრძოლ-მებეჭდავე-  
ბით, მათი სიბეჭითითა და ოსტატობით  
კმაყოფილი დარჩნენ ჩევნი სტუმრები.  
ეს მოწონება დიდი დაფასება იყო მე-

ბრძოლთა გაზეთის რედაქციისა და სტა-  
მბის შეშეკათა შერომ-ლვეჭვილსა.

შემდეგ ფრონტშე გამოშვებული ნომ-  
რების მასალებს გვეცნენ სტუმრები. და-  
კავირვებით კითხულობდნენ საბრძოლო  
წერილებს, ჩანახატებს, ინფორმაციებს,  
ნარკვევებს, ინტერესით ეცნობოდნენ  
მათში აღწერილ ამბებს. ბეჭრ ამ მო-  
გვიწონეს, — ცოტხალი და ოპერატორ-  
ული ელფერი ძევსო, ნომრები თემატუ-  
რად და უანრიბრივად მრავალფეროვა-  
ნი ჩანსო. ერთი სიტყვით, საბრძოლო  
მაგისტრა იგრძნობათ. ასეთი მასალები  
თანამებრულეთა საბრძოლო საქმეს,  
მათს გმირობასა და მიმაკრისა მეტნაკ-  
ლებად თვალსაჩინოდ ასახავსო. მართა-  
ლია, დრო ცოტა გაქვთ. — გვეუბნებო-  
დნენ ისინი, — რომ მასალები უფრო  
დანერვილად და ხატოვნად მომზადოთ,  
მანც უნდა ეცადოთ, რაც უფრო სხარ-  
ტად, მიზიდველად დაწერთ, მით უფრო  
უაანტერესებთ მებრძოლებსო... შრიფ-  
ტიც საქმაოდ გქნიათ, პეტიტიც კი ჭარ-  
ბად ხმარობთ; მართალია, ამით ად-  
გილს იგბოთ გაზეთში, მეტ მასალას აძ-  
ლევთ, მაგრამ სანგრებში და ბლინდა-  
უებში მისი წაკითხვა გაძნელდებათ.

აქვე გამოითხეა აზრი, რომ გაზეთის  
მომდევნო ნომერი ერთობლივი ძალე-  
ბით მოგევმზადებინა, თანაც ერთი გვერ-  
დი ლიტერატურული ფურცელი ყოფი-  
ლიყო. ცხადია, ამ წინადაღებს კველაშ  
აღფრთოვნებით მხარი დაუჭირა და მა-  
ლე ხორცი შეესხა კიდეც.

ით, გაზეთის ეს ნომერიც, 14 ოქტომ-  
ბრის ნომერი. მის მეორე გვერდს ქართ-  
ველ მწერალთა ლიტერატურული ფურ-  
ცელი დავარქვით. მასში არაერთი მშეე-  
ნიერი, მებრძოლი ლიტერატურული ნა-  
წარმებით დაბეჭდილი. მათ შორის, იქ-  
ვე, ფრონტშე დაწერილი ლექსი „მთებ-  
ში მებრძოლთ“ გიორგი ქუჩიშვილისა,  
სოლომონ თავაძის მშეენიერი ბალა-  
და — „მები გულვარდაშვილები“. იქ-  
ვე, მეგაც ბრძოლაში იშვა ნორ ეკუშა-  
ძის ჭარისკაცული ნარკვევიც, რომელიც  
აგრეთვე ჩევნ გაზეთში დაიბეჭდა. „ლი-  
ტერატურულ ფურცელში“ იყო კონს-

ტანტინე ლორთქიფანძის მოთხრობის ნაწყვეტი.

ჩვენმა ასოთამშეცობმა საგანგებოდ იძეგითხს გაზრითის ნომრის ლოტერატურული მასალების აწყობისას. ყველა ნაწარმოებში ავტორებმა იმზრინდელი საბრძოლო აზრი და ვრმძნობა ჩაისავეს, რომელიც თანაბრად ეხებოდა ყოველ ჯარისკაცს, დედასამშობლოს ერთგულ შეიღნის. ჩვენი ასოთამშეცობმა იყვნენ ამ ნაწარმოებთა პირველი მეოთხელები და მათი ღირსების გულწრფელი დამფასებლები.

წითელი სალებავით დაეხმედეთ ლოტერატურული გვერდის ქუდი. მეორე დღეს, დილით აზრე, გაზრითის ნომერი ხელში ვადალიოდა მოწინავე ხაზე.

მეორე დღესვე კვლავ მძაფრი ბრძოლები იყო ფრინტის ამ უბანზე. დივაზის პოლკებიდან და ქვეგანაყოფებიდან მოსული აპერატიული პარაკები შრაბნა და პოლიტგანკოფილებას შეუნელებელი შეტაცებების ამბავს ამცნობდნენ. კავკასიონის მისადაგომები კვლავ ცეცხლის აღში იყო გახევული, მაგრამ სიმტკიცე და სიმბრევე სუფლება ყველან. ჩვენი ნაცადი მეომრები მოსვენებას არ ძლიერდნენ მოწინააღმდეგეს. მეორი ბრძოლისა და სახელოვან მეომართა მისაბაძი მოწმედების თაობაზე კვლავ მოდიოდა რეაქციაში მოჰლე ბარათები.

თითქოს ეს ჩვეულებრივი, ყოველ-დღიური ამბები იყო ფრინტზე, მაგრამ ერთ უჩვეულო შემთხვევის მოწმენიც გავზრდით იმ დღეს.

დღის მეორე ნახევარში შტაბისა და დივიზიის მეთაურის საკომანდო პუნქტის რაიონში, ბაქისანის ხეობაში, მოწინააღმდეგებ მოულოდნელად მეავტომატეთა ძლიერი დესანტი გადმოსხა. ეს იყო მტრის გაბეჭდული ცდა, რათა უცრად დაეკავებინა შენაერთის შართვის სასიცოცხლო პუნქტი; წარმატების შემთხვევაში ხელმძღვანელობის გარეშე დაეტოვებინა დივიზია და შემდეგ არევდარევა შეეტანა ნაწილებისა და ქვეგა-

ნაყოფების მოწმედებაში, ცალ-ცალკე განვითარდინა ისინი.

საბერძნებროდ, მოტეულა აესმლომელი. მყისვე გამოცხადდა განცხაში. ყველამ იარაღი მოიმარჯვა და თავისი საბრძოლო პისტი დაიკავა. ბრძოლაში ჩაება ყველა ქვეგანაყოფი, ყველა შეომარი. მათ შორის იყვნენ დივიზიის გაზრითის რეზაქციისა და სტაბის მუშავებიც. შაშხანა, კარაბინი, ლიმონისტეური ხელყუმბარები მათაც შზად პქონლათ სამოწმედოდ.

უნდა გვიახათ ჩვენი სტუმრუბიც — მშერლებიც მებრძოლთა კვალად, რა მნენედ შეცვნენ ამ მოულოდნელობას. კიდევ მეტიც, იარაღი თხოვეს, რათა სახელდახველო ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. მოიტათ თოვი, მე ვუჩეკენებ მაგათო... იძახდა კიორგი ქუჩიმვილი, და მუდარით მიმართავდა ასოთამშეცობს, დროებით მათხვე შაშხანათ...

პორტა ჩაბათა ბრძოლაში საჭირო არ გამოდარა: საშტაბო-საკომანდატო ქვეგანაყოფის მეომრები ლირსეულად დახვდნენ დაუატიფებელ სტუმრებს — პიტლერელ მეავტომატებს; ბევრი დახოცეს, ხოლო დანარჩენებმა მოებასა და ტყეს შეაფარეს თავი.

შემდეგ ხშირად ღიმილით ვიჩსენიებდით ამ ამბავს.

გვიან საღამოს რედაქციაში, რომელიც მიტოვებული კლუბის შენობაში იყო შეფარებული, თავისებური საფრონტო-შემაქმედებითი საღამო-შეკრება, მოვაწყეთ მოვიწვიეთ „ბრძოლაგადახდილი“ მშერლები. შეხედაზე იყვნენ რედაქციის მუშავები: ლუკიანე დაებუძე, კომანდო ლობორჯგინიძე, ნოე კაჯუშაძე, მალხაზ ფარულავა; ასოთამშეცობები: ნიკოლაზ ცინცაძე, ვალერიან ქაცარიძე, რაედენ მარუაშვილი, არმენ პაპიაშვილი; მხედლები არტემ სააკოვე, სერგო ზელგენიძე; პოლიტგანკოფილების ფურნის მთაწველე მიხეილ გვასალია, ინსტრუქტორი ალექსანდრე გურგენიძე და 802-ე მსროლელი პოლის კომისარი შალვა ვასაძე.

შეხვედრა მეგობრული და გულითად

იყო, უბრალო, როგორც საფრთხოებო ვა-  
თარებას შეეცემოდა. ვსაუბრობდღით  
თანამდებარებულ შეეცემის მიზან  
ბრძოლებში თავი რომ გამოიჩინეს, მათ  
მხერულ უნარსა და მამაკანობაზე. ვინ-  
სენებდით აღამანებს, რომელიც სი-  
ცოცხლესაც არ იშურებდნენ სამშობ-  
ლოსათვის ბრძოლაში. შემდევ საუბარი  
შეეხო ოპერატულ კორესპონდენციას,  
რომელიც იმ დღეს დივიზიის გაზიერის  
პირველ გვერდზე, ნახევარ სარდაფად  
რომ დაბეჭდა და სათაურად „პარტიუ-  
ლი კრება ბრძოლის ველზე“ ერქვა. ვან-  
საკუთრებით საინტერესო ის იყო, რომ  
ამ მასალის გაზიერის წინა დღეს რეალუ-  
ტიაში მოვიდა ამ კორესპონდენციის  
მთავარი გვირი, მამაცი პოლიტხესი-  
კულატივირ ლექსიმანაშვილი. მისმა გაც-  
ნობაში და საუბარმა წარუშლელი შთა-  
ბეჭდილება დასტოვა ჩვენს მშერლებზე.  
მისმა მოკლე, აზრიანმა ნააშმიბმა კვლავ  
დაუადასტურა გაზიერის დღევანდელ ნო-  
მერში მოთხრობილი საბრძოლო ეპიზო-  
დის სისწორე.

დღიზანს შევცვეთ საუბარს. ამასო-  
ბაში ჯარისკაცული მავიდაც გავაწყვეთ,  
ჩვენებრური ჭაპის არაყიც დავდგით სუფ-  
რაზე. ნასიამოვნები დარჩენ სტუმრები-  
ცა და მასპინძლებიც. ჩვენი სამშობლო-  
სა და არმიის მომავალ წარმატებათა სა-  
დღეგრძელოს ფეხზე მდგარნი ვსვამ-  
დათ...

ყველა გამხიარულა. ჩინებულად უკ-  
რავდა საშა გურგენიძე აუწყობელ, დამ-  
ტვრიანებულ პიანინზე. ჩუმი სიძლე-  
რაც წამოეწყეთ, მას ცეკვა მოყენა. მშევ-  
ნივრაზ ჩამოუქროლა მთიულური ია-  
რალში ჩამდგარმა, ნაბარტვმოსხმულმა

შალვა ვასაძემ, მშერლებიც გამოიწვია  
საცეკვაოდ. ბოლომზე არ დაგვცალდა  
ეს უჩვეულო სუფრა და ბაასი...

პოლკის მეცაშირე შემოიტრა და კო-  
მისარი ვასაძე იყითხა. გუმანით მიიცვ-  
დით, რომ რალაც სერიოზული მომხდა-  
რიყო. მეცაშირემ ჩასჩურჩულა კომი-  
სარს: მთა ხარა-ხორაზე, დიდი ძალებით  
მტერი შეტევაზე ვადმოვიდა და სისხ-  
ლისმლერელი ბრძოლებია. შალვა ვა-  
საძემ ბოლიში მოხადა, უმალ დაგვტო-  
ვა, მალე შეგხვევებით, ესა თქვა და  
ცეკვას მოახტა. მოებში გაუჩინარდა ღა-  
მის სიბრძელეში.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, შემ-  
ხვედრთა შორის არავინ იღებდა ხმას.  
განწყობილება რომ აღგვედგინა, სტუმ-  
რებს მალხაზ ფარულავა წარვლებინეთ  
და ვოხვევ წყვეტითა თავისი ლექსი მა-  
მაც და საზრიან მებრძოლ ალექსანდრე  
ბეგიძეზე. ვერ იქნა, ვერა, მალხაზს ლექ-  
სი ეერ ვათქმევინეთ. მაშინ თვით გიორ-  
გი ქუჩიშვილმა წაიკითხა. ყველას მოე-  
წონა ეს ლექსი — გულთბილად დაწე-  
რილი საბრძოლო ქება ყოჩალი მებრძო-  
ლი კაცისა...

ვეიან დავიშალეთ, ზოგი მიწვა მოსას-  
ვენებლად, ბევრს ამაღმეტელ ბრძოლის  
ბეჭებ ფიქრი თან ჩაყავა ძილში და დი-  
ლამდე არ ასენებდა.

ორ დღის შემდეგ მთა ხარა-ხორაზე  
მომხდარ შეაცრ ბრძოლებშე იუწყებო-  
ნენ ჩვენი სამხეორები და აქ, რედაქ-  
ციის საველე სტამბაში, სახელდახე-  
ლოდ, მათუამი მიძღვნილ კორესპონ-  
დენციებს აწყობდნენ ჩვენი მცლავმოუ-  
ლელი, მებრძოლი ასოთამწყობნი...

## მოლაშძრმანი

ჩვენი ჯარისკაცული გაზიერის მორიგი  
ნომერი ჩვეული საფრთხოებო პატერა-  
ტულობით მომზადდა. ეს იყო დიდი  
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-  
ციის ოცდამესზუთე წლისთვისადმი მი-  
ძღვნილი სახეობო ნომერი. თუმცა მა-

შინ სამხრეთის ფრთხოების ამ უბანზე  
მძიმე ბრძოლები იყო და არც ისე სა-  
ზეიმილ ვიზუალი განწყობილი, შენაგრ-  
ობის გაზიერის ნომერი ურიგო არ გა-  
მოვცვლია.

სადღესაწყულო ნომრის მოელი ტა-

რაյე სათანადო მისამართებით სწრაფად  
ჭაღლუს ფოსტალიონებში.

ჩვენ კი, დივიზიის განხოთის რედაქ-  
ციისა და სტამპის მუშავები, საქართველო  
შეკულტორებით ახალი, უჩვეულო ლაშქრო-  
ბისათვის შზადებას, სამხადის ვაშობი,  
თორებ, მოსამზადებელი მაინცდამაინც  
რა გვერდა, ძირითადდ ყველაფერი,  
რედაქციისა და სტამპის მოყვითალო შეურ-  
ნეობა, საყმაოდ მოძველებულ, მაგრამ  
გამჭველ სამტრონიან მაქანაზე ეტეოდა.  
ღამის სიბრძეებში შეცსცენებლებ ვია-  
რეთ და აჯრე დილით უკვე დანიშნულ  
ადგილზე, ბაქვანის ხეობაში, ყოფილ  
ტურასტულ პაზაში ვიყავით.

დაწესებული განრიგის მიხედვით  
სწორედ აქ იყრინენ თავს ჩვენი დი-  
ვიზიის ნაწილები და ქვეგანაყოფები.  
სწორედ იქ იწყებოდა კავკასიონის ქე-  
დის ვადასალისავად უმაგალითო ლაშქ-  
რობათა სამზადესი — ბაქვანის ხეობი-  
დან დონლუშ-ორუნის უდელტეხილით  
სვანეთში უნდა გადასულყოვნენ ჯარის  
ნაწილები. ეს მარმრუტი შედარებით  
უკითხსი და ადვილი ჩანდა და არჩევა-  
ნიც მასზე შეჩერდა.

ტურპაზაში უნდა დაგვეტოვებინა  
ჩვენი ვალმიხდალი ავტომანქანა და  
თვითონ გვეზიდა სარედაქცია-სასტამ-  
პო მეურნეობა, მთელი ჩვენი ვლა-  
დიდება, სამაოდ დიდი და მრა-  
ვალფეროვნი ტვირთი, სახელმისამა-  
რთო და ავტომანი. თუმცა საგემო არ იყო,  
რომ ეს გამწევი ძალა სამედო არ იქ-  
ნებოდა: უჭმელ-უსმელი და დაუჭირდა-  
ვი სახედარი მძიმე ტვირთსა და საჭურ-  
ველს უზომიდ ძნელ, გრძელ გზაზე ვერ  
ზიდავდა და თვით გახდებოდა ჩვენი სა-  
ზიდი. იყო სხვა წინადადებაც: ყველას  
გავენაზილებინა საქირო, აუცილებელი  
მარაგი და თავად გვეზიდა ზურგით პი-  
რად ნივთებსა და საბრძოლო იარაღთან  
ერთად, მაგრამ ბოლოს მაინც პირველ  
უარაუდზე შეჩერდით.

სახელდახელოდ დამზადეს ჩვენში  
ბიჭებმა ათობით ხერგინი, შეი საგულ-  
დაგულოდ ჩავაწყვეთ ცალ-ცალკე, ქა-  
ღალდებში გახვეული სხვადასხვა ზომი-

სა და სახელშოდების შრიუტი, სტუმ-  
ბი ხელსაშუალები და ქალალიდ მარაგი.  
დილით ადრე, საუზბის შემდეგ, იარაღი  
ავისხით, შევეაზმეთ ოციოდ სახედარი,  
ზედ გადაყვიდეთ სავსე ხურგინები  
და მწყობრით შეცურრილით მეომართა  
გრძელ რიგს.

უკვე ყველმათვის ცხადი იყო ლაშქ-  
რობის მიზანი და ამოცანა, მაგრამ მაინც  
უცნობ გზას დავადებით: დღემდე ამ  
მარშრუტით, ასეთ მწყობრში, ასეთი  
მძიმე ტურპორთითა და, რაც მთავარია,  
ასეთ დროსა და ამინდში, არავს უცლია  
კავკასიონზე.

— რას გვპირდება, რას გვიმზადებს  
ეს უვალი გზა და ეს საკაფი სავალი? —  
ი, კითხვა, ყველას აგრე რომ აშშებდა  
და ინტერესებდა. და ყველაზე სა-  
ჭირო ბორტო, ყველასთვის საინტერესო  
კითხვა რომ დღე დარჩა პასუხისუფ-  
ლელი.

ახლა კი ერთი ნამდვილად ცხადი  
იყო: როგორი გაუკალავი გზა, სიძნე-  
ლე და გაჭროვება არ უნდა ყოფილიყო  
წინ მოსალოდნებლი, მთავარი მაინც ადა-  
მიანგების ნიჭი და უნარი იყო, ადამიანე-  
ბისა, რომლებმაც კავკასიონს მთების  
ძირას წელს, ზაფხულსა და შემოგვო-  
მაზე, ძლიერ და ვამიცდილ მტერთან  
ბრძოლაში მამაკობისა და გმირობის  
იშვიათი, დაუვიწყარი მაგალითები გვი-  
ჩვენს.

ამ ვაჟკაცებისათვის გადაულახვი და  
დაუძლეველი არაფერი იქნებოდა. ამაზე  
მეტყველებდა მთა მხნე, იმედიანი და  
ძალი სახეები, მთა ურყევი ხასათი,  
მათი მტკიცე გაღწევეტილება.

თუმცა ენედავთ დაღვრემილებსაც,  
რომელთაც თავიანთი სურვილის წინა-  
აღმდეგ, ღროებით აქ დატოვეს მძიმე  
შეიარაღება.

ამიორმაც იყო, აღბათ, ერთმა არტი-  
ლერისტმა ოფიცერმა ჩვენს დატვირ-  
თულ კოლონის უიარალი გვერდზე  
რომ ჩაუარა, წყრიმით ჩაიღაპარავა —  
ამდენი ბარგი-ბარხანა რისთვის გინდათ,  
რომ წმინდამისათვის, — ეს გულმოსული,  
გადაკრული სიტყვა ჩვენებმა გულის-

ტკუვილის გაჭარვებად უფრო მიიჩნიეს, ვარე უაღვილო ხემრობად.

ახლა გაცვალული გზა, თუ შეიძლება მას გზა უსწორო, ვიწრო იყო, ციცაში და ხილათინი. აღმართი დამშართი ცვლიდა ხშირად. ძნელი სათქმელია, რა უფრო აღვილი იყო დასაძლევად — აღმართი თუ თავდამართი. ხშირად აღმართი ფეხმოუკიდებელი იყო, ხოლო ჩასავალი უფრო უარესი.

აღმართი უმოავრესად წრიაპებით, წალკატითა და საყრდენით უნდა გვეღლო. დამართით ასე დაგვეძლია. ასეთი სკლა ერთი კაცისათვის არც ისე იოლი იყო; ჩევნ კი, მოზრდილი ტკირთით დამძიმებულებს, თან საშირობი დაზურული სახედრისათვისაც უნდა გვეპატრონა.

ხანძიკე შესვენებები ენატრებოდათ მოლაშქრებს. ასეთი შესვენება აღადვნდა დახარჯულ ენერგიას, მაგრამ შემცემები აფგომა უძნელდებოდა აღამიანს ზა ისევ მიღიოდა ლაშქარი საშუალო სიჩქარით. მწყობრად და დაუსრულებლად. მაინც მხნედ მიაბიჭებდნენ აღამიანები. იტანლენ უკველგვარ გაჭირვებას და ამაში ერთიმეტორს ხელშეწყობა თუ შეძანილი შევლოდა მათ.

თუმცა კალენდრით შემოდგომაა, ნოემბერი, ამ გზაზე უკვე ნამდვილი ზამთარია: დიდია თოვლი და მაცარია ყინვა, ძლიერი ჭარიც ერ ფანტაგა დაბურულ ნისლს... აქა-იქ მზე გამოიჭრება, გამოანათება, თუმცა ეს მზეც და მისი სხივებიც ზამთრისაა, სასიამოვნო, მაგრამ უძალო, ღონებით დაიღილი.

მოლაშქრენი მთამსვლელობის პირველ გაცემითი გველვარი. წერტევი და ძალაყინი, წრიაპები და თოვი, — ი, ესაა პირად საბრძოლო იარაღთან ერთად, ჩევნი აღმიერი შეიარაღება. მთაში ღამის საძინებელი ტომარა არავის გვერნია. საზაფხულო ტანაცაცხელი, ნაკიბი ჭარისკაცული ფარაგა, — ეს იყო ჩევნი საიმეჯო მოსასხამი და მთავარი ჟაფარიც.

დიახ, გზა გვიდევს წინ, გრძელი და

ძნელი სავალი. თა ხიფათისა და დაბრკოლებათა მოუხელვად, მოლაშქრეთა რიგები უშესებრ ნაკადად გატიმული მიხევლ-მოხვეულ, დაკლაჭილ ბილევებზე.

ჭერ კიდევ შორსა ვართ დიდი კაცებისინის მთავრებილიდან, ჭერ მხოლოდ მის „შემოგარებში“ ვართ, თუ შეიძლება ასე უსწოდოთ ამ ხევებს, კლდეუბსა და მოებს. ჩევნოვის, არასპეციალისტებისათვის, რომლებსაც მარტივი რუკა გვაძეს კაცებისინისა, ძნელი ყოველი ეს საკუთრივ თავისი სახელი ვუშობოთ, ეს ალპინისტთა საქმეა აღმართ...

ერთი რამ უთუოდ ტაალია: მოლაშქრენი ვიწყებოთ არა მარტო ამ ხეობის, ამ მთებისა და მათი ციცაბი კალთების დაზევრვას, არამედ მათ საფუძვლინად დალაშქრებას, მათ ათვისებას. თვით ამ პროცესში ეხედავთ, ვეცნობით, ჩევულებრივი თვალით ვაკირდებით და ვარვევოთ ბევრს ისეთს, რაც არ გვინახავს და არცა გვისმენია.

გვიარეთ ბაქანის ხეობა, მისი მეუსახე, მოსვენარი მდინარითა და ლამაზი ბუნებით, მძაფრი და სასახელო ბრძოლებით მუდამ მოსავონარი...

რაც უფრო წინ მივიწყევთ, მაღლა ავ-დივართ, რაც უფრო ვიჭრებით მთების სილმეში, მათ სამფლობელოში, მით უფრო ვერტოვდება ხეობა. თანამგზავრებივით გვერდში გვიჯვებინად და მივაცილებენ მთები, ორწოხები, სალი, უტევი კლდეები, რომლებიც ხან მარცნივ, ხან კი მარჯვივ დგანან ურყვად, თუმცა მოლაპულ გზაზე სრულიადაც არ გამოდგებინად დამსმარედ ხრამისა თუ ნაბრალში გადაჩეხვისას. ისინი ზოგან მხოლოდ ჩრდილ აუქნებენ ისედაც დაბტრულ გზაზე.

ნოემბერია... მთელ გზაზე თოვლა, დიდი და ღრმა... წინა დღით ამბობდნენ, მთაში წელს ნაადრევად, შემოდგომაზე, ჩევნდა ბედად, დიდი თოვლი მოსულაო... ხემრობა ეგონა ზოგიერთს, მაგრამ საკუთრივ გვედავთ, თოქოს საგანგებოდ, ჩევნს შესახვედრად და დასაგაძნდ მომზადებულა მთა.

ამიტომიაცაა, რომ ირგვლივ თეთრია შევლაფერი...

თეთრი მთები და ერტყმლისფერი მწვერვალები ნათელს ფენინ ქაურობას. დინჯი და სახემო სიწყნარე სუფეს. ზემოთან კი კლდეები გაზმოგვყურებენ მეღილურად, თავმომწონედ და საეჭვოდაც.

აქ, ბუნებრივია, აღმიანები არ ცხოვრობენ, არც ცხოველებს შეხვდებით ამ დროს.

ამიტომია, როცა ქარი არ ქრის, აქ საოცარი სიჩუმეს, სიწყნარე, თითქოს გრძნობ კიდეც ამ სიჩუმეს, თითქოს გესმის მისი.

აქა-იქ, საღლაც, ყინულევეშა მთის ნაკადული ამოყოფს თავის, ხან ხევში, ხან ნაპრალში გადაიჩებება; ზოგან უცნაური ხმაც ისმის: ალბათ, საღლაც ყინული გარნება ან ტყდება, ან თოვლის ზეავი მოწყდა მთას და ქვემოთ მოგორისეს, მატულობს, ძალას იქრებს, რათა ერთიანად წალეკოს წინ შემხვედრი ცოცხალი ასახება იქნება თუ კლდე-ლრე.

დღოდადღო სწორედ ეს არღვევს გზაზე სიჩუმეს და აფხიზლებს მოლაშქრებს, წინდაახელულად იარონ, არ მისცენ თავი ფიქრსა და საგონიერებლს.

— მზეო, ამიღი, ამიღი, ნუ ეფარები კორასა... ისენებ ამ საყმარტვილო სიმღერას, ჩეუმადაც ღილინებ შენთვის მთაში გზაც მიმავალი, ყინვა და სიცივე გახსნებს.

თითქოს ისმინა მნათობმა მთის შვილთა ვეზრება. აი, მზემაც ღრი იხელთა და მაცოცხლებელი სწოვები კვლავ სტყორუნა თეთრ მთებსა და მაღალ მწვერვალებს. თვალს ჭრის მისი ნათება, მთებისა და მწვერვალთა ანარეკლი. აქ უჩევულო სინათლე აქვს მზეს.

სწორედ აქა, კავკასიონზე, ყველაზე ცეცხლოვანი, ნათელი და სხივმოსილი ციქუარი და დაის, მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა, როცა ცა მოწმენდილია და ნისლი არ ფარავს მისი კალთებისა და მწვერვალების მშენებას.

ჩეუნც წინ მოვიწევთ, რათა უფრო მაღლს ვიზილოთ და განვიცავოთ ეს სით-

ბო და ეს ნათება. გინდა, რომ შეიძლებოდეს, ხელი ახლო მას, გულორ მიიტან და უსაზღვროდ გაიძარო...

არც უფრო მაღლა მივიწევთ, მით უფრო ჩეარა იცვლება ამინდი და ბუნება. აგრე, შეე და ცის ლაჟვარდი ამ თოვლიან მთის კალებზე აირეკლა მოულოდნელად. შემდეგ აქვე გზად მოჩიხებული ნაკადულში აციმციმდა. თვალს ჭრის, გონებას იტაცებს ეს უკანასრი არეკვლა და ციმციმი მთი, გინდა დიღხეს გაგრძელდეს ასე, დატებე მისი სილამაზით, გული იჯერო, რადგან შეცემულ სხეულს ათბობს ეს შეე, სულს აზრებს ეს ნათება.

ვანა ჯიღიძანს გვაცლის მთა ამ ნეტა-რებას?

მთა პასუხს არ ავიანებს...

აქაური თეთრი ნისლი უკვე მოცურავს, ზედ მოლაშქრეთა ფეხებთან მოცურავს უკვე და აქე უცებ თეთრი, კოხტა ნაბადვით გვეხვევა მჭიდროდ.

ვანა საკვრევლია, რომ მზისა და ლაჟვარდის ანარეკლა და ციმციმის ვერა ვეხდავთ. ორიოდე ნაბიჯზე შეს წინ მიმავალ ამხანაგსაც ვეღარ ამჩნევ, მხოლოდ გუმანით მისცევ ნაკადულს, ცალიობ ფეხდაფეხ მიუკვე მს.

ცივი ნისლი სახეზე გელამუნება, ნაოფლარ სახეზე ორთქლდება, თვალს ეფარება ყოველი, მაგრამ გულს არა... ყურადღება იმოქება, აქე უქიმიება აზრი, ამ გზაზე, ამ ნაბიჯზე ფეხრობ. გზას რომ არ აცდე, ხიფასს არ გადაეყარო!

ცალიობ, მაღლე გაეცალო დაბურული ნისლის ზონას ან თვით მიგშორდეს იგი, რათა ახალა, განსხვავებული საოცრება ნახო მთაშე, მის ძიებაში გზაც დაიმოკლო სავალი.

შემდეგ კელავ სინათლე და სითბო, მაგრამ სუსტი და ძალანაცლებული...

მერთალი სინათლისა და ღონიერამოლებული სითბოს კვალად, მაინც წინ მივიწევთ, ზევით ვისწრაფევთ, რათა დავიძოკლოთ ეს გზა, ეს ბილიკი. ვგწადია, სულ მაღლა ავალწიოთ და თვით უღელტეხილზე შევხვდეთ დაის, მზის ჩასა-

ლას კაცებით მონაცემებში, გრანატ და გული ვიწყებით ამ სილამაზით, ამ საოცრებით. მაგრამ აბალა უკელაფერი ჩოდია მოლაშერებზე დამიკიდებული. მთას თავისი წესი აქვს, თავისი კანკნი, ამ დროს კი ეს წესი უფრო მეცრია და შეცვალი.

დასი ვერ ვიძილეთ კაცებით ნიშნები, რადგან სქელმა ნისლმა დაუტარა თანდათანობით უკელაფერი და მზე მთას მიეფარა დასავლეთიდან, ჩვენთან გამოიუმშევიდებლად. სამაგირურად დაგვრჩა იმედი, რომ მეორე დილით მაინც ვნახავდით ასეს, ცისკარს მთაშე.

ბურუსში შეუძლებელი გახდა ლაშერობა ამ სიმაღლეზე, ამ მოლიტულ გზაზე; ყინვიაც იმტაც და ისედაც მქელი გზა კიდევ უფრო ფეხმოუკიდებელი და უვალი გახდა.

ამასობაში, შეუმნეველად, დღეც მიიწურა. მოხსედავად მძმევ დაღლილობისა, ყველის სურს ტემპს სტატოს. ქქნად დაღამებამდე გადასასვლელს მივაღწიოთ, ეგებ მერე უფრო ადვილი იყოს სულა და გზის გატენვა.

წინ კი მოლაშერეთა მთელი ჭაჭვია, ჯვერდს ვერ აუქციო, ვერ გაუსწრებ; არა მარტო იმიტომ, რომ ლაშერობას თავისი წესი და რიგი აქვს, იმიტომაც, რომ გზაა ვიწრო.

დაღმილია. მართლია სათასი მიხევდეთ ლამება, მაგრამ მუდმივ თოვლიან მოზში თითქმის საღამოა, თეთრ ნაბაღში განვეულ კაცებით ნიშნელა. თუმცა წინსვლა სახითათოა ამ ახლად გაკაფულ და კვლავ გაყინული მთის კალთებზე.

შეწინავე კოლონებიდან მთაშე თაღარიგი უკვე დაუჭერიათ და სათანადო ძახილი ჩვენს რიგებამდე აღწევს. შემდეგ კი მომდევნოთა მწყობრს გადაეცემა შესასრულებლად.

შეჩერდნენ მოლაშერეთა კოლონები. ვისაც სად მიუსწრო ბრძანებამ, აქ უნდა მოიწყოს ბინა-ბანაკი: გამორიცხულია აღვილისა თუ თავშესაფრის არჩევანი.

საბედნიეროდ, დაახლოებით 2.600

მეტრზე ზღვის დონიდან, აქ საღაც ჩვენ შევეტერდით, ხელმარჯვნივ, მცირეოდენი ყინულოვანი ფართობი აღმოჩნდა „თავისუფალი“, ღამის საოცვა აღვილი. სწორედ აქ მოგვიწევს „ღამის თევა“ ან სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნამდვილად აქ გამოგვადგა წინდახედული კაცის რჩევა და დაეინტება — თაოდაც ცეტრის ტავაი წაიღეთო. სწრაფად გავშალეთ ყინულოვან ფართობზე ბეჭვიანი საფრინი და უკელანი, — თორმეტივე სამხედრო უზრნიალძეტი და სტაბის ცუშავი ზედ მოვეალათლით. სახელრებიც გვერდზე მივრეცეთ და დაეგძინავეთ ტვირთმოუხსნელად, უქმელ-უსმელნი...

ძილი ყველას გვიწვოდა, მავრამ ამაზე ფურიც არ შეიძლებოდა, ერთ აღვილზე გაჩერება საშიში იყო — ნაოფლარი, დაღლილ-დაქანცული იდამიანებისათვის დალუპეა ნიშნავდა. ამიტომაც დავაწესეთ მუდმივი მორიგეობა, რომ არაეს ჩასძინებოდა ან არ ჩიეცემთა...

მათარაში მცირეოდენი არაყიც გვერნდა საოჯახო საჩუქრებიდან გადარჩენილი. ჩვენს შორის არაენ ეტანებოდა მაგარ სასმელს, ახლა კა მცირეოდენზე უარი არაეს უთქვაშს.

ი ამ ზაგბანაუკით ღონილუს-ორუნის მისაღომებთან.

როგორც უკვე ვთქვი, ნოემბრის თვეა, მაგრამ აქ, კაცებით ნიშნები, შუაგული ზამთრის ამინდა და თეთრი ღამე — აქაური, თვეის პური.

ცხადია, ღამეც გრძელია ასეთ დროს, ხოლო მომღლინე მობანაკეთათვის კიდევ უფრო გაგრძელებული, მაინც ალიონი ნაადრევად გვენიშნა, რადგან აქ ადრე ინათა უფრო...

უჩემეულო, განუმეორებელი იყო ეს თეთრი ლამე კაცებისონზე. ცოტა ვინმეს თუ გაუთენებია ასეთი ლამე ბრძოლაში თუ ბრძოლის შემდეგ.

თეთრი ლამე 2.600 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თეთრ ღიდებულ კაცებისონზე, მის მუდმივ თოვლასა და ყინვარეთში, ლია ცისქვეშ, ჩვეულებრივ,

საშემოგომო ჯარისკაცულ ტანსაც-  
მელში...

ყოველ მცირე ყინულოვან ფართობ-  
სა თუ მოლაშქრეთა სახელდახელოდ გა-  
მოჭრილ საფეხურზე, საღაც შეეძლო  
ადამიანს ფეხის მოკიდება და შეჩერე-  
ბა, ფხიზელ გუშაგად იდგნენ მეომრე-  
ბი, დროებით ძირს რომ ჩამორშვათ მძი-  
მე ტეირთი და საჭურველი. ისინი მხნედ  
იტანდნენ უწვეულო დალას, სიცივეს;  
ზეშეურად ფეხზე ისვენებდნენ, თუ  
ამას საერთოდ დასვენება შეიძლება  
უწოდოს კაცმა; ლაშქრობისა და გაჭირ-  
ვების ოფლს ყინვა უშრობდათ, გათო-  
შილ ხელ-პირს თოვლით იზელდნენ და  
ითბობდნენ, ერთი სიტყვა კი არავის  
წამოსცდენია, შეუსაბამო და ორავად-  
რისი. მოვალეობის გრძნობა და მეომ-  
რული მწყობრის მხურეალება უთბობ-  
დათ გულებსა და გათოშილ სხეულებს.

მართლაც საოცარი იყო მათი ხევდრი  
ამ ღამით, საოცარივე სიმხნევითა და  
ამტანიანობით გადაპერნდათ ყოველივე.  
უყურებ მათ ზეადამიანურ ძალასა და  
შესაძლებლობას, და ფიქრობ, რა შეუძ-  
ლია ადამიანს, რისი დაძლევა და ატანა,  
როცა იგი სულით ძლიერია და ფიზი-  
კურად ნაწილობი, მტკიცე, შეკრული  
კოლექტივის წევრი, მეომრული ოჯა-  
ხის შვილი, მისი ბედისა თუ უბედობის  
მოწმე და თანაზიარი.

ცხადია, ზოგს ნამდვილად უძნელდე-  
სა აქ ყოფნა და ღამის თევა, მაგრამ კი  
არ წუწუნებს, არამედ დაილობს არ გა-  
ამჟღვნოს, არც გამხილოს ეს, რათა  
სხეს ნირი არ წაუხდინოს, სხეაზე ცუ-  
დად არ იმოქმედოს. ამით ქმნის საჭი-  
რო სიმხნევეს და განწყობილებას.

ერთხანს უწვეულო, მიყუჩებული  
ჩანდა მოლაშქრეთა სახელდახელო ბი-  
შა-ბანაკი; თუმცა არავის უძინია, თუმ-  
ცა არავის უფიქრია დასვენებასა და  
თეალის მოტყუებაზე. ცველას ერთი  
საზრუნავი ჰქონდა უპირველესად: უცა-  
ბედი მოყინვისაგან ან შესაძლო დაცუ-  
რებისაგან დაეცვა საკუთარი თავი თუ  
ამხანავი, რომ უძირო და ხახაშრალი  
ნაპრალების ლუკა არ გამხდარიყო.

ფხიზლობდა ყოველი მობანაკე უფროსი თუ ხელჭევითი.

ალიონის მოახლოვებამ თავისი გი-  
რანა. ბანაკში ჩამო-ჩუმი არ ისმოდა  
ცილით, გარინდებულიყვნენ თოვლისა  
და ყინვაში გადათეთრებულ მებრძო-  
ლები.

მართლაც განუმეორებელი და დაუ-  
კარგია ეს სამორ ბანაკი და ეს უძი-  
ლო ღამისმთვევლები!

კიმეორებ: ირგვლივ მხოლოდ თეთრი  
საბურველია, მუდმივი თოვლითა და  
ჰყინვარებით. ხელუხლებელი, წმინდა,  
ალბათ, ისეთივე უძველესი და უცვლე-  
ლი, როგორც მისი ფუძე-საყრდენი  
ბუმბერაზი კავკასიონი.

გარშემო სხვადასხვა სიმაღლისა და  
მოყვანილობის მოტბი და მწვერვალები  
აღმართულან მიუვალ ბასტიონებად, —  
ისეთივე სპეტანი და ქედუხრელნი, რო-  
გორც ის ღამინები, რომლებიც ახლა  
აქ ღამეს ათენებდნენ, ათენებდნენ კი  
არა, სწორედ რომ ტეხნენ ფიქრის-  
მოგვრელი იდუმალებითა და უბაღლო  
მშვენიერებით მოსილი მოების თეთრ  
ღამეს.

სიწყნარე სუფევს ირგვლივ. მხო-  
ლოდ უძილო ადამიანთა სილუეტები  
გაიღებენ გაშლილ, უწყვეტ ძეგრივ-  
ში გუშინ მათ მიერვე გაყვალულ სა-  
კალფეხო სავალზე და ამაღამ ხელახ-  
ლად გაყინულ. ფეხმოუკიდებელ გზა-  
ზე...

აქა-იქ პირველი ხმაც ისმის მხედრი-  
სა. საპასუხოდ თანამოიარალის თუ „სა-  
ბრძოლო მეგობრის“ (ცხენის) გამოხმა-  
ურებაც ისმის. ხოლო ორივე ეს ჩხა, ეს  
რაზილი ერთად გადაბმული, ნელა უწვე-  
ბა თოვლიან ხევში და უმაღლე უკან  
არუნდება უწყვეტი ექნს სახით.

ძეელია ამ ღამის და ამ ღილის სუ-  
რათის სრული აღდგენა და მით უმეტეს,  
მის აღწერა. იგი მის უშეალო მნახ-  
ველს თუ ძალუს გონებით წარმოიდ-  
გინოს მხოლოდ. რაღაც ეს იყო არა  
მარტო განუმეორებელი სანახობა, არა-  
მედ, უწვეულო გულისთქმა და ასეთივე

დიადი, უმაგალითო სილამაზე მთისა და მისი შეიღებისა.

გოლიათი, ფურულებული მოები და ცალწვდილი, ელვარე მწვერვალებიც თითქოს განციფრებული იღენენ ამ გასაოცარი ამბისა და საკვირველების მოშენი...

— საიდან საზაო, ამდენი ხალხი, იარალისმეული, აქ ჯარად თემოყრილი, — თითქოს ფიქრობდა ერთი...

— ვინ უხმო მათ, ვინ გაუკაფა სავალი ან ვინ მისცა ბინა ჩვენს კალოებზე, — ყვიროდა მეორე...

— ვინ გაუმასპინძლდა მათ. ვინ დააპურა ისინი, — პასუხს ეძებდა მესამე...

— როგორ ამოვიდნენ ამ სიმაღლეზე ან ვინ შეიფარა ამ ქარყინვაში. აქ ნალირიც არ ბინადრობს, არც მგლის მეტელი მუხლობს ახლა ამ გზაზეო, — დარდიანად დასძენდა მომდევნო, — მთათა მთავარი...

თითქოს ასე გააოცა ადამიანთა სითამამე-ვაჟეკაცობამ მთანი მალალნი. მეომართა შემართების წინაშე ქედს იხრიდნენ და მაღლიერების ნიშნად აღმოსავლეთიდან, შუქმოფრქვეულ შორეთიდან მზის სხივებსა და სინათლეს უხმობდნენ, თითქოს გზის გაყალვაში შეეღლას პირდებოდნენ.

თუმცა ეს იყო ცივი და მიუკარებელი, მაინც შობდლიური ბუნების თანაგრძნობა, მისი თავისებური სითბოცა და ალერისიც.

ბევრს სურდა ამ შეხვედრისა და ამ სანხაობის დიდხანს ცერა-შეცობა, მაგრამ ეს იყონ ერთი ჩვენება, ერთი ხანმოქლე განცდა...

რა სწრაფულებადია ღამით მთაში ამინდი, მისი ბუნება, რა უცნაური და კონტრასტულია მისი სურათები ამ დროს...

ერთხანს მთამ სქელი დაბურული ნისლი გადაიყარა. გამოჩნდა თეთრად მოქათქათ კავკასიონი, მისი მოციალე მწვერვალები.

ზედ ვარსკვლავები აკიაფდნენ. ბაღრმა მთვარემ ოქროსფერი სხივები

ტყორცნა და ერთიანად ვაანათა ისედაკოეთირი არე-მარე და ჩვენი ფხიზლად მყოფი ბანკიც.

ასეთი, ნამდვილად ზოპრული სანახობა არასოდეს გვენახა მოლაშქრებს-რა ცხადი და ნათელია ირგვლივ ყოველივე. ახლა მთა ღმით დამშვიდებული და მობანაეთა კეთილმოსურნე ჩანს.

მალე ნისლმა კვლავ მოიკრიფა ძალა, კვლავ ბურუსმა მოიცავა მოები და მწვერვალები. დილით კი დიდებულად ბრწყინავდა მზით აელვარებული კავკასიონი...

იმის შემყურე ნაპროლი მეომრები. ომის ქარცებულში გამოვლილი და განრისხებული ადამიანები, ბუნებრივია, აქ, მაღალი და კეთილშობილი გრძნობით შეცყრდილნი, თვალმოუწყვეტლივ შესუქერდილნენ და შეჭხაროდნენ კავკასიის მშობლიურ მოებს, სულგანაბულნი უსმენდნენ კავკასიონის უთქმელ სიმუშინიას და მზის სილამაზეს განადებდნენ. ქუდმოხდილნი, მაღლიერების გრძნობით მოწიწებით ესალმებოდნენ. ჯარისკაცული „ვაშათი“ აგილოდოებდნენ. მინიჭებული სიხარულის გამო...

ეს იყო მთის სილამაზე და მშენება, ბუნების შნო და ლაზათი, ასე ძალუმიდადამიანში ადამიანურს რომ აღამოლებს.

ამ დილით მზის ეს ნათება და სილამაზე მთისა არა მარტო თბობდა ღამენათევ და შეციებულ ადამიანთა გულსა და სხეულს, არამედ, ძალას მატებდა მთა, სიმწევეს ანიჭებდა გრძელი და ძნელი გზის გასავლელად და, რაც მთავარია, ალმაზებდა და კეთილშობილებას მატებდა მათ სულსა და გრძნობას.

უძილო, გათოშილი მოლაშქრენი ამ სისხამ დილით მაინც ყოჩალად, მხნედ გრძნობდნენ თავს. დილის ვარჯიშს შეუცდექით, გავიმეორეთ, რაღან მოელი ღამე ვფხიზლობდით, თეთრად გავათენეთ, ერთ აღგილზე უწყვეტ მოძრაობაში. ოფლიც ზედ ზურგზე შევიშრეთ ქარყინვაში.

გაყინული თოვლით დაეიზილეთ ხელ-შირი და „მშტალი საუზმით“ ოდნავ დავნაყრდით. ძმურად გავიზიარეთ მცი-რე სასმელი და თითო ლუქმა ორცხო-ბილა. ერთი სიტყვით, ვითარების შე-საფერისი საუზმე ვეჭონდა. ამ შხრივაც არ ვემდუროდით ბედი. ერთმანეთს მივ-ხედეთ, მხერვალედ მიუსლოცეთ თანამ-გზავრებს. უზევული და ღაუვიწყარი ღამისთვეის ასეთი კეთილი დასასრული.

გათვალისწინება...

ახალი უცნაური სურათის მოწმენი გაეხდით: ჩევნი მეზობლად დაბანაკებული არტილერისტების ცხენები ფაფარგაცლილი და კუდგარებულები ენახეთ, ხოლო უნაგირები — ტყავგაცლილი. მშეერ-მშუარვალ ცხენებს ღამით ერთ-მანეთი ისე გაეძარცვათ, რომ თვით მხედრებიც ძლიერ იცნობდნენ თვითთა ბედაურებს, ისე უშნო და საცოდავი შესახედავნი იყვნენ ბრძოლაში ნაჯები „საბრძოლო მეგობრები“. აი, თურმე რატომ კირვეულობდნენ ჩევნს მოშო-რებით ცხენები, რატომ ისმოდა წუხელ მათი ჭიბვინი. ბუნებრივია, არავინ წუხ-და ამაზე. კვლავ დაეზრდებათ ძარა და ფაფარი, კვლავ დაამშვენებენ ბე-დაურები არტილერისტთა საბრძოლო მწყობრსო, — მხიარულად ამბობდნენ მოლაშტრები.

ცველა ჩქარობს, ცველა იმის თადა-რიგშია, რომ ღრისე იყოს მზად ლაშქ-რობის გასაგრძელებლად. ღილის სინათ-ლეზე უფრო გარკვევით ჩანს, რომ მთის კალთის დაქანება მკვეთრად მატულობს და უდელტებილამდე დარჩენილი 600 თუ 700 მეტრი მანელი ცველაზე ძნელი და სახიფათო იქნება.

მზად ვართ, პირველ ძაღლოზე გან-ვაგრძოთ გზა, მაგრამ აი, შეფერხება: ჩევნი წყნარი და სათონ მალხაზ ფარულავა ერთი დაეიდარაბაშია. მასზე გაპიროვნებული ერთი ჩია სახედარი ჭირვეულობს — არ დგება და არც ემორჩილება პატრიოს. ბოლოსდაბოლოს წა-მოდგა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და გაყინულ ფერდობზე დაგორდა. არ

ეშვება მალხაზი, უნდა როგორმე გზა-ზე მოიყვანოს პირუტყვი. უშედე-გოდ. ამასმაბაში ლაშქრობის განრიგი-დან ვვარდებით. წინ მიმავლებმა გა-ვისწრეს, ხოლო მომდევნოთა რდები გზას ითხოვენ, მაგრამ ფარულავსთან თხოვნა არ გადის, არ ეშვება ურჩისა და ღონებისძილი სახედარის. არ ვიცით რა უფრო ენანგბა: პატარა სახედარი თუ მასზე აკიდებული ტვირთი. უთუოდ თრივე, მაგრამ ფიქრი და განსჯა უკვე ვვინანა, საჭიროა სწრაფი ნაბიჭი. მეტ-რი ძახილის შემდეგ მალხაზიც მოეშვა, გულისტყვილით დატოვა სახედარი... სხვა გზა არ იყო...

გზას განვაგრძობთ... გადასასაცლელმ-დე ეს მცირე მანძილ ცველაზე მძიმეა. ჯერ ერთი, ღამენათვევთავის ძნელი გახდა პირველი ნაბიჭები, საჭირო ტემ-პის აღება. მეორეც, ისე მკვეთრი და გა-ყინულია ეს აღმართი, ფეხს ვერ იკი-დებს ვერც კაცი და ვერც ცხენი, ხოლო მთის კალთებზე არეკლილი დილის მზის სივები თვალებას გვპრის.

ამ მძიმე და ჭირვეულ სავალზე მცირ-როდ იყრიან თავს მოლაშტრეთა კოლო-ნებია. ამის გამო საშიშროებაც მეტია. საქამარისა ერთი მოწყდეს, კაცი იქნება თუ ცხენი, დაგორგული ძნელად თუ შეიკავებს თავს, საეჭვოა დამხმარეც უზიფათოდ გადატჩეს. მაშინ დაცურუ-ბულს გვერდს ვერ აუქცივ ვიწრო სა-ვალზე და... ამის მწარე მაგალითიც ვნახეთ.

ამიტომაც ცველა ფხისლობს, წარმო-იდგინეთ, ცხენიც კი... იგი თავის პატ-რონს ნდობით მიყვება, თითქოს ესმის კიდევაც საშიშროება და ცდილობს ფრთხილად, გამოწომილად გადადგას ნაბიჭი.

ძალიან ძნელია დარჩენილი ნახევარი კილომეტრის დაფარვა, ციცაბო მთის კალთაზე ასვლა. ნამდვილი კედელია, შიშველი, სიბი ყინულითა და თოვლით დაფარული.

პირველად ვნახეთ ყინულზე ნალის ნაპერშტკლები!

დირექტორის ეწვალობდით, დიდი ჭაფა გვაწევს. სხვა რა ვზია, უნდა ვიაროთ, მხოლოდ დამატებით!

ყველას უჭირს, მაგრამ ვხედავთ, ყველაზე მეტად უჭირთ საქმეში დაუზარეთ. მოცულელ მშექმნავებს — არტემ სააკოვსა და სერგო ზეღვენიძეს. ჯერ იყო და სააკოვს ტუჩები გაულურჯდა, სუნთქვა გაუძნელდა, შემდეგ ტუჩები დაუსკდა და სისხლის წევთები წამოუვიდა. არც მის თანამებრევს სერგო ზეღვენიძეს აღვას კარგი დღე, მაინც ნირს არ იტეს ერთხანს, მაინც მოფოფხას. და როცა სააკოვს ტუჩებზე სისხლი დაინახა, უფრო მოეშვა ეს აზალეაზოდა.

უფროსი თუ უმცროსი, პოლიტმუშაკი თუ მებრძოლი, ყველა მეგობრობდა ერთმანეთთან სამხედრო რედაქტორასა და სტამბაში. ბუნებრივია, ეს კეთილშობილური კრძონბა განაძირობებდა მათზე დაისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებას. სააკოვსა და ზეღვენიძეს თავისებური მეგობრობაც აქავშირებდა. ა. სააკოვი უფროსი და გამოცდილი ბაქოელ მშექმნავი იყო, ხოლო ს. ზეღვენიძემ, — ასპინძელმა ყმაშვილმა, ჯარში, ჩვენი რედაქტორის სტამბაში ისწავლა მშექმნაბა, სწორედ არტემ სააკოვს ხელმძღვანელობით. ას-სანიშვნაი იყო ისიც, რომ მათი ყოველდღიური სასაუბრო ეხა — ახერბაჯანული ენა აღმოჩნდა. ორივემ, — ბეჭდევის სომხება მასწავლებელმა და მისმა ქართველმა შეგირდმა, — ჩინებულად იკრძნენ მიძმე ხალხის ენა. ასე დამეკობდებრნენ ისინი საველე სტამბაში და ჩინებულადაც ასრულებდნენ საფრონტო გაზითის ბეჭდევის.

ზეღვენიძე გულით განიცდიდა უფროსი მეგობრის გაჭირვებას და სატკივარს და გულითვე სწადდა შეშეელებობიდა, შეემსუბუქებინა მისი ეგზომ მძიმე ხელრი; ერთხანს კიდევაც სცადა, მაგრამ თეოთონ დასჭირდა სხვისი დაბრახება.

როგორც ყოველთვის, იმარჯვეს მებრძოლმა ასოთმეტყობებმა — ნიკოლოზ ცინცაძემ და ვალერიან ქაცარიძემ. ამხანაგების გაჭირვებამ თითქოს თავიანთი გადავიწყათ, ძმურად შეეშველნენ არტემსა და სერგოს, სამშვიდობოზე გაიყვანეს ისინი. მათი ტვირთიც თვითონ ზიღურა.

მიმდედ, ნელ-ნელა, მივიწევთ უდელტეხილისაკენ, — იქნებ აქ აღმოჩნდეს შესვენების ადგილი და საშუალება; აქ კი, ამ გზაზე შესაჩერებლად არც ადგილია და არც დრო.

შუადღისათვის, როგორც იქნა, წელმოწყეტილებმა მივაღწიეთ საწადელს, უკვე გადასასვლელზე ვართ.

მალე ყველაფერი თითქოს გადაგვავიწყდა, რაღაც კვლავ ახალი და იშვიათი სანახაობის მოწმენი გავხდით. ხუმრობა ხომ არ არის, დღის პირველ საათზე, როცა არც თოვს, არც ღრუბელია და ქარიც არა ჰქონის, თვით კავკასიონზე, 3.180 მეტრ სიმაღლეზე ვართ ზღვის დონიდან, ასეთ დროსა და ასეთ ვითარებაში!

პირველად ვართ ამ სიმაღლეზე! შუადღისას ირგვლივ ყველაფერი ჩანს, როგორც ხელისგულზე. ცა მოწმენდილია, მზეც საამოდ ანათებს და ათბობს აქაურობას, თუმცა თოვლასა და ყინვას ეერ ალხობს, მაგრამ ადამიანს გულს უხარებს, წინა ღამით შეციებულ სხეულს უთბობს.

წინ თვალუწვდენი მთის თეთრი „აუზი“ და უშველებელი თეთრი დაღმართია, თავუკიცაბო, მოკვეთილი ჩასასვლელით.

შემდეგ ირგვლივ მიმოვინედეთ თვალს ეცემა უდელტეხილის სამთავიანი მწევროვალი — დონლუზ-ორუნ-ბაშად წილებული. და შემდეგ — მთელი კავკასიონი მთებითა და მწვერვალებით შემკულ-დამშვენებული.

ბოლოს მაინც უკან ვიხედებით, რათა კვლავ მოვალოთ თვალი ჩვენს მიერ გამოვლილ გზას... დაბეჭიოთებით ვამბობ: მართლაც ღირდა ამ ჭაფად ეს სა-

օմապող գավլուլո ցիշա սպալո, հյենցան տեղուլո. հյեն քո սկիցատող գամոցուրետ, գազպացու ցիշա, թաշը մաս հաս թեսանեն հյենո տաճառուցուրետ, գրծլադ համ գայումուլան հյենն նայալուցից. սկզբան գավլա թորիան մատո թիյոնձրո. ზոցո ածլոսա, ზոցու թորի, մալուն թորի; թորիան մալուն թորի; մալուն թորի.

հյեն սայստարի զարաւու და սայսոյ-րեծելու ցայտոնդա: Իռուր հայուցտ ուրած տաշամարտիշ թայուրտու დա թիյոնձրո? մարեսունդ հայուրանու թայուրտ, — ամենած երտո, մաշը սա-լա ամուն տայուստուալո մարեսունդ հյենտուս. ոչո մետրէ, սուր արայ-թիյուլո დա ըշալուր զահունդո: սաեց-դարո՝ շայու գամուսագեցար զակնա. գալումարտիշ տայու սունդ ցայտու սա-կուրտ დա կայտանու թայուրտ, հաց շեյ-եցի մարեսունդ, ոչո դաշրունդա հասայ-ցանդա ար ոչո սայմարտոս. հյեն զան դացուտմոնդա, կուրուպ համ ցայտեացա...

մասոնձամո հյենո չցայտու ռհած ցայսոր. յրտմա տպու ոյսիրա սայմառնի մերու թայուրտու նուրա տաշամարտին դա տա-ցուսո սաեցդրեծին հարյուաց. մեռու չցայտու քո պէ, սուլուրեցինշ շեպունդա տագարուցմո.

პորցելո չցայտու տայուց დայշա հա-սասվուլնից. հասասվուլու ցամծոն, մաշ-րամ, հա հասասվուլուա. մոյզետուրո, կը-ցուրուու, ზոցան սթորի, ուրպած, տոց-լուու դա սոնրուու դագուրուլո, թիու յամեցին սենցեցու տալուսիմիշրելո. ալաց-ալաց մոնցեցու-մոնցեցու, մարկե-նու սնամուր դա սեմուր նաշրալո դա տոցլու յայշ մուլունցելա գամոմ-գոնարո մտու նայալունցին.

գուրու զար-զալունանու, գայուրցեծու հայ- ջուզարո, տոյքեթեմբուլո թայուրտ նան Շոն ցայսիշրեծին, ցայսոնու տոյքի սրու- լունց, տայքու ցայտահեծա, ցայտինցին,

եան քո լուկան ցոյեթից ցայտահեծա, թայց- ալու ցայտինցին. յրտ, մայուտ մուսա- ցայտու, սուցի, մտու նայալունց մոսու- տացու տոցլունան, կոնանամ սևսարուլո / նաշրալուն ար ցադացինցին. մարցցու նա- սուրունմա տոցմա ցայտիցու. ծեղնից ցա- դանինցունցին, սնենցուրա սուցուն օց- ցուարու.

ზոցս սաեցդրեծո մոմուցաներա մտու յալուցեծա դա տաշամարտին, մաշրամ մատնի մանուկլամանց զոնա հուսու, ագրու տու ցոյնան մուս հայուրունցն սեցցատան յրտադ. պէ մերու սայոյիշրեծելու ցաց- ցոինցն. ზոցս պէց, նու հասաւալնից, մուշրմա սմբուլու դա տացու ցոյտանու թայուրտու ցոյտանու ցոյտանու, բայունու- դա, ուղլուն ուշուրեծուն, հսկցունու ցոյտա, մաշրամ ցայրա այսունու, Ցուլու յրիուն դա մալա աղար յուղունու.

մանրումաց ზոցս որու ցոյտանուն թայուրտու նուրա մոցցունդ. համ ցութամտ. սանամ շեցցունու, ան սոնդ մոցուցու. եսմերուն եսու ար արու սումուն, յանցա- մունցուն յացուսացուս ամ ցիշնի սուրու- լու դա մմուր թայուրտու նուրա. Ալու- լունծ, ցուսաց չեր յուցու շեմոցցին մա- լու, ար լացրուու մեծրունու միենացը.

մասոնձամո ցոյտ շեպմինցունու մոո- թուրա, մեռունու սալամու ցոցրենու հյեննա սոնցուրա, մուրու շեմոցցին մու- սա, համ տուրմը համուատացու ցի ցո- պան տաշամարտո, հուրա տոցլուս դա նուսլուն զակուլու եցունա հյեննա, սո- մայրուն շեպալինցու. մտու մունարու նայ- րա դացունց նուն, ցիշա ցայտացու.

ց პորցելո մունարու դա პորցելո լոմեցցուրո, պէ հոմ շեմոցցացու դա ցացանարա տացուսո ցայնուտ դա եմաց- րուու; մուցուրունցունց սուլմուրմի- լուն ցայտու դացու ցայտիցու մու սոնցու- նու ուզ դա անյարա նյուլս...

լունց մունարու տու նարահա նայու- լու, տանածրա սուլաց նյուրունու լուն- մունն, մաշրամ սուլ յրտու հուրմա տու- մեյ, սալայրու ցի նյուլու, մուրու տու հյերու, մտուսա տու ծարուսա.

մարտունաց սուլ սեցա յուղունու մտու

სწრაფი მდინარე, ზედ კავკასიონზე რომ  
იღებს სათავეს, კლდიდნ კლდეზე, ქვი-  
დან ქვაზე მნტომარე, რომელიც შეუჩე-  
რებლივ თავჭევე მიედინება, თავის აქა-  
ფებულ, პატარა ტალღებს ისვრის ხმაუ-  
რითა და შხუილით.

თავს ვერ ვიყავებთ და ხარბად ვეწა-  
ფებით ნაკრას წყალს. რა სამოა მისი  
ტალღა, მისი მაცოცხლებელი წყალი.  
რამდენი ხანია ასეთი სუფთა, ანკარა და  
მაამებელი წყალი არ დაგვილევია! მა-  
თარებიც ცარიელი გვაქვს, მათაც ვავ-  
სებთ პირამდე, მარაგს ვიშნადებთ, თთ-  
ქოს ამ გზაზე მსგავსი წყალი არ იშო-  
ვებოდეს.

წყურვილსაც ვიყლავთ, გულსაც ვიმ-

შვიდებთ, რადგან ყურში ჩაგვესმის ამ  
თეთრ და წყნარ ხეობაში თეთრი და ცი-  
ვი ნაკრას ხმა, მისი სასიამოვნო ხმაური,  
მისი სამური ხმა დიდ მანძილზე მიგვა-  
ცილებს მოლაშქრებს.

ასე ჩავალში ით სამშვიდობოზე, მდი-  
ნარე ნაკრას ხეობაში, განვაგრძეთ გზა  
მქუხარე ენგურისა და მისი მშვენიერი  
ხეობის შესახვედრალ, მშობლიური სით-  
ბოსა და სიმღერის შესახვედრალ...

ამ ლეგენდარულ ლაშქრობაზე, ქართ-  
ველი მეომრების ახალ საგმირო საქ-  
მეებზე მოგვითხობობდნენ კავკასიონზე  
ატანილ საგაზეთო ქაღალდზე დაბეჭ-  
დილი საბრძოლო წერილები...



# ჩირდე ქუთაცემი

03260 იმნაიშვილი

## გელიორ ვასკვლავზე ღაგაღებელი

(პრაღის მიმდინარეობის ადაპტი შანიძის დაბადების 80 წლისთავის გამო).

უკვე ვავიდა ოთხმოცი წელი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი შანიძის დაბადებიდან.

აკაკი შანიძის სამოცწლიანი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობა განუყრელად არის გადაჭავეული ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საკითხებთან. საქმე ეხება ერთს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე სათუთ, ყველაზე წმინდა საგანს—ჩეენს ენას, ჩეენს ტებილ ქართულ ენას, ზრუნვას ერთს. მისი შესწავლის, განვითარებისა და წინსვლისათვის.

აკაკი შანიძეს კარგად ესმოდა გრიგორელი ამ სიტყვების აზრი:

რა ენა წახდეს, ერთი დაცეს,  
წევცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას.

მთელი სამოცი წლის გამშველობაში აკაკი შანიძე თავს დასტურიალებს ამ სანუკვარ საგანს, იცვლევს მის წარსულს, მის აწინლელ მდგომარეობას, იბრძვის მისი დაზვეწისა და გამშვენიერებისათვის.

აკაკი შანიძე საყოველთაოდ აღიარებული უდიდესი მეცნიერია. მას კარგად იცნობენ საბჭოთა კუმინში და საზ-

ღვარგარეთ. იგი სამართლიანად არის მიჩნეული ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთ ბელადად. ხოლო ქართულ ენათმეცნიერებას, იმ სკოლას, რომელიც ა. შანიძემ შექმნა, ფართოდ აქვს სახელი განვქმული ჩეენშიც და უცხოეთშიც.

ერთობ ვრცელი და ფართოა სამეცნიერო პრობლემების წრე, რომლებსაც ჩეენი იუბილარი იკვლევს თავის მრავალიცხოვებში შრომებში. აյ არის ცელი და ახალი ქართული ენა, ქართული ენის ისტორია, ქართველური ენების სტრუქტურა, მათი წარსული და შემდგომი ისტორია, ქართული დალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, რესთველოლოგია, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ალბანოლოგია, ქართული ლიტერატურის ისტორია, პეტრიკა, ფოლკლორისტიკა, ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა, სახელმძღვანელოების შექმნა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის. შრიფტოლოგია და სხვა, სადაც დიდია მეცნიერა ფუძემდებლური ნაშრომები შექმნა.

ამასთან ერთად, აკაკი შანიძე დიდი

სახოგადო მოღვაწეებაა. მისი მოღვაწეობის პერიოდში ჩვენში არ ყოფილი რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომლის მოთავე ან აქტიური მონაწილე ის არ ყოფილიყო. აკაკი შანიძე გაბლავ დიდი ცენტ ჯავახიშვილის ყველაზე აქტიური თანამებრძოლი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი დამარსებელი. მან დიდი ღვაწლი დასდო ჩვენში საუნივერსიტეტო განათლების საქმეს, მკეინზი საფუძველი ჩაუყარა მომავალი თაობების აღზრდას მაშლიშვილური თვალსაზრისით და დღესაც ჭაბუკური გატაცებით ემსახურება მას. აკაკი შანიძე პირველთავანია, ვინც თავისი დიდი მეცნიერული აეტორიტეტითა და მაღალმეცნიერული შრომებით პრეტერის უქმნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

აკაკი შანიძის მადლიან კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი მეცნიერული შრომა, რომელთაგან 30-ზე მეტი მსხვილტანიანი წიგნია.

და ის, ვინც 60 წელს უმშევდვლოდ და წარმოუდგენელი ნაყოფიერებით ემსახურება ქართველი ერის ყველაზე წმინდა საქმეს, ეროვნულ გმირად უნდა იქნეს შერჩევილი.

\* \* \*

აკაკი შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 ოქტომბერის სოფ. ნოღაში (ცერა). დაწყებითი განათლება იქვე მიღლო. 1897 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1904 წელს დაამთავრა. მან წელსვე შევიდა ქუთაისის კლასიურ გიმნაზიაში. გიმნაზია აკად 1909 წელს დაასრულა და ამავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე (ქართულ-სომხური სიტყვიერების დარგზე), სადაც მაშინ ლექციებს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერების ნ. მარი, ვ. უკოვსკი, ე. ბართოლდი, ი. ბოლუენ-დე-კურტენე, ი. კრაჩკოვსკი, ა. შმიდტი, ლ. შეჩერბა, აგრეთვე ჩვენი თანამემამულე ი. ჯავახიშვილი და სხვები.

1907 წელს ქ. ი. ჯავახიშვილმა დაარსა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“. მა წრის თავმჯდომარებ 1911 წელს ა. შანიძე აირჩიეს.

1912-1913 წლებში ა. შანიძე რცსულ ერცყალბურიში ათავსებს წერილებს: „ვახტანგ VI“, „ვახტუშტი“, „ბესარიონ გაბაშვილი“, „დავთ გურამიშვილი“, „ქართული ანბანი“, „ქართული ენა“, „ქართული ლიტერატურა“ და სხვა.

ა. შანიძემ უნივერსიტეტი დამთავრა 1913 წელს და იქვე დატოვეს საპროფესიო მოსახლებლად (ასირიანთა).

1911 და 1913 წლებში ა. შანიძემ ქართული ენის დიალექტთა მეცნიერულად შესწავლის მიზნით მოიარა საქართველოს მთანეთი. ამის შედეგად ვამოქვეყნდა მისი ცნობილი ვამცკვლევა „ქართული კილოება მთაში“ (1915 წ.), რომელშიც მან პირველმა დასხა აუცილებელ პირობად ქართული კილოების გამოკვლევა ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლისათვის, მოგვცა მთის კილოების ზუსტი გრამატიკული ანალიზი და მიუჩინა მათ თავთავისი ადგილი ქართული ენის განვითარების ისტორიაში. ამ შრომით ა. შანიძემ მყარი საფუძველი ჩაუყარა მდიდარი ქართული დიალექტების მეცნიერულ შესწავლას.

ა. შანიძემ თავისანევ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ენის ზნებს — ჩვენი ენის ბურჯეს. სწორედ ზნების ერთ-ერთ ძირითად საკითხს — მრავალპირიანობასა და პირის ნიშნებს — ეხებოდა ა. შანიძის პირველი ფუძემდებელი მონოგრაფია, რომელიც შერტერბურგში იძებლებოდა (ჩურულ ენაზე), მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეწყდა მისი ბეჭდვა და მხოლოდ 1920 წელს გამოკვეყნდა თბილიში ქართულ ენაზე („სტატეტური პრეფეიტი შერტერბურგში მეცნიერების მეორე პირისა და ობიექტური პრეფეიტი მეცნიერების მესამე პირისა ქართულ ზნებში“). ამ წიგნმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული ზნები მეცნიერული შესწავლის საქმეში. დავძირეთ იმასაც, რომ ეს წიგნი ჩვენს უნივერსიტეტში დაცული პირველ დისერტაცია, საერ-

თოდ, და პირველი სადოქტორო დისერტაცია, კრიზიდ. უნდა ითქვას, რომ მას ცხოველი ინტერესი დღესაც არ დაუკარგავს.

\* \* \*

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგის ქართველ მოღვაწეთა შორის ი. ჯავახიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა მცირე ჯგუფი, რომელის ერთ-ერთი აქტივური წევრი დაინიშნა ქავახიშვილის უპირველესი თანამოსახვე ა. შანიძე იყო. ქართველ მეცნიერპატრიოტთა ამ ჯგუფმა შეძლო აუშერელი სიძნელეების გადალახვა და უდიდესი ეროვნული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება.

უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ა. შანიძე მხტრვალე მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში. მისი რედაქტორობით გამოდის „ტფილის უნივერსიტეტის მოამბის“ თოვე ტომი (1919-1930 წწ.). რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი ჩევნის უნივერსიტეტს. 1919-1945 წლებში იგი განაგებს ქართული ენის კათედრას, ხოლო 1945 წლიდან, როცა ეს კათედრა ორად ვაიყო, ხელმძღვანელობს ძევლი ქართული ენის კათედრას. მა ხანგრძლივი პერიოდის განმეოღვნებაში ა. შანიძე კითხულობდა მრავალ წიგნით კურსს, როგორიცაა ახალი ქართული ენა (მორფოლოგია, სინტაქსი), ძევლი ქართული ენა, სეანური ენა, ქართული ენის სწავლების მეთოდება, ქართული დიალექტოლოგია, ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა, სხვადასხვა სპეციალური კურსები ძევლსა და ახალ ქართულ ენაში („ცეკვისტურისნის“ ენა, „ვაჟას ენა“) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშვნოს, რომ უნივერსიტეტის დაარსების პირველ ხანებში ა. შანიძე კითხულობდა აღმოსავლური ენების კურსს. (არაბულს, ძევლ სომხურს და სხვ.). შემდეგ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ა. შანიძის მიერ გამოზრდილი ცნობილი მეცნიერები კ. წერეთელი, ილ. აბულაძე და სხვ.

ამ შუშაობის ბაზაზე 1945 წ. უნივერსიტეტში აღმოსავლეთცოდნეობის ფაკულტეტი შეიქმნა, ხოლო 1960 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ამავე სახელწოდების ინსტიტუტიც დაირსდა.

ა. შანიძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსლის დროს ქართული ენა არ იყო მეცნიერულად სათანადო შესწავლილი. მიმომ მეცნიერის პირველი საზრუნვაც მოცავა იყო მორგვალიულად შეესწავლა და გამოცვლია თანამედროვე და ძევლი ქართული ენის ძირითადი საკითხები. მეცნიერის 40 წლის შესწავლებით მეშაობის შედეგები შეჯამებულია ფუნდამენტალურ შრომაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (1953 წ.). ამ წიგნში, რომელიც მის მიერ 1930 წელს გამოცემული პირველი მეცნიერული გრამატიკის („ქართული გრამატიკის“) განამტკავებულ სახეს წარმოადგენს, წამოყენებულია მრავალი ახალი, გვზის მიმკერი დებულება, ქართული ენის შესწავლის საქმე აყვანილია ახალ, მაღალ საფუძვლებშე. „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ მოცემულია მდიდარი და სანდო საანალიზ მასალა, რომელიც განხილულია სანიმუშო მაღალ თეორიულ დონეზე. ამ წიგნის მიზნების და გავლენა ქართული (და არა მატრი ქართული) ენის კვლევის საქმეში განუხომელია.

\* \* \*

ძევლი და ახალი ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლისათვის აუცილებელია კრიტიკულად იქნეს გამოცემული ძევლი ქართული ენის წერილობითი ძეგლები. მიმომ ამ ძეგლების პუბლიკაცია პირველხარისხოვანი და ძალუსაშური საქმეა, ვაღაუდებული ამოცანაა, რომელიც დაყოვნებას უზრუნველყოფს. ამ შიგნის მიზნების და გავლენა ქართული (და არა მატრი ქართული) ენის კვლევის საქმეში განუხომელია.

ჯერ კიდევ არ იყო შთაბეჭდილებები განელებული ი. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ხანგრძნელი პალიმფსესტების გამო, რომ ა. შანიძემ 1923 წელს აღმო-

აჩინა, გაშიფრა და გამოსცა ჰაემეტი პალმფესტები (თბილისის უნივერსიტეტის მთაბეჭ, III, 1923). ამს დაერთო ავტორის მიერ ხანმეტი მრავალთავის აღმოჩენა (1927 წ.), რომელსაც ჩვენი კულტურის ისტორიისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და არსებოთად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ უკველს პერიოდში. ეს ძეგლი ავტორმა ვრცელი გამოკვლევით დაბეჭდა „თბილისის უნივერსიტეტის მთაბეჭში“ (№ 7, 1927).

კიდევ ერთი ხანმეტი ძეგლი, რომლის პუბლიკაციაც ეცუთვნის ა. შანიძეს, არის ე.წ. „ხანმეტი ლექციონარი“, იგი უკველსი პერიოდის ძეგლთა შორის ერთადერთია, რომლის ტექსტიც თითქმის ხელუბლებლად არის ჩვენამზღვე მოლწეული და ამის გამო განსაუთრიებული მნიშვნელობა ენიჭება. ა. შანიძე მას მე-შეიდე საუკუნით ათარიცებს. ძეგლი ორგერ გამოსცა ა. შანიძემ (1929 და 1944 წწ.). უკანასკნელ გამოცემას ერთვის ფორმიტიბიცები და სიმფონია.

რომ უფრო ორგანიზებულად და სწრაფად გამოცემულიყო ძეგლი ქართული ენის ძეგლები, ა. შანიძემ დაარსა სამი სერია:

პირველია *Caucasus Polyglottus*, რომელშიც დაიბეჭდა მისივე „ძეველი ქართულის ქრესტომათია“ (1935 წ.). ტექსტები დაბეჭდილია სამივე ანაბანით (მრგლოვნით, ნესხურით და მხედრულით). შრომა საუნივერსიტეტი სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, რომლითაც დაიღხანს ხელმძღვანელობდანწენ უნივერსიტეტისა და პედინსტიტუტების სტუდენტები.

მეორე სერია („ძეველი ქართული ენის ძეგლები“) ავტორმა დაარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან 1944 წლს, რომლის პირველ ტომაცაც ზემოთ აღნიშნული „ხანმეტი ლექციონარი“ გამოვიდა. დღემდე ამ სერიიში სულ თერთმეტი ტომი დაიბეჭდა, რომელთაგან ოთხი თავად ა. შანიძეს ეკუთვნის, ზანარჩენი შეიძი კი გამოსულია

მისივე რედაქციითა და ხელმძღვანელობით.

ეპოქას მოვლენას წარმოადგენდა ა. შანიძის მიერ სერიის მეორე ტომად გამოქვეყნებული „ქართული ოთხთავის ორი ძეველი რედაქციისა სამი შატბერდული ხელნაშერის მიხედვით“ (1945 წ.). ამ წიგნის გამოცემამდე ჩვენ არ გვქონდა სახარების მეცნიერულად დადგენილი ტექსტი. სახარების ენა კი ყველაზე უკველსი ენაა დღემდე შემონაბულ წერილობით ძევლებს შორის. მასში არსებითად IV-V საუკუნეების ქართულია დაცული. ამიტომ, ბუნებრივია, სახარების ტექსტის გამოცემა დიდი ეროვნული საქმე იყო. ამიერიდან სანდო დასაყრდენი შეექმნა ენამეცნიერულ და ფილოლოგიურ კვლევას.

ახლი აღთქმის სხვა წიგნები გამოქვეყნდა ა. შანიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქციით.

ა. შანიძემ წამოწყო აგრეთვე ბიბლიის პრბლიკაცია. ჯერჯერობით გამოცემულია ამ დიდი წიგნის მხოლოდ ორი ნაკვეთი (1947 და 1948 წწ.), სხვა ნაკვეთებს მხცევანი მეცნიერი თანდათან ამზადებს გამოსაცემად.

მესამე სერია. რომელიც ა. შანიძემ 1955 წლს დაარსა თბილისის უნივერსიტეტში, არის „ძეველი ქართული ენის კათედრის შპონებით“. ამ სერიიში დღემდე ათი ტომია გამოსული. აქ დაიბეჭდა „სინტრი მრავალთავი 864 წლისა“ (1959 წ.), რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიისათვის. ესაა ყველაზე უკველსი თაბილიანი ქართული ხელნაშერი, ერთგვარი ქრესტომათია, რომელშიც შესულია 18 აერორის 50 ნაწარმოები. წიგნი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ (გადამწერის ანდერძში) პირველად გვხვდება ნუსხური ანბანი. გამოცემას ერთვის ა. შანიძის წინასიტყვითა და ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც გაშექმნებულია მრავალი სანტერესო საკითხი ხელნაშერის შედგენილობის, მასში დაცული ძეგლების წარმოადგლობისა და ენის შესახებ.

ძველი ქართული ტექსტების გამოცე-  
მას ა. შანიძემ საფუძვლად დაუდო ახა-  
ლი პრინციპები, გაცილებოთ უფრო  
სწორი და მარჯვე (ვიღრე მანამდე იყო),  
რომელიც ნათლად გვაჩვენებს ქართუ-  
ლი ენის განვითარების ისტორიას, მის  
ცალკე საფუძვრებს, მის დამახასიათე-  
ბელ თვისებებს ეპოქების მიხედვით.

ეს 21 ტომი (ამათში 8 საკუთრივ მი-  
სია) წარმოადგენს ძვირფას საცნეებს  
ჩვენი ენის, ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი  
სახელოვანი წარსულის შესწავლის საქ-  
მეში.

\* \* \*

ტექსტოლოგიასთან ახლოა ზიალექ-  
ტოლოგიური მუშაობა და დაალექტო-  
ლოგიური მასალების შეკრება, რასაც  
ა. შანიძე აღრიდანვე დიდ უურადღებას  
აქციედა. როგორც აღნაშნული გვერნ-  
და, მან სტუდენტობის დროსვე დაიწყო  
ქართული ენის მთის დაალექტების შეს-  
წავლა, რასაც მიუძღვნა ცნობილი გა-  
მოკვლევა „მთის კილოები მთაში“ (1915 წ.). მას მოჰყვა უშუალოდ მის  
მიერ და მისი ხელმძღვანელობით დაა-  
ლექტოლოგიური მასალების შეკრება,  
მონოგრაფია ინგილოურ დაალექტზე  
(რ. ლამბაშიძე). ა. შანიძემ საქმის დიდი  
ცოდნით შეადგინა დაალექტოლოგიური  
ლექსიკონები მისი ხელმძღვანელობით  
ბ. გაბულის მიერ გამოქვეყნებული  
ხელისურული მასალებისა, ვაჟა-ფშავე-  
ლას თხზულებებისა და სხვ. მაგრამ  
უკენობ გვირვაინ ა. შანიძის დაალექ-  
ტოლოგიური მუშაობისას წარმოადგენს  
მისი 740-გვერდიანი კაპიტალური ნაშ-  
რომი „ქართული ხალხური პოეზია. 1.  
ხელისურული“ (1931 წ.), რომელიც სიახ-  
ლით, მასალების სიუხვითა და მაღალი  
მეცნიერული დონით არა მარტო დია-  
ლექტოლოგიაში, არამედ ფოლკლორის-  
ტიკასა და ლიტერატურაშიც მიუცილე-  
ბელ სამაგიდო წიგნად ითვლება.

\* \* \*

ა. შანიძე თავიდანვე დიდ უურადღე-  
ბას აქციედა ქართველი ერის მდიდარი

სიტყვიერი მარაგის შეკრებასა და შეს-  
წავლას. ეს აღსანიშნავია ხევსურული  
ლექსიკონი, რომელიც მან დაურთო მი-  
სივე ხელმძღვანელობით დაწერილ და  
გამოცემულ დაალექტოლოგიურ ტექს-  
ტებს ბ. გაბულისას („წელიწლეული“,  
1923-1924).

ა. შანიძემ ი. ყიფშიძესთან ერთად გა-  
მოაქციეს სულხან-საბა რაბეჭილიანის  
„სიტყვის კონი“ (1928 წ.). ეს იყო ამ  
დადებული წიგნის მეორე გამოცემა  
(პირველი იგი პოეტმა რ. ერისთავმა  
გამოისცა 1884 წ.). ამ გამოცემას ერთოვს  
ა. შანიძის ვრცელი გამოცელევა, რო-  
მელშიც განხილულია ლექსიკონის რე-  
დაქტორი, შედგენილობა, ილუსტრაცი-  
ები, საძიებლები. საბას ლექსიკონის  
ა. შანიძისეული გამოცემა სამართლია-  
ნად ითვლება ერთ-ერთ სანიმუშო პუბ-  
ლიკაციად.

მეტად დიდი მეცნიერული ღირებუ-  
ლებისაა ა. შანიძის მიერ შედგენილი  
ვაჟა-ფშაველას ლექსიბისა და პოემის  
ლექსიკონი, რომელიც დართული იქნა  
ა. აბაშელისა და თვით ა. შანიძის რე-  
დაქტორით გამოცემულ 4 ტომს — ლექ-  
სება (I და II ტ.) და პოემებს (III და  
IV ტ.), იგრძოვე ვაჟას „ჩჩიულს“, რო-  
მელიც იმავე პირთა რედაქტორითა გა-  
მოსული (1953 წ.). ამ ლექსიკონებში  
ფართოდ გამოჩნდა მდიდარი სიტყვი-  
ერი მარავი, რომელსაც ვაჟა იყენებდა  
თავის შემოქმედებაში. საყურადღებოა,  
რომ „ქართული ენის განმარტებითს  
ლექსიკონში“ XIX-X X საუკუნეების  
კლასიკოსებითან (და, საერთოდ, ცველა  
მწერლიდან) დამოწმებული ცოტატების  
მიხედვით პირველ დაგილზე დგას ვაჟა,  
მას მაჟყვებან ილა, ყავა და სხვები.

როგორც ცვლი აღნიშნული გვერნდა,  
ა. შანიძემ 1944 წელს (მეორედ) გამო-  
აქცევნა „ხანმეტი ლექსიკონარი“, რო-  
მელსაც დაურთო ძეგლის სრული სიმ-  
ფონია. ეს არის ჩვენში პირველი შემთხ-  
ვევა, როცა ძეგლი ქართული ენის ძეგლს  
ერთვის სიმფონია. ა. შანიძის სიმფონია  
სრულიად ახალ პრინციპებზეა აგებული.  
იგი შემდეგ საფუძლად დაედო ჩვენში

გამოცემულ სტატიას ხვა სამფონიერო, მაგალითად, „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის“ (1948-1949 წწ.) და „ველებისტუაონის სიმფონიის“ (1956 წ.). დავძირ იქვე, რომ „ველებისტუაონის“ 1957 წლის გამოცემის ა. შანიძემ დაურთო ვრცელი ლექსიკონი. ამ ლექსიკონის დამახასიათებელა თვისებაა საქმის ღრმა ცოდნა, გამარტივდათ სიჩუბრე და ლაკონიურობა.

ლექსიკონით შედგენის ახალ ეტაპს წარმოადგენს ა. შანიძის ცნობილი შრომა „გ. მთაწმიდლის ლექსიკონი“, რომელიც ერთვის „ოთვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ტექსტს (1946 წ.). იგი განსაკუთრებით საყურადღებოა პრინციპული თვალსაზრისით აქ ზმნების ფორმები დალაგებულია გარკვეული სისტემით: ზმნის გამოსავალ ფორმად აღებულია საწყისი (მასდარი), ყველა პირიანი ფორმა მატანაა მოყვაბილი მეცრად განსაზღვრული წესით.

ა. შანიძემ ამავე ლექსიკონში შეიმუშავა ზმნის პირიან ფორმათა ჩერენების ინდექსების სისტემა, რომელიც ააღვილებს ქართული ზმნის როტულ ფორმებში გარკვევას და ლექსიკონის მოხმარებას.

ა. შანიძის ხელმძღვანელობით მოამზადა კერძო ქართული ენის კათედრამ „ველი ქართული ენის ლექსიკონი“ 3 ტომად, რომელიც უახლოეს ზანში დაიხედვება. მისი შექმნა მოაწევებს ახალ ეტაპს ჩვენი კულტურის ისტორიაში. ამ დიდი შრომით ძირითადად აღნიშხული და შესწავლით ქართული ენის წარსულის დიდი მონაცემის სიტყვიერი საუნდე, ერთი დიდება, ჩვენი წინამდების დაუღალავი შემოქმედებითი ძიების უტურარი ნაყოფი. ყველა ამ საქმის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი არის ჩვენი დაუღალავი მასწავლებელი ა. შანიძე.

\* \* \*

ა. შანიძე თავიდანვე დიდი სიყვარულით და გატაცებით იკვლევდა ქართული ლიტერატურის დიდებულ შედევრს „ველებისტუაონის“. ამ საგანჩე მას დღე-

მდე ორმოცხვე შეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული, რაც დიდად უწყობს ხელს პოემის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

1937 წლის ა. შანიძემ მოახერხა აღელგინი ვახტანგის ერთობელი „ველებისტუაონი“ (1712 წლისა). პოემის ტექსტითან ერთად მან გამოსცა ვახტანგის „თარგმანი“. წიგნს ერთვის ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა გამტანგის გამოცემის „შესახებ. ამ შრომის გამოკვეყნების შემდეგ ვახტანგის ერთობელი „ველებისტუაონი“ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, გამწმინდა შეცდომებისაგან. აღლგა პირვანდელი სახით.

მაგრამ ამ გამოცემის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ის იყო, რომ აქ ა. შანიძემ თვალნათლივ დამტკიცა: ვახტანგის მიერ გამოცემული ტექსტი არის არა რომელიმაც ძველი ხელნაწერის უცვლელი ვახტანგორება, როგორც უკირბდა პ. ინგორიშვილი, არამედ ერთ-ერთი ვრცელი ხელნაწერის ხელოვნურად შემოკლებული კრიტიკული რედაქცია. ამ დასკვნამ ბოლო მოულო ხანგრძლივ მეცნიერულ დავას ვახტანგის ერთობელი გამოცემის რედაქციული რობის შესახებ.

„ველებისტუაონისზე“ მუშაობისს ა. შანიძე განსაკუთრებულ ყრჩაღღებას ტექსტის დადგენის აქცევდა. მართლაც, სანამ პოემის ტექსტი მეცნიერულად არა დადგენილი და შეი სხვადასხვა, ერთომერის გამომრიცხველი წაგითხვები გვხვდება, მანამდე ძირითადი საკითხების მართებულად გადატახჩე ზედმეტია ლაპარაკი. ამიტომ უპირველესი და თავიდათავი საზრუნვაო ამოცანა თვით ტექსტის მეცნიერული დადგენია. სწორედ ამ მიზანს ისახევს ა. შანიძის მრავალი ვრცელი გამოკვლევა და მოკლე სტატია, მაგრამ განსაკუთრებით ალსანიშნავია შრომა „ველებისტუაონის“ ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“, რომელიც შესავლად ჰქონდა წამოღვარებული „ველებისტუაონის სიმფონიას“. აქ იყორის გათვალისწინებული აქვს 200-მდე სხვადასხვა სახის შესწორება მანამდე მიღებულ ტექსტში. ამ

შესწორებათა უმეტესი ნაწილი დღეს  
საყველთაოდ არის გაზიარებული.

„ვეფხისტყაოსნის“ „სიმფონია“, რომე-  
ლიც აბლა ვახსენეთ, არის რიგით მეო-  
რე ასეთ შრომათა შორის. პირველად  
„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია პოეტმა  
და რუსთველოლოგმა კ. ჭიჭინაძემ შე-  
ადგინა და დაურთო მის მიერვე გამო-  
ცემულ პოემას (1934 წ.). ა. შანიძის მი-  
ერ გამოცემული სიმფონია სულ სხვა  
პრინციპებზეა აგებული. სიტყვები მას-  
ში უბრალო ანბანის რიგით კი არაა და-  
ლაგებული, არამეულ მექანიზმუ-  
ლი წესრიგით. ა. შანიძის სეული სიმფო-  
ნიის გამოსვლის შემდეგ ერთიორად გა-  
ადგილდა პოემის საკითხების კვლევა-  
ძიება.

ა. შანიძის ხანგრძლივი და ნაყოფი-  
რი მუშაობის შედეგს წარმოადგენს ავ-  
ტორის კაპიტალური ნაშრომი „ვეფხის-  
ტყაოსნის საკითხები“, რომელიც შარ-  
შან, რუსთველის იუბილის დღებში გა-  
მოიყიდა. ამ შემახამებელ შრომაში შე-  
სულია ადრე გამოქვეყნებული ნაშრო-  
მები, აგრეთვე ახალი გამოკვლევები,  
კველა ამ გამოკვლევასა და სტატიას  
დადიო მნიშვნელობა აქვს უკვდავი პო-  
მის სხვადასხვა საკითხის კვლევის საქ-  
მეში. კრცლად ა. შანიძის ამ წიგნის შე-  
სახებ საუბარი ვაქექს ცალკე („ციცქა-  
რი“, № 11, 1966) და აქ აღარ შეყჩირ-  
დებით დაწვრილებით. დავურთავთ  
მხოლოდ, რომ ა. შანიძის მონაწილეო-  
ბით დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“  
ტექსტი ასმდენჯერმე გამოიცა (1951,  
1957, 1960, 1963 და 1966 წლებში).  
ასათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია  
1957 წლის გამოცემა (ც. კეცელიძისა და  
ა. ბარამიძის თანარედაქტორობით) და  
1966 წლისა, კურიანტებიანი (ა. ბარამი-  
ძის თანარედაქტორობით).

ა. შანიძემ დიდი წვლილი შეიტუა  
ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის შეს-  
წავლის საქმეშიც. იგი გამლავთ ცნობი-  
ლი აღანოლოვი.

1938 წლს ილ. აბულაძემ ერევანში  
XV საცუკრის ერთ სომხურ ხელაწერ-  
ში აღმოჩინა ანბანთა კრებული და და-

წვრილებით შესწავლისათვის გადამცირდა  
თავის მასწავლებელს ა. შანიძეს. ა. შა-  
ნიძემ დაწერა ვრცელი ვამოკვლევა  
«Новооткрыты алфавит кавказских  
албанцев и его значения для науки».  
ავტორმა ამ ნაშრომში გამოარკვია,  
რომ ერთ-ერთი იმ ანბანთაგანი არის  
აღბანური ანბანი, დღევანდველი ახერ-  
ხავანის ძევლი მოსახლე კულტურული  
ერის ანბანი, რომელიც ახლო დგას  
უციურთან. მან გამოიქვა მოსახრება,  
რომ იმ ადგილების გათხრების შედე-  
ვად, საღაც ძველად აღბანელები სახ-  
ლობზნენ, შესძლებულია აღმოჩნდეს  
ახალი ნიმუშები წარწერებისა თუ სხვა  
სახით. ა. შანიძის ეს ვარაუდი მაღლ ვა-  
მართლდა: 1948 წლს მინგრეაურის  
(ახერბ.) გათხრების დროს ტაძრის ნაგ-  
რევებში მართლაც აღმოჩნდა წარწერა  
აღბანურ ენაზე. ა. შანიძემ ამ საკითხე-  
ბისაღმი მიღვნილ ახალ შრომებში  
(1957, 1959, 1960 წ.). ნათელყო, რომ  
აღბანური ენა არის იძერიულ-კვკასიუ-  
რი კვეულის უძველესი ენათაგანი, რომ  
იგი ძალიან ახლოს დგას უდიურთან და  
რომ უღევანდელი უდიები ძველი აღბა-  
ნელების ჩამომავლები უნდა იყენენ.

\* \* \*

როგორც აღნიშნული გვქონდა, ა. შა-  
ნიძე სამართლიანად ითვლება ქართული  
ენათმეცნიერული სკოლის შემშენებად.  
იშვიათია ისეთი მეცნიერი, რომელსაც  
იმდენი მოწაფე გამოიხარის, რამჟე-  
ნიც ა. შანიძეს ჰყავს ვამოხრდილი. მისი  
ხელმძღვანელობით არიან აღზრდილი  
დღევანდელი კადაგმენისბი, პროფე-  
სიორები, დოკუმენტები. მწერლები, სა-  
ხელმოხვევებილი შევლევარები, რომელ-  
თაც ა. შანიძის მეცნიერული წრიობა  
მიიღეს. ა. შანიძის ხელმძღვანელობით  
დაეცემონენ ქართულ ენას ცნობილი  
საზღვარგარეთელი მეცნიერები (ა. შა-  
ნიძის ყოფილი ასპირანტები): ნორვეგია-  
ელი ჰანს ფოგტი — ოსლოს უნივერსი-  
ტეტის რექტორი, პოლონელი იან ბრაუ-  
ნი და სხვები. ა. შანიძისისაგანა დავალე-  
ბული ავრევე ცერანელი მეცნიერი

ქართველობის იულიუს ასფალგი. ა. შანიძის მოწავლებია საშუალო სკოლის ფილოლოგ-მასწავლებელთა ლეგიონი; ესენი აკაკის ბური შთაგონებით იბრძვიან, რომ მიღებული ცოდნა ახალი თაობების აღზრდას მოახმარონ.

\* \* \*

ა. შანიძე სისხლხორცულად არის ჟანინტერესუბული, საერთო, ჩევნი კულტურის წინსელისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის აღზრდის გადაუდებელი საქმეებით. დიდი მეცნიერი მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე დაუღალავად ზრუნავს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის კარგი სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

როგორც აღნიშნული გვქონდა, 1930 წელს მან გამოსცა „ქართული გრამატიკა“, რომელიც იმთავითვე უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი. ეს წიგნი ღიანანს ჭარმოადგენდა ერთადერთ სახელმძღვანელოს, სანამ იცი არ შეცვალა. ა. შანიძისავე 1942 წელს გამოსულმა „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა“ (I ნაკვ); II წარეთო 1943 წელს გამოვეყუნდა, ხოლო 1953 წელს დაბეჭდია იმავე „საფუძვლების“ მთლიანი გამოცემა ახალი თავების დამატებით. ეს წიგნი ნამდვილად ჭარმოადგენს ჩევნი ენის მეცნიერულად შესწავლის საფუძველს, ეს ფუნდამენტალური გრამატიკული ენციკლოპედია, რომელშიც მსურველი ყოველ საჭირო კითხვაზე იპოვეს სათანადო პასუხს.

იგივე წიგნი ავტორმა სახელმძღვანელოდ გადაკვეთა და „ქართული ენის კრამატიკის“ სახელშოდებით გამოსცა 1955 წელს (მეორედ გამოვიდა 1962 წ.).

ა. შანიძის მადლიანი ხელი საშუალო სკოლასაც მისწვდია. დიდი მეცნიერი სისტემატურად მონაწილეობს პროგრამების შედგენასა და მათს გაუმჯობესებაში, წერს მეოთხეულ მითითებებს, აქვეყნებს ცალკე სტატიებს. ხოლო მისი უქართული ენის კრამატიკა“ (I და II

ნაწილი), რომელიც წარმოადგენს ქართული ენის სტაბილურ სახელმძღვანელოს V-VI-VII-VIII კლასებისათვის, აგრეთვე თითქმის მესამედი სუკუნეა სისტემატურად გამოდის. მასთან, ჩევნი ახალგაზრდობის დაუღალავი მომავავე ყოველწლიურად აუმჯობესებს ახალ გამოცემებს.

აღნიშნულ სახელმძღვანელოებსა და თავის სხვა შრომებში ა. შანიძემ შექმნა ძალიან ბევრი მოხერხებული და ქართული ენისათვის მორგებული ტერმინი, რომელთაც ფართოდ გაიყაფეს გზა მოსუავლე ახალგაზრდობასა და ხალხში. ა. შანიძის სახელმძღვანელოებით ყოველწლიურად ასიათასობით ახალგაზრდა ეწაფება მშობლიურ ენას. არ შევიდებით თუ ვიტყვით, რომ ი. გოგებაშვილისა და ა. შანიძისოდენი ღვაწლი ამ დარღვეული არავის მიუძღვის. ა. შანიძე ჩევნული ენერგიით აპლაც განვირდობს ამ მიმართულებით ექტიურ საქმიანობას.

\* \* \*

სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის ა. შანიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი დაკილოდობულია უმღლესი ჭილდოთი — ლენინის ორდენით (ორჯერ), შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის არდენებით, მედლებით.

\* \* \*

პირად ცხოვრებაში ა. შანიძე მეტად უბრალო დამიმართავს. პოზა და განზიდების მანი ჭირივით ეჭავრება, გულითადად ახარებს სხვების წარმატება და ყოველმხრივ უშვყობს ხელს ნიჭიერ და შრომისმოყარე ახალგაზრდობას. მასთანავე, ის მეცნიერი მომთხოვნილა თავისთვისა და სხვების მიმართაც, აკაკი მეცნიერულსა და საზოგადოებრივ საკითხებში პრინციპული და უკომპრომისოა, მაგრამ ამასთან ერთად ყოველთვის სამართლიანი. შინაურ ცხოვრებაში, აღმარნებოთან დამოკიდებულებაში სულგრძელი და დამთმობია. მის

თვის უცხოა ხალხისაგან გაწყვენების, თავისი პიროვნებისადმი ხაზგასმის ფუ-  
ჭი ჩვევა, ზოგიერთს რომ ახასიათებს.  
ა. შანიძისათვის ჩვეულებრივია ყველა  
ადამიანის, უბრალო ადამიანის დამახა-  
სიათებული თვისებები. ის არის მოშნიბ-  
ლავი მობაასე, უშუალო, ენამახვილი,  
ჯანსაღი იუმორის გრძნობით დაჯილ-  
დოებული, პოეზიის მოყვარული (ასო-  
ბით ლექსი იცის ზეპირად; ახალგაზ-  
რდობაში თვითონაც წერდა და ბეჭდავ-  
და ლექსებს), ჩინებული მომღერალი,  
მომლენი, ძლიერა მოჭადრაკე, ერთი  
სიტყვით, ყველა ადამიანური თვისებით  
შემკული.

ა. შანიძე ბეჭნიერ ვარსკვლავზეა და-

ბაზებული და თავადაც ბეჭნიერად უნ-  
და თვლილეს თავს, რაღაც თავისი  
მჩქეფარე სიცოცხლე, გმირული შრომა  
და უმშიცვლო მოღვაწეობა მსხვერპლად  
მიიტანა ქართველი ერის კეთილდღეო-  
ბისათვის ბრძოლის საკურთხეველთან.  
რა შეიძლება იყოს მისი საზღაური? —  
მხოლოდ და მხოლოდ ხალხის სიყვარუ-  
ლი და პატივისცემა, რომელიც მან სა-  
მირთლიანად დაიმსახურა.

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ მამუ-  
ლიშვილს, ქართველი მეცნიერების პატ-  
რიარქს, დიდხანს სიცოცხლეს და ჯან-  
მრთელობა თავისი სამშობლოს საკე-  
თილდღეოდ, თავისი ერის გულის გა-  
სახარებლად.



## შესაბამისობის მიზანი

### ქართული ენის მასაზღვაული

„ყოველი საიდუმლო მას ენასა  
შინა დამარტოლ არს!“

ოთანე-ზონიშვილ, X ხ.

აკადემიურს აკაკი შანიძეს დაბადების ოთხოცი წელი შეუსრულდა. ამათგან სამოცი წელი მეცნიერებას ეკუთვნის. აკაკი შანიძემ ბევრჯერ გაახარა ჩვენი საზოგადოება თავისი ბრწყინვალე შრო- მებითა და მეცნიერული აღმოჩენებით. მხეოვანი მეცნიერის სახელი ფართო- და ცნობილი არა მარტო მშობლიურ საქართველოში, არამედ მის გარეთაც, როგორც ჩვენს მრავალეროვან გვეყა- ნაში, ისე უცხოეთში, ყველგან, საჭაც აფასებენ და პატივს სცემენ ქართულ ენასა და ლატერატურას, ქართულ მეც- ნიერებას.

თავისი დაბადების ოთხოცი წლის- თავს აკაკი შანიძე მრავალრიცხვანი მეცნიერული შრომებით ხდება, რო- მელთაგანაც რამდენიმე საქმაოდ მოზრ- დილ მონოგრაფიასა თუ სქელტანიან წიგნს წარმოადგენს. ეს არის ფასდაუ- დებელი საუნჩე მამულიშვილი მეცნიე- რის მიერ მშობლიური კულტურის სა- კანკურში შემოტანილი. ამიტომ შემთხ- ვევითი როდის მისი დიდი პოპულარო- ბა, რის გამოც აკაკი შანიძის სახელს სიყვარულით წარმოთქვამენ ხოლმე ყო- ველგვარი მეცნიერული ტატულისა და

ზელტოდების გარეშე. ჩვენც არ დავარ- ღვევთ ამ ტრადიციას და აქ შევეღლე- ბით, ძალიან მოკლეს, ზოგად ხახვაში წარმოვაჩინოთ მისი დამსახურება ქარ- თული მეცნიერების წინაშე.

აკაკი შანიძის მდიდარი მეცნიერუ- ლი მემკვიდრეობის შეფასება-განხილვა ჩვენს ძალ-ღინეს დიდად აღემზება. მხოლოდ დიდი მეცნიერისადმი სიყვა- რული გვაძევევინებს გამოვევმაურით მისი დაბადების ოთხოცი წლისთავს.

აკაკი შანიძის შრომები მარტო ენათ- მეცნიერებას არ ეკუთვნის. მინ დიდი ამავე დასდო ძველი ქართული ლიტერა- ტურის ისტორიას უძველესი ტექსტების გამოცემით, რომლებსაც ჩვეულებრივ თან ახლავს სათანადო ფილოლოგიური გამოკვლევანი. მათში გარეულია ძეგ- ლებთონ დაკავშირებული ისტორიულ- ლიტერატურული საკითხები. ამის კლა- სიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახე- ლოთ აკაკი შანიძის მიერ აღდგნილი და ხელახლა გამოცემული ვარტანგ მეცნი- სეული „ეფუძისტყაოსანი“.

დიდი მუშაობა აქვს გაწეული მეც- ნიერს ქართულ ხალხური ზეპირისუ- ვიერების ხაზით. აქ საქმარისია მოვიყო-

ნოთ „ხევსურული პოეზია“, რომელშიც სურულად არის ჭარმოდგენილი მთის ხალხური პოეტური საუნჯე, შეკრებილი სხვადასხვა დროს როგორც თვითონ მის მიერ, ისე სხვების მიერაც. ტექსტებს თან ახლავს გარიანტები და გამოკლევა. ეს წიგნი არის ფოლელორული ტექსტების მეცნიერული გამოცემის ნიმუში. აյაკი შანიძემ აკდემიკოს ვარლამ თოფურიასთან ერთად გამოსცა სკოლი პოეზია და პროზაული ტექსტები, რაც თააბრად მნიშვნელოვანია როგორც ერთმეცნიერებისათვის, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვისაც.

აյაკი შანიძის შრომების ჩამოთვლა შორს წავიდუყანს. მოკლედ ვიტყვით: არ დარჩენილა ქართველოლოვანის არც ერთი დარცვი, საზღვა მას თავისი ნნული არ გვევლოს. გარდა ამისა, აკაკი შანიძემ აღზარდა ბევრი ჩევრი ცნობილი მეცნიერი.

დიდი მეცნიერი თავის იტბილეს მრავალრიცხოვან შრომებთან ერთად მრავალრიცხოვანი მოწაფეებითაც სვდება. რომლებიც იღწვიან წევნშიც და სახლვარეგულობაც. ამას უნდა დავუმატოთ აკაკი შანიძის დაულალვი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი გვერდში ედვა დიდ ქართველ მეცნიერს ივ. ჯვარიშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლაში. უნივერსიტეტის განხილის შემდგა დღემდე აკაკი შანიძე არის ქართული ენის კათედრის კავშე. აქაც კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა კვეთვა, მაგრამ სათქმელს ისევ შევამოკლებთ. აკაკი შანიძის მეცნიერულ მოღვაწეობაში ცალკე უნდა გამოყოფილი იყო მთავარი და ძირითადი პრობლემა, რომლის ირველივაც თავს იყრის მთელა მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. ესაა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა თავისი აქმოთი, წარსულითა და დიალექტებით. რა იყო წინათ გვეთებული მისი შესწავლის ხაზით და როგორია ამ საქმეში აკაკი შანიძის დამსახურება?

განვიხილოთ ეს საკითხი ცალკე. ქართული ენის მეცნიერულ შესწავ-

ლაში ვარკვეული ღვაწლი მოუძღვით პროცე. ალ. ცაგარელსა და აკად. ნ. მარს. არც ერთ მათგანს იგი საგანგებო კვლევის საგნად არ უქცევია. მაირმ ბუნებრივია, რომ ნ. მარს და ალ. ცაგარელს არ მოუცაათ ქართული ენის ენაშემცნერული ანალიზი, არ დაუწერიათ მისი გრამატიკა. მათი მუშაობა შემოიფარგლა ცალკეული საკითხების განხილვით. აღსანიშნავი ერთი დამასხსიათებელი გარემოებაც: ქართულ ენას იყვლევნენ და მეცნიერული შრომები სხვა ენაზე იწერებოდა. ეს გამოწვეული იყო ქართული მეცნიერების იმდროინდელი მდგრამატეობით.

ასეთ ვითარებაში მოუხდა სამეცნიერო ასპარეზშე გამოსვლა აკაკი შანიძეს. სათანადო მეცნიერული წრთობა მან მიიღო ნ. მარისა და ივ. ჯვარიშვილისაგან. აკაკი შანიძემ თავიდან ანგარიში იმპერიულ ენის მიხედვით მოუხდა სამეცნიერო ენის მიზნით თავისი კვლევის იმპერიულ ქართული ენა იმრი არა და განიზრახა გრამატიკული თვალსახრისით მისი კვლელმხრივი შესწავლა. ბირველმა შედევებმა ნ. მარის მოწონება და აღფრთოვანებული შეფასება დაიმსახურა. ეს ნაშრომი შეეხებოდა ქართული ზენის ულვლებას, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო ცრუელ მონეგრაფია: „სუბიექტური. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. საცეტერესოა თვითონ ამ შრომის ისტორიაც. იგი პირველად რუსულ ენაზე დაიწერა და რუსეთის მეცნიერებათა. აკაკების გამომცემლობას გადაეცა 1915 წელს. იმსომაში მოხდა დიდი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციი, რომელმაც საშუალება მისცა ქართველ მოღვაწეებს, დიდი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, დაეგასებინათ ეროვნული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამის შემდევ ეს მონოგრაფია გამოქვეყნდა ქართულ ენაზე და მან 1920 წელს ავტორს ხახლდარსებულ უნივერსიტეტში მოუპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ეს იყო ქართულად დაწერილი პირველი დიდი ენათმეცნიერული ნაშრომი, პირ-

ველი საღოქტორო დისერტაცია, ზაფული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისი კეთილად დაგენერა ქართულ მეცნიერებას.

დროის შედარებით მცირე მონაცემთში ქართველობისა ვამზიდრდა პირველბარისნოვანი მეცნიერული შრომებით. ღლეს ქართული საენათმეცნიერო სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. მას დიდ ანგარიშს უწევენ ყველგან, როგორც საჭიროა კავშირში, ისე უცხოეთშიც. იგი ათეულობით და ასეულობით ითვლის დიდად მისშენელოვან ენათმეცნიერულ მონოგრაფიებს. ყოველივე ამას დასაბამი მისცა აყავი შანიძის სხენებულმა ნაშრომში, რომელიც ქართული ზმინის ულვლებისამდინარე მიძღვნილი.

ზმინა ქართულში აღმართულია, მდიდარი და ფორმის მხრივ მრავალფროვანი. თეოთონ მეცნიერის სიტყვით „ქართულ ზმინას ზოგი რამ აქვს ისეთი, რომლის პარალელსაც ჩვენ სხვა ენებში იშვიათად ვითოვთ: ქართული ზმინის აგბულება არსებითად განსხვავდება ინდო-ევროპულისა, სემიტურისა და თურქული ენების ზმინის აგბულებისაგან“. მიღვნად მის შესწავლის მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. ქართული ზმინის სიაზუმლებაში გარჩევა ერთობ რთულია და დიდ სიძრელებოთან არის დაკავშირებული. შემთხვევით როდის XIX საუკუნის ერთი საკოლო გრამატიკის ავტორის პლატონ იოსელიანის სიტყვები: „ქართულისა ენისა ზმინის ყოველნივე არიან უკანონონია“. აყავი შანიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან თავის პირველსაც ნაშრომში მეცნიერული კანონზომიერება მოუწოდა ქართული ზმინის ულვლებას, ამრიცნ მისი შინაგანი საიდუმლოება და ამით საბოლოოდ ბოლო მოუღო ქართული ზმინის შესახებ არსებულ მცდარ შეხედულებას. ეს ნაშრომი ემყარება მდრიდ ფაქტიურ მასალას, ყოველ ცალკეულ საკითხში მსჯელობებას უხვაზ არის გამოყენებული როგორც ძვე-

ლი, ისე ახალი სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების მონაცემები. მეთოზოლოგითა და კვლევა-ძების სიახლით იგი დღემდე სანიშვნოა და მისაბაძი. მასზე აღინიშნდა ქართველ ენათმეცნიერთა თაობები. სულ რაღაც ორი-ოდე მაგალითზე დამყარებით აყვი შანიძემ იწინასწარმეტყველა, რომ ძველად ქართულში მეორე სუბიექტური პირისა და მესამე მოიქმედებოდა პირის პრეფიქსად უნდა გვჭრონდა ხანი. რაც შემდეგში მალე დადასტური ტექსტების აღმოჩენამ. ეს არის მეცნიერული აზრის გამარჯვების ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითი. ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ.

პირველ მონოგრაფიას მოყვა მეცნიერის შრომების მთელი სერია, მიძღვნილი ქართული ენის გრამატიკის რთული საკითხებისადმი, რომლებსაც აყვი შანიძე წლების განმავლობაში დაუღალავად იკვლევდა და იკვლევს იმავე. ჩვენ აქ არ მოვყვებით მისი ცალკეული შრომების განხილვა-დასახელებას. ეს ამფერად არ არის აუცილებელი. აღვნიშვნათ მოქლედ, რომ დიდი შეცნიერის მიერ ხანგრძლივი კვლევით მომოვებული შეჭევი წარმოდგენილია მის ვრცელ ფუნდამენტულ ნაშრომში: „ქართული გრამატიკის საფუძვლებია“. შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს წიგნი არის ქართული ენის ბრწყინვალე მატიანე, ჩვენი დროის თავისებური „ქებად და ფილება ქართულისა ენისაც“, რომელშიც იგი წარმოდგენილია მთელი თავისი სიმდიდრითა და მრავალფროვებით. აეტორს მეცნიერულად ამოუხსნია ქართული ენის სიძრმეში „დამარცხული“ არა ერთა „საიდუმლო“, მანამცა სპეციალისტთაგან შეუნიშნევი და გამოუცნობით. ეს ებება როგორც ქართულ ზმინას, ისე სახელებს, სიტყვაწარმოებას და საერთოდ ყველაფერს, რასაც თხოლობს ქართული ენის გრამატიკა. ყოველივე ამის შესაცნაბად საჭიროა და აუცალებელი თვითონ შრომის წყითხვა. ამიტომ ჩვენ აქ მისი დეტალური განხილვისაგან თავს ვიკავებთ. ჩვენი მეცნიე-

რეგისათვის მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც იყანე ჭავახიშვილის „ქართული ერის ისტორიას“ და კორწელი კაცელიძის „მცელი ქართული მწერლობის ისტორიას“. მათ მსგავსად აკაკი შენიერმ საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას, ახალ საუკუნეზე აიყვანა იგი და გატეხა მანამდე გაუტეხავი ყამირი. აკაკი შენიერ ქართული ენის დიდი მესაიდუმლეა. მეცნიერი თანაბარი სიღრმით ჩაწედა როგორც ძეველ, ისე ახალ ქართულს, ავრეთვე ქართული ენის დაილექტებს. საგანგებოდ უნდა აღვნიშვნოთ ერთი გარემოებაც. ივანე ჭავახიშვილისა და კორწელი კაცელიძის მსგავსად, აკაკი შენიერ შერმებიც დაწერილია ქართულ ენაზე, როთაც მან დიდად შეუტყო ხელი ქართული მეცნიერების განვითარებას. ენას სიცოცხლისუნარიანობას მატებს ორ მასიტო შეტყველებაც და სიტყვეპაზმული შეტერლობა, ორამედ მეცნიერებაც, ამ ენაზე მეცნიერული შერმების შეტერა. აკაკი შენიერს ამ მხრივაც პირნათლად აქვს მოხდილი თავისი მოვალეობა ქართული ენის წინაშე.

აკაკი შენიერის სახელს ამშვენებს ბევრი მეცნიერული აღმოჩენა. საყოველთაოდ ცნობილია მისი დიდი ინტეიცია და მახვილეონიფრულობა ცალეეული საკითხების კვლევა-ძიების ზრის. მოვალეობით ამის საილუსტრაციო რამდენიმე მაგალითი. ჭრ კიდევ სტუდენტობის დროს ქართულ ზმნათა უდევების შეტევლისას მკვლევარის ყურადღება მოუწევია თრ ზმნას, როგორთაც მეორე სუბიექტური პირის მოუდინებელი არ გვიძეს. ესენია: ხ-არ და ხ-უალ (მო-ხ-ვალ). უნდა ყოფილიყო: თრ და მივალ (შევადაროთ: შენ აკეთებ, და არა: შენ ხ-აკეთებ). ამ რო ზმნაზე დამყარებით მან დაასკვნა: ქართულში წინათ უნდა არსებულიყო რომელილაც კილო, სადაც ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა ყველა ზმნას. 1922 წელს ეს მოსაზრება მან შემაგრა ახალი მონაცემებით. ბოლნისისა და მცხეთის ჭვრის უძველეს წარ-

წერებში ვცხედება ფორმები: შესწივები, შეხუაბთ, მეორ ხეყავ, აე ხანი გამოყენებულია მესამე ობიექტური პირის ნიშნად. ამვე რიგისაა გეოგრაფიული სახელი ხერთვისი. ერთი სიტყვით, ხანის სმარების მავალითობი გაიზარდა და აღრე გამოთქმული დებულებაც უფრო დამაჯერებელი ვარდა.

აქ ერთი ეპიზოდიც უნდა მოვიგონოთ: ლენინგრადში ყოფნისას 1923 წელს კორნელი კეცელიძეს აკაკი შანიძისათვის უკითხავს: — რა იქნებოდა, სადმე რომ აღმოჩნდეს VI საუკუნის 15 სტრიქონიანი ქართული წარწერა? აკაკი შანიძეს ამაზე გულდაჯერებით უპასუხნია: სულ ხანებით იქნებოდა სავსეო (იბ. უნცერსისტეტის მოამბე, II, 1923 წ.). ეს წინასწარმეტყველება იმავე წელსვე დადასტურდა. ივანე ჭავახიშვილმა ძეველ ქართულ ხელნაშერებში აღმოჩინა VI-VIII საუკუნეთა ტექსტები, რომლებშიც ხანი იხმარება ჩვეულებრივ კველვან მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნად. აკაკი შანიძის სიტყვები რომ ვთხმაროთ, ეს ტექსტები „სულ ხანებით არის სავსე“. ამასთან არის დაკავშირებული ერთი საკითხიც. XI საუკუნის მწერალი გორგი მთაწმინდული ახსენებს სახარების ორ რედაციისა: ხანმეტსა და საბაწმინდურს. ჩენეს მეცნიერებაში კარგა ხნის განმევლობაში გაურკვეველი იყო ტერმინი „ხანმეტი“, რომელსაც ბევრი მკვლევარი შესებია. მისი მართებული ახსნა მოდევა მხოლოდ აკაკი შანიძემ, რომელმაც ახლად მოხვებული მსალების მიხედვით დამტკიცა. რომ ხანმეტი გულისხმობს ისეთ ტექსტებს, რომლებსაც ახასიათებთ ხან პრეფიქსის ზედმეტი ხმარება. ამის შემდეგ ეს ტერმინი დამკიდერდა ჩვენს მეცნიერებაში.

1911 წელს მ. ჭანაშვილმა გამოკვეყნა იმანე ბოლნელის ქადაგებანი და შესავალში მოიყანა ხელნაშერები არსებული შემდეგი დროის, მე-15 საუკუნის, მინაწერები. აკაკი შანიძემ მათში აღმოჩინა გალექსილი „მამა ჩვენო“, რომელიც მ. ჭანაშვილს პროზაულად აქვს

ჰაბეჭდილი (ახ. ლიტერატურული ძეგლი, გვ. 5-14, 1944 წ.). რამდენიმეჯერაა გამოცემული დავით აღმაშენებელის ანდერძი, ბოძებული შიომ-მღვიმის მონასტრისაფში 1123 წელს. მისი პირველი სტრიქონი მხედრულად არის დაწერილი და ძალზე გადალებულია, რის გამოც ძეგლი ამოსაყითხავია. ასე მაგალითაზ, ცონტილი ისტორიკოსი და ძეგლი საბუთების ჩინებული მცოდნაზ. უორდანია ტექსტის ასე კითხულობდა: „ნებითა ღვთისათა შედაის შეწყის“. მას ეს წაყითხვა თვითონაც აეჭვებდა, მაგრამ ტექსტი სხვანაირად უერ გაშიფრა. ეს ადგილი მართებულად აღადგინა აკაკი შანიძემ: „ნებითა ღვთისათა შე დავითს მიწუროს“. სიგვლის პირველი სტრიქონი მხედრული ხელით თვითონ დავითს დაუწერია ანუ დაწურია და შემდეგ სხვას გაუგრძელებია.

ცალკე უნდა მოვიხსენით აკაკი შანიძის ნაშრომი ვახტანგ მეფის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. მეცნიერებაში ორი აზრი არსებობდა: ერთი მიტკიცებდნენ, რომ ვახტანგის გამოცემას საფუძვლად უდევს რომელიმაც ჩემის ურომდე არმოლწეული ძეველი ხელნაწერი. შევლევართა მეორე ნაწილის აზრით, ეს გამოცემა კრიტიკულია, უამყარებული სხვადასხვა ხელნაწერებზე. ბედმა აქაც აკაკი შანიძეს გაულიმა და ეს სადაც საკითხი საბოლოოდ მან ვადაწყვიტა. 1937 წელს მან აღადგინა და ხელახლა ვიმოსცა ვახტანგ მეფისული „ვეფხისტყაოსნის“, რომლის კომენტარების შესწოლისას აკაკი შანიძემ ასეთი საინტერესო გარემოება გამოვლინა: მეფე ვახტანგ VI-ს ვანიართებული აქვს რამდენიმე სტროფი, რომლებიც გვხვდება ხელნაწერებში, მაგრამ არა შესული მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“. მეცნიერება ამას ასეთი ახსნა მოუძრება: ვახტანგ მეფეს ტექსტზე მუშაობისას ხელთ ჰქონია არა ერთი ხელნაწერი, არამედ რამდენიმე, რომლებიც კრიტიკულად შეუსწავლია: ზოგიერთი სტროფი ამოულია ტექსტიდან, მაგრამ კომენტარებში შემთხვევით

დარჩენილა რამდენიმე ამოული სტროფის განმარტება. მის შემდეგ არავინ დაობს იმაზე, რომ ვახტანგისული „ვეფხისტყაოსნი“ არის პოვმის პირველი კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემა. აკაკი შანიძის შრომებში ბევრია ამგვარი მაგალითი, მაგრამ მათი აღნიშვნა შორს წაგიყვდას, საილუსტრაციოდ ესცეც საქმარისია.

დიდ მეცნიერს დიდი ადამიანობაც ამ-შვენებს. აკაკი შანიძე ახალგაზრდა თაობის გულისხმიერი აღმზრდელი და საყვარელი მასწავლებელია. საჭიროების შემთხვევაში იგი სტუდენტებს და ასპირანტებს მატერიალურადაც ეხმარება, რომელსაც თან ახლავს ერთვარი მობილიშებითი დარიგება: „ახლა ბევრი საინტერესო წიგნი ვამოდის, ახალგაზრდებს ყოველთვის არ აქვთ ხოლმე ფული მათ შესაძენად“. ამავე დროს მის მიერ შეთავაზებული დამარტინი წიგნებისათვის როგორი განკუთვნილი... ის ამით ადამიანის თავმოყვარეობას უფრთხოილდება.

არ დაუგვაწყვეტდება ერთი ასეთი ეპიზოდი. რამდენიმე წლის წინათ, ზაფხულის ერთ სიცხან დღეს. აკაკი შანიძის ყურადღება მიიქცია თბილისის ქუჩებში მოსიარულე სვანება. რომელიც საორად ზაღვრებილი და შესწებული ჩანდა. აკაკი შანიძე მაშინვე მივიდა მასთან, სვანერად მიესალმა და ვინაობა ვამჟითხა. აღმოჩნდა, რომ მას ავადყოფი მეუღლე ჩამოუვანა თბილისში, ერთ საჭირო წამალი ეშოვა და უერც საავადყოფოში დაწევინა. აკაკი შანიძემ ზამშენდა იგი, თავისთან მიიბატია, სათანადოდ გაუმასპინძლდა, წამალიც უშოვა, მეუღლე საავადყოფოში მოათავსებინა და ასე კმყოფილი გაისტუმრა სვანერთში. ახლაც თვალშეინ გვიდგას მისი გაბრწყინებული სახე: „ეს რა ღვთისნიერ ყაცს გადავყარე, სვანი მეგონა, მაინც საიდან შეისწავლა მაგ დალოცილმა ასე სვანური! ღმერთმა უმრავლოს ჩემს ქვეყანას ასეთი აღმიანები“. დარწმუნებული ვართ, დაბადების 80

წლისთავთან დაკავშირებით ის ადამიანი ნი ახლაც კეთილად გაიხსენებს ამას და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურებს ჩვენს საძირქულო მეცნიერს.

აკაკი შანიძეს ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველო. მას ყველა კუთხით თანაბრაზ უყარს და ასევე უველგან უყართ იგი. მის ყოველ აზრა და გამოსვლას ჩვენი საზოგადოება განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს. ამის საილუსტრაციო ერთ ფაქტს გვიჩვენებთ და ამით დავამთავრებთ.

აკაკი შანიძემ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა დევლი ქართული ანგარიში შესახებ, სადაც მოითხოვს მათს აღზევნას ქართულში მთავრული ასოების საბით. მას სათანა-ჭოდ ვამოხეხმაურნენ ყველგან, მათ შორის საქართველოს ერთ-ერთ შორეულ კუთხეში, სვანეთშიც. სოფ. ლენჯერის ძებული კლასის მოწაფეებს პიონერულ კრებაზე დაუდგენათ, რომ ძეველი ქართული ანგარი ყველას შეესწავლა. კრების ოქმი და სათანადო წერილიც, ძეველი ქართული ასოებით დაწერილი, მათ გამოუგზავნეს აკაკი შანიძეს.

მოწაფეების წერილთან დაკავშირებით ოვითონ მეცნიერმა ღიმილით განაცხადა: „ბავშვებმა გამიგეს. ზოგიერთი ჩვენი ინტელიგენტი დღემზე ვერ დარწმუნებულა, რომ არ შეიძლება ქართველმა კაცმა ძეველი ქართული ანგარი არ იცოდეს. დღეს ბევრი ჩვენი თანამემატეულ დადის უცხოეთში. ძეველ ქართულ ხელაშერს რომ წააწყდეს საღმე, ვერ წაიკითხავს. ეს იმას ემსგავსება, ქართველმა ქართველი ვერ იცნოს, ქართულად ვერ გამოელაპარაკოს. უნდა გვიხსოვდეს: ძეველი ქართული ხელაშერებისათვის ძეველი ქართული ანგარი იგივე ენაა. სხვანარიად ის თავის ვინაობას ვერ გვიცნობს, ვერ ამერცველდება“. ეს სიტუაცია კომენტარის არ საჭიროებს.

წლებს თავისი გატანია და დღეს აკაკი შანიძეს თმაში ძალზე მომრავლებია ვერცხლი — სიბრძნისა და მეცნიერების სიმბოლო. მეცნიერი ისევ შენედ

გამოიყურება, ახალგაზრული ენერგიით მუშაობს და ისევ გასხარებს თავის მრავალრიცხვავნ თავავანისმცემლებს ახალი შრომებით და აღმოჩენებით. მისი შეხედვისას უნდებლივ გამსხვნებათ ერთი ნალექრი ლექსი შეიღია მმისა და ბერი პაბის შესახებ. შეიღ მმის შეიღ-შეიღდებ უსვრიათ, მაგრამ ჯიბისთვის ვერც ერთს ვერ მოუხედრებია. აქ ისევ ბერ პაბის უსახელებია თავი: „ესროლა ბერმა პაბამა, ჯინგი რქით გამზოვედიდა“. აკაკი შანიძე ჩვენი მეცნიერების ბერი პაბა, რომელსაც გვიპრების უაშ ყოველთვის შეუძლია შექმნილი სიძნელე გააქარწყოლოს, მისი კალამი ისევ ბასრია და მერელი, მისი ნაპროლი სიტყვაც ასასოდეს ასცდება ვიზანს.

ენა ერთს ერთ-ერთი ძირითადი სპეციალური ნიშანია. ამიტომ ჩვენი წინაპრები განსაკუთრებით უფრთხოებოდნენ ამ წმინდათა წმინდა საუნგეს. მეოთე საუკუნის ცნობილი მშერლის გორგი მერჩულის სიტყვით „ქართლია“ ის „ფრიადი მეცნა აღიარიცხება“, სადაც ქართულად ლაპარაკობენ და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება. მათვე საუკუნეში დაიწერა იოანე-ზოსიმეს პიმინი ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“, რომელშიც ის ქართულ ენას ბერძნებულ უზარებს და მასზე მაღლაც აყენებს, რამდენადც „ყოველი სიღმელობა ამას ენას შინა დამარტიულ არს“. მისი ღრმა რწმენით ქართულ ენას სიკვდილი არ უშერია და დიდი მომავალი აქვს: უფალი მეორედ მოსვლის ღრმოს მსოფლიოს ქართული ენით განიკითხავს. ქართული ენის ისტორია ამართლება იოანე-ზოსიმეს შეხედულებას ჩვენი ენის განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობისა და გამძლეობის თაობაზე. მან ბევრს განსაცდელს გაუძლო და ჩვენამდე წმინდა სახით მოაღწია. ეს იმიტომ, რომ ქართულ ენაზე შეიქმნა მდიდარი ორიგინალური მწერლობა, დაიწერა „ვეფუნისტუასანი“ და მსატვრული ლიტერატურის სხვა ბრწყინვალე ნიმუშები, ჩვენმა წი-

ნაპტები მოლინად აითვისეს და ქართულ ენაზე გაღმოიდეს იმდროინდელი მსოფლიო კულტურის ყველა მონაპოვარი.

ქართველ კაცს ყოველთვის შეეძლო თავის ენაზე ზიარებოდა მსოფლიოს კულტურას. ამან განაპირობა ქართული ენის გამძლეობა და სიცოცხლის უნარიანობა. ასე იყო წარსულში, ასეა დღესაც. ჩვენ ახლაც მოკრძალებითა და პატივისცემით ვიხსენიებთ ქართული ენის დადგურებს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიშვილს, არსენი იყალთოელს და სხვებს. თუ ჩვენ ამგვარი თვალსაზრისით შევხედავთ აკაკი შანიძის მეცნიე-

რულ მოღვაწეობას, მაშინ კიდევ უფრო მევეთრად წარმოგვიდგება თვალწინ მის დიდი დამსახურება. აკაკი შანიძე შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ ქართული ენის დიდ მოამაგრეთა რიცხვს. მან ეს ენა არა მარტო გამოიკვლია და შეისწავლა მეცნიერულად, არამედ გაამდიდრა კიჯეც თავისი ბრწყინვალე შრომებით. ამიტომ მადლიერი შთამომავლობა მას მომავალშიც არ მოაკლებს სიყვარულსა და პატივისცემას.

ვუსურეოთ ჩვენს იუბილარს ხანგრძლივი სიცოცხლე და განმრთელობა, რომ თვითონ მან იგრძნოს დიდხანს ეს სიყვარული და პატივისცემა.





## პეტრი მერილები

ფრანგელი პეტრარკა (1304-1374), აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი, ამავე დროს იყო ისტორიკოსი, არქეოლოგი, ნუმიზმატი, ფილოლოგი. გარდა მრწყინვალე ლექსებისა და თარგმანებისა, ფართო მკითხველისათვის საინტერესოა ზისი პირადი წერილები. პირადი წერილები ცხოვრებისეულ საკითხებში პეტრარკას, კლასიკური პერიოდის ავტორთა მსგავსად, „დიდი ლიტერატურის“ კანონიერ ჟანრად მიმდინარეობს. ამიტომ იყო, რომ თვით პეტრარკამ შეკრიბა თავისი წერილები, გაუქეთა რედაქცია და ცალკე წიგნად შეკრა. ამ წერილებში იგი გამოთქვას თავის მოსაზრებებს ცალკეულ საკითხებზე, იყავს თავის იდეაბს. წერილებს არ აკლიათ ის ინტენსიურია, რაც საერთოდ პირად მიმოწერას ახასიათებს. ამიტომ მათი შესწავლა საინტერესოა შესანიშნავი ჰელოვანის სულიერი ცხოვრების, აღამიანური ინტერესების, მსოფლმხედველობის კვლევის თვალსაზრისით.

პეტრარკას პირადი წერილები თითქმის უცნობია მკითხველთა ფართო წრეგბისათვის. ვაქვეყნებთ მის სახ წერილს, რომლებიც „ლიტერატურაის როსიაში“ დაიბეჭდა.

## ბ რ ა ჩ ი რ ს

მადლობელი ვარ იმ სიყვარულისათვის, რომელმაც შენ ვაიძლო მოგეცა ჩემევა მეტრნალობისა, თუმც თვით უარყავი ივი. ვთხოვ მომიტევო, თუკი ყურად არ ვიღე შენი სიტყვა. მაშინაც კი, თუ შენ დამარტინებდი იმაში, რომ მე მინდა მეტი ვიცოცხლო. რაც სინამდვილეში არ მსურს. შენი ჩემევის მეყოლი, უფრო მალე მოვკედებოდი.

გამუდმებული, მუყაოთი შრომა არის ჩემი გონიერის საჩრდო.

კითხვა და წერა, რომელზეც გსურს ხელი ამაღებინო, არის სასურველი დასკვნება, რაიც ვავიწყებს ყველაფერ სხეას.

არა არის რა კალიშე მსუბუქი, არაფრია მასზე გამამხნევებელი. სხვა სიამოვნებანი ქრებიან და მიტოვებენ სუ-

ლიერ სიცარიელეს. კალამი ვიხმობს, გეძახის, როცა ხელთ გიპყრია და ალგაურთოვანებს, როცა გვერდზე გადასდებ. იგი აფილდობს არა მარტო მის მულობელს, არამედ სხვებსაც. რომლებიც შორს არინ, ზოგჯერ კი მომავალ დამიანებს, ათასი წლის შემდეგ რომ იცხოვრებენ. მე მვინ, მიშიერ სიამოვნებათაგან არ არსებობს ლიტერატურაზე ლირსული, მასზე მარადიული სასურველი და მუდმივი. ასე რომ, მაპარეე, ჩემო ძირითასო ძმაო, მაპატეე, თუ ვერ დაგიჭრო.

გამომსახე, როგორც გსურდეს, არაფრია ისეთი, რასაც ნამდვილი მწერლის კალამი ვერ შექმნიდა, მაგრამ მე მსურს საკუთარი გზით განვაგრძო ბრძოლა. თუ არარაობა ვარ, დიდი უნ-

და გაეხდე: მაგრამ თუ დიდი ვარ, რაც, ცხადია, ასე არ არის, ყოველივე უნდა ვიღონო, რათა გაეხდე კიდევ უფრო დიდი, უდიდესი! არ მინდა ფრაზას დავესესხო მექსიმინს, ამ ბარბაროს იმპერატორს: „რაც უფრო დიდებული ვიქენები, მით უფრო მეტს ვიშრომებ“. ეს ფრაზა მხოლოდ ბარბაროსთა საკადრიის როდია.

ასე რომ, ყველაფერი ნათელია. შემდგომი წერილიდან შენ გაიგებ, რა შორსა ვარ უმოქმედობისაგან.

არ ვერდები იმ დიდ სამუშაოს, რაც დავიწყე. მას ვერ დაიტევს ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე, თუგინდ ოჩვერ გახანგრძლივდეს — მე კვლავ ახალ-ახალ ამოცანებს ვისახავ — ასეთია ჩემი სიძულვილი ძილისა და მცონარობისადმი.

შენ, ალბათ, გაგონილი გაქვს, „როცა ადამიანი მზადა, მან უნდა დაიწყოს. როდესაც უკან დაიხევს — დაიღუპება“. მე მგონია, თითქოს ახლახან დავიწყე. როგორც არ უნდა წარმომიდგინოთ შენ და სხვებმა — ასეთია ჩემი განსხა საკუთარ თავზე. და თუ ახლა სიცოცხლე შეწყდება, მისი გახანგრძლივება კი შეუძლებელია, მე ეისურვებდი ჩემს აღსარეულთან ერთად დასრულდეს ჩემი სამუშაოც. მაგრამ, რადგან ეს ძალიან დიდი იმედია, დაე, სიკვდილმა მომისწროს კითხვის ან წერის დროს, ან არა და, თუკი ეს უფლის ნება იქნება, მლოცველსა და მტრიალს.

მშეიღობით, ჩემო ძმაო, ნუ დამივიწყებ და იცოცხლე მამაკაცის ბეღნიერი სიცოცხლით!

## მჩას გერარდოს

...ქვირფასო ძმაო, ჩემთვის დღის ნათელზე უძეირფასეს, იძულებული ვარ დავარღვიო დიდი ხნის მდუმარება. და თუ შენ ფიქრობ, რომ ეს გამოწვეული იყო ჩემი გულმავიწყობით, შემდარი ხარ. საკუთარი თავი უფრო მალე დამავიწყდება, ვიდრე შენ. განშრახ ვარლვევ სიმშვიდეს შენი მორჩილებისა. კარგად ვიცი, რომ სიჩუმე გიყვანს, მღელვარებას გაურჩიხარ. ვიცი, აგრეთვე, თუ წერა დავიწყე, ვეღარ შევჩერდები, ისე დიდია ჩემი სიყვარული შენდამი და ალტაცია შენს მიერ არჩეული გზით. ამიტომ ორი უკიდურესობდნ ავირჩიე არა ის, რომელიც მეტ სიამოვნებას მოვანიშვებდა, არამედ ის, რომელიც ნაკლებად დაგირღვევდა სიმშვიდეს; და ახლა, სიმართლე თუ გინდა, ვწერ არა იმდენად შენი სიამოვნებისათვის, რამდენადაც საკუთრივ ჩემთვის, რადგან, რით დაგაინტერესებს ჩემი ყბედობა ანველოსებთან საუბარში გამოიყულს.

ბეღნიერი ხარ, კურთხეულია შენი მიზანი. რადგან კაბურება შეძელი მშევეჭნიური სიამოვნების დათმობა, მაშინ

როცა იგი ასე მაცდურია. ვის შეეძლო დაეჭმ სმენა და უმტკივნეულოდ განედენა სირენათა ხმის მაცდურობა. ამ წერილით მე ვარგებ ჩემს თავს, რადგან ჩემი გული, დიდი ხნის უმოქმედობით მილეული და გაყინული, მხოლოდ შენი სულის წმინდა გზნებით გათბება...

გახსოვს, ალბათ, რა ძმიერი და სულელური იყო ჩენი ლტოლვა ლამაზია ტანსაცხლისადმი, რაც ჯერ კიდევ მიზიდავს, თუმცა თანდათან ნაკლებად. რა უსასრულოდ მომაბეზრებელია ყოველ დილით ჩაიცვა და საღმოთი ისევ გაიხდო.

გახსოვს, როგორ გვეშინოდა ქარს არ აეწერი ჩენი თმის ლამაზი ვარცხნილობა. როგორ ვცლილობდით გაგრილებოდით ცხოველებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვეცდებოლნენ ქუჩში. გვეშინოდა არ გათხვარათ ჩენი სუნამოდაკურული ქათქათა ლაბადები, არ დაეკუპათ რომელიმე ნაკეცი. რა ამაო ადამიანთა ზრუნვა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა კაცისა. მაინც სიღარან მოგვდის თავში ეს გულმოლგინება? მას წარ-

მთშობეს სურვილი: ესიამოენოთ სხვათა  
თვალი. მერე ვისი. იმათი, რომელთა  
ღრმას გადასცემა არარა ჩეცნს თვალში.

ლუცილიუსისადმი მიწერილ ბარათ-  
ში სენეკა ამბობს: — „წითელ ლაბადას  
განა იმიტომ არ იყავს ადგინან, რომ  
სხვას ეჩვენოს მასში?“ სიბრიუვევა შენი  
ქედევა შენს გონიერას არ დაუქვემდება-  
რო და ანგარიში ვაუშიო იმათ აზრე-  
ბას, ვისაც არ აფასებ. არავინ ირჩევს  
მხედართმთავრად აღმიანს, რომელსაც  
ზურგში აქვს ჭრილობა; არც მესაკედ  
ირჩევენ მას, ვისაც მრავალჯერ დაუღუ-  
პას ვემი. ჩვენ მხოლოდ მათ ვირჩევთ,  
ვინც აღგვატროვანებს და მხოლოდ  
მათ ვანდობთ ჩეცნ საქმეს, ვინც ჩინე-  
ბულად უძღვება საკუთარს. მიტომაც  
მიყვეთ უულგარული ბრბოს მოდას,  
რომელთა მანერებს დაუცინით და რო-  
მელთა ცხოვრებასა და აზრებს არაფ-  
რად ვაგდებთ, ნიშნავს ვიყოთ უფრო  
სულელები, ვიდრე ეს ბრბოს.

ვაგრძელებდ სიტყვას, დე, მიუუჩდნენ  
ამპარტავნები. თავს ვანებებ ბრბოს.  
მდიბიოს ტანსაცმელი მეფისაზე პრაქ-  
ტიკული და მოხერხებულია. თუმცა იმ  
ღროს ჩეცნ სხვავგარად ვფიქრობით;  
მიგვაჩნდა, რომ ყოველგვარი დავიდა-  
რაბა ღირდა იმად, რომ თვალიერებას  
დაგვიწყებდნენ, თითო აჩვენებდნენ  
ჩეცნზე და პერსეის სიტყვებს გამოო-  
რებდნენ: „ხედვთ, ის მოდას!“

პორაციუსი სახელგანთქმული მწერა-  
ლი იყო, ოლონდ უფრო მოუსვენარი,  
ვიდრე მამაკაცს შეეულერება. იგი ისევე  
ზედმიწევნით ყურადღებასი იყო საფუ-  
თარი გარევნობის მიმართ, როგორც თა-  
ვისი ლიტერატურული სტილის მიმართ.  
არასოდეს გამოჩნდებოდა ხალხში, სანამ  
საჩერეში არ ჩაიხედავდა. სარეის წინ  
დიდხანს ტკბებოდა საკუთარი თავით;  
ისწორებდა მოსახამს და საჭირო გამო-  
მეტყველებას იღებდა. ერთხელ ხალხით  
გაჟღელო ქარჩაში ნაცნობი დაეტაკა და  
არტისტულად გამოწყვობილს მოსახამი  
გადაუგდო. მან ქალური პარივმოყვა-  
რეობით გაკიცხა მევნობარი, ჭრილობა

მომაყენაო, თითქოს მართლა სერიოზუ-  
ლი დანაშაული ჩაედინოს.

ჩემო ძერძნას ძმაო, მართალია,  
ჩვენ ასეთი ბრალდება არავისთვის წაგ-  
ვიყენებია, მაგრამ სულით მაინც ახლო  
ვიდექთ ამ საქციელთან.

შენ მაინც, ღვთის ნებით, უეცრად  
გამოიცვალე და გადარჩი მსგავს ბნელ  
შეცდომებს.

მე კი ისევ დიდი ტანგვით მივიწევ  
წინ და ვეიქრობ, ჩემთვის უკვე გასაგე-  
ბია, რომ ხსნა არც ლიტერატურაშია,  
არც საკუთარი კონკის ძალაში, ყველა-  
ფერი ღვთის განგებაა, რომელმაც შეიძ-  
ლება გამომიწოდოს ხელი, თუკი ჩემს  
უძლურებას გულწრფელად ვიღიარებ. და თუ ჩემი გონება ამში ვერ დამარწ-  
მუნებს, მაშინ მაიძულებს სიბერის ქა-  
მი, რომლის მოახლოებას დღე-დღე  
ვგრძნობ.

ან ფეხსაცმელები როგორი გვეცვა!  
მას, ალბათ, ჩვენი ფეხები უნდა დაეცვა,  
სინაძვილეში კი ჩვენი უბრალოტესი  
მტერი იყო. მე დამაკომლებდა იგი, რომ  
არ შემცველა უფრო უბრალოთი,  
რომელიც, მართალია, არ აყირებდა  
ხალხს, მაგრამ სამაგიეროდ ძვლებს არ  
მიმრულებდა... ახლა თმის დასახვევი  
რეინის მოსაჭრები და ხელოვნური  
ბალთები... რაოდენ შრომას ითხოვდა.  
რაოდენ ტკივილს გვაყენებდა, ძილიც  
არ გვერნდა. რომელ არამშადას შეეძლო  
ჩვენი ასე გაწვალება, როგორც ჩეცნ  
ვიწვალებდით თავს. რა ხშირად ვნახუ-  
ლობდით დილაობით წითელ ჭრილობას  
ჩეცნს შუბლზე. ასე რომ, როცა გვინდო-  
და ჩვენი ლამაზი თმების ჩეცნება, გვიძ-  
დებოდა სახის დამალვა. ეს მხოლოდ  
მსახიობებს თუ შეეფერებათ. სამწუხა-  
როა ყოველივე ამის გახსნება. ვისაც  
არასოდეს გამოუცდია, დაუჭერებლად  
მოეჩვენება იგი.

ახლა, როცა იგონებ ჩეცნს უწინდელ  
სისულელეს, უნდა აღგატროვანებდეს  
დღევანდელო დღე! შენი საცოდავი სან-  
დალი ფეხებს კი არ ვიბორეავს, იგი გი-  
ავს შენ. ყურებზე და თვალებზე აღარ

გეფინება მოკლედ შეკრილი თბა. შენი უბრალო ტანსაცელი არ მოითხოვს მოვლას, ადვილი ჩასაცელ-გასახდელია, და შენს კუსა ისევე იფარავს სისულელისაგან, როგორც სხეულს სიცივისაგან...

ან როგორ ვამახინჯებდით გამოთქმებს და ვარლევედით მიღებულ წესებს! როგორ ეცდილობდით ჩევნი სისულელები გაგვეხმაურებინა, რომ მათზე ელაპარაკოთ. რა ღონეს არ ეშმარობდით, რომ ჩევნს ახირებას, რომლის უკუგდება მაღლ მოგვიხდა, ტაშით შეხედროდნენ. ჩევნ გვაქებდნენ ჩევნი უკეთურებისათვის, მაგრამ ღოთის მოწყალე ხელი დღითი-დღე გვაახლოებდა პეშმარიტ გზას, გვეხმარებოდა დაგვეკებინა ნაჩქარევა სურვილები, რწმენას გვიყარება და უკველივე წარმავლის მიმართ. რომ შენ, ყოფილ ბაბილონელსა და იქ-

რუსალიმელს, გეგრძნო ამ ორი სამეფოს სხვადასხვაობა.

ო, დალოცვილო, კურთხეულო, ღმერთო! რა დინგია შენი განსჯა, რა იღმაღმოდიხა ჩევნს სახსნელად, რა შეუმჩნევლად გვუზრნავ.

ლვითი ნება ყოვლის შემძლეა. ყველა მისი მორჩილი ვართ და მასშია ყველა მიზეზთა მიზეზი. ღირსეულად გალობდა ჩემი ძმა თავის ფსალტებს და ცისკენ მიმართავდა სულს. მე კი, ჩანს, ვერ შევიგრძენ მხსნელი ხელი, იქნებ ვენდე საკუთარ ძალებს. თუმცა ბორკილები გავარღვიე, მაიც არა ვარ თავისუფალი. მემინდე, ღმერთო, შემინდე, შეიძლება მომავალი წყალობის ღირსი გავხდე, რადგან შენგან ბოძებული თავისუფლების გარეშე დაწევევლილი ადამიანთა მოდგმა ვერ ეღირსება შენდობას.

## 600 მორანდოს

...მომისმინე, რა მიყო კიცერონმა. იმ ციცერონმა, ბავშვობიდან რომ თავს ვივლებოდი. ამას წინათ ჩემი ხელით გადაწერე მისი წერილების უზარმაზარი ტომი, რადგან ეს სამუშაო მეტისმეტად მიძიმეა-მეტვი გადამწერთათვის: იმ ხანად ჯანმრთელად ვერ ვიყავი, მაგრამ იძენად დიდი იყო სიყვარული და ოტაცება, იძენად მსურდა ეს წიგნი მქონდა, სურველმა სტლია სისუსტეს და ჯაფა დიდად შემიმსუბურე.

შენც ხომ გინახავს, ის წიგნი ბიბლიოთეკაში კარტბოთან მედო იატაჭე. მსურდა მუდამ თვალწინ მქონდა. ერთხელ ჩაიქურებული ვიყავი და წიგნს ტანსაცმლის კალთა წამოვდე, იგი გადმოვარდა და მარცხნა ფეხის კოჭზე დაშეცა.

რა მოხდა, ჩემთ ციცერონო? — ვკითხე მე, — რად გწადია ტკივილი მომაყენო? სიტყვაც არ უთქვემს პასუხად და მეორე დღეს, ოთახში რომ შევედი, ისევ ისე გამიმასპინძლდა ვიღე და

ხუმრობით კელავ თავის ადგილზე დავდე. სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რამდენჯერმე განმეორდა ასე. მომეჩენა, იმიტომ ჯავრობს. რომ იატაჭე მიღევს-მეტვი და ახლა მაღლა, თაროზე მივუჩინე ბინა. ფეხი კი ნატკენი დამრჩა, ჭრილობა სახუმართ არ იყო, მაგრამ მე უურადღება არ მივაქციე. მიზეზის სიმკრიცე გავითვალისწინე და არა შედეგი. არც წყლის სმას მოვერიდე, არც ცხენის კენებას, არც ფეხით სიარულს. შეგიძლია წარმოიდგინო, რაც მოხდა. თითქო ეს უყურადღებობა იუკაზრისაო, ჭრილობა გასივდა. ბოლოსდაბოლოს, ტკივილმა რომ კარგა მძლავრად შემომიტია, სიმშვიდე და ძილი წამართვა, გონს მოვეგე. მიეხედი, ჩემი დაუდევერობა იყო არა ნაყოფი ამაღლევებელი სულისა, არამედ სისულელე.

მაშინ ექიმებს ვუხმე. ისინ დიდხანს მეურნალობდნენ ჩემს უკვე სახიფათო იარას, მტკენდნენ და შიშობდნენ, ვაითუ ფეხი სულ გაგრულებეს. ვფიქრობ,

კარგად მოგეხსენება, თუ რაოდენ მწამს მე მათი გულთმისნობისა, ავი იქნება თუ კარგი, და მაინც, მე უნდა ვითმინო, წარამარა უარი ვთქვა ჩემს საყვარელ კირძებზე და უმოძრაოდ ვიმყოფო სწერლი. რაც ესოდენ უცხოა ჩემთვის, განსაკუთრებით ეს მძაგს; ძალად მაჭმევენ ათასნირ დელიქატესს, აღტაცებას რომ მოჰკვრიან რომელიმე გურმანს.

მაგრამ ახლა საქმე უკეთაა. შენ ჩემი გამოგამსალების ამბავს უფრო შეიტყობ, ეიდრე ავადმყოფობისა. მხოლოდ ერთი

რამ მაღიზიანებს. ოთქმის ყოველი შემთხვევა, ყოველი სატყიერი მაინცდა-მაინც ეკვეთება ჩემი სხეულის იმ ნაწილს, რომელსაც ჩემი მსახური, თვითი მოკრძალებული მოვალეობის შესრულებისას, ხშირად ხუმრობთ ასე მოიხსენიებს ხოლმე — „საწყალი ფეხი“, ეს ფეხი ხშირად მაწუხებდა მოელი ცხოვრების მანძილზე. მან ბავშვობირან ცოტა დრო როდი გამატარებინა სარეცელზე, რაც მძაგს ყველაზე მეტად ამ ქვეყნად.

თარიღი 1928 წარავაპაზ..



# რესეზ-საქანტოგელოს მემობრობის 010 00 00 00 00 00

ვადები პომბაი

## პირველი რუსი რომანისტი — „თერგდალეული“

.... საოცარია! კავკასიას თითქოს წილად ჰყდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკადიმი, მათი მუშავის შთამაგონებელი და გამოწვერთნელი, მათი პოეტური სამშობლო”.

პ. გალიცია.

ვასილ ნარევნის სახელს სამართლიანად უკავშირებენ რეალისტური რომანის ჩასახვის ისტორიას რესულ ლოტერატურურაში. მათ ერთ-ერთმა პირველმა დაწყიც ცხოვრების ასახვა „როგორც ის არის თავისი სისახულითა და მწუხარებით, ყველაფრთხო, რაც განჩინა მას მაღალი, უხამსი და სასაცილო“ (ნ. დობროლუბოვი).

ნარევნი იყო პირველი რუსი მწერალი, ვინც შესვა „მლოცვი წყალი თერგისა“. 6

ვასილ ტროფიმეს ძე ნარევნი დაიბადა 1780 წელს პატარა სოფელ უსტივიციში, პოლტავის ოლქში, გოგოლის სამშობლოს მახლობლად. მისი მშობლები ხელმოკლე მემამულენი იყვნენ, რომლებიც, ისევე როგორც ნარევნის რომანის „რუსეთის ეილბლაზის“ გმირის — თავად ჩისტიაკოვის მშობლები, მთელი თავისთვის სიცოცხლის მანძილზე მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ცხოვრობდნენ „მშევიდობიანად და ძმურად, როგორც თავის, ისე სხვის გლეხებთან“. ოჯახის მატერიალურ მდგრადირეობაზე მწერლის მამა წერდა: „ყმები არა მყავს, უძრავი

მამული წინაპრებისგან არ დამრჩენია, გამინია მხოლოდ ჩემით შეძენილი სახნავი და სათესი მიწები, რაც ძლიერ ყოფნის. სხვა შემოსავალი არა მაქვს“.

პატარა ვასილი იშრდებოდა უკრაინულ სოფელში. იგი თამაშობდა ვლეხების ბავშვებთან, უსმენდა წევერ-ჭალარა ბანდურისტებს, ესტრდებოდა ქოჩილებს, პაზრობებს. ბავშვების შთაბეჭდილებები შემდეგში მის მრავალფეროვან შემოქმედებაში აისახა.

1792 წელს ყმაწვილი მიაბარეს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიაში, შემდეგ კი ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სწავლის პერიოდში ნარევნი ეწეოდა ზამაბულ ლიტერატურულ მუშაობას: 1798-1800 წლებში იგი მოსკოვის ეურალებში ეცვეყნებს მთელ რიგ ნაწარმოებებს. „კალმის ვარგიშის“ ამ ცჯებში უკვე იგრძნობა ნიკიერი მწერლის ხელი. ამ დროის ნაწარმოებებიდან გამოირჩევიან ტრაგედიები „სისხლიანი ღამე ანუ კაზმოვის ოჯახის საბოლოო დაცემა“ და „ურუდიმიტრი“. მათში 19 წლის ავტორი ილაშქრებს დესპოტიზმისა და ტირანი-

ის წინააღმდეგ. იცავს ხალხის ინტერესებს, იბრძვის ადამიანთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის.

ფართო ლიტერატურულ საქმიანობას ნარევი კარგად უთავსებდა შეავლას. 1800 წელს მან მიიღო ვერცხლის მედალი „სანიმუშო სიბეჭითისა და წარმატებისათვის“. ის-ის იყო ბრწყინვალედ იშვიეროდა ვ. ნარევინის ლიტერატურული კარიერა, რომ უცემად, 1801 წლის ოქტომბერში, მიატოვა უნივერსიტეტი და საქართველოში გამოიმზავრა.

საქართველოსამდის მწერლის ინტერესზე მეტყველებს მის ადრეულ ნაწარმოებებში კავკასიის ხშირი ხსენება. ეს ინტერესი არ შეიძლებოდა ყოფილიკო შემთხვევითი, კინაიდან მოსკოვი წარმოადგენდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრს რუსეთში.

ჩვენი კვლევის შედეგად დაზუსტდა, რომ ვ. ნარევინი სხვა რუს ჩინოვნიებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში 1802 წლის გაზაფხულზე და არა 1801 წლის შემოდგომაზე, როგორც მას ზოვიერთი მეტყვერი მტკიცებდა. იგი დაინიშნა პოლიციის მდივნად ლორის მაზრი, რომლის მმართველი რაგანობი (ვოლიცია, სასამართლო და სხვ.) იმყოფებოდა თბილისში, რადგანაც ლორი იმ დროს ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო. პოლიციის მდივნის მოვალეობის აუსტრულებამ შესაძლებლობა მისცა ვ. ნარევინის საკუთარი თვალით ენილა ფაქტები დანაშაულებრივი და ანგარებიანი ურთიერთობისა, რაც რუს მოხელეთა და ადგილობრივ მოსახლეობას, აგრეთვე ქართველ მემამულეთა და ყმა-გლეხებს შორის არსებობდა.

განმანათლებელთა იდეებშე აღზრდილ ნარევინის არ შეეძლო გულგრილად ეცემირა, თუ როგორ იტანჯებოდა ღარიში მოსახლეობა ადგილობრივი ფეოდალებისა და რუსი ჩინოვნიების ორმაგი უღლის ქვეშ.

საქართველოში სამსახურმა (1802-1803 წწ.) ჰიდი როლი ითამაშა ვ. ნარევინის შემოქმედებაში.

კავკასიური შთაბეჭდილებები დაუზო

საფუძვლად ვ. ნარევინიმ რომანს „უშედური წელიწადი ანუ მთიელი თავადები“ («Черный год, или горские князья»). მთიელთა ცხოვრება დიდხანს აუსტრიელი საიდუმლოება იყო მკვლევართათვის. მათ აოცებდათ, თუ როგორ შეძლო იცი წლის ჭაბუქმა ასე მცირე დროში ასე შევენიერად გასცნობოდა უცხო მხარეს. ისინი არ ითვალისწინებდნენ, რომ ვ. ნარევინი საქართველოში ჩამოსვლისას უკვე ცნობილ მწერლად ითვლებოდა.

ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში ჩვენ ვიპოვთ გენერალ-ლეიტენანტ კონრინგის 1802 წლის მიწერილობა საქართველოს აღწერილობის შედეგნის თაობაზე. დოკუმენტის შესწავლამ წარმოშეა გარაუდი, რომ ამ საქმეში მონაწილეობდა ვ. ნარევინიც. აღმათ ამიტომ აისახა რომანში მიწერილობაში აღძრული მრავალი საყითხი. სამსახურებრივი მივლინების დროს ვ. ნარევინი იყო „ყველა ხეობაში კავკასიის მთებისა, თერგის სათავიდან მოყოლებული, ქვემოთ, მისი დინების გაყოლებით“. იმ ადგილებში, საზაც „განრითმულია თხენი ვრცელი სამფლობელო: ყაზბეგი, ლარსი, კარტველი, კუნძული“. აქ შეხვდა ნარევინი თავისი გმირების პროტოტიპებს, სახელდობრ, მამასახლის კაიტუკ და დაროვს.

ყაზბეგისა და ლარსის გვერდით უნდა იყოს თავად კაიტუკის სამფლობელო. მაგრამ ასეთი სახელწოდების დასახლებული პუნქტი ამჟამად არ არსებობს. იმ პერიოდის სამხედრო რეკების შესწავლამ დაგვიდასტური გარაუდი: XIX ს-ის პირველი ათწლეულის თითქმის ყველა რუკაზე, ზუსტად იმ ადგილას, რომელც წარმოდგენილია ვ. ნარევინის რომანში, აღნიშნულია სოფელი კაიტუკოვი. ამგვარად, დღემდე არსებულ დასახლებულ პუნქტებს (ყაზბეგისა და ლარსის) თამამად შევვიძლია დავუმატოთ სოფელი კაიტუკოვი — ნარევინის კავკასიური რომანის ძირითადი სამოქმედო ადგილი.

1803-1807 წლებში ვ. ნარევინი მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ერთ-ერთ დეპარტამენტში; 1807 წლიდან გადადის სამთო ექსპედიტორის თანაშემწერე. მა პერიოდში ნარევი ძალშე ნაყოფერად მეშვიდე, დაწერა ტრაგედიები („ელენა“, „სვეტლანასი“, „სვიატოპოლკი“), რომელმაც, სამწუხაროდ, ჩევნამდე ცერ მოაღწია. 1809 წელს მოსკოვში წარმოადგინეს მწერლის ერთ-ერთი ტრაგედია „ცრუ დიმიტრი“. ამის შემდეგც კ. ნარევი საბოლოოდ წყვეტს მუშაობას როგორც დრამატურგი, მაგრამ ამ ცდებს მათ არ ჩაულია მწერლისათვის, ტრაგედიების წერა დახმარა მას ადამიანთა ურთიერთობის ზუსტად ჩევნებაში. მოქმედების ლოგიკური მიმდინარეობის ჩამოყალიბებაში, შინაარსის ლაქონურ გადმოცემაში.

კ. ნარევის წარმატება მოუტანეს პირველმავე პროზაულმა ნაწარმოებებში. თანამედროვენ დილად აფასებდნენ მის „სლავურ საღამოებს“.

„საღამოებზე“ გარევეული გავლენა იქნია იმ ჯროს აზლად ოღმიჩნილმა ნაწარმოებმა „ამბავი იღორის ლაშქრობისა“, აგრეთვე ლისინის საქმაოდ ცნობილმა რომანტიკულმა ბალადებმა, რომელთა ვავლენა უმთავრესდ გამოიხატა ამბავთა გადმოცემის მანერაში.

პირველი სამამულო მოის შემდეგ ნარევის შემოქმედებაში რომანტიკული გატაცება ადგილს უთმობს თანამედროვე ცხოვრების მანერებათა სატირულ ასახვას, ნახვარჩელატული მინიატურები იცელება საზოგადოების წესებისა და კანონების ამსახველი ფართო ტილოებით; მწერალი გვიხატავს არსებულ სინამდვილეს. მყითხველები ეცნობიან კ. ნარევის, როგორც რომანისტს, შესანიშნავი ნაწარმოებების ვეტორს, „აღმურვილს ტალანტით, ორიგინალობით, კომიზმით, სინამდვილისაღმი ერთგულებით“ (ბ. ბელინსკი).

1813 წელს ნარევიმ დატოვა სამსახური, რათა გულმოდგინედ ემშვავა თავას საკუთხესო რომანზე — „რუსთის უილბრაზი“. ამ ნაწარმოების სათაური კ. ნარევიმ დესაუის ცნობილ „უილბ-

რაზ დე სანტილიანას“ დაუკავშირა, მაგრამ აյ თოთქმის არა აქეს აღვილი წამბადებულობას. კ. ნარევინი სათავედასავლო რომანის ფორმა გამოიყენა ახალი შინაარსის გადმოსაცემად, რომლის მინშვნელობაც სკოლდებოდა ივნიტოურისტული ნაწარმოების ფარგლებს.

„უილბრაზი“ იყო პირველი რუსული რეალისტური რომანი. მასში შეუფარავად აისახა XVIII-XIX საუკუნეების რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით. არც თუ ისე დიდი ზომის ნაწარმოებში ნარევი ეხება ამ პერიოდის აქტუალურ საკითხებს, გვიჩვენებს მასონთა ფარისევლობას, სალიტერატურო ენის ირგვლივ განვიღებულ გრძოლას, გამოდის ბატონყმობის წინააღმდეგ, ნილაბს ხდის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას პოლონეთში, წარმოგვიდგენს ჩინოვნიკური აპარატის სიღამილეს და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს რომანის ინტიმურდალური მიმართულება. კ. ნარევინი ისტორიულად განწირული კლასის გახტნილების ჩევნებით გამოაშეარავა იმათი სიყალე, ვინც ამ წოლების პროგრესულობას ამტკიცებდა. მისი სატირის პირუთვნელობაზე მეტყველებს ის ფატი, რომ ბრწყინვალე ლატრონის (ლათინურად ავაზაქს ნიშანას) დანაშაულებებში იგრძნობა სახე ყოვლისშემსრუ პოტიომკინისა, ხოლო პატივმოყვარე ბივალვას იინები არაორაზროვნად მივევანიშნებენ ხანშიშესული იმპერატრიცს „ცელქობაზე“.

ოუმკა „საწყალ გლეხთა“ შიმართ მხეცური დამოკიდებულება თავადაზნაურობის დამახასითებელი თვისება იყო, მაგრამ განსაკუთრებით შეუბრალებლად ექცეულენენ შემამულებები ყმებს. თ როგორ იგონებს თავის ბავშვურ გართობას რომანის ერთ-ერთი გმირი გოლოვორეზოვა: „ჩემი მთავარი საქმიანობა იყო მამასთან ერთად ნაღირობა. მოცლის ჟამს დავდევდი მოსამსახურე გოგოებს, მერე შევაგროვებდი ხოლმე მათ და ვუზრდანებდი ერთმანეთი

ეცემათ. მე კი ვტებებოდი დასისხლიანებული ცხვირ-პირისა და ბლუგაბლუგა მიმოფანტული თმების ყურებით. მამას უკვირდა ამ გამოვონების მახვილებრივობიდან და ამტკიცებდა, რომ ურთოთ განმავლიბაში ჩემგან გამოვიზუდა დიდი ადამიანი.

დადგებით გმირებს ვ. ნარევნი უბრალო ადამიანებში ეძება. „ბრწყინვალე არამშალებს“ ის უპირისიანებს პატიოსან და შირმისმოყვარე ხელსნებსა და გლეხებს. მაღალი წოდების ვარყვნილქალებს, სიყვარული შემოსავლის წყაროდ რომ უცევით, მწერალი უპირისპირებს გლეხის შევენიერ გოგონას ანუშეას, რომელმაც სიყვარულის წმინდა გრძნობას შესწირა თვეო.

ძალზე ძნელი იყო პატიოსანი ხალხის ცხოვრება მტაცებელ ადამიანთა შორის: „ვიდრე შეცვდები კეთილ, პატიოსან ადამიანს, — მუშახარებით ამბობს რესი ეილბლაზი თავადი ჩისტიაყოვი, — ოასი გულბოროტი და გაიძევრა გაგეურდავს, გავიწამებს, სისხლს გამოეწივს და შემჯეკ იმსაც დაგაყვედრებს, რომ ძვლებიანად არ შევასწლა“.

ვ. ნარევნიმ თვის რომანში წარმოგვიდგინა ბატონყმური რუსეთის არაწვეულებრივად ფართო სურათი. „რადიშჩევის ნაწარმოების „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“ გამოქვეყნების შემდეგ, — წერს ცნობილი შევლევარი ნ. სტეპანოვი, — ვირავინ გაძედა ასეთი მწვავე სოციალური ნაწარმოებით გამოსვლა“.

მწერალმა რომანის ექვს ნაწილიდან მხოლოდ სამის გამოქვეყნება მოაწირო. მეფის ცენტრუამ „საძრახისი და მაცურა ადგილებისათვის“ სასწარაფოდ აკრძალა ნაწარმოები. ასეთი „საძრახისი და მაცური ადგილები“ აღმოჩნდა ნარევნის რომანის სწორედ ის ფურცლები, სადაც განსაკუთრებით მძლავრდა ულერდა ბატონყმობისა და თავადაზნაურობის კრიტიკა. რომანის სატირული ნაკადი იმდენად მძლავრი იყო, რომ ავტორის სიკედილის შემდეგაც კი, მიუხედა-

ვად მრავალი ცდისა. მისი დაბეჭდვა შეუძლებელი იყომანდა.

დიუხანს არსებობდა აზრი, რომ ვ. ნარევნიმ „რუსეთის ეილბლაზის“ აკრძალვის შემდეგ ქედი მოიხარი ცენტრული წინაშე და აღარ დაიღობდა ასეთი მწვავე სოციალური ხასიათის ნაწარმოების გამოქვეყნებას. მაგრამ ეს ასე არ იყო; ჯერ კიდევ 1818 წელს მწერალი რუსეთის სიტყვიერების მოყვანულთა თავისიუფალი საზოგადოების (დეკადრისტთა ერთ-ერთი ფილიალის) დამზარებით ცდილობდა დაბეჭდა რომანი „უბედური წელიწადი ანუ მთიელი თავადები“. მაგრამ მწერალის ეს იმედები განუხორციელებელი დარჩა. რომანის სატირული მიმართულება იმჟენად ნათელი იყო, რომ მისდამი კეთილად განწყობილი ცენტორებიც კი შეაშინა. საცენტრულო კომიტეტის მდივანი მ. სონინი აღმფოთებული იყო მწერლის მრავალგზისი თავდასხმით „ყველაგან დადად პატივსაცემ“ მმართველობისა და რელიგიაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, იმშაილვეს გამოუქვეყნებელი რეცენზია. გამოცდილ მწერალს ა. იზმაილოვს ვ. ნარევნის რომანი „მომხიბლავი თავგადასავლებისა და ავტორის ორიგინალური მახვილისტყვაობის გამო“ მიაჩნდა რუსული ლიტერატურის თითქმის საკუთხევო ნაწარმოებად. მაგრამ რეცენზინტი იწუნებდა ავტორის „მდაბიურ“ ენას და მის „უბედილო ხუმრიბებს რელიგიასა და თვითმშეკრძებელ ხელისუფლებაზე“.

ამასთან ა. იზმაილოვის თვლიდა, რომ ნაწარმოებს თბილად მიიღებდა მყითბეველი და იგი დიდხანს არ შეტანილდა მაღაზიების თაროებს, თუ ავტორი „ყოველივე ამას შესაცემისად შეიაწირებდა“. მაგრამ ვ. ნარევნიმ ამჯობინა მის რომანს არ ეხილა დღის სინათლე, ვიზრე გადაეკეთებინა, რადგან ნაწარმოების ძალა სწორედ რელიგიისა და თვითმშეკრძელური ხელისუფლების კრიტიკაში იყო.

„უბედური წელიწადის“ დაწერის ზუსტი თარიღის განსაზღვრას პრინცი-

პული მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას მოვცემს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მწერლის შოთავლმნედეველობის ფორმირება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება და მხატვრული ოპტატობის თანდათანობითი დაცვეწა.

XVIII ს-ის მწერლულში რუსეთში ზიდი პოპულარობით სარგებლობდა ე. წ. „აღმოსავლური მოთხრობები“. აღმოსავლურ მასალას (ადამ-წესებს, საკუთარ სახელებს და ა. შ.) მწერლები იყენებდნენ თანამედროვეობის შეფარული კრიტიკისათვის. მიტომ აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრება ამ ნაწარმოებში ასახული იყო პირობითად, ზოგჯერ კი შეცდომითაც. მაგალითდ, ასე მიუთითებს მოქმედების აღგილს „აღმოსავლური მოთხრობების“ ერთ-ერთი აკტორი: „ქაშმირსა თუ ბაღდადში, მართალი რომ ვთქვათ, არ მახსოვს სად, ერთი მხოლოდ, რომ ეს მონდა აზაში“.

კავკასიური სინამდვილის კარგად მოიღნე ვ. ნარევნის არ შეეძლო გვერდი აევლო პროზაული ნაწარმოების ამ სახისათვის: იგი შესაძლებლობას აღლებდა აეტორს უშიშრად გამოისულიყო სოციალური უკუმართობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ვ. ნარევნის იზიდავდა მოქნილი ფორმა ამ უნისისა, რომლის მოცულობაც განავრცო სათავგადასავლო რომანიმდე. მაგრამ მწერალს არ აკმაყილებდა ამგვარი მოთხრობების პირობითობა; „უბედურ წელიწადში“ ვ. ნარევნიმ არა მარტო შეინარჩუნა აღგილობრივი კოლორიტი, ასამედ კრიტიკულად გააშუქა კავკასიერ ფერდალთა ცხოვრება. ნილაბი ახადა სახართველოს უმაღლეს მმართველობას და ამავე ფრთს გამოიდა თვითმშეყრობელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბევრი მცვლევარი, კერძო, ნ. სტეპანვიკი, ფ. კონდაცვაია, ლ. ნიზაროვა, ე. სოლერტინსკი ფიქრობს, რომ რომანი „უბედურ წელიწადი“ დაწერილია „რუსეთის კილბლაზის“ შემდეგ, თუმცა სოლერტინსკი არ უარყოფს შესაძლებლობას, რომ იგი იწერებოდა „რუსეთის

კილბლაზის“ პარალელურად, „ყოველ შემთხვევაში, — მწერლა იგი, — კავკასიურმა მასალებმა დიდი გავლენა მოახდინა პირველ რომანზე („რუსულ კილბლაზზე“ — ვ. კ.)“.

რამდენადმე სხვაგვარად ფიქრობს პროფ. ვ. შადური: იგი თვლის, რომ ვ. ნარევნის კავკასიური რომანი დაწერილი საქართველოდან დაბრუნებისთვის ეს მცუ „რუსეთის კილბლაზზე“ აღწერ. ჩენ ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ მიკვაჩია, რომ რომანი დაწერილ უფრო მოვციანებით, 1808-12 წლებში, ევროპიში აღდესანდრე პირველის სამარტინონ იმების შემდეგ. შესაძლოა, ამით ასენება რომანის პაციუსტური მიმართულება, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო რუსეთისათვის უსარგებლობრივოდან იმებით.

ამგვარად, კავკასიური რომანი წარმადგენს საშუალებას პერიოდს „სლავურ საბამოებას“ და „რუსეთის კილბლაზს“ შორის. „რუსული კილბლაზის“ შემდეგ უნდა შექმნილიყო რუსეთისა და უკრაინის ცხოვრების ასახველ ნაწარმოებთა სერია და არა „აღმოსავლურ მოთხრობათა“ ყაიდაზე დაწერილი რომანი „უბედურ წელიწადი“, რაც, გარეული თვლისში ითვლია, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა მწერლის შემოქმედებაში.

1821 წლიდან ვ. ნარევნიმ საბოლოოდ მიატოვა სამსახური. შედარებით მცირე ლროში იგი აქვეყნებს მრავალ ნაწარმოებს: 1822 წელს გამოდის რომანი „არისტიონი“, 1824 წელს — „ბურსაკი“ და „აზალი მოთხრობები“, 1825 წელს — „ორი ივანე“, ხოლო რომანი „გარეუშა“ დაუმთავრებელი დარჩია. 1825 წლის 21 ივნისს, ცხოვრების ორმცდამეცხრთე წელს, ვ. ნარევნი გარდაიცვალა.

ვ. ნარევნის უკანასკნელი რომანები არ გამოიჩინებან პოლიტიკური სიმახვილით, მაგრამ მათში შეინიშნება მწერლის შემოქმედებითი სტატობის ზრდა. სწორედ „ბურსაკი“, „აზალი მოთხოვნი“ და „ორი ივანე“ იყო რომანები, რომელთაც

მწერალს მოუტანეს ცნობილი პროზაიკოსისა და გოგოლის წინამორბედის სახელი („რუსეთის უილბლაზი“, როგორც ითქვა, აკრძალა ცენზურამ, ხოლო „უბედური წელიწადი“ გამოქვეყნდა მხოლოდ 1829 წელს).

მწერლის უკანასკნელ ნაწარმოებებში გამსაკუთრებული ადგილი უკავია რომან „გარეუშას“. ეს იყო ერთადერთი თხზულება ვ. ნარევნისა, ცენზურის მსახვრალი ხელი რომ არ შეხებია. ამ ნაწარმოებებში ვ. ნარევნიმ თითქმის შეძლო აესახა ეპოქის ძირითადი კლასობრივი წინააღმდეგობანი. სხვა რომანებისაგან განსხვავებით, ამ თხზულებაში არ არის ორ ერთი დადებითი პერსონაჟი სასულერო პირთა, მემამულეთა და ვაჭართა შორის. მჩაგვრელთა ხროვას ის უპირისპირებს ყმა-გლეხებს, რომელნიც იძულებულნი არიან იარაღით დაიცვან თავინთი უფლებები. ამ ნაწარმოებშიც იგრძნობა სატირის ზომიერება. ვ. ნარევნი იზიარებდა გლეხთა ბრძოლების სამართლიანობას. რომან „გარეუშაზე“ მწერალი მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, თხზულება დაუმთავრებელია.

• მიუხედავად იმისა, რომ ვ. ნარევნი საუკეთესო ნაწარმოებები აყრდალა ცენზურამ. მწერლის შემოქმედება მეოთხეულთა შორის მარც პოპულარობით სარგებლობდა. მაკალათად, დაკაბრისტი ზაგალიშინი თვის „ჩინაშერებში“ ამბობს, რომ ახალგაზრდობა „რუსეთის უილბლაზის“ და სხვა აკრძალულ ნაწარმოებებს ეცნობოდა ხელნაწერებით. რომლებიც დაზ ვაელენას ახდენდნენ მათზე.

ვ. ნარევნის რამდენიმე საუკეთესო თხზულებამ დღის სინათლე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იხილა. პირველად გამოქვეყნდა სრული სახით „რუსეთის უილბლაზი“ და დაუმთავრებელი რომანი „გარეუშა“. მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი რუსული ლიტერატურის ისტორიაში ვ. ნარევნის შემოქმედებისათვის ღირსეული აღილის მიეუთვება.

ვ. ნარევნის სახელი ძვირფასია ჩვენთვის, როგორც რესული რეალისტური პროზის ერთ-ერთი ფუძემდებლისა, გოგოლის წინამორბედისა და კავკასიაზე პირველი რუსული რომანის ავტორისა.



# ამერიკა

## რეზომების საშინაო დღეებისაც გვეპახის

პიორის ლოონინი — ლინინის ჩაცხოლებები	3 33-
პიორის აგაფიი — ლინინის საშინაო	3 33-
პიორის კვლივი — ლინინი	4 33-

## მოსკოვის დღეები

მისამილ ლუკონინი — ზავიარი (ლექს. თარგმნა ვ. ჭავახაძემ)	5 33-
ლუკონიდ გარიბინი — მიმდიდი ბრძოლა (ლექს. თარგმნა ვ. ჭავახაძემ)	6 33-
მარგარიტა ალიხარი — უციდოშის 80 არ მაპატიიჩინ (ლექს. თარგმნა ვ. ჭავახაძემ)	6 33-
რიკოლოს ზაგოლოვია — 80 მუხადიდა გვაცრი დედა-ბუნია (ლექს. თარგმნა ვ. ჭავახაძემ)	7 33-

## კრისა და კოვია

ორია იმასლიანი — იკო კრისი კალი... (რომანი).	8 33-
თაიიშრაჲ ჭანებულაზოლი — მირისპერი (პოეტის რეპორტაჲი)	88 33-

## ჭ კ გ ნ კ ი

ცოდარ ჩილდონი — ლუკები	85 33-
------------------------	--------

## ახალი თარგმანები

ვარა ინგერი — ზეტი დღი-დამი... (ლექს. თარგმნა ი. ქემერტლოვიძემ)	68 33-
სისური მოთაროვანი (თარგმნა გ. ბუჩნიკვილმა):	
ლუდვიკ აზევნაზი — ზიზი აცე კალლური ცხოვრისა	69 33-
ბოკაზილ გრავალი — გატუარიში	75 33-
ვერია გრიზი — უვიზი მოზური ჯვირაში	80 33-

## ცეკვები

კიბო ლომავალი — „საკი ვკინ სამომავიგი“	83 33-
რეზარ წარითალი — ინდინებინინალიზი და კარიტალი ახალგაზრდული მცირება	92 33-
გივი გარამი — ლაპარაკობს „ბობაის მინდია“	101 33-

## შისრაგი ხეამაღლე

პოროველი პირულური დაცვითი ასაკრიზი

107 გვ.

## პომონებათა უკუცლებელი

პატრი უავათავა — ბრძოლაში ნაჯრობი სტრიქონი

111 გვ.

## გვერდი ქალაველი

ივანე ივანიშვილი — ბიჭისი ვარდელავზე დაგადატული

132 გვ.

უარეაზონ რეიანი — რატოლი ენის მისაიღუმი

141 გვ.

ვერჩარებას ზორილისი (თარგმანი ა. კაჭარავაში)

148 გვ.

## არაოთ-საერთო უკუცლებელის ისტორია

ვალერი კოვაჩი — აირველი რეალ რომანიში — „თირგიზალულული“

158 გვ.

სამსონის  
სამსონის  
სამსონის

გარეკანი და ტერიტორიული ელექტრი ამაშუელის, ეურნალი გააუზრია თენცაზე სამსონის.

ტექნიკური ჰელმინტური ს. გოდერძიშვილი

რეალური უამოსელი გასაღები ავტორიზაცია არ დაუზიარდებათ

რედაქტორის მისამართი: თბილისი, პლუშანოვის პროსპ. № 91.

ტალაციონი: რედაქტორის — 5-08-85, გ/გ გვიგვილუაშვილის  
ავტორიზაცია და პრინტის, პრინტისა და გიგანტისაზე — 5-08-85, კულტურისა და  
წარმოვალის 5-08-75

ჰელმინტური რასაბეჭდილი 17/V-67 წ. ფიზიკურ ფორმათი რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათი რაოდენობა 13,7 ცენტ. № 1466. უე 02065. ქალალის ზომა 70×108. ტირაჟი 20.000

საქ. კვ ც-ის გამოცემლობის პოლიგრაფიულინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ФАКУЛТЕТ

26 406



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236